- სახელმწიფო დანესებულებებმა ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი კულინარიულ და გასტრონომიული ტურიზმის ბლოგებს, სატელევიზიო გადაცემებს, ინტერნეტ გამოცემებს, მასტერ-კლასებს, რადიო თუ პრესის ინფორმაციებს, რომლებიც ნაციონალურ სამზარეულოს უწევენ პოპულარიზაციას და ეცადონ რომ სახელმწიფოს მხრიდან მხარი დაუჭირონ მათ ინიციატივებს.
- ყუარდსაღებია ის ფაქტი, რომ კულინარიული ტურისტის უკვე გამოცდილი გურმანია ან მოყვარული დეგუსტატორი, ამიტომაც კლიენტების ამ კატეგორიას, განსაკუთრებული სიფრთხილე ჭირდება, მათი მოტყუების მცდელობაც კი თავშივე უკვე განწირულია.



ასეთი ადამიანები ბევრი ქვეყნის სამზარეულოს იცნობენ და სწორედ ამიტომაც ირჩევენ კულინარიულ ტურებს. ისინი გამოცდილები არიან და კარგად იციან, რომ ინტერნეტში ვერ იგრძნობ სუნს და გემოს, ამიტომაც დებენ ინვესტიციას, რომელსაც ტუროპერატორისთვის შემოსავალი მოაქვს, ქვეყნისთვის კი იმიჯი და ეკონომიკური სიძლერე.

### დასკვნა

გასტრონომიული ტურიზმის თემა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში ახალი

თემაა, მაგრამ ის ტურიზმის დიდი ბიზნესის მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუმცა რეფლექსიური ნაწილი მწირია, რადგან მეცნიერები საფუძვლიანად არ იკვლევდნენ გასტრონომიულ კულტურას, გასტრონომიას როგორც ტურიზმის ცალკე თემას, დღეისათვის ინტერესი დიდია და სულ უფრო და უფრო მეტი ინტერდიციპლინარული საგნები იქნება ამსთან დაკავშირებით.

ჩვენი სამეცნიერო სტატიის მიზანიც ის არის, რომ მოვახდინოთ ამ თემის სწორი გაგება, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნებების და ტემინების დამკვიდრება და პოპულარიზება.

### ლიტერატურა/REFERENCES

- [1] Tourism and Gastronomy – by Anne-Mette Hjalager and Greg Richards, Routledge (UK), 2001. (245 gv)
- [2] ტურიზმი და გასტრონომია, (ხელნაწერი სკრიპტი 202 4 გვერდი)- ავტორი დალილა ცაბავა
- [3] Tourism and Gastronomy – by Anne-Mette Hjalager and Greg Richards, Routledge (UK), 2001. (245)
- [4] **Erik Wolf**, Executive Director, World Food Travel Association, 2003). <https://www.worldfoodtravel.org/cpages/what-is-food-tourism>
- [5] [www.worldfoodtravel.org/cpages/home](http://www.worldfoodtravel.org/cpages/home)
- [6] “The term ‘foodways’ suggests that food is a new work of activities and systems – physical, social (communicative), cultural, economic, spiritual, and aesthetic” (Long 2004:23)
- [7] <https://www.worldfoodtravel.org/cpages/what-is-food-tourism>
- [8] <http://www.dr-gerald-wetzel.de/assets/2015-01-kulinarischer-tourismus.pdf>
- [9] <http://kulinarischer-tourismus.de/>
- [10] **М. В. Капкан, Л. С. Лихачева** ГАСТРОНОМИЧЕСКАЯ КУЛЬТУРА: ПОНЯТИЕ, ФУНКЦИИ, ФАКТОРЫ ФОРМИРОВАНИЯ
- [11] **Сохань, И.В.** Особенности русской гастрономической культуры / И.В.Сохань // Вестник Томского государственного университета, 2011. – № 347. – С. 61–68.

**მევენახეობის განვითარების სტრატეგიები იმერეთის რეგიონში**

**VITICULTURE DEVELOPMENT STRATEGIES IN IMERETI REGION**

**თენგიზ კუპრაშვილი,**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი. საქართველო, ქუთაისი

**TENGIZ KUPRASHVILI,**

Doctor of Economics, Associate Professor  
Akaki Tsereteli State University.  
Georgia, Kutaisi  
tengiz.kuprashvili@atsu.edu.ge

**ანოტაცია**

საქართველოში მიმდინარე რეფორმები, ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე გასვლა მოითხოვს ბაზრის კვლევის მეთოდების ფართოდ გამოყენებას. ასეთი მეთოდების მეშვეობით შესაძლებელია ცალკეულ დარგში, თუ საწარმოში მაქსიმალური დადებითი ეფექტების მიღება.

ნებისმიერ ბაზარზე მყოფი კომპანიები დაარსების დღიდანვე ცდილობენ და დაინტერესებულნი არიან იმით, რომ წარმატებულნი იყვნენ. კომპანიები ცდილობენ საკუთარი შესაძლებლობების სრულად დახარჯვას, რათა გახდნენ ბაზრის უდიდესი წილის მფლობელები, შესაბამისად მიიღონ რაც შეიძლება მეტი მოგება.

ბაზრის განვითარება შესაძლებელია, თუ მასზედ მოქმედი კომპანიები მოახერხებენ მომხმარებელს შესთავაზონ ისეთი პროდუქცია, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მათ ინტერესებს.

ყურძენი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მეტად მოხმარებად საქონელს, როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე იმერეთის რეგიონში. მიუხედავად ამისა, ერთ სულზე მოხმარების მიხედვით ქართული ყურძნის ბაზარი არც თუ ისე მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპულ ქვეყნებში ყურძნის მოხმარების დონეს.

მწარმოებლისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია იცოდეს, კმაყოფილია თუ არა მყიდველი მისი საწარმოს მიერ შექმნილი პროდუქციით. ამისათვის კი მიზანშეწონილად მიმაჩნია საწარმოებმა ასეთი ინფორმაციის მიღებისათვის პერიოდულად შეისწავლონ მომხმარებელთა აზრი მათ მიერ მოყვანილი ყურძნის შესახებ და შემდგომ შეიმუშაონ კონკრეტული სტრატეგიები, კონკრეტულ შენიშვნებთან და წინადადებებთან დაკავშირებით.

**საკვანძო სიტყვები:** ყურძენი, იმერეთის რეგიონი, ტრადიცია, რეკლამა

**ABSTRACT**

*Reforms in Georgia, the country's transition to a new stage of development requires a wide use new methods of marketing research. By means of these methods, it is possible in certain areas, to gain the maximum positive effect.*

*The companies which are in any market are interested in success. The companies try to use all the potential to become the largest players of the market, getting as much as possible profit.*

*Grapes represent one of the most consumed goods both in Georgia, and in the Imereti region. Nevertheless, according to consumption per capita, the market of the Georgian grapes is a little lower than level of consumption of grapes in the European countries.*

*Development of the Market is possible if the companies working at it offer clients an opportunity fully to satisfy their interests.*

*Therefore it is important that the producer knew whether the buyer is satisfied with the products acquired by his enterprise. For this purpose I consider that it is expedient to enterprises to analyze periodically opinion of consumers on grapes which they have brought, and then to develop concrete strategies, concrete comments and offers.*

**Keywords:** grapes, Imereti region, tradition, advertising

ყურძნის ბაზარი საინტერესო და საკმაოდ რთულია, როგორც შესასწავლად ასევე მასზედ ზემოქმედების მოსახდენად. ქართულ ყურძნის ბაზარზე საკმაოდ ბევრი და ძლიერი კონკურენტია როგორც ეროვნული მწარმოებლის, ასევე ქარხნული და უცხოური მწარმოებლის სახით. ამიტომაც საჭიროა წინასწარ განისაზღვროს ის ფაქტორები და კრიტერიუმები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ფირმების მიერ ბაზარზე პოზიციონირება, ადგილის დაკავება, მისი შენარჩუნება და განვითარება.

ყურძნის ოჯახურ მწარმოებლებს არ სჭირდებათ დიდი მარკეტინგული ღონისძიებების გა-

ტარება, რამე თუ მათ გააჩნიათ მათი „მუდმივი“ მომხმარებლები, რომლებიც გარკვეული სიხშირით მოიხმარენ მათ მიერ ნაწარმოებ ყურძენს. გაცილებით რთულადაა საქმე ქარხნული ყურძენის მწარმოებელი ფირმების საქმიანობისას. ყურძენის მწარმოებელ ყველა ქართულ ფირმას თავისუფალ ბაზარზე გასვლის დღიდანვე ჰქონდა და აქვს უამრავი პრობლემა, პრობლემები იყო როგორც ბრენდინგში, ანუ პოზიციონირებაში, ასევე რეკლამაში, მომხმარებლებთან და კონკურენტებთან ურთიერთობაში და ა.შ. მაგრამ ამ პრობლემებიდან უმნიშვნელოვანესია იმერეთის რეგიონის მომხმარებლის სურვილი იქონიოს საკუთარი ყურძენი ან მოიხმაროს მისთვის კარგად ნაცნობი ჯიშის ყურძენები და იშვიათად შეიძინოს ქარხნული წარმოების ყურძენი. ყურძენის ბაზრის, ისევე როგორც ნებისმიერი პროდუქციის ბაზრის შემთხვევაში განვითარებაში უპირველეს პრობლემას წარმოადგენს პროდუქციის ხარისხი, რამდენადაც იგი ფასთან ერთად ის ძირითადი მახასიათებელია რომელსაც ქართველი მომხმარებლები უდიდეს ყურადღებას აქცევენ. ყურძენის ხარისხის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია: საზოგადოებრივი მოთხოვნა, მდგრადობა და უვნებლობა ანუ უსაფრთხოება. უკანასკნელი ორის მიღწევა ტექნოლოგიურად ასე თუ ისე შესაძლებელია, რაც შეეხება კომპანიის მიერ წარმოებულ ყურძენზე საზოგადოებრივი მოთხოვნის ჩამოყალიბება, იგი ბაზარზე საქმიანობასა და კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების მიღწევასთანაა დაკავშირებული.

შეიძლება ჩამოვაცალიბოთ ყურძენის ხარისხის, უფრო კონკრეტულად კი შეფარდება ფასი/ხარისხის გაუმჯობესების რამდენიმე მიმართულება.

- 1) ხარჯების შემცირება ერთეულ პროდუქციაზე;
- 2) არსებული სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესება;
- 3) მომხმარებელთა მოთხოვნის დონის დაკმაყოფილება.

ყურძენის ერთეულ პროდუქციაზე ხარჯების შემცირება რამდენიმე გზით შეიძლება. ერთ-ერთი ყველაზე მარტივი გზაა ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება, როგორც უშუალოდ ყურძენის წარმოებაში ასევე მის შეფუთვა თუ სხვა გარეგნულ დამახასიათებელ მახასიათებლებში. მით უმეტეს, რომ საქართველოს ამის დიდი შესაძლებლობები გააჩნია.

ცნობილია, რომ საქართველოს ზოგიერთი რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობები საკმაოდ ხელსაყრელია ყურძენის მოსაყვანად. ამას

ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს სხვა ქვეყნებთან ერთად, თვლიან ყურძენის სამშობლოდ.

გარდა პროდუქციის შესაძლებლობებისა, იმერეთის რეგიონში ყურძენის ბაზრის განვითარება მოითხოვს სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებების გატარებას. როგორც ზემოთ ავლინებით იმერეთის ყურძენის ბაზრის პოტენციული საკმაოდ მაღალია, რაც საშუალებას აძლევს ყურძენის მწარმოებლებს გაზარდონ წარმოების და გაყიდვების მოცულობა.

ბაზრის გაფართოების გაზრდას ხელს უწყობს არსებული ვითარება:

- 1) იმერეთის, ისევე როგორც საქართველოს ყურძენის ბაზარი მართალია მცირედ, მაგრამ მუდმივად ზრდას განიცდის, მას არ მიუღწევიან განვითარების უმაღლესი წერტილისათვის;
- 2) ფირმების შიგა შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ ამონჭრულა. მიღებული და არსებული შემოსავალი ახალი ინვესტიციების შესაძლებლობას იძლევა. ეს გულისხმობს როგორც წარმოების მოცულობის ზრდას, ასევე ხარისხის ამაღლებას და საკუთარი სავაჭრო მარკის წარმოსაჩენად კომპლექსური მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელებას.

ყურძენის ბაზარი გაყიდვების მოცულობის ზრდის მიუხედავად ცვალებადია. ამასთანავე ბაზარი მაღალკონკურენტულია. ეს ყველაფერი აიძულებს მწარმოებლებს გაატარონ სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება როგორც უკვე არსებული კონკრეტული მომხმარებლისადმი, ასევე ახალი მომხმარებლების მოსაზიდად.

მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება გულისხმობს იმ მიმართულებების არჩევას, რომლითაც უნდა მოხდეს ზოგადად დარგის და კონკრეტულად საწარმოს განვითარება. ყურძენის ბაზარზე გასატარებელი მარკეტინგული ღონისძიებებიდან უმთავრესია პოზიციონირება, დიფერენციაცია და ბრენდინგი.

იმერეთის რეგიონის ყურძენის ბაზრის ანალიზმა გვიჩვენა, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის გაჯერებული და ზრდის სტადიაზეა, ამასთანავე ზრდის ტემპები თანდათან მცირდება, და გაყიდვების მოცულობა უახლოეს მომავალში მიაღწევს პიკურ მაჩვენებელს. შესაბამისად, ყოველი კომპანია გაყიდვების მოცულობის ზრდის მისაღწევად ცდილობს გაზარდოს ბაზარზე საკუთარი წილი. ამ წინაპირობებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ისეთი მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება, როგორიცაა განვითარების სტრატეგია, პოზიციონირება, დიფერენციაცია და ბრენდინგი.

უპირველეს ყოვლისა, ნებისმიერმა კომპანიამ განვითარების საკუთარი სტრატეგია უნდა აირჩიოს. საქართველოში ყურძნის არცერთი მწარმოებელი კომპანია ბაზრის მონოპოლისტი არ არის (არ უკავია ბაზრის განსაკუთრებით დიდი წილი). იმერეთის რეგიონში მონოპოლისტად შეიძლება ჩაითვალოს გლეხური მეურნეობა, აქედან გამომდინარე არცერთ მათგანს არ სჭირდება ბაზრის წილის მიზანმიმართული შემცირების პოლიტიკის გატარება. რაც შეეხება ზრდის სტრატეგიას, რომელიც დაფუძნებული იქნება ერთ-ერთი პარამეტრის (პროდუქცია, ბაზარი, დარგი) შცვლაზე, საკმაოდ შრომატევადია. იგი მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს და გარკვეულწილად სანარმოს პროფილის შეცვლას. შესაბამისად ასეთი გზით განვითარება არარენტაბელური და არასასურველია.

მნიშვნელოვანია ბაზრის სეგმენტაციის სტრატეგია. ამ შემთხვევაში კომპანიები ცდილობენ არა მთელი, არამედ მისი მხოლოდ გარკვეული ნაწილის - სეგმენტის დაკავებას. ეს დამოკიდებულია ფირმის როგორც გარე, ასევე შიგა შესაძლებლობებზე. ამ სტრატეგიას თავისი უარყოფითი თვისებებიც გააჩნია, კერძოდ, მისი გამოყენება ფირმებისაგან მოითხოვს დიდ დანახარჯებს და კაპიტალდაბანდებას სავაჭრო მარკის გავითარებისა და მარკეტინგის კომპლექსის სრულად განხორციელების მიზნით, რისი საშუალებაც საქართველოში არსებულ ყურძნის ბაზარზე მოქმედ ფირმებს დღესდღეობით არ გააჩნიათ. ამასთანავე ზოგიერთ სეგმენტში მისი მახასიათებლების გამო ამის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ სეგმენტებს შეიძლება მიეკუთვნოთ ყურძნის მწარმოებელი რაიონები (თერჯოლა, ზესტაფონი, ბაღდათი) სადაც დიდია მოთხოვნა გლეხურ მეურნეობაში წარმოებულ ყურძენზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმერეთის რეგიონის ყურძნის ბაზარზე შდარებით მისაღებ სტრატეგიას წარმოადგენს კონცენტრირებული მარკეტინგის სტრატეგია, ე.ი. ძალისხმევის კონცენტრირება რამდენიმე (ყველაზე ხელსაყრელ) სეგმენტზე (ძირითადად დიდ ქალაქებსა და ფოთი-თბილისის მაგისტრალის ზოგიერთ მონაკვეთზე). ეს სტრატეგია მიმზიდველია იმიტაც, რომ კომპანიებს შეუძლიათ საკუთარი ძალისხმევის კონცენტრირება ბაზრის იმ სეგმენტებზე რომლებზედაც არსებობს საკუთარი უპირატესობების გამოყენების შესაძლებლობა. უზრუნველყოფს რა ეკონომიკის სპეციალიზაციის და აღნიშნულ სეგმენტზე მყარი საბაზრო პოზიციის ხარჯზე.

ბაზარზე პოზიციონირების სტრატეგიის განხილვა შეიძლება ორ ასპექტში: ერთის მხრივ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ბრენდინგის, ანუ სავაჭრო მარკის იმიჯის ფორმირების პროცედურასთან; მეორეს მხრივ კი ეხება მარკეტინგის კომპლექსის ყველა მიმართულებას: სასაქონლოს, საფასოს, სერვისის და სარეკლამო ღონისძიებების შემუშავებას [1].

ყურძნის ბაზარზე წარმატების აუცილებელი ფაქტორია ეფექტური სამარკო პოლიტიკა. ამისათვის აუცილებელია ბრენდის იმიჯის ფორმირება და პოზიციონირების დასაბუთებული მეთოდის არჩევა. რაც შეეხება ბრენდინგის სტრატეგიას, მისი არჩევის უპირატესობა ნათელია: ესაა მრავალმარკიანი პორტფელის ფორმირება, რომელიც უნდა გავითარდეს, მოხდეს მისი პოზიციონირება და მომხმარებლის ცნობიერებაში განმტკიცება. ამასთანავე პოზიციონირების პოლიტიკა ისეთი სახით უნდა გატარდეს, რომ ერთი და იგივე კომპანიის სხვადასხვა სავაჭრო მარკა ერთმანეთს კონკურენციას არ უნდა უწევდნენ, ისინი არ უნდა იყვნენ ურთიერთშემცველნი და ებრძოდნენ კონკურენტთა მარკებს, ე.ი. არ მოხდეს სავაჭრო მარკების „კანობალიზაცია“. ამისათვის კომპანიებმა საკუთარი სავაჭრო მარკები აუცილებლად უნდა განათავსონ ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებზე.

პირველი ნაბიჯი ბაზარზე წინსვლასა და საქონლის პოზიციონირებაში არის თვით კომპანია - მწარმოებლის პოზიციონირება. მომხმარებელთა უმრავლესობა ყურძნის არჩევისას განმსაზღვრელ მომენტად თვლის ხარისხსა და ტრადიციას. ამიტომაც აუცილებელია მომხმარებელს ჩამოუყალიბდეს ბაზარზე არსებული ყურძნისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. პოზიციონირების შედეგად ამა თუ იმ კომპანიის პროდუქცია უნდა იყოს განსხვავებული და ადვილად საცნობი. სასურველია რომ მომხმარებლის ცნობიერებაში მიღწეული იქნას გარკვეული ასოციაციები. სავაჭრო მარკის პოზიციონირებისას აუცილებელია შეიქმნას იმ მომხმარებლის სახე, რომლისთვისაც ხდება ამა თუ იმ პროდუქციის წარმოება.

რეკლამა წარმოადგენს ინფორმაციას, რომელიც იმსახურებს სრულ ნდობას ან წარმოადგენს სიმპათიის გამომწვევ წყაროს.

ყურძნის მრავალ მომხმარებელს გააჩნია ჩამოყალიბებული აზრი და სტერეოტიპი სხვადასხვა ჯიშის ყურძნის შესახებ. ამიტომ ახალი პროდუქციის შემუშავებისას აუცილებელია ამ სტერეოტიპების დამსხვრევა და ახლის შექმნა, რომელიც გა-



მოინვესტს სასურველ ასოციაციებს და პოტენციური მომხმარებლის გონებაში ხანგრძლივად ჩაიდება. რეკლამაში, ყურძნის პოზიციონირებისას, აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს არა მხოლოდ პროდუქციის გარკვეულ უპირატესობებზე, არამედ საჭიროა შეიქმნას ისეთი რეკლამა, რომელიც მომხმარებლის ყურადღებას მიიქცევს, დაინტერესებს და მოეწონება მას, გადასცემს რეკლამით გამოწვეულ ემოციებს თვით საქონელზე.

გაძლიერებული სარეკლამო კამპანია ყურძნის პოტენციურ მყიდველში მარკის მიმართ უნდა აყალიბებდეს შემდეგ დამოკიდებულებებს:

- 1) ყურძნის გარეგნული სახისადმი (შეფუთვა, ეტიკეტი და სხვა) მომხმარებლის მიერ ზუსტი წარმოდგენა;
- 2) ხარისხისა და ტრადიციების მიმართ სპონტანური ასოციაციები;

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ხშირად ყურძნის მომხმარებელს არ წარმოადგენს მხოლოდ მიზნობრივი აუდიტორია. კერძოდ, ყურძნის მომხმარებლები არიან ნებისმიერი ასაკის მომხმარებლები, რომლებიც მისდევენ აქტიური ცხოვრების წესს.

ყურძნის პოზიციონირების სტრატეგიის დამუშავების დროს სავაჭრო მარკის წარმატებისათვის აუცილებელია სხვადასხვა სფეროებში სწორი და შეთანხმებული მოქმედება. ა, სფეროებს მიეკუთვნება: ფასის დადგენა, გასაღების პოლიტიკა და დანიშნულება.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, იმერეთის რეგიონში არსებობს საქონლის გასაღებისათვის საჭირო, რეალური პირობები. წარმოებულ პროდუქციაზე საფასო პოლიტიკის ფორმირება ხდება ახალი ყურძნისადმი მომხმარებლების დამოკიდებულების და ახალი სავაჭრო მარკის ბაზარზე გატანის პრაქტიკის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე პროდუქციის ფასი არჩეულ უნდა იქნას კონკურენტების ფასების გათვალისწინებით. ზოგადად, ფასი საქონლის გასაღებაში ნაკლებად მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს, არ შეიძლება პროდუქციაზე დაბალი ფასის დაწესება, რადგანაც დაბალი ფასი შეიძლება პროდუქციის დაბალი ხარისხის მაჩვენებელი იყოს, ხოლო მაღალმა ფასმა კი შეიძლება მომხმარებელთა გარკვეული ნაწილის დაკარგვა გამოიწვიოს. ყურძნის ბაზარზე ფასწარმოქმნის სტრატეგიის არჩევისას მნიშვნელოვანია ბაზარზე მყარად დანერგვის სტრატეგიის არჩევა.

ფასის მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს რეალურ ღირებულებებს, ე.ი. ყურძნის ფერმა და გემომ არ უნდა დააღალატოს მომხმარებელი. ამ

პირობის შესარულებლად აუცილებელია საკუთარი პროდუქციის წინასწარი ტესტირება, რათა ცნობილ იქნას მომხმარებლის აზრი მოცემული პროდუქციის შესახებ, და შესაძლებელი იყოს მისი შედარება სხვა სავაჭრო მარკებთან;

აქვე უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი ფაქტი. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე მომხმარებელთა 66% მოიხმარს გლეხის მიერ წარმოებულ ყურძენს. ამასთანავე მწარმოებელი კომპანიები ვალდებული არიან გააჩნადეთ კარგად მოწესრიგებული გასაღების სისტემა. გასაღების სისტემა მისაღებია იყოს ერთ ან ორ საფეხურიანი. გაცილებით ეფექტურია მწარმოებელ კომპანიას პარტნიორობის, შუამავლებს შორის ჰყავდეს ბითუმად ვაჭრობის ბევრი წარმომადგენელი. ამისათვის აუცილებელია ბითუმად მოვაჭრეთა დაინტერესება, რისი მიღწევაც ადვილად შესაძლებელია ერთის მხრივ, საბოლოო მომხმარებელთა დაინტერესების ხარჯზე; მეორეს მხრივ, მათი შესაძლო დანაკარგების მაქსიმალურად შემცირებით, კერძოდ პროდუქციის ღირებულების გადახდით რეალიზებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით, ხოლო რეალიზაციის შეუძლებლობის შემთხვევაში დარჩენილი პროდუქციის უკან დაბრუნებით.

ყველა ეს ღონისძიება აუცილებელია გატარდეს სარეკლამო კამპანიის დასაწყისში. სამომავლოდ კი, კომპანია უნდა ცდილობდეს მომხმარებლის მოზიდვას და რეალიზაციის ზრდას, და ეს უნდა მოახერხოს საბოლოო მომხმარებელზე ზემოქმედების საშუალებით.

იმერეთის რეგიონში ყურძნის ბაზრის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია პრომოუშენის სტრატეგია. პრომოუშენის განხორციელებისას უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს თვით კომპანიის პოზიციონირება. კომპანია გარკვეული დროის განმავლობაში ცნობილი უნდა გახდეს. ამისათვის რეკომენდებულია მასმედიის ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორცაა ტელევიზია, პრესა, ვინაიდან კარგად გაკეთებულ გადაცემას და ინფორმაციას გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია, ვიდრე ნებისმიერ რეკლამას. პროპაგანდის ეს სახე უნდა იყოს მოკლევადიანი, მაგრამ ამ დროის განმავლობაში მომხმარებლის ცნობიერებაში კომპანიის შესახებ დადებით აზრს უნდა აყალიბებდეს. იგი დიდხანს უნდა დარჩეს მომხმარებლის ცნობიერებაში და დაამსხვრიოს ადრე ჩამოყალიბებული სტერეოტიპები.

ყურძნის შესახებ ინფორმაციის გავრცელების საშუალებების არჩევისას აუცილებელია კარგად ვიცოდეთ თითოეული მათგანის მახასიათებლები,



როგორცაა გადაცემის სიხშირე, გავრცელების არეალი და ზემოქმედების ძალა. მნიშვნელოვანია მიზნობრივი აუდიტორიის მიერ აღიარებული ფასეულობები. ქართულ რეალობაში ინფორმაციის გავრცელების ძირითადი სახეები არის ტელევიზია და პრესა.

ტელევიზია საკუთარ თავზე ყურადღების ყველაზე მეტად კონცენტრირებადი ინფორმაციის გავრცელების საშუალებაა. მასში ყურძნის რეკლამას შეიძლება ქონდეს მრავალი სახე:

- უშუალოდ რეკლამა (ე.ი. ინფორმაცია კომპანიაზე, პროდუქციაზე და ა.შ.);
- შეკვეთილი გადაცემა, რომელშიც საუბარი იქნება კომპანიის ისტორიაზე, მის მოდერნიზაციაზე და ამის საფუძველზე ხარისხის გაზრდაზე და ა.შ.

პოზიციონირების ზემოთ აღწერილი სტრატეგიები ყურძნის ბაზარზე მომუშავე კომპანიებს საშუალებას მისცემს მომხმარებლის ცნობიერებაში ჩამოყალიბდნენ როგორც მაღალი ხარისხის მქონე პროდუქციის მწარმოებელი კომპანია.

ყურძნის ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე გაყიდვების ორგანიზაცია. ამ საქმეში ყურძნის ბაზარზე მომუშავე კომპანიების ძირითადი ამოცანებია:

- 1) როგორ მოახდინონ რეგიონში დისტრიბუტორების რაოდენობის ოპტიმიზაცია, ისე რომ არ მოხდეს საცალო გაყიდვების მოცულობის შემცირება.
- 2) ვისზე უნდა გაკეთდეს აქცენტი საცალო ვაჭრობის შესაძლო განსხვავებების შემთხვევაში - „დიდ“ თუ „ამბიციურ“ დისტრიბუტორებზე?
- 3) როგორ მიაღწიონ სტაბილურ წამყვან პოზიციას საცალო ვაჭრობაში?

განვითარების ამ ეტაპზე, მწარმოებელმა რეგიონში უნდა შექმნას სრულყოფილი გაყიდვების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საბოლოო გაყიდვების ზრდას. სწორედ მერჩანდაიზინგი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად, რომელიც ხელს შეუწყობს გაყიდვების მოცულობისა და კომპანიის იმიჯის შექმნას [2].

თანამედროვე პირობებში მომხმარებელი ხშირად ვერ ხვდება, რომ ნებისმიერ სუპერმარკეტში, მაღაზიაში თუ ბაზარში, მას გარს აკრავს კარგად მოფიქრებული და გაგვიმთხილი მერჩანდაიზინგი. იმერეთის რეგიონში მოქმედი მწარმოებელი ჯერ კიდევ ნაკლებად იყენებენ მერჩანდაიზინგის მთელ რიგ უპირატესობებს. ეს ერთის მხრივ, გამონვეულია მერჩანდაიზინგის სპეციალისტების ნაკლებობით, ხოლო მეორეს მხრივ კი თვით მერ-

ჩანდაიზინგის მნიშვნელობის არ ცოდნით. მიუხედავად იმისა, რომ მერჩანდაიზინგის სპეციალისტი ანუ მერჩანდაიზინგი ესაჭიროება ყველა ფირმასა და კომპანიას, ამ პროფესიის შესახებ არსებობს დიდი შინაარსობრივი განსხვავებები. მერჩანდაიზინგის არსებობა თვით მომხმარებლის ქცევიდან გამომდინარეობს, რადგანაც მომხმარებელი ყიდვის შესახებ გადანყვეტილებას უშუალოდ გაყიდვის ადგილზე ლეზულობს, მაშინაც კი, თუ ასეთი საქონლის შეძენა მას წინასწარ ჰქონდა განზრახული.

ყურძნის ბაზარზე წარმატების მიღწევისათვის მიზანშეწონილია მერჩანდაიზინგის შემდეგი ძირითადი პროცედურების გამოყენება:

- ასორტიმენტული პოზიციების გარკვევა, როგორცაა საქონლის საჭირო რაოდენობის და საჭირო ადგილზე ყოფნის კონტროლი;
- საქონლისა და სავაჭრო ადგილის გაფორმება;
- რეკლამა, როგორც ზოგადად ასევე გაყიდვის ადგილებში;
- პრომოუშენ - აქციები, კონკურსები;
- რეალიზაციის სფეროში კვალიფიცირებული პერსონალის მომზადება.

მომხმარებელი ჩვეულებრივ ბუნებრივ რეფლექსებს ემორჩილება, სუპერმარკეტებში იგი მოძრაობს მარჯვნიდან მარცხნივ. მომხმარებელი, რომელიც შეიძენს მისთვის საინტერესო პროდუქციას, იწყებს სხვა განყოფილებების დათვალიერებას, რათა მოახდინონ დამატებით ისეთი პროდუქციის შესყიდვა, რომლის შეძენაც წინასწარ არ ყოფილა განსაზღვრული. დაგენილია, რომ მომხმარებლები ასეთ შესყიდვებს, თუ სუპერმარკეტი ერთსართულიანია, ძირითადად მაღაზიის გასასვლელებში ახდენენ, ხოლო რამდენიმე სართულიანში კი პირველ სართულზე. შესაბამისად სუპერმარკეტებში ყურძენი ძირითადად მაღაზიის პირველ სართულსა და გასასვლელებში უნდა იყოს განლაგებული.

მომხმარებლისათვის ყურძნის მიმზიდველობა დამოკიდებულია აგრეთვე მის გარეგნულ სახეზე ანუ მის შფუთვაზე, ხშირად შეფუთვა გავლენას ახდენს მომხმარებლის მიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ის ახალი, უცნობი პროდუქციის შემთხვევაში უპირველეს რეაგირებას შეფუთვაზე ახდენს. სასურველია, რომ შეფუთვამ ადვილად მიიქციოს მომხმარებლის ყურადღება, იყოს განუმეორებელი და სხვა ანალოგიური პროდუქციის შეფუთვისაგან განსხვავებული. ფაქტიურად შეფუთვა - ესაა სიგნალი, რომლითაც საქონელმა უნდა მიიქციოს მომხმარებლის ყურადღება, მას შემდეგ რაც მომხმარებელმა გასინჯა საქონელი და დააკმაყოფილა მისი მოთხოვნილება. შეფუთვამ უნდა

მოახდინოს მომხმარებლის მიერ ამ პროდუქციის გამოყენების სტიმულირება. ყურძნის შემთხვევაში მწარმოებელი უნდა შეეცადოს, რომ შეფუთვა უზრუნველყოფდეს მის ადგილად ტრანსპორტირებას ყიდვის ადგილებიდან (მაღაზია, ბაზრობა, სუპერ-მარკეტი) მოხმარების ადგილებამდე [3].

XXI საუკუნეში შეფუთვის ელემენტების უტილიზაციამაც კი შიძლება პრობლემები შეუქმნას მენარმეს. შეფუთვის უტილიზაციამ ზოგიერთ სამომხმარებლო სეგმენტში, გარემოს დამცველი ორგანიზაციების გავლენით, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება შეიძლება გამოიწვიოს. ოპტიმალური შეფუთვის დამზადება, რომელიც ერთის მხრივ მოსახერხებელია მომხმარებლისათვის, მეორეს მხრივ - უზრუნველყოფს პროდუქციის მცირედი დანახარჯებით განლაგებას და გაადვილებს მის გადამუშავებას, - საკმაოდ რთული ამოცანაა. ამასთან გასათვალისწინებელია მომხმარებლის დამოკიდებულება შეფუთვის ამა თუ იმ სახისადმი.

ყურძნის ქართველი მწარმოებლები, პროდუქციის შეფუთვისას, ცდილობენ საკუთარი პროდუქცია განასხვავონ არა მხოლოდ სხვა მწარმოებლების პროდუქციისაგან, არამედ საკუთარი კომპანიის სხვადასხვა ბრენდებისაგანაც კი. ეს გამოწვეულია ერთი მწარმოებლის სხვადასხვა ბრენდის განსახვავებელი პოპულარობით და მწარმოებლის სურვილით, რომ გაუადვილოს მომხმარებელს მისთვის საინტერესო პროდუქციის მიგნება.

ამრიგად, მწარმოებლისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია იცოდეს, კმაცოფილია თუ არა მყიდველი მისი საწარმოს მიერ შექმნილი პროდუქციით. ამისათვის კი მიზანშეწონილად მიმაჩნია საწარმოებმა ასეთი ინფორმაციის მიღებისათვის პერიოდულად შეისწავლონ მომხმარებელთა აზრი მათ მიერ მოყვანილი ყურძნის შესახებ და შემდგომ შეიმუშაონ კონკრეტული სტრატეგიები, კონკრეტულ შენიშვნებთან და წინადადებებთან დაკავშირებით.

**ლიტერატურა/REFERENCES**

[1] **Портер Е. Маикл.** Конкурентная стратегия: Методика анализа отраслей и конкурентов. Пер. с англ. — М.: Алпина Бизнес Букс, 2005.

[2] **Канаян К.** Мерчандайзинг.-М.:РИП –холдинг, 2001.

[3] **Жан-Ноэль Капферер.** Бренд навсегда: создание, развитие, поддержка ценности бренда / пер.с англ. Е. В. Виноградовой; под. общ. ред. В. Н. Домнина. — Москва: Вершина, 2007. — 448 с.

**საკრუიზო ტურიზმის განვითარება საქართველოში**

**CRUISE TOURISM DESTINATION DEVELOPMENT IN GEORGIA**

**მანანა ვასაძე,**

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო, თბილისი,

**ნანა ახალაია,**

ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი საქართველო, გორი

**MANANA VASADZE,**

Doctor of Economics, Associate Professor, Georgian Technical University, Georgia, Tbilisi

**NANA AKHALAIA,**

Doctor of Economics, Professor, Gori State Teaching University Georgia, Gori

**ანოტაცია**

საკრუიზო ტურიზმი საერთაშორისო ტურისტული ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია. ეს არის შრომის ყველაზე ინტენსიური და კაპიტალიზებული სექტორი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ტიპის ტურიზმს, როგორცაა რეკრეაციული, დასასვენებელი, სპორტული, კულტურული და სხვა.

საკრუიზო ტურიზმი მოიცავს არა მხოლოდ წყლის ტრანსპორტს, არამედ, სხვადასხვა გართობას საკრუიზო ლაინერზე, აგრეთვე, სანაპირო ექსკურსიებისა და სპორტო ქალაქებში ისტორიული ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებელ ტურებს.

შავი ზღვის რეგიონის საკრუიზო ტურიზმს განვითარების საუკეთესო პოტენციალი აქვს. შავი ზღვის რეგიონის საკრუიზო ტურისტებს შეუძლიათ ექვსი ქვეყნის უნიკალური კულტურისა და ძვირფასი ისტორიული ძეგლების მონახულება. მიუხედავად ამისა, გლობალური საკრუიზო კომპანიები შავი ზღვის რეგიონს განიხილავენ არა როგორც დამოუკიდებელ რეგიონს, არამედ, როგორც ხმელთაშუა კრუიზის გაგრძელებას ან დამატებას.

2014 წლის მონაცემებით, ბაზარზე გავლენას ახდენდა რუსეთის ქმედებები, რამაც გამოიწვია არასტაბილურობა აღმოსავლეთ უკრაინაში. ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნა შავი ზღვის კრუიზებზე შემცირდა მოკლევადიან პერიოდში. ამას დაემატა 2016 წლის ივნისის მოვლენები, თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობა, და შავი ზღვის რეგიონში საკრუიზო ხაზი რამდენიმე წლით შეჩერდა.

ამრიგად, ხმელთაშუა ზღვისპირეთში პოლიტიკური და ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნება შავი ზღვის რეგიონში საკრუიზო ტურიზმის შემდგომი განვითარების სანინდარია.

**საკვანძო სიტყვები:** საკრუიზო ტურიზმი, არასტაბილურობა, მიძღვნი პორტი, საერთაშორისო ტურ-

ისტული ბაზარი, ტურები ღირსშესანიშნაობის დასათვალიერებლად.

**ABSTRACT**

*Cruise tourism is one of the most popular and fastest growing segments of the international tourism market. It is a labor-intensive and capitalized sector combining different types of tourism such as recreational, leisure, sports, cultural and other. Cruise includes not only the water transport with the variety of entertainment on cruise liner, but also the coast-al excursions, port of calls sightseeing tours.*

*The Black Sea Region has the best potential for cruise tourism development. The Black Sea region cruise tourists can visit six countries with unique culture and precious historic monuments. Nevertheless, global cruise companies consider the Black Sea region not as an independent region but as a part/continuation of the Mediterranean cruise.*

*According to the data of 2014, the market was affected by Russia's actions, causing instability in eastern Ukraine. This means that the demand has fallen on the Black Sea cruises, at least in the short term. The events of June 2016 were added to the attempted military coup in Turkey and cruises on the Black Sea had been stopped by the cruise lines for a few years.*

*The Black Sea region, at this stage, suffers from the uncertainties caused by many conflicts.*

*Therefore, the Black Sea region cruise tourism destinations are dramatically influenced by economic and political instability.*

**Key Words:** Cruise tourism, instability, port of call, international tourism market, sightseeing tours.

In modern conditions, cruise tourism is one of the most popular and fastest growing segments of the international tourism market. Cruise is a journey to the sea or on the river, during which you can visit different countries and cities simultaneously. This is the specific type of tourism. It is a

labor-intensive and capitalized sector combining different types of tourism such as recreational, leisure, sports, cultural and other. Cruise includes not only the water transport with the variety of entertainment on cruise liner, but also the coastal excursions, port of calls sightseeing tours.

Various surveys show that cruise tourists are determined to travel to the exotic and comfortable environment, visit new towns, various cultural and historical heritage sights. Furthermore, the water is useful for health: the movement of the water surface removes the stress and the sea air promotes the recovery of the body.

Composition of tourists participating in cruise according to social conditions is as follows: About 50% of tourists travel with families, 27% - with friends and acquaintances, 18% - alone. As for age groups, the picture looks like: 25 years old tourists constitute 30% of the total number. Tourists from 25-40 years old amount 22%, more than 40 years old - 48%. The average age of tourists participating in the maritime cruise is 45 years, which is mainly due to the high prices of cruise tours.

Average Cruise duration lasts between 6-4 and 30 days, but the most popular is 10-14 day tours.

In recent years the image of Cruise as a tourist product has changed significantly. The cruise hemisphere turned into a floating hotel where there is an entertaining and festive atmosphere. Consequently, Cruise is the most expensive and most affordable type of vacation.

World demand on cruise is very high. In the largest companies, according to forecasts, the number of Cruise tourists amounts 24 million by 2017. Most of the tourists come to North America. Cruise tourism also gains strength in Europe. The Mediterranean is becoming more attractive, especially for North American tourists.

The Black Sea Region has the best potential for cruise tourism development. The Black Sea region cruise tourists can visit six countries with unique culture and precious historic monuments. Nevertheless, global cruise companies consider the Black Sea region not as an independent region but as a part/continuation of the Mediterranean cruise. The reason is in tourists demands. Unfortunately, most of the tourists do not pay relevant attention to the Black Sea region.

The crucial importance for cruise tourism development in Georgia is the unique advantages of the country and the entire Black Sea resource potential as follows: favourable climatic conditions, rich historical and cultural heritage, etc. It can be mentioned that in terms of appropriate infrastructure the Black Sea acquires coastal advantage. Accordingly, the region has a chance to take a strong position in the world cruise market.

It should also be noted that cruise tourism development depends on the creation, promotion and realization of cruise tourism product, which involves a large number of private tourism companies and institutions. The cruise tourism development rate significantly determines the activities of the tourism state institutions (customs, supervision, border control, etc.) together with Port infrastructure, and also, the level of economic development of the country and the whole region. Consequently, the cruise tourism industry is a multi-component system, embracing qualitative characteristics of each element of the system affecting the whole system, including cruise tourism potential and its development level.

Before the commencement of annexation of Crimea by Russia, which began on February 28, 2014, the number of cruise passengers in the Black Sea region was steadily rising, reaching an average annual growth of 2006 and 2013 + 5.9%.

During the past five years from the annexation, from 2009 to 2013, the region has been performing double digit growth annually + 13.8%, while the Mediterranean average annual growth rate was 3.7% for the same period.

Obviously, according to the data of 2014, the market was affected by Russia's actions, actions that continued to create instability in eastern Ukraine. This means that the demand has fallen on the Black Sea cruises, at least in the short term. The events of June 2016 were added to the attempted military coup in Turkey and cruises on the Black Sea had been stopped by the cruise lines for a few years.

The Black Sea region, at this stage, suffers from the uncertainties caused by many conflicts.

Furthermore, Fuel price is very important in the development of cruises. In this respect, the Black Sea region has to compete with the Mediterranean region.

European operators (35%) and North American operators account for the majority (62%) who traditionally distribute their ships to Europe waters for a small period of the year.

Tourism scholars have different approaches to tourism and cultural tourism in particular. Lofgren propose s that vacation is a laboratory of culture where people can try out their new samples and their identity, social relations and new attitude to nature (Lofgren, pp.216,217).

Though according to Franklin and Crang tourism research is dominated by works influenced by the politics and the industry and these researchers consciously make an attempt to subtract all the essential parts of the social and cultural practices from tourism while answering to its problematical character (Franklin- Crang, pp.146-147).

Tourist studies has been dominated by policy led and

industry sponsored work so the analysis tends to internalize industry led priorities and perspectives, leaving the “... research subject to the imperatives of policy, in the sense that one expects the researcher to assume as his own an objective of social control that will allow the tourist product to be more finely tuned to the demands of the international market” (Picard, 1996: p.103).

Because of the political instability that arose in the Black Sea region tourism has become not only a meeting point of cultures, but also meeting point of politics, economy and other driving forces of society (Istvan Kovari, p.11)

Cruise tourism development is one of the important roles assigned to Georgia. Tourism is recognized as the priority sector for economic development of the country. Tourism Development Document “Georgian Tourism Development Strategy 2025- Georgia” presents priority activities as follows:

- “Investing in the ports and bays of the crossover liners,
- working out special benefits for the sector private

establishments and

- encouraging cruise lines to prolong their stay in the country.” (p.15)

The Georgian National Tourism Administration (GNTA) has revealed the country’s long-term tourism goal - to develop the country as a sought-after tourist destination, increase the international profile of Georgia and bring more benefits to the nation. The National Strategy envisaged increasing the income received from international tourism aiming to increase tourists vacation time spent in Georgia.

Cruise tourism works like any other type of tourism, although it involves cruise ships. It is a great way to expose a countries beauty and culture. It is also a nice way to travel the world giving tons of jobs and employment to the places that it visit, mostly to the ports of calls. Furthermore, Cruise tourism destinations are dramatically influenced by economic and political instability.

Thus, the maintaining political and economic sustainability in the Mediterranean will affect the further development of cruises in the Black Sea region.

#### REFERENCES

- [1] **Crang, M.** (1999) ‘Knowing Tourism and Practices of Vision’, pp. 238–56 in D. Crouch (ed.) *Leisure/Tourism Geographies: Practices and Geographical Knowledge*. London: Routledge.
- [2] **Franklin, A. Crang, M.** (2012) *The Trouble with Tourism and Travel Theory*. *Tourist Studies*. 2001 sage publications London, Thousand Oaks and New Delhi vol. 1(1) 5–22 [1468-7984 (200106)1:1; 5-22; 019893]
- [3] *Georgian Tourism Development Strategy 2025*. Georgian Tourism Administration
- [4] **Kovari, I.** (2016) *Reflections on the Cultural Dimension of tourism: Tourism as a meeting Point of Cultures?* Budapest Business School, College of Commerce, Catering and Tourism. *Journal of Hospitality Industry Research and Education*, Volume II – Number (2) – May 2016
- [5] **Löfgren, O.** (1999) *On Holiday: A History of Vacationing*. Berkeley: University of California Press.
- [6] **Picard, M.** (1996) *Bali: Cultural Tourism and Touristic Culture*. Singapore: Archipelago Press.
- [7] **G.P.Wild** (international) - *The development of a cruise tourism strategy, final report to department of tourism and resorts of Ajara incorporating phases 1, 2 and 3*, west Sussex, March, 2015.
- [8] *The Cruise Industry*, Cruise Lines International Association, *Contribution of Cruise Tourism to the Economies of Europe*, 2015 [www.cruising.org/docs/default-source/market-research/2015-europe-economic-impact-study.pdf?sfvrsn=0](http://www.cruising.org/docs/default-source/market-research/2015-europe-economic-impact-study.pdf?sfvrsn=0)



**საინვესტიციო პოლიტიკის რეგიონული ასპექტები**

**REGIONAL ASPECTS OF INVESTMENT POLICY**

**რამინ (მათე) ცინარიძე,**

ბიზნესის მართვის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი,

საქართველო, ბათუმი

**მელანო აბაშიძე,**

მაგისტრი, ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი,

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის

სამინისტროს უფროსი სპეციალისტი,

საქართველო, ბათუმი

**RAMIN (MATE) TSINARIDZE,**

Doctor of Business Management, Assistant

Professor, Batumi Shota Rustaveli State

University, Georgia, Batumi

**MELANO ABASHIDZE,**

Master student,

Batumi Shota Rustaveli State University,

Ministry of Finance and Economy

of Adjara, Chief Specialist,

Georgia, Batumi

**ანოტაცია**

სახელმწიფოს ინვესტიციური პოლიტიკის ქვეშ იგულისხმება მიზანმიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობა ყველა მეურნეუბიექტისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის, ინვესტიციური საქმიანობის გამოცოცხლების, ეკონომიკური აღმავლობის, წარმოების ეფექტიანობის ზრდის და სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის.

რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა სისტემას, რომლებიც ტარდება რეგიონის ან სხვა ტერიტორიული ერთეულის დონეზე და ხელს უწყობენ ინვესტიციური რესურსების მოპოვების, მათი ეფექტური და რაციონალური გამოყენების მიმართულებების დადგენას რეგიონის მოსახლეობისა და ინვესტორების ინტერესებიდან გამომდინარე.

დღეისათვის, ეკონომიკის სტრუქტურული დისპროპორციების პირობებში რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკა უნდა ხორციელდებოდეს ეკონომიკური და ადმინისტრაციული მეთოდების შეთანხმებით, ხოლო ეკონომიკური წონასწორობისა და საფინანსო თუ სამეწარმეო სექტორების დაბალანსებული განვითარების მიღწევისას პირდაპირი რეგულირების როლი შეიძლება შემცირდეს, აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში კი - შენარჩუნდეს და გაძლიერდეს კიდევ.

ნებისმიერი ქვეყნისა თუ მისი ცალკეული რეგიონის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი ინვესტიციებია. ისეთი აქტიური ზონისათვის კი, როგორცაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მიზნობრივად მოზიდვა, სახელმწიფო სექტორის ინვესტიციები კი კვლავ ინფრასტრუქტურის

ტურის შექმნა-განვითარებისა და ახალი სიმძლავრეების შექმნისაკენ უნდა იქნეს მიმართული.

ინვესტიციების მოზიდვა და მიმართვა რეალურ ეკონომიკაში, რასაკვირველია ხელს შეუწყობს რეგიონის მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდას, მოსახლეობის აქტიური ნაწილის არამართო ქალაქში თავმოყრას, არამედ პროპორციულ გადანაწილებას, ამასთან მნიშვნელოვანია რამდენად მოხერხდება დახვეწილი საინვესტიციო პოლიტიკის გატარება, პრიორიტეტების სწორი შერჩევა და ძირითადად შედეგზე რეგიონის ეკონომიკური, სოციალური და ფისკალური მდგრადობის ზრდაზე ორიენტირება. გამომდინარე აქედან, უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული და ოპტიმალური საინვესტიციო პოლიტიკის შედეგად სახელმწიფო თუ კერძო ინვესტიციების ყურადღების არეალში არამართო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზღვისპირა აქტიური ზოლი მოექცა, არამედ მამულებად ხდება მთის საინვესტიციო პოტენციალის შეფასება-ათვისებაც, რაც სამომავლოდ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საწინდარი გახდება.

მაშასადამე, ქმედითი საინვესტიციო რეგიონული პოლიტიკის ფორმირება-რეალიზებისათვის აუცილებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის დარგებში ჩამოყალიბებული საინვესტიციო სიტუაციის შეფასების კრიტერიუმების ნათლად და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა. ეკონომიკური რეალიზების ადეკვატური მეთოდური აპარატის შემუშავება და მისი თანმიმდევრულად გამოყენება (აუცილებელია მზარდი ტურიზმის პირობებში სოფლის მეურნეობის დარგების ხელშეწყობა, რადგან შემცირდეს ამ დარგის პროდუქციის იმპორტი). ტურ-

იზმის, სამშენებლო სექტორის და ენერგეტიკის განვითარებას ტრადიციული დარგების აღორძინებაც უნდა მოყვეს.

**საკვანძო სიტყვები:** რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკა, ინვესტიციური რესურსები, კერძო და სახელმწიფო ინვესტიციები, მთლიანი დამატებული ღირებულება.

**ABSTRACT**

*Combination of targeted activities are meant under the State Investment Policy in order to create favorable conditions for all business subjects, to revitalize investment activities, to support economic growth, to increase production efficiency and solve social problems.*

*Regional investment policy represents a system of activities, which are implemented at the regional level or on other territorial entities and contributes to the mobilization of investment resources, establishing their effective and rational promotion directions based on the interests of the population and investors.*

*Nowadays according to structural disproportions in the economy, regional investment policy should be implemented combined with economic and administrative methods, while the direct regulation role of economic balance and achievement of financial or entrepreneurial sectors development may be reduced, and in case of necessity, it may remain maintained or strengthened.*

*One of the main foundations for the economic development of any country or even for region are investments. For the active zone as an Autonomous Republic of Ajara, it is especially important to attract investments, and investments of government sector should be aimed at creating and developing infrastructure and capacities.*

*Of course, attracting investments and directing them in the real economy will undoubtedly increase the Gross value of the region; it can also help with proportional distribution of the active part of the population. It is also important how effective investment policy can be achieved, the correct selection of priorities and the orientation on the economic, social and fiscal sustainability growth outcome of the region. Therefore, it should be noted that not only the coastal area of Ajara Autonomous Republic is covered by the attention of the state or private investments in the strategic and optimal investment policy, but also the mountain investment potential is being developed, which can be a prerequisite of the socio-economic growth of the region and the welfare of the population in the future.*

*Therefore, it is necessary to accurately measure the criteria for assessing the investment situation in the economy*

*of the Autonomous Republic of Ajara in order to form and implement an effective investment policy. Developing an adequate methodological apparatus and consistently using it (It is necessary to support agriculture in conditions of growing tourism, as a result to reduce the import level in this sector). The development of tourism, the construction sector and energy sector should be followed by the revival of traditional industries.*

**Keywords:** *Regional investment policy, Investment resources, Private and state investments, Gross (Total) value added.*

ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისა და სტაბილურობის მისაღწევად აუცილებელია გავატაროთ ისეთი ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას. საინვესტიციო პოლიტიკა კი ეკონომიკაზე ზემოქმედების მძლავრი ინსტრუმენტია, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ თუ საგარეო ურთიერთობებზე, პრიორიტეტული დარგების განვითარებას.

საქართველოში რეგიონული განვითარების დინამიკა და შესაბამისი სამართლებრივი ინიციატივების პერსპექტიულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ სახელმწიფო მისი განვითარების ამ კონკრეტულ ეტაპზე, არსებული ალტერნატივებიდან რომელს მიიჩნევს ეფექტურად და პრიორიტეტულად. რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების განხორციელება შესაძლებელია დაფინანსდეს როგორც სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების (უფრო ზუსტად საინვესტიციო ბიუჯეტის), ასევე კერძო სექტორის მიერ, რომელსაც დღეისათვის ალტერნატივა არ გააჩნია.

ინვესტიციური პოლიტიკა გამოდის რა, როგორც სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლიობა, ზემოქმედებს იმ განსხვავებებზე, რომლებიც ქმნიან ინვესტიციურ კლიმატს. მისი აქტუალიზაცია ხდება ინვესტიციური საქმიანობის რეგულირების სტრატეგიის შემუშავებითა და რეალიზაციით. ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესების ღონისძიებათა ერთობლიობა — ინვესტიციური პოლიტიკა, ისევე როგორც ფინანსური პოლიტიკა, რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. იგი არის როგორც რეგიონის ეკონომიკაზე, ისე მეურნე სუბიექტების სამენარმეო საქმიანობაზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტი.

„ინვესტიციური პოლიტიკის უმთავრესი მიზანის ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატისა და

ინვესტიციური პოტენციალის გააქტიურებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა. მის ძირითად მიმართულებებზე განიხილება ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია სამამულო და უცხოური ინვესტიორების საქმიანობის ხელსაყრელი რეჟიმის შექმნასთან. {6. გვ., 62}

საინვესტიციო პროცესები წარმოადგენს საქართველოს ცალკეული რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის მთავარ ფაქტორს. საინვესტიციო შემადგენელი არის ეკონომიკის რეგულირების ყველა ბაზისური მოდელის ფუძემდებლური ელემენტი (კლასიკური, მონეტარისტული, კეინზიანური). საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც რეგიონის ანტიციკლური პოლიტიკის ნაწილია, შეიძლება იქცეს მისი ეკონომიკის განვითარების კატალიზატორად.

რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა სისტემას, რომლებიც ტარდება რეგიონის ან სხვა ტერიტორიული ერთეულის დონეზე და ხელს უწყობენ ინვესტიციური რესურსების მობილიზაციას, მათი ეფექტური და რაციონალური გამოყენების მიმართულებების დადგენას რეგიონის მოსახლეობისა და ინვესტიორების ინტერესებიდან გამომდინარე.

საინვესტიციო შესაძლებლობების განსაზღვრა წარმოადგენს ნებისმიერი საქმიანობის საწყის ნერტილს, რომელიც დაკავშირებულია ინვესტირებასთან. საბოლოო ჯამში, ეს შეიძლება გახდეს საინვესტიციო საშუალებების მობილიზაციის დასაწყისი. ქართველი და უცხოელი, კერძო თუ სახელმწიფო პოტენციური ინვესტიორები დაინტერესებული არიან მიიღონ ინფორმაცია ახალი საინვესტიციო შესაძლებლობის შესახებ.

ეკონომიკური რეფორმები წარმატებით ხორციელდება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რაც განაპირობებს ინფრასტრუქტურის დინამიურ ზრდას. რეგიონში ხელსაყრელი და მისაღები პირობებია ბიზნესის განვითარებისთვის ტურიზმის, მრეწველობის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის და ასევე ეკონომიკის სხვა სფეროში. ეკონომიკური რეფორმების შემდეგ პრივატიზაციის პროცესი დაიწყო, რაც დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს. აჭარის რეგიონში ინვესტიციების ზრდა აისახება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და ლიბერალური რეფორმებით. ამასთან აჭარის რეგიონი გეოეკონომიკური მდებარეობით, უკვე საკმაოდ განვითარებული ინფრასტრუქტურით, ძლიერი საფინანსო სისტემით, საერთაშორისო ზრდით საკმაოდ მიმზიდველია უცხოელ ინვესტიორთათვის.

ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ და რადიკალურმა ეკონომიკურმა რეფორმებმა დღის წესრიგში დააყენა ქვეყანაში საინვესტიციო პოლიტიკის ტრანსფორმაციისა და შესაბამისი გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის ფორმირების საკითხი. ამ რთული და მრავალნაზნაგოვანი პრობლემის გადაწყვეტაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი განეკუთვნება მთლიანად ეროვნული მეურნეობის, მისი ცალკეული რეგიონების, ქალაქებისა და კერძოდ აჭარის საკურორტო-ტურისტული მეურნეობის დაჩქარებული აღდგენა-განვითარებისათვის დიდი მოცულობის ფინანსური რესურსების მობილიზებასა და გამოყენებას.

თანამედროვე დინამიკებზე ღია მსოფლიოში, განსაკუთრებით იმის გამო, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეტაპობრივად იზრუნებს თავის ისტორიული ფუნქციას და რომ იგი ინტერესის სფერო ხდება განვითარებული ქვეყნების, უნდა ვივარაუდოთ, რომ საინვესტიციო პროცესები ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტად დინამიური გახდება. შესაბამისად საქართველოს რეგიონების რანგირების ეხლანდელ სტემაში საგრძნობი ცვლილებები შეიძლება მოხდეს. მოსალოდნელია, რომ საინვესტიციო აქტიურობის ხარისხის მიხედვით ახალი ჯგუფები ჩამოყალიბდეს, რაც საბოლოოდ მთლიან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის გარანტი იქნება.

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში მოცემული ქვეყნის, მისი რეგიონების, სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საინვესტიციო აქტიურობის დასახასიათებლად გამოიყენება ისეთი ინტეგრალური მაჩვენებლები, როგორცაა: განხორციელებული ინვესტიციების საერთო მოცულობა, ინვესტიციების განაწილება რეგიონებში (რეგიონის წილი ინვესტიციურ საქმიანობაში), ინვესტიციების ხვედრითი დონე (ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით).

საინვესტიციო საქმიანობის ყველა მიმართულებით (ძირითადი ფონდების გამოყენება, ინვესტიციები ძირითად კაპიტალში, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები). ამ საქმიანობის საერთო დაბალი დონის პირობებში გამოკვეთილია რეგიონების ოთხი ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საინვესტიციო აქტიურობის სხვადასხვა დონით (მაღალი დონე, საშუალო დონე, საშუალოზე დაბალი დონე, დაბალი დონე). დღეისათვის ისევ აქტიურ და პირველ ზონად რჩება დედაქალაქი (0-დან 5 ბალამდე), მეორე ჯგუფში


(საშუალო დონე - 5 ბალიდან 10 ბალამდე) შედიან: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და შიდა ქართლის რეგიონი. {3. გვ., 1}

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2009 წელს ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი რაოდენობის 52.41% თბილისზე მოდიოდა, მეორე და მესამე ადგილს კი სამეგრელო ზემო-სვანეთისა და გურიის (15.24 %) რეგიონები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა იკავებდნენ (15.09 %). განაწილების ამგვარი ასიმეტრია შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაღრმავდა: 2014 წელს მთლიანად განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 75.46 % ქვეყნის

დედაქალაქ თბილისზე მოდიოდა. 2017 წლის პირველ კვარტალში საქართველოში სულ შემოვიდა 403 340 700 დოლარის უცხოური ინვესტიცია, საიდანაც 85,8%, ანუ 346 085 800 დოლარი ინვესტიორებმა თბილისში დააბანდეს. მეორე ადგილზე ინვესტიციების მოცულობით აღმოჩნდა აჭარა - 34 043 600 დოლარი, რაც მთლიანი ინვესტიციების მხოლოდ 8,4%-ია. 19 881 700 დოლარის ინვესტიცია ჩაიდო სამცხე-ჯავახეთში, ეს მთლიანი ინვესტიციების 4,9%-ია. სამეგრელო-ზემო სვანეთსა და გურიაში 2017 წლის პირველ კვარტალში მთლიანად 8 197 200 დოლარის უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, შიდა ქართლში კი მხოლოდ 3 497 400 დოლარის.

ინვესტიციების განაწილება რეგიონულ ქრისტში 2009 და 2016 წელი

დიაგრამა №1.



**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

საქართველოს რეგიონებში მიმდინარე საინვესტიციო საქმიანობის ანალიზიდან ჩანს, რომ მათ შორის არსებობს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი განსხვავებები, რაც განპირობებულია მთელი რიგი სხვა ფაქტორების ერთობლიობით. ინვესტიციურ პროცესებზე ამ ფაქტორების ზეგავლენის შედეგებს ეკონომიკურ ლიტერატურაში განზოგადებულად უწოდებენ რეფორმების გატარებაზე რეგიონების რეაქციას.

საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის დაბალი დონე, ინვესტიციების აბსოლუტური მოცულობის უკმარისობა, ინვესტიციების დაფინანსების წყაროების არარაციონალური სტრუქ-

ტურა, მოსახლეობის ერთ სულზე ინვესტიციების მნიშვნელოვანი ჩამორჩენა სხვა ქვეყნებთან შედარებით და სხვა არასასარბიელო ტენდენციები კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდება რეგიონულ დონეზე. ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში, კერძოდ, დამატებული ღირებულების ფორმირებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში, დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო სექტორის მიერ როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი წარმოშობის ინვესტიციების განხორციელებას და სტაბილურ/მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს. 2016 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კერძო სექტორის მიერ ჯამურად განხ-




ორციელდა 427.9 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია, რომლის 71% შეადგინა უცხოურმა ინვესტიციებმა. (იხ. დიაგრამა №2)

აჭარაში, 2013 წლიდან 2016 წლის ექვსი თვის ჩათვლით განხორციელებულია 683,5 მილიონი აშშ

დოლარის კერძო უცხოური ინვესტიცია. აქედან 341,1 მილიონი აშშ დოლარის მხოლოდ ბათუმში. ყველაზე მსხვილი ნორვეგიულ-ინდური ინვესტიცია აჭარის მთაში ჰესების მშენებლობას უკავშირდება.

კერძო ინვესტიციები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2012-2016 წწ.

დიაგრამა №2.



წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აქვე რეგიონის სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრებიდან ყურადღება გასამახვილებელია დამატებულ ღირებულებაზე და რეგიონულ პროდუქტზე. ინვესტიციების მოცულობა მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით ბოლო

წლებში შეადგენს დაახლოებით 15-38%-ს, ხოლო რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ოდენობამ 2016 წელს შეადგინა 1 270 აშშ დოლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საინვესტიციო პარამეტრები

ცხრილი №1


	2012	2013	2014	2015	2016
ინვესტიციების ცვლილების ტემპი (%)	2.	28.3	41.8	32.6	17.0
ინვესტიციები მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით (%)	15.0	18.0	23.9	37.9	-
ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი)	386	495	697	1 087	1 270
მთლიანი დამატებული ღირებულება (მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი)	1 675.4	1 798.1	2 039.7	2 194.3	2 498.5
მთლიანი დამატებული ღირებულების ცვლილების ტემპი (მიმდინარე ფასების მიხედვით, %)	3.3	7.3	13.4	7.6	13.9
მთლიანი დამატებული ღირებულება მოსახლეობის ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში, ლარი)	4 256	4 561	5 143	6 564	7 370

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ-  
მა მთლიანი დამატებული ღირებულებამ (მიმდინ-  
არე ფასების მიხედვით) შეადგინა 2 498.5 მლნ  
ლარი, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის  
7%-ია. რეგიონის მთლიანი დამატებული ღირე-  
ბულების ნომინალურმა ზრდამ შეადგინა 14%.  
რაც შეეხება რეგიონის მთლიან დამატებულ ღირე-  
ბულებას მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშე-  
ბით, აღნიშნული მაჩვენებელი განისაზღვრა 7  
370.2 ლარით. აჭარის რეგიონში 2016 წელს შექმ-  
ნილი მთლიანი დამატებული ღირებულების დარ-  
გობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრი-  
თი წონით (28%) გამოირჩევა მომსახურების სფე-  
რო (საფინანსო შუამავლობა, სასტუმროებისა  
და რესტორნების მომსახურება, უძრავი ქონების  
გაქირავება და სხვა მომსახურება), ასევე მაღალი  
ხვედრითი წონა აქვს მშენებლობისა (14%) და ვაჭ-  
რობის (13%) სექტორებს. რაც შეეხება ეკონომიკის  
რეალური სექტორის დარგებს, მრეწველობაზე  
მოდის მთლიანი დამატებული ღირებულების 8%,  
ხოლო სოფლის მეურნეობაზე - 5%. დასაქმებულ-  
თა რაოდენობის შესახებ იხ. დიაგრამა №3.

**დასაქმებულთა განაწილება საქართველოს  
რეგიონების მიხედვით (2015 წ, 1000 კაცი)  
დიაგრამა №3.**



**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნუ-  
ლი სამსახური**

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს  
ინფორმაციით, კერძო უცხოური ინვესტიცია  
ძირითადად განხორციელდა ტურიზმის, მშენებ-  
ლობის, ენერჯეტიკისა და სხვა დარგებში. 2013-  
2015 წლებში აჭარაში 93 მილიონ აშშ დოლარზე  
მეტი ინგლისური ინვესტიცია განხორციელდა,

ხოლო 2014-2015 წლებში 28,2 მილიონი დოლარის  
აზერბაიჯანული ინვესტიცია. 2015 წელს აჭარაში  
ასევე განხორციელდა 19 მილიონზე მეტი დოლარ-  
ის ავსტრიული ინვესტიცია. 2016 წლის მონაცემე-  
ბით რეგიონში ყველაზე მეტი მოცულობის ინვეს-  
ტიციები მოდის ნორვეგია/ინდოეთსა (48.7%) და  
თურქეთზე (44.9%), ხოლო ტერიტორიული ერ-  
თეულების მიხედვით განხორციელებული ინვეს-  
ტიციების მოცულობის გათვალისწინებით ლიდ-  
ერობს თვითმმართველი ქალაქი ბათუმი (53.3%),  
ხულოს მუნიციპალიტეტი (17.4%) და შუახევის  
მუნიციპალიტეტი (17.2%) (იხ. დიაგრამა №4).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერ-  
იტორიაზე 2017 წლის განმავლობაში მიმდინ-  
არე და დასრულებული სახელმწიფო საინვესტი-  
ციო-ინფრასტრუქტურული პროექტების პორტ-  
ფელის ღირებულებითმა მოცულობამ 2017 წლის  
31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 316.4 მლნ  
ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს  
27%-ით აღემატება.


სახელმწიფო ინვესტიციების ძირითადი ნაწილი  
მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესე-  
ბაზე (48%), ხოლო შემდეგ პოზიციაზეა საგან-  
მანათლებლო, კულტურული და სპორტული დანე-  
სებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია (13%).  
სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურუ-  
ლი პროექტების ჯამური ღირებულების 84%  
მოდის საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონის  
(სახელმწიფო, რესპუბლიკური, ადგილობრივი)  
ბიუჯეტებიდან გამოყოფილ ასიგნებებზე, ხოლო  
16% - საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებსა  
(აზიის განვითარების ბანკი - ADB, მსოფლიო ბან-  
კი WB, ევრობანკი - EBRD) და სხვა ფინანსური მხ-  
არდაჭერის მექანიზმებზე.

ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობით აჭარა ქვეყნის  
ეკონომიკის „ოაზისად“ უნდა მივიჩნიოთ, რაშიც  
დიდა უცხოური ინვესტიციების წილი. ინვეს-  
ტიციების მსხვილ მასშტაბებზე მეტყველებს თანა-  
მედროვე სასტუმრო კომპლექსისა და გასართობი  
ინფრასტრუქტურის ინტენსიური მშენებლობები  
მთელი რეგიონის ფარგლებში. აღნიშვნის ღირსია  
აგრეთვე მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციები მშენ-  
ებლობის სექტორში. დღეს აჭარაში ნამდვილი სამ-  
შენებლო ბუმი, ერთდროულად შენდება უამრავი  
მსხვილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი  
კომპლექსი. ბათუმში ბევრი მსოფლიო სტანდარ-  
ტის სასტუმრო აშენდა, გაკეთდა ახალი ბულვარი,  
მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი არ არის.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო  
აჭარაში საინვესტიციო პროცესის გაძლიერების

ინვესტიციები რეგიონულ და დარგობრივ ქრილში 2016 წელი


დიაგრამა №4.



წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ინვესტიციების განაწილება პრიორიტეტების მიხედვით 2017 წელი

დიაგრამა №5.



წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

მიზნით ახალ პროგრამებს განახორციელებს. უწყების ინფორმაციით, რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა 2018-2021 წლებში 2 165 600 ლარით და-ფინანსდება. ახალ ბუღვარში მიმდინარე საინვესტიციო პროექტებით დაახლოებით 520 მილიონი ლარის ინვესტიცია ხორციელდება. შედეგად ქალაქში გაჩნდება: 1 700 სასტუმრო ნომერი დაახლოებით 2600 ახალი სამუშაო ადგილი, გმირთა ხეივანის ტერიტორიაზე ამ ეტაპზე 12 საინვესტიციო პროექტი ხორციელდება, რაც ჯამში დაახლოებით 755 მილიონი ლარის ინვესტიციაა. ხეივან-

ში მიმდინარე პროექტებით ქალაქს დაახლოებით 5325 განთავსების ადგილი დაემატება. „ბათუმის ესტაკადის“ მშენებლობისთვის 2018 წლის ბიუჯეტში - 10 000 000 ლარია გათვალისწინებული (პროექტის ჯამური ღირებულება 15 მლნ ლარია), მიმდინარეობს აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირების პროექტი. მშენებლობა 2018 წელს დასრულდება. პროექტი ითვალისწინებს: პირველ ეტაპზე: ხელვაჩაურის, ქედის და ხიჭაურამდე არსებული დასახლებების გაზიფიცირება; მეორე ეტაპზე: ხიჭაური-გოდერძის გაზიფიცირება. პრო-

ექსპერტის 2018 წლის ბიუჯეტიდან - 15 602 540 ლარია გამოყოფილი.

აჭარის სადაბო და სასოფლო ტერიტორიებზე წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის პროექტის მიზანია მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესება, რეგიონის საინვესტიციო და ტურისტული მიზიდველობის ამაღლება, გარემოსდაცვასა და წყლის რესურსების შენარჩუნება, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების კვლევის (Feasibility Study) მომზადება. კვლევის (Feasibility Study) ბიუჯეტი - 550 ათასი ევროა, რომელიც KfW-ს გრანტით დაფინანსდება. პროგრამის საინვესტიციო ბიუჯეტი 20 მილიონ ევროს შეადგენს, რომელიც KfW-ს სესხით დაფინანსდება.

აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის მიმართულებაა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა; ბათუმის და ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული არასტანდარტული და ექსპლოატაციისათვის არასათანადო ნაგავსაყრელების (სულ 3) კონსერვაცია; რეგიონის ეკოლოგიური, სოციალური და ტურისტული გარემოს გაუმჯობესება. ამ დროისათვის EBRD-ის ექსპერტების მიერ ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის სატენდერო დოკუმენტაცია მომზადდა; 2017 წლის ივლისში, „შპს ჰიგიენა-2009“-მ ტენდერი გამოაცხადა, რომელიც EBRD-ის წესების შესაბამისად, 2 ეტაპად ჩატარდა. პროექტის ჯამური ღირებულება 7 მლნ ევროა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ყინულის სახლისა და ახალი საცურაო აუზის მშენებლობა, რომლის ბიუჯეტი 20 მლნ დოლარია, აქტიურ ფაზაშია სპორტული კომპლექსისა და ბათუმის საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა, დამამთავრებელ ეტაპზეა მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობა, ამ ეტაპზე შიდა საკომუნიკაციო ქსელების, შიდა ტიხრების, გარე კარ-ფანჯრების და სახურავის მოწყობის სამუშაოები ხორციელდება. აქვე განთავსდება საუნივერსიტეტო კლინიკაც. საინვესტიციო პროექტები მიმდინარეობს მთიან აჭარაშიც, კურორტ „გოდერძი“-ზე ამ ეტაპზე 15 საინვესტიციო პროექტი ხორციელდება, რისთვისაც 125 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება, 1000 ადამიანის დასაქმებაა გამიზნული, შეიქმნება 1300 განთავსების ადგილი, უახლოეს 3 წელში დაგეგმილია 200 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია დამატებით 1300 სასტუმრო ნომრის შესაქმნელად.

ჩვენი რეგიონის მომავლის განსაკუთრებულ პროექტად უნდა შევაფასოთ გონიოს საკურორტო

ზონის განვითარება - „ქალაქი-ქალაქში,“ სადაც განთავსდება ახალი ზღვისპირა ცენტრი ბათუმის შემდეგ - 315 ჰექტარის ფართობზე, უკვე შეიქმნა გონიოს განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი (საერთაშორისო ორგანიზაციები „Colliers International“ და „HOK“), რას საბოლოოდ აჭარის ეკონომიკური განვითარების ახალი შესაძლებლობების, ახალი სამუშაო ადგილებისა და ახალი ტურისტული ლოკაციის საწინდარი ხდება.

ამრიგად, საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება, საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად გადადგმულ ნაბიჯებთან ერთად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ინვესტიციების მოზიდვისა და განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა უნდა გახდეს და აქედან გამომდინარე, რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილად იქცევა.

გრძელვადიან პერიოდში რეგიონული განვითარების ასიმეტრიულობის დაძლევისათვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია რეგიონებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ზრდის არსებული კაპიტალის მარაგს, რაც უფრო მაღალ მწარმოებლურობას და დასაქმების მაღალ დონეს უზრუნველყოფს. მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ ნაწილდება ქვეყნის რეგიონებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რომელი რეგიონებია ყველაზე მიმზიდველი ინვესტორებისათვის. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია შესაბამისი რეგიონული პოლიტიკის შემუშავება - იმ რეგიონებში შედარებით ინტენსიური ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება და ბიზნეს გარემოს განვითარების ხელშეწყობა, სადაც პროპორციულად (გეოგრაფიული ზომისა და ხელმისაწვდომი ბუნებრივი და ინსტიტუციური ფაქტორების შენონვით) ნაკლები პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხორციელდება.

რეგიონული ინვესტიციები წარმოადგენს ცალკეული სამეურნეო, მმართველობითი სუბიექტების და მოსახლეობის საერთო ხარჯებს, კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდების ფორმას რეგიონის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. რეგიონული ინვესტიციების მიზანია ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა, ხოლო შედეგს წარმოადგენს - წარმოების რეგიონული სტრუქტურის სრულყოფა, რეგიონის ეკონომიკის ცალკეული სექტორების განვითარებაში წარმოქმნილი დისპროპორციების დაძლევა, სამეურნეო დამოუკიდებლობის დონის ამაღლება,



მდგრადი საფინანსო ბაზის ფორმირება, სოციალური ამოცანების გადაჭრა.

რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა სისტემას, რომლებიც ტარდება რეგიონის ან სხვა ტერიტორიული ერთეულის დონეზე და ხელს უწყობენ ინვესტიციური რესურსების მობილიზაციას, მათი ეფექტური და რაციონალური გამოყენების მიმართულებების დადგენას რეგიონის მოსახლეობისა და ინვესტორების ინტერესებიდან გამომდინარე.

კაპიტალური ხარჯების და საინვესტიციო ბიუჯეტის მოცულობების, აგრეთვე მათ შორის თანაფარდობის განსაზღვრის დროს უნდა გავითვალისწინოთ რეგიონის განვითარების პრიორიტეტებში რეალურად არსებული დიფერენციაცია. ზოგიერთ რეგიონში ბიუჯეტის მდგრადობის ამაღლება შეუძლებელია ტერიტორიაზე სოციალური დატვირთვის შემცირების გარეშე. შესაბამისად, ასეთ რეგიონებში საინვესტიციო ბიუჯეტის მითითებულ ნაწილებს შორის თანაფარდობა გადაიხრება საინვესტიციო ბიუჯეტის მოცულობის ზრდისაკენ. ანუ, იმ ხარჯებისაკენ, რომელთა მიზანი იქნება სამეურნეო-სოციალური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება.

დღეისათვის თბილისში საქართველოს ეკონომიკური აქტივობის ორ მესამედზე მეტია თავმოყრილი, ამიტომაცაა რომ ქვეყნის საწარმოთა ფინანსური ბრუნვის 72.6% სწორედ თბილისზე მოდის. დედაქალაქი დასაქმებულთა რაოდენობითაც ლიდერობს, აქ კერძო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობის 64% მუშაობს. რეგიონებიდან საწარმოთა ბრუნვის მიხედვით მეორე ადგილზე აჭარაა, რაც აჭარაში არსებული საერთაშორისო კომპანიების, პორტისა და სასტუმროების ბრუნვას უკავშირდება. საქართველოს რეგიონებში საინვესტიციო საქმიანობის სფეროში განვითარებული ტენდენციების ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ცალკეული რეგიონის რეიტინგი და მოვახდინოთ მათი რანგირება საინვესტიციო აქტიურობის ხარისხის დონის მიხედვით. შესაბამისი შედეგის მომტანი უნდა იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საშუალოვადიანი პრიორიტეტები - საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის კიდევ განვითარება, ტურიზმის ხელშეწყობა, რეგიონის სივრცითი, ქალაქმშენებლობითი და დაგეგმარების პროგრამების შედგენა, ქონების ეფექტიანად და გამჭირვალედ მართვა და სხვა.

უცხოელი და ქართველი ინვესტორებისა თუ სახელმწიფო სექტორის მიერ განხორციელებული

ინვესტიციები ხელს უწყობს რეგიონის ეკონომიკურ ზრდას, ინოვაციებს და წარმოების განვითარებას, ასევე იმ უნარების ჩამოყალიბებას, რომლებიც აუცილებელია მდგრადი ეკონომიკისა და საზოგადოებისთვის. საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების სფეროში რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა ახალი შესაძლებლობების გამოყენებას უწყობს ხელს და ეს კონფერენცია სწორედ ამ მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება.

აღსანიშნავია, რომ რეგიონში არსებული ეკონომიკის საერთო დონიდან გამომდინარე, საინვესტიციო პროცესების მთავარი ინიციატორი კვლავ სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა იყოს. რეგიონის ეკონომიკაში ცალკეული პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა და ბიუჯეტიდან ამ სექტორების აღორძინებისათვის გადადგმული ნაბიჯები იქნება ის უმთავრესი სტიმული, რომელიც შექმნის რეგიონში სტაბილური განვითარების დანყების პრეცედენტს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარებას, მიუხედავად მნიშვნელოვანი ბუნებრივ-გეოგრაფიული თუ კულტურულ-ისტორიული უპირატესობებისა, უკვე განხორციელებული საკმაოდ მაშტაბური პროექტებისა, განსაკუთრებულად უშლის ხელს მოძველებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. რეგიონული საგადასახადო დონის შემცირებისა და ბიუჯეტის საკუთარი წყაროებიდან არასაკმარისი შევსების პირობებში (იგულისხმება დამოკიდებულება ტრასფერტებზე) შეიძლება დროში გაიწელოს ამორტიზებული გზების მოდერნიზაცია, რაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს ტურიზმის განვითარებაზე რეგიონში, ინვესტორს ხელი შეეშლება ნედლეულისა თუ მზა პროდუქციის ტრანსპორტირებაში და ა.შ.

თუ საგადასახადო შემოსავლები დაიხარჯება ისეთი ამოცანების შესრულებაზე, რომლებიც შემდგომში შეამცირებენ ინვესტორის ხარჯებს და ხელს შეუწყობენ მისი ეფექტურ მოღვაწეობას შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით, მაშინ ასეთი ხარჯები ეფექტურად დააკომპენსირებენ გადასახადების უარყოფით გავლენას. მაგალითად, საგანმანათლებლო სფეროს მიზნობრივმა ფინანსირებამ, მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალისა და ახალი ტექნოლოგიების შესწავლის მიზნით სახელმწიფო ხარჯების განევა შეამცირებს ინვესტორის საწარმოო ხარჯებს და გაზრდის მის მოგებას.

უნდა ვივარაუდოთ, რომ საინვესტიციო პროცესების დაჩქარება მოხდება იმ ტენდენციების ზემოქმედების გამოც, რომლებიც თან მოჰყვება ამ რეგიონებში ფინანსური, მატერიალური და შრომი-



თი რესურსების კონცენტრაციას საბაზრო ინსტიტუტების (საბაზრო ინფრასტრუქტურის), ახალი მენარმეობრივი სტრუქტურების (მათ შორის უცხოური და ერთობლი), ინოვაციური გადაწყვეტილებების დანერგვას.

ინვესტორების დაინტერესების სტიმულირების მიზნით კონკრეტული პროექტების შესაძლებლობების გამოკვლევებს უნდა გააჩნდეს გარკვეული საბაზო ინფორმაცია, თანაც არ არის საკმარისი უბრალოდ საქონლის ჩამონათვალი, რომლის წარმოებისათვის არსებობს შიდა პოტენციალი. ასეთი ანალიზი დაფუძნებული უნდა იყოს საერთო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე (მაგალითად, იმპორტი წინა პერიოდში, მომხმარებელთა მოთხოვნის ზრდა) ან რეგიონის, საწარმოო სექტორის, რესურსების საერთო შესაძლებლობების გამოკვლევის მასალებზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციის განხორციელების ამოსავალ

წერტილად. ამ მხრივ მისასაღებელია ახალი საინვესტიციო პორტალისა და საპრივატიზაციო ობიექტების ელექტრონული სისტემის შექმნა, ხშირი ბიზნეს ფორუმების ორგანიზება, ეკონომიკური ობსერვატორიის მოწყობა და სხვა, რაც სამომავლოდ რეგიონის საინვესტიციო შესაძლებლობების უკეთ ათვისებისა და მიზნობრივი საინვესტიციო პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი იქნება. ყოველივე ამან ხელი უნდა შეუწყოს დაბალანსებული რეგიონული მეურნეობების ჩამოყალიბებას, ოპტიმალური ტერიტორიულ, ეკონომიკური და დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებას, მოთხოვნაზე ორიენტირებულ, დანახარჯთა სარგებლიანობის პრიორიტეტების გათვალისწინებით ინფრასტრუქტურის ფორმირებას და რეგიონის ბუნებრივ, მატერიალურ და შრომითი რესურსების სრულ და ეფექტიან გამოყენებას.

**ლიტერატურა/REFERENCES**

[1] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ინვესტიციები, <http://adjara.gov.ge/branches/listpage.aspx?pid=1460&gid=5&ppid=163>;

[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები) - [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo)

[3] საქართველოს რეგიონული განვითარების ინსტიტუტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება საქართველოში, 2017წ. <http://rdi.ge/index.php/ge/12-feature/14-2017-03-27-13-41-31>;

[4] საინვესტიციო პორტალი -პროექტები, <https://investinbatumi.ge/>;

[5] ქოქიაური ლ., „უცხოური ინვესტიციები“; თბ., 2017წ.

[6] ლავთაძე გ., ჩიხლაძე ნ., „იმერეთის მხარის ეკონომიკური განვითარების პირობები და პერსპექტივები“, ქუთაისი, 2009წ.

[7] ცინარიძე რ. რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის აქტუალური საკითხები. თბ., 2013წ.

[8] ცინარიძე რ. „რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე“, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, სექტემბერი, თბ. 2011წ.

[9] ცინარიძე რ., ვ. ლლონტი., „საინვესტიციო მიმზიდველობა აჭარის რეგიონში: შედეგები და პერსპექტივები“, ქუთაისი, 2017წ;

[10] ცინარიძე რ., ვ. ლლონტი., „საინვესტიციო ბიუჯეტი „ რეგიონის მდგრადი განვითარების მთავარი ინდიკატორი,“ შრსუ, შრომები (სოციალურ, ეკონომიკურ და იურიდიულ მეცნიერებათა სერია) III, თბ., 2011წ.

საპენსიო რეფორმა საქართველოში

PENSION REFORM IN GEORGIA

ასია ცინცაძე,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი

რუსუდან ზოიძე,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი

ASIE TSINTSADZE,

Shota Rustaveli State University Faculty of Economics and Business Professor

RUSUDAN ZOIDZE

Shota Rustaveli State University Faculty of Economics and Business Student

აბსტრაქტი

კაცობრიობის განვითარების კვლადაკვალ იხვეწებოდა საპენსიო სისტემები, რომლის ძირითადი მიზანი შრომისუნარიან პერიოდში ერთსულ მოსახლეზე მოსული საშუალო შემოსავლის ისეთი ჩანაცვლება იყო, რომელიც ცხოვრების პირობებს არ გააუარესებდა. სწორედ აქედან გამომდინარე, პენსიით ჩანაცვლების კოეფიციენტი გახდა საზომი ამათუიმ ქვეყნის საპენსიო სისტემის შეფასებისათვის. დამოუკიდებლობის დღიდან სახელმწიფო საბაზო პენსია შეიცვალა სხვადასხვა პერიოდში, თუმცა ცვლილება დაკავშირებული იყო არა იმდენად საარსებო მინიმუმთან მიახლოებასთან, რამდენადაც ხელისუფლების ცვლილებისას მორიგ დაპირებებთან. საქართველოში 90-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა დემოგრაფიული სტაბილურობა დაარღვია, დღეისათვის ამის შედეგად მივიღეთ შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება და დაბერების ინდექსის გაზრდა, რომელიც სავარაუდოდ მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დიდ ინტერესს იწვევს მრავალი სამეცნიერო სტატია, ექსპერტული შეფასებები, სტატისტიკური კვლევები არის შესრულებული დასაწერვი საპენსიო სისტემის შესახებ, თუმცა არსებობს კითხვები, რომლებზედაც პასუხის გაცემა მხოლოდ ვარაუდის დონეზე არის შესაძლებელი. საკითხის მაღალი აქტუალობიდან გამომდინარე თემის დამუშავების მიზანი სწორედ ახალი საპენსიო მოდელის შესწავლა, მისი ყველა ნახნავის განხილვა და როგორც სისტემის მომავალი მონაწილის მხრიდან შეფასებაა.

**საკვანძო სიტყვები:** პენსია; ჩანაცვლების კოეფიციენტი; საარსებო მინიმუმი; დაგროვებითი საპენსიო მოდელი.

ABSTRACT

*In the footsteps of human development, pension systems were developed, with the primary purpose of which was the replacement of the average income that came to the population during the working period, which would not worsen the living conditions. Therefore, the pension replacement coefficient has been measured to assess the pension system of each country. Since the day of Independence, the state base pension has been changed in different periods, but the change was not related to the so-called minimum wage, as far as the change in government changes. The economic crisis of the 90s has violated demographic stability in Georgia, as a result of this we have got a decline in the workforce and increase the ageing index, which is likely to grow in the future. Consequently, the economic interest of the population is of great importance. Many scientific articles, expert assessments, statistical studies are implemented on the pension system, although there are questions that can only be answered on assumption level. The primary purpose of the topic is to study the new pension model, review all of its payments and assess the system's future participants.*

**Keywords:** Pension; Replacement coefficient; Minimum wage Accumulative pension model.

შესავალი

თანამედროვე პერიოდში საპენსიო პოლიტიკის შემუშავება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კვლავ მიმდინარე დებატების ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს. არაერთი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყანა ჯერ კიდევ საპენსიო სისტემის მოდიფიცირების პროცესშია, რომლის მიზანია ადეკვატური საპენსიო შემოსავლის უზრუნველყოფა, საპენსიო ხარჯების ფისკალური მდგრადობა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების მიმართ უფრო ეფექტიანი რეაგირება. საქართველოში

ველოში 90-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა დემოგრაფიული სტაბილურობა დაარღვია, დღეისათვის ამის შედეგად მივიღეთ შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება და დაბერების ინდექსის გაზრდა, რომელიც სავარაუდოდ მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამგვარად, დამძიმდება პენსიონერთა პენსიით უზრუნველყოფის მდგომარეობა. სწორედ ამ პირობებში გაიზარდა კერძო საპენსიო სისტემის შექმნისადმი ინტერესი. დღეისათვის მთავრობის მიერ შემოთავაზებული კერძო საპენსიო სისტემის მოდელი აქტუალობასა და რისკს შორის განიხილება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დიდ ინტერესს იწვევს. მრავალი სამეცნიერო სტატია, ექსპერტული შეფასებები, სტატისტიკური კვლევები არის შესრულებული დასაწერადი საპენსიო სისტემის შესახებ, თუმცა არსებობს კითხვები, რომლებზედაც პასუხის გაცემა მხოლოდ ვარაუდის დონეზე არის შესაძლებელი.

საკითხის მაღალი აქტუალობიდან გამომდინარე თემის დამუშავების მიზანი სწორედ ახალი საპენსიო მოდელის შესწავლა, მისი ყველა ნახნაგის განხილვა და როგორც სისტემის მომავალი მონაწილის მხრიდან შეფასებაა.

ნაშრომში შესწავლილი მასალების საფუძველზე გამოთვლილი იქნა ჩანაცვლების კოეფიციენტი და საპენსიო ფონდის სავარაუდო მოცულობის გამოსათვლელად გამოყენებული იქნა ფინანსური მენეჯმენტის ფულის დროში ღირებულების გამოთვლის ანუიტეტური ის მეთოდი, რის საფუძველზეც დადგინდა სავარაუდო პენსიის და საპენსიო ფონდის მოცულობა.

არსებული მარეგულირებელი დოკუმენტის პროექტის სახით განხილვის საფუძველზე გამოვლენილი იქნა რისკი, რომელიც არ გვხდება აქამდე შესწავლილ რისკებში და შემოთავაზებულია მისი მართვის მექანიზმი.

დაგროვებით საპენსიო სისტემაზე საუბარი ვერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დაიწყო, თუმცა ამ თემასთან დაკავშირებით დღესაც ფართო განხილვები მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, თითოეულ ჩვენგანს ნათლად ჰქონდეს გაცნობიერებული თუ რას გულისხმობს დაგეგმილი რეფორმა და მოგვითანს თუ არა ის რეალურ კეთილდღეობასა და უზრუნველ სიბერეს. იმისათვის, რომ გავაანალიზოთ დაგეგმილი საპენსიო რეფორმის ეფექტიანობა, მნიშვნელოვანია მოკლედ განვიხილოთ არსებული საპენსიო სისტემა საქართველოში, თუ რამდენად არის ის შესაბამისი ქვეყნის საარსებო მინიმუმთან და მოსახლეობის ცხოვრების დონესთან.

**არსებული მდგომარეობის მიმოხილვა.**

დღეისათვის მოქმედი მოდელი გულისხმობს შრომით ბაზარზე მყოფი მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებიდან საპენსიო ხარჯების უზრუნველყოფას, რომელიც მიმართულია პენსიონერთათვის მხოლოდ მინიმალური სოციალური დახმარების აღმოჩენისაკენ და ვერ უზრუნველყოფს მათ რეალურ კეთილდღეობას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 2018 წლის მარტის თვეში 176.9 ლარით განისაზღვრება, რაც ფაქტობრივად არსებული სოციალური პენსიის 180 ლარის ტოლია. არსებული საპენსიო სისტემის კრიტიკისათვის გამოდგება ის არგუმენტიც, რომ თანაფარდობა შრომისუნარიან მოსახლეობასა და პენსიონერებს შორის დღითიდღე იცვლება. ყოველწლიურად იზრდება პენსიონერთა რაოდენობა და გაეროს პროგნოზების გათვალისწინებით ეს რიცხვი 2050 წლისათვის მოსახლეობის მეოთხედს შეადგენს. 2016-2017 წლების მდგომარეობით, პენსიონერთა წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში დაახლოებით 20%-ს შეადგენდა, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობასთან მიმართებით თუ განვიხილავთ ერთ პენსიონერზე მოდის დაახლოებით ორი დასაქმებული; თუმცა დღეს არსებული ხელფასების მოცულობა არ გვადლევს იმის თქმის საშუალებას, რომ არსებული თანაფარდობით შესაძლებელია პენსიონერთა მატერიალური უზრუნველყოფა.

2017 წლის მდგომარეობით პენსიონერთა რაოდენობა შეადგენს 732 100 ადამიანს, მათზე გასაცემი პენსია კი წლიურად 15 813 36 000 ლარია, რაც 2017 წლის მშპ-ის 4.16%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის 13.6%-ია. ეს ნიშნავს, რომ რამდენიმე ათწლეულში არსებული მოდელით პენსიონერთა უზრუნველყოფა მხოლოდ საბიუჯეტო სახსრებით ყველაზე „გულუხვ“ მთავრობასაც კი ძალიან გაუჭირდება.

**არსებული საპენსიო სქემა**

ქართულ სადაზღვევო ბაზარზე წარმოდგენილია მხოლოდ სამი სადაზღვევო კომპანიის სახით, რომლებიც სტაბილურად ვერ უზრუნველყოფენ პენსიონერთა მატერიალურ კეთილდღეობას. მოსახლეობის მხრიდან დაბალია ინტერესი არსებულ საპენსიო სქემებში განვერიანებისა და შესაბამისად ეს მოდელი დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება ქვეყანაში მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფას. 2017 წლის მდგომარეობით აღნიშნულ სქემაში განვერიანებულია 13 484 ადამიანი. საქართველო-

ში სადაზღვევო სისტემის არსებობის განმავლობაში არ მომხდარა ერთი ფაქტი მაინც, რომ სქემის მონაწილემ თანხა საპენსიო ასაკამდე დააგროვა და უზრუნველყო საკუთარი სიბერე; ამის ერთ-ერთი მიზეზი კერძო საპენსიო კომპანიებისადმი ნდობის ნაკლებობაა და ამიტომაც მონაწილეები საპენსიო ასაკამდე ნებაყოფლობით ტოვებენ საპენსიო სქემებს. შესაბამისად, იმისათვის რომ მომავალი პენსიონერები ამ რისკის წინაშე არ დადგნენ სახელმწიფო გვთავაზობს უზრუნველი მომავლის გარანტიის საშუალებას დაგროვებითი საპენსიო რეფორმის სახით, რომელიც ძალაში 2018 წლის 1 ივლისიდან შევა, რაც თავის მხრივ, ახალი თაობის პენსიონერების პენსიაზე დაახლოებით 20 წლის შემდეგ აისახება.

**საპენსიო რეფორმის აღწერა.**

საქართველოში დაგეგმილი საპენსიო რეფორმა წარმოდგენილია შერეული მოდელის სახით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც დასაქმებულის, ასევე დამსაქმებლისა და სახელმწიფოს თანაბარ თანამონაწილებას. აღნიშნულ რეფორმას აქვს, როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათი; სისტემა სავალდებულოა 40 წლამდე დასაქმებულთათვის, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში, ხოლო 40 წელს გადაცილებულ დასაქმებულებსა და თვითდასაქმებულებს უფლება აქვთ ნებაყოფლობით განახორციელონ საპენსიო შენატანები. ახალი მოდელი გულისხმობს სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში კვლავ 20%-ის გადახდას (საშემოსავლო გადასახადის სახით), საიდანაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს ვალდებულებას დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2% მიმართოს დაგროვებითი ანგარიშისაკენ. ამის პარალელურად დასაქმებული თავისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ს რიცხავს საპენსიო ფონდში, დამსაქმებელი კი, თავის მხრივ, კიდევ 2%-ს. შესაბამისად ვიღებთ მოდელს, სადაც ხელფასის 6%-ის ტოლფასი თანხა მიემართება დასაქმებულის დაგროვებითი ანგარიშისაკენ, რომელსაც კერძო საფინანსო ინსტიტუტები მართავენ.

თვითდასაქმებულის შემთხვევაში, კი შენატანები განხორციელდება შემდეგი პროპორციით: თვითდასაქმებული თავისი დაუბეგრავი შემოსავლის 4%-ს, ხოლო სახელმწიფო 2%-ს. ზემოთ აღნიშნული თანამონაწილეობა, სახელმწიფოსა და დამსაქმებლის მონაწილეობა შეიძლება შემცირდეს დამსაქმებლის წლიური შემოსავლის მიხედვით; კერძოდ:

ა) დამსაქმებელი და სახელმწიფო დასაქმებულის სახელით არ განახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულის სასარგებლოდ წლიურად დასაბეგრი ხელფასის სახით გაცემულ იმ ოდენობაზე, რომელიც აღემატება სამოცი ათას (60 000) ლარს;

ბ) სახელმწიფო მონაწილის საპენსიო ანგარიშზე გადარიცხავს დასაქმებულის ან/და თვითდასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 1%-ს თუ ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის სახით მიღებული წლიური თანხა ოცდაოთხი ათასი (24 000) ლარიდან სამოცი ათას (60 000) ლარამდე;

ერთი შეხედვით ჩანს, რომ აღნიშნული მოდელი ბევრად უფრო სამართლიანია, რადგან ის ითვალისწინებს ინდივიდუალურ ფაქტორებს - წვლილს, რომელიც ადამიანმა შეიტანა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. რაც მთავარია ამ შემთხვევაში ადამიანის უზრუნველი სიბერე ნაკლებად არის დამოკიდებული მთავრობის ხედვასა და შეფასებაზე პენსიის ოდენობასთან დაკავშირებით. თუმცა სისტემის გარეთ რჩება ადამიანი, რომელიც ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ვერ მოხვდა შრომით ბაზარზე და შესაბამისად მას არც პენსიის დაგროვების საშუალება მისცემია. ამიტომ იარსებებს ორი ტიპის პენსია: სოციალური და დაგროვებითი. დამსაქმებლებისთვის დასაქმებულის ხელფასი 2%-ის მოცულობის შენატანი, დამატებით ხარჯს წარმოადგენს მათი ბიზნესისთვის, რაც ახალი გადასახადების დაწესებასთან საკმაოდ ახლოსაა. სქემაში ჩართვის შემდეგ კომპანიებს სამი არჩევანი აქვთ:

1. დასაქმებულის საპენსიო ფონდში ჩარიცხონ დასაქმებულის ხელფასის 2% ისე, რომ დასაქმებულის ხელფასის მოცულობა არ შემცირდეს. ამ შემთხვევაში, დამსაქმებლის ხარჯები იზრდება.
2. დამსაქმებლებს შეუძლიათ, საპენსიო ფონდში ჩასარიცხი 2% მოაკლონ დასაქმებულის ხელფასს და ისე მიმართონ საპენსიო ფონდში. ამ შემთხვევაში დამსაქმებლის ხარჯები უცვლელია, მაგრამ დასაქმებულის ხელფასი 2%-ით მცირდება;
3. ნებისმიერი სახის თანაფარდობა ხელფასის 2%-ით შემცირებასა და დასაქმებულის შენატანის ხარჯების 2%-ით ზრდას შორის; დამსაქმებლებს დასაქმებულთა ნაწილისაგან (40 წელს გადაცილებული) განსხვავებით, არჩევანის უფლება არ აქვთ, თუ მათი დასაქმებული



ფონდში განვერიანდება მათაც სავალდებულო წესით უნდა განახორციელონ კონტრიბუციები. ამ შემთხვევაში რეფორმა მისაღები იქნება მხოლოდ მსხვილი ბიზნესისათვის, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესები დაზარალდებიან.

**საპენსიო სქემის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ამ მიზნისთვის კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სსიპ - საპენსიო სააგენტო, რომელიც ახორციელებს დაგროვებითი საპენსიო სქემის მართვასა და ადმინისტრირებას. საპენსიო სააგენტო მაქსიმალურად უზრუნველყოფს მონაწილეთა საპენსიო აქტივების უსაფრთხოებას და მათზე გრძელვადიანი საინვესტიციო მოგების მაქსიმიზაციას. სააგენტო ორგანიზებულია იმგვარად, რომ გამიჯნულია მის მიერ განხორციელებული საინვესტიციო პოლიტიკა და შენატანების, საპენსიო გაცემების და სხვა ადმინისტრაციული საკითხები. სააგენტოს ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საპენსიო სააგენტოს საბჭოს თავმჯდომარისაგან; თუმცა სამეთვალყურეო საბჭოს არავითარი კავშირი არ აქვს საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებასთან და განხორციელებასთან; ეს უკანასკნელი საინვესტიციო საბჭოს პრეროგატივაა, იგი განსაზღვრავს საპენსიო აქტივების საინვესტიციო პოლიტიკას.**

**საპენსიო აქტივების ინვესტირება ხორციელდება** სამი განსხვავებული რისკიანობისა და მოსალოდნელი შემოსავლიანობის მქონე საინვესტიციო პორტფელში. საპენსიო სქემის თითოეული მონაწილე განვერიანების დროს თავად ირჩევს, თუ რომელი პორტფელი შეეფერება ყველაზე მეტად მის რისკისადმი ტოლერანტულობას. თუკი საპენსიო სქემის მონაწილე არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას, საპენსიო აქტივების ინვესტირება მოხდება შემდეგი პრინციპით:

- ა) განვერიანების მომენტისათვის 40 წლამდე მონაწილის აქტივები - მაღალ რისკიანი პორტფელი;
- ბ) განვერიანების მომენტისათვის 40-დან 50 წლამდე მონაწილის აქტივები - საშუალო რისკიანი პორტფელი;
- გ) განვერიანების მომენტისათვის 50 და მეტი ასაკის მონაწილის აქტივები - ნაკლებად რისკიანი პორტფელი;

მითითებული საინვესტიციო პორტფელის ტიპები და დასაშვები ინვესტიციების ლიმიტები აქ-

ტივების ფართო კლასების ჭრილში განისაზღვრება შემდეგნაირად:

**ა) ნაკლებად რისკიანი პორტფელი:**

- ა.ა) ფულადი სახსრები და დეპოზიტები - 75%-მდე;
- ა.ბ) სავალო ფასიანი ქაღალდები - 100%-მდე;
- ა.გ) სანარმოთა აქციები - 20%-მდე;
- ბ) საშუალო რისკიანი პორტფელი:

**ბ.ა) ფულადი სახსრები და დეპოზიტები - 50%-მდე;**

- ბ.ბ) სავალო ფასიანი ქაღალდები - 75%-მდე;
- ბ.გ) სანარმოთა აქციები - 20%-დან 40%-მდე;
- ბ.დ) სხვა აქტივების ტიპები - 10%-მდე;

**გ) მაღალრისკიანი პორტფელი;**

- გ.ა) ფულადი სახსრები და დეპოზიტები - 25%-მდე,
- გ.ბ) სავალო ფასიანი ქაღალდები - 50%-მდე,
- გ.გ) სანარმოთა აქციები - 40%-დან 60%-მდე;
- გ.დ) სხვა აქტივების ტიპები - 10%-მდე.

საერთაშორისო კლასის აქტივებში განთავსების მაქსიმალური ზღვრები საინვესტიციო პორტფელების ჭრილში განისაზღვრება შემდეგი მოცულობით:

- ა) ნაკლებად რისკიანი - 20%;
- ბ) საშუალო რისკიანი - 40%;
- გ) მაღალ რისკიანი - 60%;

მექანიზმის პოზიტიური მხარეა ის, რომ საპენსიო სქემის თითოეულ მონაწილეს შეუძლია თვალი ადევნოს თავის პორტფოლიოს. ეს ამ პროცესში მონაწილეობის დამატებით მოტივაციას ქმნის.

**პერსონალის პენსიის საპრობლემო მოცულობის გამოთვლა**

საპენსიო სქემის თითოეული მონაწილეს თავის საპენსიო ანგარიშზე არსებული თანხის გატანა და გამოყენება მხოლოდ საპენსიო ასაკში გასვლის შემდეგ შეეძლება, რაც ქალებისთვის განსაზღვრულია 60, ხოლო მამაკაცებისთვის 65 წელი. დაგროვილი თანხა გადანაწილდება თითოეული სქესისათვის დარჩენილ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე და გაიანგარიშება ყოველთვიურად გასაცემი თანხა, პლუს არსებული სოციალური პენსია. მაგალითად: ქალების შემთხვევაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაა 77 წელი, ეს იმას ნიშნავს, რომ საპენსიო ფონდში დაგროვილი თანხა გაიყოფა 17-ზე (77-60) და მიიღება წლიურად პენსიონერზე გასაცემი თანხა, რომელიც შემდგომ გადანაწილდება თითოეულ თვეზე და არსებულ სოციალურ პენსიასთან ერთად გაიცემა. თუმცა აქვე უნდა განვსაზღვროთ წლიური საპროცენტო სარგებელი, რომელიც რეფორმის ავტორების

მიერ 5%-ით განისაზღვრა და წლიური ინფლაცია, რომელიც განსაზღვრულია 3%-ით; შესაბამისად შეგვიძლია მარტივი მათემატიკური გათვლებით დავადგინოთ საპენსიო ანგარიშზე დაგროვილი თანხა:

მაგალიათად: მონაწილის ასაკი - 40 წელი;  
საშუალო ხელფასი - 1000 ლარი;  
საპენსიო ანგარიშზე თვიურად ჩასარიცხი თანხა - 60 ლარი;

წლიური საპროცენტო განაკვეთი - 5%;  
დაგროვების დრო - 20 წელი;  
საპენსიო ასაკი - 60 წელი (ქალებისთვის);  
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 77 წელი;  
აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია განვსაზღვროთ ფულის მომავალი ღირებულება:  $FVYFA_{i,n} = R * PVYFA_{i,n}$  სადაც R საპენსიო ანგარიშზე შენატანების ჯამია, ხოლო  $PVYFA_{i,n}$  საპენსიო შენატანების დისკონტირებული ღირებულება, შესაბამისად ვღებულობთ:

$$FVYFA_{i,n} = 720 * 20 * 12,462 = 179\ 453$$

მიღებული მაჩვენებელი გადანაწილება დარჩენილი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე და გაიცემა ყოველთვიურად. მოცემულ შემთხვევაში:  $179\ 453 : 17 : 12 = 880$  ლარი

ე.ი. ყოველთვიურად საპენსიო სქემის მონაწილე 880 ლარს მიიღებს არსებულ სოციალურ პენსიასთან ერთად; ამ შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში, ჩანაცვლების კოეფიციენტი (პენსია/საშუალო ხელფასთან) იქნება 88%, რაც საგრძნობლად მაღალია არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტზე (18%).

რა თქმა უნდა ეს მაჩვენებელი მიახლოებითია, რადგან 20 წლის განმავლობაში ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ცვალებადია და რთულია წინასწარი პროგნოზების გაკეთება.

საინტერესოა დაახლოებით რა თანხას მოუყრის თავს საპენსიო სააგენტო და რამდენი იქნება მასზე დარიცხული სარგებელი საპენსიო ასაკში გასვლის შემდეგ.

მაგალიათად 2016 წელს დაქირავებით მომუშავეთა წილი მთლიან დასაქმებულებში 41.4% იყო ანუ დაახლოებით 747 640 ადამიანი. ამ დროისათვის საშუალო ხელფასი 940 ლარია. ე.ი ყოველწლიურად დასაქმებულთა მიერ განხორციელებული შენატანების ჯამი ტოლია:  $940 * 6\% * 12 * 747\ 640 = 506\ 002\ 752$  მიღებულ თანხაზე დარიცხული სარგებელი ვთქვათ, 20 წლის განმავლობაში გამოითვლება შემდეგნაირად:

$$FVYFA_{i,n} = 506\ 002\ 752 * 20 * 12,462 = 13\ 958\ 125\ 909$$

ე.ი. 20 წლის განმავლობაში დაახლოებით 13 958 125 909 ლარს შეადგენს საპენსიო ფონდი, რომელიც ეტაპობრივად გადანაწილდება სისტემაში მონაწილე პენსიონერებზე.

რა თქმა უნდა ეს მაჩვენებელი მიახლოებითია, რადგან 20 წლის განმავლობაში ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ცვალებადია და რთულია წინასწარი პროგნოზების გაკეთება.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის კონცეფცია ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც დაგროვილი თანხის გამოყენება შესაძლებელი იქნება საპენსიო ასაკის მიღწევამდე. ასეთ შემთხვევას წარმოადგენს პირისათვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### რისკ ფაქტორები

#### დაბროვებით საპენსიო სისტემაში

ასეთ შემთხვევებს ასევე განეკუთვნება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ოჯახის წევრის გარდაცვალება და შვილის განათლების დაფინანსება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მონაწილე გარდაიცვალა საპენსიო ასაკის მიღწევამდე ან პენსიის გადახდის პროგრამის შედგენამდე, მონაწილის ანგარიშზე არსებული თანხები გადაეცემა მის მემკვიდრეს/მემკვიდრეებს.

ეს სისტემის ერთ-ერთ რისკ-ფაქტორადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან არაერთ მოქალაქეს შესაძლებელია გაუჩნდეს სურვილი, არამიზნობრივად გამოიყენოს ეს მექანიზმი, არაკანონიერი გარიგებებისა თუ დოკუმენტაციის გაყალბების საშუალებით. იმისათვის, რომ სისტემამ წარმატებით იფუნქციონიროს, მის მოქმედებამდე ამ და სხვა რისკ-ფაქტორების სიღრმისეული გაანალიზება და პრევენციაა საჭირო.

მთავრობის წარმომადგენლების თქმით, რეფორმის მნიშვნელოვანი სარგებელი იქნება, რომ ის ხელს შეუწყობს დანაზოგების მოცულობის ზრდას ქვეყანაში და შექმნის დამატებით წყაროს ინვესტირებისათვის, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითად აისახება. თუმცა, მოსახლეობის მხრიდან, ეს ფაქტორი შესაძლებელია ერთგვარ რისკადაც განიხილებოდეს, ვინაიდან ბუნდოვანია, თუ რა მექანიზმებით და ვინ უნდა მართოს ეს თანხები.

კანონპროექტის მიხედვით, რეფორმის ამოქმედებიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება მხოლოდ ნაკლებად რისკიან საინვესტიციო

პორტფელში, მაგალითად მთავრობის მიერ გამოშვებულ ფასიან ქალაქებში, ანუ მთავრობის შიდა ვალში. შიდა ვალი ეს არის ის თანხა, რასაც მთავრობა საქართველოს ეკონომიკიდან სესხულობს 1, 2, 5 და 10 წლიანი ფასიანი ქალაქების გამოშვებით. თუ მთავრობამ საპენსიო ფონდში აკუმულირებული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი შიდა ვალად აიღო, მომავალში ამ ვალის გასტუმრებისათვის მან შესაძლოა გადასახადები გაზარდოს, რაშიც კონსტიტუციაც ვერ შეუშლის ხელს, რადგან კონსტიტუციის 94-ე მუხლი, რომელიც რეფერენდუმის გარეშე ახალი სახის გადასახადის შემოღებას ან არსებულის განაკვეთის გაზრდას კრძალავს, საკონსტიტუციო ცვლილებებით ამოღებული იქნა. ფონდის მოქმედების სქემა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

- 2018 წელს 1 ლარის სახის საპენსიო შენატანი შეგროვდა;
- 2018 წელს 1 ლარი ასევე ფონდმა მთავრობას;
- 2018 წელს მთავრობამ ხარჯვა გაზარდა ამ 1 ლარით;
- 2038 წელს მთავრობა ზრდის გადასახადებს 1 ლარით პლუს ერთ ლარზედარიცხული საპროცენტო განაკვეთით, რათა ფონდს ვალი დაუბრუნოს;
- 2038 წელს 1 ლარს პლუს საპროცენტო განაკვეთი დაუბრუნდა საპენსიო ფონდ და აღნიშნული თანხა პენსიის სახით გაიცა;

**რეფორმას ახლავს ასევე სხვა რისკ-ფაქტორებიც.** მაგალითად: ეროვნული ვალუტის სტაბილურობის საკითხი მომავალში, ინფლაციის ზრდის ტემპი, საინვესტიციო საბჭოსადმი ნდობის ხარისხის ნაკლებობა; მოსახლეობას ახსოვს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ფინანსური კრიზისი და ჰიპერინფლაცია, რომელმაც საქართველოს ეკონომიკა უფსკრულის პირას მიიყვანა. შესაბამისად, დღეს საქართველოში არ არის სათანადოდ განჭვრეტადი გარემო ასეთი გრძელვადიანი ინვესტიციისათვის, მეტიც ჯერ ზუსტად არ არის დადგენილი ის საპროცენტო სარგებელი, რასაც ფონდი დაზოგოვან თანხებს დაარიცხავს. შემოთავაზებულმა საპენსიო სისტემამ შეიძლება გამოიწვიოს არაფორმალური შრომითი გარიგებების დადება და ჩრდილოვანი ეკონომიკის წახალისება. ასევე შესაძლებელია შრომით ბაზარზე გაიზარდოს მოთხოვნა 40 წელს გადაცილებულ ადამიანებზე, რომლებთაც სისტემაში სავალდებულო წესით ჩართვა არ მოეთხოვებათ, რაც გაზრდის უმუშევრობას ახალგაზრდა თაობაში.

**დაბროვებითი საპენსიო რეფორმა საზღვარგარეთის ქვეყნებში**

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული რისკ-ფაქტორებისა, საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ ეფექტურად მოქმედებს დაგროვებითი საპენსიო რეფორმა. სწორედ ევროპის განვითარებული ქვეყნების მაგალითზე შემუშავდა საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემა. ასევე საქართველოს მეზობელი ქვეყნების მაგალითზეც. მაგალითად: **თურქეთში** კერძო საპენსიო სისტემა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა. სისტემაში ჩართვა სავალდებულოა 45 წლამდე დასაქმებულთათვის, საპენსიო კომპანიას თავად დასაქმებული არჩევს. ყოველთვიური საპენსიოს შენატანი შემოსავლის 3%-ია, დაგროვილ თანხას სახელმწიფო საერთო თანხის 25%-ს ამატებს. **აზერბაიჯანში** ახალი საპენსიო სისტემა 2017 წლის 1-ლ ივლისს ამოქმედდა, სისტემაში მონაწილე დასაქმებულები საპენსიო ფონდში შემოსავლის 3%-ს იხდიან. **სომხეთის** საპენსიო სისტემა 2014 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა. იგი სავალდებულოა 40 წლამდე ასაკის დასაქმებულებზე, რომლებიც შემოსავლის 5%-ს რიცხავენ საპენსიო ანგარიშზე და რომელსაც სახელმწიფოც 5%-ს ამატებს. 40 წელს გადაცილებულ პირებს კი ნებაყოფლობით განეწიანების უფლება აქვთ. კი აღნიშნული რეფორმა 2019 წელს ამოქმედდება.

საქართველოში შემუშავებული საპენსიო რეფორმა ეფუძნება არა ერთი კონკრეტული ქვეყნის პრაქტიკას, არამედ წარმოდგენილია შერეული სახით.

**დასკვნა**

ნებისმიერ სახელმწიფოსში სოციალური დაცვის სისტემა ორიენტირებულია მისი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფაზე. განვითარებულ სახელმწიფოთა გამოცდილების შესწავლით ცხადი ხდება, რომ საპენსიო სისტემა სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებული ხდება სახელმწიფო შემოსავლებზე და მისი სიმძიმე თანადათანობით გადადის მომავალი პენსიონერის შრომისუნარიან პერიოდში მიღებული შემოსავლების ნაწილის საპენსიო ფონდში დაბანდებაზე. საპენსიო მოდელები ყოველთვის მორგებულია ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მის ისტორიასა და კულტურაზე. გამომდინარე იქედან, რომ საქართველო მდიდარი ტრადიციების ქვეყანაა მშობლისა და შვილების დამოკიდებულის კუთხით, შესაბამისად ძნელად აღსაქმნელი არის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა ორიენტირებულია მისი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფაზე.

ოფაზე საკუთარი შემოსავლებით ზრუნვა. საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორია არცთუ მარტივი იყო, გამომდინარე აქედან დემოგრაფიული მდგომარეობა რთულია. პროგნოზი მოხუცებულითა ღირსეული პენსიით უზრუნველყოფისათვის არასახარბიელოა. შესაბამისად გამართლებულად უნდა ჩაითვალოს მთავრობის მიერ ინიცირებული დაგროვებითი საპენსიო რეფორმის განხორციელება. შესწავლილი მასალებიდან გამომდინარე ვრწმუნებით, რომ რეფორმა შეიცავს

მრავალ რისკს, რადგან პირველი პენსიის გაცემა 20 წლის შემდეგ უნდა მოხდეს და არასტაბილურობით შეფასებული ეკონომიკა ეჭვს იწვევს. ჩატარებული კვლევა, პროგნოზირება მომავალში მისაღები პენსიის სიდიდის შესახებ ჩვენ ვთვლით რომ საიმედოა. რაც შეეხება რისკებს, მიგვაჩნია, რომ რისკი სამართლებრივი რეგულირების ცვლილებისა უნდა დაემატოს ჩამონათვალს და ის რაც მიღებული იქნება დღეს არ უნდა შეიცვალოს საპენსიო ფონდის მართვასთან მიმართებით.

**ლიტერატურა/REFERENCES**

[1] Pension system perfection problems in Georgia, European Journal of Economics and Management Sciences, Scientific journal № 2, 2015, Vienna

[2] **ლ. მელიანი-ფუტყარაძე**, სოციალური დაზღვევის როლი მოსახლეობის სოციალური რისკებისაგან დაცვაში, მონოგრაფია, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015 წელი.

[3] <http://forbes.ge/blog/226/> - გ. გვალია, საპენსიო რეფორმა და კორპორაციული მმართველობა, 2017წ

[4] [http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/sapensio/Government\\_Report\\_on\\_pensions\\_Final\\_GEO.pdf](http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/sapensio/Government_Report_on_pensions_Final_GEO.pdf) - საქართველოს საპენსიო რეფორმა;

[5] <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3839800>-საპენსიო რეფორმა-სქემა, რომლითაც მთავრობას თქვენი ფულის მითვისება შეეძლება.

[6] საპენსიო რეფორმის კონცეფცია-[http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/sapensio/Government\\_Report\\_on\\_pensions\\_Final\\_GEO.pdf](http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/sapensio/Government_Report_on_pensions_Final_GEO.pdf) - -

[7] <http://daitvale.ge/> - საპენსიო კალკულატორი;

[8] <http://www.geostat.ge/> - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

9.<http://www.parliament.ge/uploads/other/29/29749.docx> - დაგროვებითი საპენსიო სისტემა საზღვარგარეთის ქვეყნებში;

[9] [file:///C:/Users/USER-pc/Downloads/dasaqmeba-umushevropa%202016\\_GEO.pdf](file:///C:/Users/USER-pc/Downloads/dasaqmeba-umushevropa%202016_GEO.pdf) - დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში 2016 წელი (ნლიური).



## პირველადი ჯანდაცვა, როგორც ჯანმრთელობის ხელშეწყობის პირითადად რბოლი და მომხარებელთა საჭიროებები

### PRIMARY HEALTHCARE AS THE MAIN COMPONENT OF HEALTH PROMOTION AND CONSUMER NEEDS PATIENTS' NEEDS IN PRIMARY HEALTHCARE

#### თამარ ბუცაშვილი,

საქართველოს უნივერსიტეტის  
ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტის  
დოქტორანტი შპს „მედისონ ჰოლდინგის“  
გენერალური დირექტორის მოადგილე  
საქართველო, თბილისი

#### TAMAR BUTSASHVILI,

Doctoral student University of Georgia  
Recent position- Deputy Director Of  
Medison Holding  
Georgia, Tbilisi

#### ანოტაცია

პირველადი ჯანდაცვა თავისი ფუნქციით წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და გაუმჯობესების ძირითად რგოლს. დღევანდელი პირველადი ჯანდაცვის სისტემა ქვეყნის მოსახლეობას ხელმისაწვდომ მომსახურებას სთავაზობს, განსხვავებული საჭიროების მქონე მოსახლეობისთვის განსხვავებული შედეგებით. თუმცა, ამბულატორიული მიმართულება კვლავ საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, რათა მიაღწიოს საბოლოო მიზანს – საყოველთაოობას, უწყვეტი და ადამიანზე-ორიენტირებული მიდგომის საშუალებით. გამართული პირველადი ჯანდაცვის დროს მოქალაქეები ნაკლებად მიმართავენ მეორე ან მესამე დონის, პოსპიტალურ სექტორს. შესაბამისად, მცირდება ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯები. ცხადია, ბევრად იაფი და იოლია დაავადების თავიდან არიდება ან ადრეულ ეტაპზე აღმოფხვრა. ამიტომ ამბულატორიულ რგოლს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჯანდაცვის სისტემის განვითარების პროცესში. პოლიკლინიკური მიმართულების კუთხით პაციენტის კმაყოფილების შესწავლა და ანალიზი იძლევა საფუძველს, ამ სფეროში პაციენტის მოთხოვნაზე მორგებული სერვისის შესთავაზოს.

**საკვანძო სიტყვები:** პირველადი ჯანდაცვა, პაციენტთა კმაყოფილება, ჯანდაცვის სისტემა, ჯანდაცვის დანახარჯები, კმაყოფილებაზე გავლენის რანგი, რაოდენობრივი კვლევა.

#### ABSTRACT

Primary healthcare with its function is the main component of promoting and improving the health of the population. Primary healthcare system today offers accessible service to the population of the country, with different privileges for people with different needs. However, the outpatient direc-

tion still needs significant improvement in order to achieve the ultimate goal - universality, with the help of a continuous and person-oriented approach. During organized primary healthcare, citizens are less likely to address second or third level hospital sectors. Accordingly, the total cost of healthcare is reduced. Obviously, it is much cheaper and easier to avoid disease or eradicate it at an early stage. Therefore, the outpatient sector is important in the development of the healthcare system. Study and analysis of patient satisfaction from the point of polyclinic direction give a basis, that this field will offer a service suitable for patient's demands.

**Keywords:** Primary healthcare, Patients' satisfaction, Healthcare system, Healthcare costs, Satisfaction influence rank, Quantitative research

#### შესავალი

ჯანმრთელობის აღქმა დამოკიდებულია საკმაოდ ბევრ სოციალურ დეტერმინანტზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განსაზღვრებით, ჯანმრთელობა არის ადამიანთა სრული ფიზიკური, სოციალური და ფსიქიკური კეთილდღეობა და არამხოლოდ დაავადების პროფილაქტიკა. „ჯანმრთელობა არის ინდივიდის უნარი, იფუნქციონიროს ისე, როგორც მისაღებია მისთვის და იმ ჯუფისათვის, რომლის წევრიც ის არის“ [1. გვ., 46].

თანამედროვე პირობებში, სამედიცინო საქმიანობის პროცესში აუცილებელი ხდება სერვისის მიღების მამოტივირებელი ფაქტორების, ახალი მიდგომების შესწავლა და გამოყენება, რადგან, სწორედ ეს ფაქტორები ახდენს ყველაზე შესამჩნევ გავლენას პაციენტის ქცევის ცვლილებებზე. „რაც უფრო ინფორმირებულია მომხმარებელი და რაც უფრო ნაკლებია ძიების დანახარჯები, საბაზრო სტრუქტურა მით უფრო ახლოს არის სრულყოფილ კონკურენციასთან“ [2. გვ., 127]

პაციენტის კმაყოფილება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარისხის ინდიკატორია, რომელსაც განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ეთმობა. პაციენტები სულ უფრო მეტად გათვითცნობიერებულნი ხდებიან სამედიცინო სერვისებში. მომხმარებლის კმაყოფილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რაიმეს შექმნის გადანაცვების მიღებაზე. სამედიცინო მომსახურების, მით უფრო ამბულატორიული სერვისის, სირთულე განპირობებულია იმ გარემოებით, რომ განუვლი სერვისების ხელით შეხება შეუძლებელია, ძნელია მათი მახასიათებლების გაზომვა და, რა თქმა უნდა, მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის სპეციფიკურ (სამედიცინო) ცოდნას. საყოველთაოდ მიღებულია, რომ სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასების არსებით ინდიკატორს წარმოადგენს პაციენტის კმაყოფილების მაჩვენებელი, სამედიცინო მომსახურების შესაბამისობა პაციენტების და მათი ოჯახის წევრების მოლოდინთან. „პაციენტთა აზრი სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე მაჩვენებელია, რომელიც აფასებს მომსახურების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს, გამოსავალს და ამავე დროს სამედიცინო მომსახურებას აღწერს პაციენტის თვალთახედვით“ [3. გვ., 25] პაციენტთა კმაყოფილების შესწავლის ფართო გავრცელებას ხელი შეუწყო ორმა მოცემულობამ: ერთი მხრივ, მთელ მსოფლიოში პაციენტთა უფლებების დაცვის გაზრდამ და, მეორე მხრივ, მედიცინაში საბაზრო ეკონომიკის ასპექტების დამკვიდრებამ და პაციენტის ე.წ. მომხმარებლის რანგში გადანაცვლებამ. პაციენტთა აზრის შესასწავლად შემუშავებულია და გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტები. მათ შორის, ფართოდ გამოიყენება როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევები. როგორც წესი, პოპულაციურ დონეზე კვლევების ჩატარება მიზნად ისახავს ეროვნული მასშტაბით ჯანმრთელობის ღირებულებებისა და პრიორიტეტების გამოვლენას.

**პირითადი ნაწილი**

პაციენტთა კმაყოფილების დონისა და ხარისხის შესასწავლად აქტიურად გამოიყენება ევროკომისიის კითხვარი „ევრობარომეტრი“ და სტანდარტიზირებული საერთაშორისო კითხვარი „ევროპეი“. ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია - „ევრობარომეტრი“ - მიზნად ისახავს პა-

ციენტთა უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ხარისხის საკითხების შესწავლას, ხოლო ევროპეი-პრაქტიკოსი ექიმებით პაციენტთა კმაყოფილების შესწავლას. 2009 წელს „ევრობარომეტრის“ გამოყენებით კვლევა ჩატარდა 27 ქვეყანაში და მოიცვა 406 557 138 ადამიანი. 1995-1998 წლებში მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა პაციენტების მიერ ზოგადი პრაქტიკის შეფასების საერთაშორისო სტანდარტიზირებული ინსტრუმენტი — „ევროპეი“ (<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3409606/>). მოცემული მეთოდოლოგია გამოყენებულია უკვე 20-ზე მეტ ქვეყანაში. სტანდარტული „ევრობარომეტრის მოდელი“ შემუშავდა 1973 წელს და ტარდება, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევების სახით. თითოეული რაოდენობრივი კვლევა მოიცავს 1000 პირისპირ ინტერვიუს ევროკავშირის ქვეყნებისთვის. კვლევების შედეგები ქვეყნდება წელიწადში ორჯერ. კვლევის მიზანს წარმოადგენდა პაციენტის კმაყოფილების გაზომვა. კითხვარის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა ევროპაპის სტანდარტული კითხვარის მახასიათებლების და, ასევე, ქართულ ბაზარზე არსებული სამედიცინო სერვისების მომსახურების სტანდარტების შეფასებისათვის გამოყენებული კრიტერიუმები (CSI საერთაშორისოდ აღიარებული ინდექსია მომხმარებლეთა კმაყოფილების შესასწავლად სხვადასხვა სფეროში). შერჩევის ზომა 100 პაციენტი. კვლევა ჩატარდა თბილისის სამ დიდ ამბულატორიულ ცენტრში.

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ოჯახის ექიმით კმაყოფილება და კლინიკით კმაყოფილება ყველა დემოგრაფიული პროფილის ჯგუფში სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. კორელაცია უფრო მაღალია 18-35 წლამდე ასაკის ჯგუფებში და საშუალო განათლების მქონდე ჯგუფებში. იხ. ცხრილი 1

კვლევის საშუალებით ასევე განისაღვრა, კონკრეტული პარამეტრების კმაყოფილებაზე (პაციენტების) გავლენის რანგი. რესპონდენტები აცხადებენ, რომ მათ კმაყოფილებაზე გავლენას ახდენს პირველი ორი მნიშვნელოვანი დებულება: ექიმის დამხმარე პერსონალმაც გაგრძობინოთ მზადყოფნა თქვენ მხარდასაჭერად და აგისნათ დიაგნოზის ალტერნატიული ვერსიები. ხოლო რანგით ბოლო დებულება, რომელიც პაციენტის კმაყოფილებას განაპირობებს გახლავთ, ექიმმა აგისნათ სამედიცინო გამოკვლევების, ჩარევების, მკურნალობის არსი და მიზანი, იხ., ცხრილი 2.

		რამდენად კმაყოფილი ხართ ოჯახის ექიმის მომსახურებით?				საშ. ქულა	რამდენად კმაყოფილი ხართ კლინიკის მომსახურებით?				საშ. ქულა
კამუჩრი		47%	38%	7%	4%	6.2	34%	42%	9%	11%	5.9
ფილიალი	ვარკეთილი	49%	48%	5%		6.4	37%	41%	7%	5%	5.9
	უაუა	50%	35%	5%	5%	6.2	30%	45%	8%	13%	5.8
	მუხიანი	45%	33%	12%	7%	6.0	36%	40%	11%	12%	6.0
სექსი	ქალი	50%	37%	6%	5%	6.3	36%	48%	8%	8%	6.0*
	კაცი	35%	48%	13%	9%	6.0	26%	26%	18%	35%	5.4*
ასაკო	18-35	56%	30%	4%	7%	6.4	44%	39%	9%	9%	6.2*
	36+	38%	45%	11%	5%	6.1	27%	44%	9%	14%	5.7*
განათლება	უმაღლესი	43%	39%	9%	4%	6.1	32%	41%	12%	13%	5.8
	დანაკლები/საშუალო	50%	38%	5%	5%	6.3	36%	48%	5%	7%	6.0

\*საშუალოებს შორის სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (p<0.05)

- ძალიან კმაყოფილი ვარ
- კმაყოფილი ვარ
- უფრო კმაყოფილი ვარ, ვიდრე უკმაყოფილო
- არც უკმაყოფილო ვარ და არც კმაყოფილი
- უფრო უკმაყოფილო/უკმაყოფილო/ძალიან უკმაყოფილო

პაციენტის კმაყოფილებაზე პარამეტრის გავლენა

პარამეტრი	კმაყოფილებაზე გავლენის რანგი
ექიმმა და დამხმარე პერსონალმა გავიძინებინოთ მზადყოფნა თქვენ მხარდასაჭერად	1
აგისხნათ დიაგნოზის ალტერნატიული ვერსიები	2
ექიმმა მოგაწოდოთ საკმარისი ინფორმაცია თქვენი დაავადების და სიმპტომების შესახებ	3
გქონდეთ შესაძლებლობა, ტელეფონით ესაუბროთ ექიმს თქვენთვის საჭირო დროს?	4
შექმნას გარემო, სადაც თავისუფლად შეგიძლიათ უამბოთ თქვენი პრობლემების შესახებ	5
ექიმი გიხსნით, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ შეასრულოთ მისი რჩევები	6
ახსოვდეს თუ რა გითხრათ წინა შეხვედრის/კონსულტაციის დროს	7
ეცადოს, ჩართული იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში	8
თქვენი პირადი მონაცემების და ჩანაწერების კონფიდენციალურობა დაცულია	9
ექიმმა აგისხნათ სამედიცინო გამოკვლევების, ჩარევების, მკურნალობის არსი და მიზანი	10

**დასკვნა**

მომხმარებელთა ქცევის შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფოებრივ დონეზე, ისე კერძო ბიზნესის კუთხით. მომხმარებლის კმაყოფილების გაზომვა დაეხმარება სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მოთამაშე კერძო თუ სახელმწიფო უწყებებს სპეციალური მარკეტინგული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში. უმნიშვნელოვანესია ყველა იმ მოლოდინის გამართლება მომხმარებლის თვალში, რომელიც მის კმაყოფილებას განაპირობებს. რადგან სწორედ ეს უკანასკნელი ეხმარება პაციენტს იყოს ლოალური კონკრეტული ოჯახის ექიმისა და თუ კლინიკის მიმართ პირველადი ჯანდაცვის დონეზე. ოჯახის ექიმის და სოფლის ექიმის ინსტიტუტის გაძლიერება კი იძლევა საშუალებას იყოს ჯანდაცვა ხარჯთეფექტური, დადგეს უკეთესი სამედიცინო

გამოსავალი. შემცირდეს თვითმკურნალობის და ჯიბიდან გადახდის რისკი.

მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის პერმანენტული ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზაცია გააუმჯობესებს სამედიცინო მომსახურების ბაზრის ფუნქციონირებას საქართველოში და ხელს შეუწყობს ამ სფეროში ჯანსაღი კონკურენციის არსებობას.

ამრიგად, ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ სამედიცინო მომსახურების ბაზარი საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ფორმირებული და ქართველი მომხმარებლების ქცევაც ამ ბაზარზე საკმაო თავისებურებებით ხასიათდება. ეს ტენდენციები სამედიცინო დაწესებულებებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ პაციენტთა მოზიდვისა და კონკურენციულ ბრძოლაში სტაბილური ნარმატების.

**ლიტერატურა/REFERENCES**

[1] Mirage of Health Rene Dubos , 1987 By Rutgers , The state University, New Jersey.P. 46  
 [2] **Barbara McPake, Charles Normand,** Health Economics 2002. P. 127  
 [3] **Donabedian, I., D.Locker and D.Dunt, I., J.Ware, I., & R.** (6.დ.). Predictors of patient satisfaction. Maxwell, 1984) P. -25 ;



## CONCEPTION OF CORPORATIVE SOCIAL RESPONSIBILITY: PROBLEMS AND EVALUATION

## ხათუნა ბერიშვილი,

ეკონომიკის დოქტორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ბათუმი

## KHATUNA BERISHVILI,

Doctor of Economics.  
Associate professor of Iv. Javakishvili  
Tbilisi State University.  
Georgia, Batumi

## აბსტრაქტი

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის დინამიკა განვითარებაში, პრობლემები, მათი შეფასება და ცვლილება. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის და თანამედროვე კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ევოლუციის ანალიზის შემდეგ "სოციალური სახელმწიფოს ახალი მეთოდოლოგიური მიდგომების თანამედროვე მოდელი ადამიანისა და საზოგადოების უწყვეტი კეთილდღეობის გზით ეკონომიკური და სოციალური განვითარების შეფასებისთვისაა წარმოდგენილი. სტატიაში აგრეთვე განხილულია კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ცვლილების ძირითადი მიდგომები მიკრო დონეზე ცხოვრების დონისა და ადამიანის უწყვეტი კეთილდღეობის დონის ამალღების და მუშაობის ხარისხის კმაყოფილების შეფასების ინდიკატორებისა და მუშაობის ხარისხის კომპლექსური შეფასების მეშვეობით.

**საკვანძო სიტყვები:** კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა, ცვლილება, ეკონომიკური და სოციალური განვითარება, გაზომვა, მეთოდოლოგია, საზოგადოების კეთილდღეობა, კორპორატიული სოციალური პოლიტიკა, ცხოვრების ხარისხი.

## ABSTRACT

*The present article reviews dynamic in development of the conception of corporative social responsibility, problems of its evaluation and change. After analyzing the evolution of corporative social responsibility and modern model of "social state new methodological approaches are suggested for evaluation of economic and social development through continuous wellbeing of man and society. The article also reviews main approaches to change of corporative social responsibility at the microlevel through the quality of life and continuous wellbeing of man in an organization and the indicators of evaluation of contentment by work and complex evaluation of quality of working life.*

**Key words:** corporative social responsibility, change, economic and social development, measurement, methodology, wellbeing of society, corporative social policy, quality of life.

## INTRODUCTION

Within XX century corporative social responsibility (CSR) was developing in two directions – as the idea of management [11, p. 34] and as independent theoretical conception [3, p. 209]. The process of development of CSR ideas was not uniform, but it would be also right to mention that the status of corporative social responsibility in the second decade of XXI century is more evident than it was in previous hundred years. A greater part of accumulated knowledge refers to theory, but undoubtedly, a great amount of proofs also appeared for CSR as the practice of modern management of the companies.

In essence, short review of appearance of corporative social responsibility shows its permanently changing nature. CSR kept changing permanently as a concept and conception from the viewpoint of management, until it became scientific conception and continued experiencing change already in this field. It should also be added that transformations of CSR are ongoing not only at the level of idea or term to specify the concept of corporative social responsibility (for example, movement from CSR to corporative social susceptibility or corporative citizenship), but also at the level of internal structure and content, when name of theoretical conception is not changed, but its internal structure is being transformed and redetermined.

## EVOLUTION OF VIEWS ON CORPORATIVE SOCIAL RESPONSIBILITY


Despite a great amount of determinations and alternative theories of corporative social responsibility, the idea of functioning of socially oriented company was changing not so crucially. Essence of CSR within entire period of development of this concept was determined as some philoso-

phy of the company behavior and conception of forming the interaction with all those, which were somehow related with its activity. Presence of additionally socially significant activity was also obligatory, apart from the main one.

Under the corporative social responsibility, in the broadest sense of the word, the conception is understood, which reflects voluntary decision of the company to participate in perfection of the processes of social development of society and protection of environment [1, p.408]; corporative social responsibility is also regarded as an ability of a company to benefit the society through use of profits from the private business. In Europe CSR was officially formed as sustainable concept only in the beginning of XXI century at Lisbon European Summit in March 2000. European Commission determines it as “conception of integration of care on social and economic development in the business-operations of companies in cooperation with their shareholders and external environment” [8,p.78].

Recognizing the need and significance of the CSR conception, it should be considered to be outwardly imposed norm. For the majority of companies it has not become yet internal need and common value, its realization is still connected with maximization of usefulness and those limitations (forced costs), which are imposed on the company activity by internal and external interest-holders (pressure of state, public organizations, pressure of consumers, competition for skilled workers), and external instruments of recognition (competitions, ratings, etc). To make corporative social responsibility and social functions of business be regarded as internal components of modern company, internal norm, it is necessary, in our opinion, to pass definite stages of mature approaches on the part of both all the interested sides and also business itself (Pic.1).

**Picture 1. Stages of approaches to social functions of business.**



**CRITERIA OF EFFICIENCY OF SOCIAL AND ORGANIZATIONAL DEVELOPMENT**

Within last five-six years on the pages of scientific literature discussion was ongoing on the crisis of conception of the social state, the need for radical reform of public sector, change in the direction of social protection, the need for radical institutional changes (reform, first of all, of social institutions). German sociology far more frequently points to the need of radical changes in the model of social market economy and social state. For example, H. Norbert in the work “Has economy any future: end of growth and forthcoming crisis” talks about readiness of the society to social reforms, and mentions also about the interest in liberal ideas in connection with exacerbation of the problems of social dependency [7, p.109].

In one of his last fundamental works R. Greenberg also poses the problem of crisis of a social state [9,p.98]. Search for a new model is ongoing “exclusively within this or that combination of market and social limitations”. The dispute is about correlation of liberalism and sociality: some demand the first more, others – the other. In other words, search is going on for change in qualitative proportions of redistribution of created wealth, but the principle proper – only agents of market can create wealth, while social policy can only redistribute it, to a greater or lesser degree undermining the market incentives – remains unchanged.

In 2012 was published the Strategy of World Bank in the field of social protection of work for 2012-2020, in which is presented principally new idea (conceptionally new) of social protection. In particular, is mentioned that “efficient systems of social protection are necessary components of sustainable economic growth” for the society on the whole [16, p.32]. The Strategy outlines new “functions of social institutions (social protection, first of all): 1) warning on reduction of wellbeing

under the influence of abrupt changes in the level of income and expenses; 2) provision of possibilities, sources and work places of best quality; 3) protection from impoverishment and catastrophic loss of human capital” [7, p.111].

Developing the discussion on crisis of a social state, the scientists point to two groups of factors that caused the present crisis: economic globalization and technological innovations [11. pp.111-112]

Methodological breakthrough in change in the evaluation paradigm of social progress efficiency happened also after publishing the report of International Commission headed by Nobel Prize holder J. Stiglitz “The Measurement of Economic Performance and Social Progress” in 2009 (Report of the Commission on measurement of economy efficiency and social progress, J. Stiglitz, A. Sen, J.-P. Fitoussi). Thus, the report focuses the accent on the need in evaluation of economic development to attach more attention to the quality of life in general and separate man in particular. In change of quality of life should be taken into consideration both the objective indicators, having quantity evaluation and the subjective, having both qualitative and quantitative measurement [14,p.60].

To reflect the above-listed tendencies in the social sciences, the term “wellbeing” was used (literally, good being), by the content meaning “continuous wellbeing” of man and society (from this the concept “good society”, “just society”). The present conception involves a wide array of objective and subjective evaluations of people of their own “continuous” wellbeing at different stages of life, including intensive work activity and wellbeing in the “elderly age” (Age Watch). It should be mentioned that earlier the economic science used conception “welfare”, which reflected the level of wellbeing from the viewpoint of measurable qualitative indicators and level of social protection of citizens. To measure wellbeing of people is used the system of inter-complementary indicators: income, work, society, education, ecology, civil rights, health, contentment, security, balance between work and rest [16, p.41].

Thus, in the present period, as never, production, economic activity of companies (for measurement of which are used the standard market criteria of correlation of expenses and benefits) requiring non-market criteria of efficiency. In such a case we suppose that CSR is not only management technology, pursuing purely market goals and results, but also an indicator of social activity, social functions (social activities) of the companies, and should be directed to continuous wellbeing of man (worker) in an organization, should promote formation of social envi-

ronment inside and outside the organization, development and support of social relations and social communication. This, approaches to measurement of social responsibility of business should reflect wellbeing of man (worker) within an organization, it is also necessary to measure contribution of business into continuous wellbeing of the local community and society on the whole.

#### **APPROACHES TO MEASUREMENT OF CORPORATIVE SOCIAL RESPONSIBILITY**

As the problems in measurement of corporative social responsibility have comprehensive character, we'll consider its evaluation from the viewpoint of wellbeing of man in the period of active work activities, i.e. of a worker.

One of the possible approaches to measurement of corporative social responsibility can become evaluation of social programs, being realized at the level of a company from the viewpoint of their influence on the quality of life (probably in a narrower sense, on the quality of work life).

Complex evaluation of the quality of life in an organization, in its turn can involve the following blocks of indicators (through the subjective perception):

Contentment with work – contentment with salary, applied systems of payment for work, feeling of justice in payment for work, positive motivations of employees, possibility for professional and personal growth, assurance in the future, guarantee of employment, stability;

Level in organization of work – targeted planning in organization, presence of service transport, parking, level and condition of rationing, good ergonomic and physical conditions of work, level of organization of work place, technique of personal work, presence of work clothes;

Level of development in social infrastructure in organization – presence of dining-rooms and hot meals, presence of medical points for examination and prevention, additional pension services, additional medical insurance, feeling of social security;

Autonomy of worker and security of work – degree of delegation, responsibility, amount of operations at the present work place, possibility of vision of final results of work, interchangeability of works;

Style of governance – social direction of style of governance, contentment with style of governance, wish to work in the future with a supervisor, possibility to choose a supervisor;

Culture of organization – presence of values, traditions, “heroes”; policy of governance in relation with recognition of merits of workers, degree of trust in gov-

ernance, social environment inside organization, presence of feedback;

Relations between people in the process of activities – presence of favorable atmosphere for work activities, presence/absence of conflicts, stress situations; possibility of informal relations at work with colleagues, level of interaction with employees, level of development of social relations;

Level of production/work democracy – level of development of work democracy, direction to group work and aspiration to achievement of joint results, ability to agree personal interests with the interests of group, other work groups and an organization on the whole.

It should be mentioned once more in conclusion that the function of goal in development of corporative social responsibility should be the function of quality of life and worthy work ( $F_{ql} \max$ , in which  $F$  is function of goal and  $ql$  – quality of life). On the basis of relevant system of indicators (objectively evaluated and subjective) at the level of a company should be elaborated the methods of calculation of index of social development, which can be presented with the help of formula of linear addition  $I = (F_i)/n$ , where  $F_i$  – achieved level of  $I$  indicator,  $n$  – quantity of indicators. The present methods can be specified, if weight coefficients are attached to the present indicators ( $P_i$ ). “Weights” carry in them the share of subjective and can be determined by expert way, which, in our opinion, can be a source of very valuable information. Then the formula will take on the form of medium-arithmetical weighed  $I = (F_i \cdot P_i) / P_i$ . Systematic calculation of such indicator and

its comparison by years will give a picture of forming tendencies [12]. Integration of 15-20 most important social indicators enables to receive indicator new by its nature and analytical potentials, characterizing the tendencies of social activity, social activities of companies, reflecting continuous wellbeing of man in an organization.

#### SUMMARY

Despite a great number of definitions and alternative theories of corporative social responsibility, the idea of functioning of socially oriented company was changing not so much radically. Essence of CSR within the entire period of development of this concept was being determined as some philosophy of company behavior and the concept of formation of interactions with all, which are somehow connected with its activities. Within last years on the pages of scientific literature the discussion was ongoing on crisis of the conception of a social state, the need for radical reform in the public sector, changes in direction of social protection, the need for radical institutional changes (reform, first of all, of social institutions). At the present stage of development of industrial society one of the most active problems is evaluation and changes of corporative social responsibility. On the basis of analysis of modern model of “social state” new economic methodological approaches are suggested to measurement of social responsibility of the society through life and permanent prosperity of man in an organization. Indexes over the evaluation of contentment are connected with working and complex evaluation of quality of working life.

#### REFERENCES

- [1] **Porter M.E.** Strategy & Society: The Link Between Competitive Advantage and Corporate Social Responsibility/ Porter M.E., Kramer M.R. // Harvard Business Review. - 2006. --P. 78—92.
- [2] **Clark J.M.** The Changing Basis of Economic Responsibility // Journal of Political Economy. -1916. - P. 209-229.
- [3] **Bowen H.R.** Social Responsibilities of the Businessman / H.R. Bowen. - New York: Harper&Row. - 1953. - P. 5- 18.
- [4] **Berishvili Kh.** (2016). Analysis of Political and Economic Environment From the Viewpoint of Gender Equality. Ecoforum Journal, Volume 5, Issue 1, pp.108-115
- [5] **Berishvili Kh.** (2017) Contradictory character of the process of liberalization and integration of economic relations and influence of this process on the countries with small economy. 6th Business & Management Conference, Geneva, p. 3
- [6] **Berishvili Kh.** (2017) Identification of integration processes in Conditions Economic Turbulance and Their Use in development of The Countries With Small Economy. Ecoforum Journal, Volume 6, Issue 2, pp.108-115
- [7] **Berishvili Kh.** (2014) Possibilities for Mastering The Foreign Trade Potentials In Georgia. Georgian International Journal of Science, Technology and Medicine 6 (4), 277
- [8] **Berishvili Kh.** (2015) Importance of Investment Implemented Through Technological Transfer for Recipient Country. (IJAS) International Conference for Business and Economics. P. 2-3
- [9] **Berishvili Kh.** (2014) Liberalization of Economy and Possibilities of Development of Foreign Trade Potential in Georgia.



Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University pp. 124-129

- [10] **Berishvili Kh.** (2013) Globalization end Georgia's Integration Into World Economic Space. Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University pp.125-128.
- [11] **Shengelia T.** (2017) Determination of correlative relations between social capital, trust and motivation in the international company. 6th Business & Management Conference, Geneva. Pages 32-32.
- [12] **Shengelia T., Berishvili Kh.** (2014). The Role of Institutional Reforms in the Improvement of the Georgian Investment Environment. Journal of Social Sciences, Volume 3, Issue 2, International Institute of Social and Economic Sciences. PP. 81-87.
- [13] **Shengelia T., Berishvili Kh.** (2014). Evaluation of the Global Position of Georgia and its Role In the Development of Business. Georgian International Journal of Scince, Tecnology and Medicine, Volume 6, Issue 1, Nova Science Publishers, Inc. PP. 57-65.
- [14] **Shengelia T., Berishvili Kh.** (2013). Globalization and Place of Georgia in International Business. Georgian International Journal of Scince, Tecnology and Medicine, Volume 5, Issue 3/4, Nova Science Publishers, Inc. PP. 229-238.
- [15] **Shengelia T.** Metamorphoses and Results of Business Development in Georgia. Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2013. P. 74-78.

**პერსონალის მოტივაციის ხერხები საბიუჯეტო დაწესებულებაში**

**MOTIVATION METHODS OF PERSONNEL IN BUDGETARY INSTITUTIONS**

**პაატა აროშიძე,**

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,  
ასოცირებული პროფესორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი

**PAATA AROSHIDZE,**

Candidate of Economic Sciences,  
Associate Professor  
Batumi Shota Rustaveli State University,  
Georgia, Batumi

**ანოტაცია**

საჯარო სექტორში, მართვის ეფექტიანი განხორციელებისათვის, არსებობს ბერკეტები, რომლის გამოყენებითაც ხელმძღვანელობა აღწევს მიზნებს. ხშირ შემთხვევაში, ასეთი ბერკეტების გამოყენება ნეგატიურად აისახება დასაქმებულებზე და არ იძლევა სრულყოფილი შედეგის მიღების საშუალებას. თანამედროვე პირობებში, ასეთ ბერკეტებს წარმოადგენს დაქირავებულთა კონტროლის პროცესი და მათი მოტივაცია. ზოგადად, ტერმინი „კონტროლი“ უარყოფითად აღიქმება, როცა ადამიანებს ესმით კონტროლის შესახებ, ისინი წარმოიდგენენ ნესების გამკაცრებას, შეზღუდვების შემოღებას, დასჯას და სხვა ნეგატიურ პირობებს, ხოლო „მოტივაცია“ ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ფულად ჯილდოსთანაა გათანაბრებული.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, გავარკვიოთ, მოტივაციის რა სახეს ანიჭებენ უპირატესობას საჯარო სექტორში დაქირავებული მოსამსახურეები, როგორ უნდა გაითვალისწინოს მენეჯერმა მათი ინტერესები და რას უნდა მიეცეს ყურადღება. საჯარო სექტორით დაინტერესება გამოიწვია იმ ფაქტორმა, რომ ამ სექტორში ფინანსები გარკვეულწილად შეზღუდულია, დამოკიდებულია ცენტრალურ ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტზე, ერთი შეხედვით ჩანს, რომ აქ სხვადასხვა სახის მოტივაციის ფაქტორების გამოყენება შეზღუდულია.

კვლევის მიზანი იყო გავვერკვია, დასაქმებულთა სამოტივაციო მოლოდინი და მენეჯერთა საპასუხო რეაქცია. ამ მიზნით, გამოიკითხა 120-ზე მეტი საჯარო სექტორში დაქირავებული პირი, არეალი მოიცავდა აჭარისა და გურიის რეგიონებს. გამოკითხვამ აჩვენა, რომ საჯარო სექტორში დაქირავებულთა უმრავლესობა, მოტივაციის განხორციელების დროს პირველ ადგილს ანიჭებს კარიერულ წინსვლას, ასევე, მნიშვნელოვანია კეთილგანწყობილი გარემო და ფულადი პრემია. ეს კვლევა საშუალებას მისცემს საჯარო სექტორის მენეჯერებს სწორად დაგეგმონ მოტივაციის ფაქტორები, გაითვალისწინონ ის მოლოდინები, რაც დაქირავებულებს გააჩნიათ, დაგეგმონ მოტივაციის

სტრატეგია და მისი განხორციელების ტაქტიკა. შესაბამისად, აამაღლონ საჯარო სექტორში დასაქმებულთა შრომითი ნაყოფიერება.

**საკვანძო სიტყვები:** მოტივაცია, საჯარო სექტორი, სტრატეგია, ტაქტიკა

**ABSTRACT**

In the public sector, for the effective implementation of the management, exist the levers, with which the administration reaches the goals. In many cases, the use of the mentioned levers is negatively reflected on the employees and it delays the chance of getting the perfect result. In modern conditions, such levers are represented by the process of controlling the mercenaries and motivating them. In general, the term “control” is negatively perceived. When the people hear the mentioned term, they imagine themselves tightening the rules, introduction of restrictions, punishment and other negative conditions, but the “motivation” is mostly equalized with only gratuity. The goal of our research is addressed to find out what kind of motivation is preferred by the employees hired in the public sector; how the manager should take into account their interests and what they should pay attention to. Interest in the public sector was caused by the fact that in this sector the finances are somewhat limited and depended on the budget of central or local self-government. At the first glance it seems that the use of different types of motivating factors is limited here. In the article we have tried to find out the motivational expectation of employees and the responsive reaction of managers. For this purpose, more than 120 employees hired in the public sector were interviewed and the area of inquiry covered the regions of Adjara and Guria. The inquiry has shown that the most of the employees hired in the public sector gives the priority to the career advancement during the motivation period, as well as the favorable environment and gratuity is also very important for them. The public sector managers through this research will be ensured by the opportunities of properly planning the motivation factors and taking the expectations in consideration that

*the employees have, and also the possibilities of planning the motivation strategy and its implementation tactics in order to increase consequently the labor productivity of employees in the public sector.*

**Keywords:** motivation, public sector, strategy, tactics

**შესავალი**

ორგანიზაციული მიზნის მიღწევის საშუალებაა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დასაქმებულთა სტიმულირება. მოტივაციის ფორმის შერჩევასა და მის სწორ გამოყენებაზე დიდადა დამოკიდებული მუშაკთა შრომისუნარიანობის ამალღება. თუ ხელმძღვანელი პასუხობს იმ მოლოდინებს, რომლებიც გააჩნიათ დასაქმებულებს, თავიანთი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, მაშინ მოტივაცია იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზანი აუცილებლად მიიღწევა და მომუშავეთა კმაყოფილების ხარისხი მაღალია. შესაძლებელია, მოტივაციის ესა-თუ-ის ფორმა საერთოდ არ პასუხობდეს დაქირავებულთა ინტერესებს, ანუ ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინოს ის თავისებურებები, რომელიც ცალკე აღებულ ინდივიდს გამოარჩევს ჯგუფისაგან, ეს ნიშნავს იმას, რომ ხელმძღვანელი იყენებს მოტივაციის ერთიანად განსაზღვრულ ფორმატს და არ ითვალისწინებს ინდივიდალურ თავისებურებებს, ეს კი იწვევს დასაქმებულთა მოტივაციის შემცირებას და შედეგად, მიზნის მიღწევა საკმაოდ გართულებულია.

კერძო სექტორის სანარმოთა შესაძლებლობები მოტივაციის ამალღების ფორმებში სხვადასხვაგვარია. მენეჯერებს გააჩნიათ სხვადასხვა შესაძლებლობები, რომლის გამოყენების მიხედვითაც ისინი არ არიან შეზღუდულნი, სულ სხვა საქმეა საჯარო და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა მოტივაციის ზრდის საკითხები. საჯარო სექტორს კერძო სექტორისაგან გამოარჩევს ის თავისებურებები, როგორცაა:

- საჯარო სექტორი დამოკიდებულია საჯარო ფინანსებზე, სახელმწიფო ბიუჯეტზე ან ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტზე, სადაც თანხების ხარჯვა ლიმიტირებულია, მაშინ, როცა კერძო სექტორს შეუძლია მოგების ზრდის კვალობაზე გაზარდოს სტიმულირების ფონდები;
- საჯარო სექტორში კადრების მიღება, მათი კარიერული წინსვლა საკმაოდ განსხვავდება კერძო სექტორის რეალობისაგან;
- საჯარო სექტორში სხვადასხვა დონის ხელმძღვანელების მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიეკუთვნება აუცილებელ შესათანხმებელ გადაწყვეტილებათა რიგს, მაშინ როცა, კერძო

სექტორში შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე.

ეს თავისებურებები განაპირობებს იმ შეზღუდულობას, რაც არსებობს პერსონალის მოტივაციის მხრივ საჯარო სექტორში. უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ის, რომ ხელმძღვანელმა ზუსტად იცოდეს ის მოლოდინი, რაც გააჩნია საჯარო მოხელეს, რადგან არასწორი გადაწყვეტილება პერსონალის მოტივაციის ამალღების შესახებ დააზარელებს არა მხოლოდ დაქირავებულს, არამედ შესაძლებელია, პრობლემა შეუქმნას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებას. აქედან გამომდინარე, საჯარო/სახელმწიფო სექტორის მენეჯერები უნდა ფლობდნენ მიტივაციის ამალღების სხვადასხვა ხერხების ერთობლიობას, უნდა გადაწყვიტონ, კონკრეტული პიროვნებისადმი და საქმისადმი შესაბამისი მოტივაციის ფორმა.

**საკითხის შესავლის მდგომარეობა**

მოტივაციის ფორმების შესწავლას მრავალი ქართველი თუ უცხოელი მეცნიერი ახდენს, თუმცა მათი შესწავლის არეალი ძირითადად კერძო სამართლის სუბიექტები არიან. მცირე ნაშრომებია მიძღვნილი სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა მოტივაციის კვლევებისადმი. მოტივაციის ის ფორმები, რომლებიც კერძო სექტორში გამოიყენება, მნიშვნელოვანია საჯარო სექტორშიც და მისი გამოყენება საკმაოდ შედეგს იძლევა. ამ მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით, შევეცადეთ მოგვეცა ცალკე აღებული საჯარო სექტორში დასაქმებულთა მოტივაციის ფორმირების მექანიზმები, რისთვისაც გამოვიყენეთ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა და ქართულ თუ უცხო ენებზე არსებული ლიტერატურა, რომელშიც გადმოცემულია ზოგადად მოტივაციის ფორმები, ასევე, საჯარო დაწესებულებებში პერსონალის მოტივაცია. შესაძლებელია ითქვას, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც მართვის შესახება გამოქვეყნებული, ძირითადი ადგილი ეთმობა ზოგადად მოტივაციისა და მისი ფაქტორების, მოტივაციის ფორმების გაცნობასა და შესწავლას. ცალკე არაა გამოყოფილი სახელმწიფო და საჯარო უწყებებში დასაქმებულთა მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორები. რაც შეეხება უცხო ენოვან ლიტერატურას, საჯარო დაწესებულებებში კომპლექსური სახით შესწავლილი მოტივაცია ძალიან მწირდ გვხვდება. სავარაუდოა, რომ ავტორები გულისხმობენ, რომ მოტივაცია კერძო სექტორში არაფრით განსხვავდება საჯარო სექტორში დასაქმებულთა მოტივაციისაგან. თუმცა, გვხვდება კვლევები [5,10], სადა

აც სახელმწიფო სექტორის მოტივაციის საკითხები ცალკეა გაშუქებული. ჩვენი აზრით, ის მიზეზი, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ადამიანური ფაქტორების მოტივაციის განსაზღვრის დროს, საჯარო სექტორში დასაქმებულთა მოტივირებას მცირე ყურადღება ეთმობა, მდგომარეობს იმაში, რომ ქართულ ენაზე შედგენილი მენეჯმენტის წიგნები [1] ძირითადად სახელმძღვანელოებია, ამიტომ ასე ფართოდ საკითხის გაშუქება არ ხდება. სტატიის ავტორი მაღლიერებას გამოხატავს ქართველი ავტორების მიმართ, გამომდინარე იქედან, რომ ეს სახელმძღვანელოები დასრულებული კვლევებია და შესაძლებელია ამ ლიტერატურით ხელმძღვანელობა.

**ძირითადი ტექსტი**

დასაქმებულთა მოტივაციის ჩამოყალიბებისა და მისი ზრდისადმი ყურადღება ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან შეინიშნება. ნებისმიერ ეპოქაში მოტივაცია წარმოადგენდა მძლავრ იარაღს, რომლის გამოყენებაც დადებითად აისახებოდა ორგანიზაციის მიზნის მიღწევაზე.

სხვადასხვა დროს მოტივაციის სხვადასხვა თეორია იქნა დამუშავებული. ამ თეორიების დამუშავების წინაპირობებს წარმოადგენდა ის ობიექტური ვითარება, რაც იმ პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სოციალური მდგომარეობისათვის იყო დამახასიათებელი [1]. დღეისათვის ყველაზე მეტად გამოიყენება მოტივაციის შემდეგი თეორიები:

**ცხრილი 1**

**მოტივაციის ძირითადი თეორიები**

№	თეორიის დასახელება	თეორიის არსი	ავტორი
1	„პატერნალისტური“ მიდგომის თეორია	შრომითი ურთიერთობები: კადრების დამაგრების, მწარმოებლურობის დონის ასამაღლებლად საწარმოში დამატებითი შეღავათებისა და განაცემების სისტემა, რომელიც ხორციელდება მეწარმის ხარჯზე	რ. ოუენი
2	„თაფლაკვერისა და მათრახის“ თეორია	წახალისებისა და დასჯის მეთოდი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ, როგორც ეფექტურ საშუალებას	ი. ბენტრამი
3	„მეცნიერული მართვის“ თეორია	მეცნიერული მართვის სისტემამ მწარმოებელს უნდა მისცეს ცოდნა, რაციონალური მართვის შესახებ	ფ. ტელიორი
4	სოციალური თეორია	სოციალური ჯგუფების გავლენა ადამიანის მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაზე	ე. მეიო
5	იერარქიული მოთხოვნილებების თეორია	ადამიანის მოთხოვნილებები იყოფა იერარქიებად, დაბალი იერარქიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ავტომატურად იწვევს ზედა იერარქიაზე გადასვლას	ა. მასლოუ
6	მოტივაციის ორფაქტორიანი თეორია	მოტივაციის გარეგანი და შინაგანი ფაქტორების გავლენის დადგენა	ფ. ჰერცბერგი
7	„X“ და „Y“ თეორიები	პოზიტიური და ნეგატიური მართვის სტილის გავლენა ადამიანზე	დ. მაკგრეგორი
8	მოთხოვნილებების თეორია	ადამიანებს ახასიათებთ სამი სახის მოთხოვნილება, კერძოდ, ძალაუფლების, წარმატებისა და თანამონაწილეობის მოთხოვნილებები.	დ. მაკკლელანდი
9	მოლოდინის თეორია	აქტიური მოთხოვნილების არსებობა ადამიანის მოტივირების ერთადერთი საკმარისი პირობა არ არის. ადამიანს ასევე უნდა ჰქონდეს იმის იმედი (მოლოდინი), რომ მის მიერ არჩეული ქცევის ტიპი მას ნამდვილად დააკმაყოფილებს	ვ. ვრუმი
10	სამართლიანობის თეორია	ინდივიდი მოტივირებულია თანამშრომლებთან სამართლიანი ან თანასწორუფლებიანი ურთიერთობების ქონასა და შენარჩუნებაზე. ამავე თეორიის მიხედვით, ურთიერთობები მაშინაა სამართლიანი, როცა მონაწილეთა დანახარჯი მათი შემოსავლის პროპორციულია.	ჯ. ადამსი
11	მიზნობრივი მოტივაციის თეორია	ადამიანის ქცევა განისაზღვრება იმ მიზნებით, რომელსაც ისახავს ინდივიდი ამა თუ იმ მომენტისათვის	ე. ლოკი
12	ხუთი ცვლადის კომპლექსური თეორია	აერთიანებს მოლოდინის თეორიასა და სამართლიანობის თეორიის ელემენტებს. იგი მოიცავს ხუთ ცვლადს (ფაქტორს): ძალისხმევას, მოლოდინს, შედეგიანობას, გასამრჯელოს და კმაყოფილებას.	ჯ. პორტერი ე. ლოულერი

წყარო; ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ 1 და მე-10 ლიტერატურის გამოყენებით.



ეს არის ის ძირითადი თეორიები, რომელიც გამოიყენება თანამედროვე მენეჯმენტში, მოტივაციის პროცესის ასახსნელად და მისი რეალური გამოყენებისათვის. უმეტესწილად, პერსონალის მოტივაციის ეს თეორიები პრაქტიკიდანაა აღებული და რეალობაში გამოცდილია, თუმცა, ხშირია შემთხვევა, როცა არსებული ვითარება ვერ შეესაბამება ამა თუ იმ თეორიულ მოდელს, ამიტომ საჭიროა ისეთი კომბინაციის გამოძებნა, რომლითაც მოხდება სიტუაციის შეფასება და მოტივაციის სწორი ფორმის გამოძებნა.

კერძო სექტორში დასაქმებულთა მოტივაციის ზრდა სხვადასხვა მიმართულებითაა შესაძლებელი. გამოცდილმა მენეჯერმა ყოველთვის იცის, თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება, როგორ აამაღლოს მოტივიცია და დასაქმებულთა ენერჯის როგორ მისცეს სწორი მიმართულება. მას შეუძლია მოტივაციის ამაღლების მრავალი გზა გამოიყენოს, შეუძლია გამოიყენოს როგორც საყოველთაოდ გავრცელებული მოტივირების ფორმები, ისე, შექმნას ახალი მიდგომა, რომელიც უშუალოდ პიროვნებაზე და შესრულებული (შესასრულებელი) სამუშაოს სპეციფიკაზე იქნება დამოკიდებული. კერძო სექტორის მენეჯერები ცდილობენ მრავალფეროვნად გამოიყენონ მოტივაციის საშუალებები, მათ შეუძლიათ გამორჩეულ პერსონალს გამოუცხადონ მადლობა, გადასცენ ფასიანი საჩუქრები, გამოუყონ რიგ გარეშე ანაზღაურებადი შვებულება, გაუშვან ოჯახთან ერთად სამოგზაუროდ, შესთავაზონ მოქნილი სამუშაო დრო, კარიერული წინსვლის ხელშეწყობისათვის გააგზავნონ განათლების მისაღებად, დაანინაურონ და ა.შ. ეს ფორმები დამოკიდებულია ერთის მხრივ, შესრულებული სამუშაოს როლზე ორგანიზაციის მიზნის მიღწევის საქმეში, ხოლო მეორეს მხრივ - ორგანიზაციის ხელთ არსებულ მატერიალურ თუ არამატერიალურ რესურსებზე.

სხვანაირადაა საქმე სახელმწიფო დაწესებულებებში, სადაც ბიუჯეტი მტკიცდება ან ცენტრალურ ან ადგილობრივ დონეზე. მასში წინასწარაა გათვალისწინებული ყველა მატერიალური თუ არამატერიალური (ნაკლებად) სტიმულირების მექანიზმი და მისი შეცვლა დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული. ამიტომ, საჯარო სექტორში დასაქმებულთა სტიმულირების მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ფორმები გამოიყენება. ხშირ შემთხვევაში, მენეჯერს ურჩევნია ფულადი პრემია გამოყოს პრემიების ფონდიდან და თანაბრად გაანაწილოს ყველა დაქირავებულზე, რაც იწვევს უსამართლობის განცდას და შესაბამისად, ამ-

ცირებს დასაქმებულთა მოტივაციას. ასეთი მიდგომა თუმცა გაუმართლებელია, მაგრამ მენეჯერებს არ სჭირდებათ ბევრი იმპროვიზაცია და სხვადასხვა ფორმების გამოყენება მოტივირებისას. აღსანიშნავია ის ფაქტი, საჯარო სექტორში პრემირებაც გარკვეულად რეგლამენტირებულია და სრულად ვერ ასახავს იმ მოლოდინს, რაც შეიძლება გააჩნდეს სახელმწიფო მოხელეებს. მოტივაციის სხვა ფორმების გამოყენება საკმაოდ მწირად ხორციელდება. იმდენად იშვიათად, რომ დასაქმებულები მას ფაქტიურად ვერ ამჩნევენ.

საჯარო/სახელმწიფო სექტორში, სწორი მოტივაციური მოლოდინის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისას, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმ არეებზე, რომელშიც მუშაობა უწევს დაქირავებულს. სტრატეგიის შემუშავებისას, ხელმძღვანელის მთავარ მოვალეობას წარმოადგენს დასაქმებულთათვის სამუშაო გარემოს შექმნასთან ერთად, სამუშაოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაცნობაც.


**კვლევის მეთოდოლოგია.** ნაშრომის მომზადების მიზნით, ჩატარებულ იქნა კვლევა, გამოიკითხა 120-ზე მეტი დაქირავებული, რომლებიც საჯარო სექტორში არიან დასაქმებულნი. ვინაიდან ნებისმიერი კვლევა ადამიანთა პირად ცხოვრებაში შეჭრას გულისხმობს და მათგან გარკვეული დროისა და ენერჯის დათმობას ითხოვს, რესპონდენტების მხრიდან კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო [2]. რესპონდენტების ინტერესების დაცვის მიზნით, რაც მათი იდენტურობის დაცვას გულისხმობს, გამოკითხვა ანონიმურობისა და კონფიდენციალობის საფუძველზე მოხდა.

გამოკითხვის გეოგრაფიული არეალი მოიცავდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სამართლის სუბიექტებს, სამინისტროებს, მუნიციპალიტეტების მერიებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ასევე, გამოკითხვაში მონაწილეობდნენ გურიის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში დასაქმებული საჯარო მოხელეები.

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა სხვადასხვა ასაკის საჯარო სექტორში დასაქმებული პირები, ასაკობრივი ამპლიტუდა მერყეობს 23-დან 65 წლამდე. ეს საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ შეხედულებათა სხვაობა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. გამოკითხულთა დაჯგუფება სქესის მიხედვით არ მოგვიხდენია, რადგან საჯარო სექტორში, ჩვენის აზრით, გამოიყენება მოტივაციის ისეთი ფორმები, რომლებიც თანაბრად მისაღებია როგორც ერთი, ისე მეორე სქესის მუშაკებისათვის.

დიაგრამა 1

გამოკითხვაში მონაწილე საჯარო მოხელეთა განაწილება სამუშაო ადგილების მიხედვით




გამოკითხვის ჩატარებისათვის, ჩვენს მიერ მომზადებულ იქნა დახურული კითხვარი, რომელშიც წარმოდგენილი იყო შეკითხვა იმის შესახებ, თუ რა სახის მოტივაციას ანიჭებენ უპირატესობას საჯარო სექტორში დასაქმებულები და რა სახის მოტივაცია გამოიყენება მათ ორგანიზაციაში. ასევე, კითხვარში რესპოდენტებისადმი შეთავაზებულ იქნა მოტივაციის სხვადასხვა, უკვე ცნობილი სახეები, როგორც მატერიალური, ისე - არამატერიალური, რესპოდენტებს უნდა მოეხდინათ მოტივაციათა რანჟირება იმ პირობით, რომ ყველაზე სასურველი მოტივაციის სახე იქნებოდა 1, ხოლო დანარჩენი - რიგითი ნომრების ზრდის მიხედვით. რესპოდენტთა ანკეტირების დასრულების შემდეგ, მოხდა მიღებული ანკეტების დამუშავება, ლიკერტის სკალის პრინციპის გამოყენებით [2, გვ.10], რა-

მაც საფუძველი მოგვცა გაგვერკვია, თუ რა სახის მოტივაციას ანიჭებენ უპირატესობას საჯარო სექტორში დასაქმებულნი, რა სახის მოტივაციას ახორციელებს თვითონ ორგანიზაცია და რა მოლოდინები გააჩნიათ დაქირავებულებს. კვლევა განხორციელდა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვითაც, რამაც საშუალება მოგვცა გაგვერკვია შეხედულებათა სხვაობა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვითაც.

**კვლევის შედეგები.**

გამოკითხულთა უმრავლესობისათვის მატერიალური მოტივაცია მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ფიქრობენ, რომ ის ნაკრები, რასაც მატერიალური მოტივაცია მოიცავს სრულიად ამაღლებს დასაქმებულთა სტიმულს, მათთვის იმდენად მნიშვნელოვანი არ არის არამატერიალური მოტივაცია.

დიაგრამა 2



გამოკითხულთა უმრავლესობა (53%) მიიჩნევს, რომ მათი ორგანიზაციები ძირითადად იყენებენ მატერიალური სტიმულირების ფორმებს, 33% ფიქრობს, რომ მათთან არამატერიალური სტიმულირება გამოიყენება, მხოლოდ 14 %-ის აზრით - გამოიყენება სტიმულირების ორთავე ფორმა. თუმცა, გვხვდება ისეთი რესპოდენტებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მართალია გამოიყენება სტიმულირების მატერიალური ფორმა, მაგრამ ეს იმდენად იშვიათია, შეიძლება ჩაითვალოს, რომ დანესებულება საერთოდ არ იყენებს სტიმული-

რების არც ერთ ფორმას.

საჯარო სექტორში დასაქმებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა:

საჯარო სექტორში დასაქმებულთა უმრავლესობისათვის მოტივაციის უმნიშვნელოვანესი ფორმაა კარიერული წინსვლა, ასევე მნიშვნელოვანია მუშაობისათვის კეთილგანწყობილი გარემო და მენეჯერების დადებითი დამოკიდებულება. მიღებული შედეგები ჩვენ დავაჯგუფეთ მატერიალური და არამატერიალური მოტივაციის ფორმებად და ავსახეთ ცხრილში:

ცხრილი 2

№	არამატერიალური მოტივაციის სახე	რანჟ.ქულა	№	მატერიალური მოტივაციის სახე	რანჟ.ქულა
1	კარიერული წინსვლა	972	1	პრემია	842
2	კეთილგანწყობილი გარემო	925	2	სამუშაოს შესრულებისთვის ფულადი ჯილდო	820
3	ხელშეწყობა განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში	918	3	სწავლის დაფინანსება	646
4	რეგლამენტირებული სამუშაო დრო	804	4	დაბლვევა	581
5	დასვენება	650	5	ერთჯერადი ფულადი დახმარება	504
6	კორპორაციული საღამოები	448			

ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით თუ მოვახდენთ გამოკითხულთა დაჯგუფებას, ძირითადი ნაწილი შეადგენს 27-45 წლის ასაკის პირებს, ისინი მოტივაციის მთავარ ფაქტორად მიიჩნევენ ხელშეწყობას განათლების მიღებაში და კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივ შესაძლებლობას. მათი აზრით, ეს პირდაპირ კავშირშია კარიერულ ზრდასთან. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლის დაფინანსება. 45-65 წლის ასაკის გამოკითხულები კი მოტივაციის ძირითად ფორმად მიიჩნევენ კეთილგანწყობილ გარემოს, რეგლამენტირებულ სამუშაო დროს და კორპორაციულ საღამოებს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ დასაქმებულთა უმეტესობისათვის, კარიერული წინსვლისათვის ზრუნვა იწყება 30 წლის ასაკში და გრძელდება 45 წლამდე. 45 წლის ასაკის მქონე საჯარო მოხელეები კი ძირითადად ფიქრობენ კეთილგანწყობის მოპოვებაზე, დასვენებაზე და მხოლოდ მცირეოდენს მიაჩნია, რომ კორპორაციული საღამოები მოტივაციის კარგი ფორმაა.

დასაქმებულთათვის მნიშვნელოვანია კარიერული წინსვლა და სწავლის დაფინანსება, ხოლო უფრო მეტი ასაკის დაქირავებულთათვის - დაზღვევის დაფინანსება და ფულადი დახმარება.

ამ შედეგების მიხედვით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის მოტივაციის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს კარიერული წინსვლა და ხელშეწყობა სწავლასა და პროფესიულ ორიენტირებაში. თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს მოტივი გადადის მეორე რიგში და უკვე დასაქმებულთათვის მნიშვნელოვანია სტაბილურობის განცდა. მაშინ, როცა საქართველოში სამუშაო ადგილები დეფიციტურია, ეს გასაგებიცაა. ადამიანი, როცა მუშაობას იწყებს საჯარო/სახელმწიფო სექტორში, მას რაღაც დროით უჩნდება სტაბილური სამუშაო ადგილის პოვნის განცდა, ამიტომ, ის თანხმდება ყველანაირ შემოთავაზებას, არ გააჩნია დიდი მოთხოვნილებები. მაგრამ, თუ მას ასაკი ხელს უწყობს, უკვე მთავარი ხდება იერარქიულ კიბეზე დანიშნულება.

რაც შეეხება მატერიალური მოტივაციის ფორმებს: პირველ ადგილს იჭერს პრემია, სამუშაოს შესრულებისათვის ფულადი ჯილდო და ა.შ. აქაც ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით სურათი განსხვავებულია. 45-წლამდე ასაკის

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საჯარო სამსახური არა მხოლოდ პრესტიჟულია, არამედ ის მატერიალურადაც უკეთეს პირობებს სთავაზობს დასაქმე-

ბულთა უმრავლესობას, ვიდრე კერძო სექტორი, დასაქმებულებს გააჩნიათ უფრო მეტი სტაბილურობის განცდა და დანინაურების იმედი. ამიტომ, ისინი ცდილობენ მაქსიმალურად შეინარჩუნონ სამუშაო ადგილი. არ ცდილობენ კერძო სექტორში გადანაცვლებას და შესაბამისად, საკუთარი საქმით დაინტერესებას. ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანი კერძო სექტორიდან გადადის საჯარო სექტორში, იმაზე ნაკლებ თანამდებობაზე, ვიდრე წინა სამუშაოზე იყო. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში დიდი დისბალანსი არსებობს საჯარო და კერძო სექტორებს შორის მატერიალური თუ

არამატერიალური მოტივაციის მიხედვით.

საჯარო სექტორის მენეჯერებმა თავიანთი სამოტივაციო სტრატეგიის ასაგებად უნდა გამოიყენონ ისეთი ფაქტორების ურთიერთთავსებადობა როგორცაა შიდა და გარე არეების მახასიათებლები. საჯარო სექტორის შიდა არედან მნიშვნელოვანია ადამიანი და ის სამუშაო, რომელსაც ასრულებს დაქირავებული, ხოლო გარე არეს ძირითად მახასიათებლად გამოდგება გარემო, ორგანიზაცია და საზოგადოება. ამ ურთიერთკავშირით აიგება მოტივაციის სტრატეგია და ტაქტიკა.

**ცხრილი 3**

**საჯარო სექტორში დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების სტრატეგია და ტაქტიკა**

ფაქტორი	სტრატეგია	ტაქტიკა
ადამიანი	არაკომერციულ (საჯარო) სექტორში დასაქმებული პერსონალის მოტივაციის ინტეგრირება მართვის პროცესში	ისეთი კადრების შერჩევა, რომელთა ძირითადი მოტივაციაა საზოგადოებრივი და საზოგადოებისათვის სამსახური
სამუშაო	სამუშაოს მნიშვნელობის დაყვანა თითოეულ დასაქმებულამდე	სამუშაოს სოციალური მნიშვნელობის განმარტება, მოტივაციის მკაფიო ფორმების დადგენა
გარემო	ხელშეწყობი გარემოს შემუშავება არაკომერციულ (საჯარო) სექტორში	სამუშაო სტრუქტურების შექმნა, რომელიც გააუმჯობესებს თვითრეგულაციას. სტიმულირების სისტემის ჩამოყალიბება
ორგანიზაცია	საზოგადოების სამსახურისა და ორგანიზაციის მისიის ინტეგრირება	ლიდერობის სტიმულირება ფასეულობათა დამკვიდრების საფუძველზე
საზოგადოება	საჯარო სამსახურის მიმართ პოზიტიური სოციალური გარემოს უზრუნველყოფა	თანამშრომლობა და საზოგადოებაში დამკვიდრებული ფასეულობების გათვალისწინება, საზოგადოების დახმარება, რათა მათ მიიღონ საჯარო სექტორში მუშაობის გამოცდილება, მასმედიის გამოყენება.

ცხრილი ადაპტირებულია ჩვენს მიერ. გამოყენებულია სტატია James L. Perry, Annie Hondeghem - Building Theory and Empirical Evidence about Public Service Motivation - International Public Management Journal, 2008 [5]

როგორც ცხრილიდან ჩანს, სახელმწიფო სექტორში მოტივაციის განსაზღვრისა და მისი ამაღლებისათვის აუცილებელია სამუშაოს, როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევის ინსტრუმენტის დაყვანა დასაქმებულებამდე, ანუ, დასაქმებულისათვის მთავარ მოტივაციას უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ ეგო-მოტივაციის არსებობა, რაც გამოიხატება საკუთარი თავის მატერიალურ თუ არამატერიალურ მოტივაციაში, არამედ სახელმწიფო სამსახურის, როგორც „ხალხის მსახურების“ ახსნაში. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ საჯარო სამსახური დასაქმების არე გახდება არა მხოლოდ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მხოლოდ საკუთარი მოტივაციისათვის ზრუნავენ, არამედ იმათთვისაც, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქვეყნისა და საზოგა-

დობრივი ინტერესები. რა თქმა უნდა, ასეთი კრიტერიუმებით თანამშრომელთა შერჩევა საკმაოდ რთულია, თუმცა იმ პირთაგან, რომლებიც საჯარო სექტორში დასაქმდებიან, სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს ისეთი პერსონალის გამოჩვენება, რომლებმაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი „მაღალი იდეალები“ ამოძრავებთ. აქვე დავამატებთ, რომ მხოლოდ ეს თვისება საკმარისი არ არის, ეს საფუძვლად უნდა დაედოს ცოდნას, გარჯასა და მუყაითობას.

**დასკვნები და წინადადებები:**

1. სახელმწიფო სექტორის დამოკიდებულება ცენტრალურ ან ადგილობრივ ბიუჯეტზე დიდად განსაზღვრავს იმ თავისებურებებს, რომლებიც არსებობს მოტივაციის მხრივ ამ



სფეროში. კერძო სექტორში დასაქმებულთა სტიმულირება-მოტივირების სპექტრი უფრო ფართოა, ვიდრე საჯარო სექტორში დასაქმებულთა სტიმულირება, ამიტომ ხელმძღვანელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს ის მოლოდინები, რომელიც გაჩნიათ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებს;

2. მოტივაციის მხოლოდ ერთი რომელიმე სახის გამოყენება, ისიც იშვითად, ვერ იძლევა სტიმულირების აღქმის საშუალებას, ამიტომ ხელმძღვანელმა უნდა გაითვალისწინოს ეს ფაქტორი და შესთავაზოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სტიმულირების მეთოდები;
3. რადგან ასაკობრივი სხვაობა მოტივაციის ფაქტორების შეხედულებებში ერთმანეთისაგან განსხვავდება, აუცილებელია ხელმძღვანელმა ეს ფაქტორიც გაითვალისწინოს. ახალგაზრდებს (40-45 წლამდე) შესთავაზოს მოტივაციის ისეთი ფორმები, როგორებიცაა კარიერული წინსვლა, სწავლისა და პროფესიული განთლების ხელშეწყობა, ხოლო ამ ასაკზე უფრო ზევით პერსონალს - მატერიალური სტიმულირება, სტაბილური და კეთილგანწყობილი გარემო. რაც შეეხება სტიმულირებისათვის კორპორატიულ ექსკურსიებსა და საღამოებს, ეს ვერ იძლევა შესაბამის მოტივაციას და მოტივაციური სტრატეგიის ამ ფაქტორზე აგება შეცდომაა, თუმცა კორპორატიული და

- ორგანიზციული სულის ამაღლება-განმტკიცებისათვის, მნიშვნელოვნ როლს ასრულებს;
4. მოტივაციის სტრატეგიის შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს გარე და შიგა ფაქტორები. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს სახელმწიფო სამსახურის, როგორც „საზოგადოებისა და სახელმწიფოს მსახურების“ ფორმას, ეს გაზრდის სულიერ მოტივაციას;
  5. რადგან საჯარო სექტორში დასაქმება გაიგივებულია „გარანტირებულ“ დასაქმებასთან, მენეჯერი ვალდებულია შექქმნას კეთილგანწყობილი გარემო, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებული მიეცეს თვითკმაყოფილებას და არ იზრუნოს საკუთარი მიღწევების გაუმჯობესებაზე.

ჩვენის აზრით, ამ ღონისძიებების გატარება საჯარო/სახელმწიფო სექტორში, კიდევ უფრო აამაღლებს იქ დასაქმებულთა მოტივირებას, მენეჯერებს მისცემს საშუალებას, შეზღუდული სტიმულირების რესურსების გამოყენებით გაამრავალონ მოტივაციის ფორმები, რაც გამოიწვევს იმას, რომ საჯარო სამსახური იქნება არა მხოლოდ პრესტიჟული, არამედ იქ დასაქმებულებს ის პირები, რომელთა მონოდება არის არა მხოლოდ საკუთარი მატერიალური თუ არამატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ დასაქმებულებს ისინი, ვისაც სახელმწიფო სამსახური საზოგადოებისა და ერის მსახურებად მიაჩნია.

**ლიტერატურა/REFERENCES**

- [1] **მაჭავარიანი შ.** - მენეჯმენტის საფუძვლები (თეორიები, კონცეფციები, პრაქტიკული მიდგომები), 2015
- [2] **წულაძე ლ.** - რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, თბ. 2008
- [3] **Abraham H. Maslow** - Motivation and Personality, 3-rd edition, 2008
- [4] **Brian Tracy** - The Four Factors of Motivation, American Management Association, 2016
- [5] **James L. Perry, Annie Hondeghem** - Building Theory and Empirical Evidence about Public Service Motivation - International Public Management Journal, 2008
- [6] **Hosking D.M** – Management and organization, 2013
- [7] **Lambin Jean-J** – Market-Driven management, 2014
- [8] Motivationcivil servants:information and conclusions for practitioners- UNDP Global Centre for Public Service Excellence, 2014
- [9] **Ronald R. Sim** - Organizational Success through Effective Human Resources Management, 2002
- [10] **Сурков С.А** - Построение структуры организации на основе системы мотивации -<https://www.ipppnou.ru/print/000329/>

**კომპანიის მისიის ფორმირების სრულყოფის საკითხები**

**IMPROVING ISSUES OF THE COMPANY'S MISSION FORMATION**

**ბოდერძი შანიძე,**

ბიზნესისა და მართვის დოქტორი, აკაკი  
წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი  
საქართველო, ქუთაისი

**GODERDZI SHANIDZE,**

Associate Professor  
Doctor of Business and Management  
Akaki Tsereteli State University,  
Georgia, Kutaisi

**ანოტაცია**

კომპანიის მისია ყოველთვის ინდივიდუალურია, სწორედ მისია გამოყოფს ერთ კომპანიას სხვებისაგან და ანიჭებს მას თავისებურ განმასხვავებელ ნიშნებს, აძლევს სამოქმედო გეგმას და უჩვენებს განვითარების გზებს.

მოგების მიღება არ შეიძლება იყოს კომპანიის მისია. ზოგჯერ კომპანიები მისიას შეცდომით განსაზღვრავენ, ფორმულირებას აკეთებენ მოგების ტერმინებით. მაგრამ მოგება - ეს უფრო მეტად კომპანიის საქმიანობის შედეგია. მოგება, რომელსაც ჩვენ ვცდილობთ მივიღოთ, არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომელ სფეროში იქნება ეს მოგება მიღებული. კომპანიის მისია, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ მოგებაზე, არ იძლევა საშუალებას განვასხვაოთ ერთი საწარმო მეორისაგან.

კომპანიის მისიის ყველაზე წარმატებული ფორმულირება, უმეტეს წილად გამოხატულია მარტივად, ლაკონურად და გასაგებად. სწორედ ასეთი მიმართვა ახდენს თანამშრომლებზე სასურველ ეფექტს და იწვევს ერთუზიანობას ფირმის სამომავლო კურსის გამო. მსგავსი საქმიანობა მომავალშიც აუცილებელია, რადგანაც ეს საშუალებას აძლევს თანამშრომლებსა და აქციონერებს, უკეთესად გაეცნონ კომპანიის საქმიანობისა და ღირებულებების მთელ არსს.

კომპანიის მისიის არსებობა დროში ყოველთვის შეზღუდულია. დღის წესრიგში სულ ახალ-ახალი საკითხები დგება და ადრინდელი მისია ველარ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს. სწორად დასაბუთებული, კარგად ჩამოყალიბებული მისია, კომპანიისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ მენეჯერულ ელემენტს:

1. ის ახდენს მაღალი დონის მენეჯერების შეხედულებების ჩამოყალიბებას კომპანიის გრძელვადიან გეგმებსა და პერსპექტივასთან დაკავშირებით.

2. ამცირებს ახლო მხედველური მენეჯმენტის და არასწორი გადაწყვეტილებების მიღების რისკებს.

3. გამოხატავს ორგანიზაციის მიზნებს და თანამშრომლებს აძლევს სტიმულს, რათა მათ უკეთ შეასრულონ მათზე დაკისრებული სამუშაო.

4. ეხმარება საშუალო დონის მენეჯერებს ჩამოყალიბონ განყოფილებების მიზნები, ამოცანები და მისწრაფება, შეახამონ თითოეული განყოფილების პოლიტიკა, მთლიანად კომპანიის პოლიტიკასთან და განვითარების მიმართულებასთან კავშირში.

5. აადვილებს კომპანიის მომავლისათვის მზადების პროცესს.

კომპანიები, რომელთაც გააჩნიათ ჩამოყალიბებული მისია და ის სწორად აქვთ ფორმირებული, განვითარებაზე ორიენტირებულნი არიან და უდაოდ აღწევენ წარმატებებს.

**საკვანძო სიტყვები:** კომპანია; სტრატეგია; მისია; მენეჯერი; პერსონალი.

**ABSTRACT**

*The mission of the company is always individual, and the very mission distinguishes one company from others and grants it some peculiar characteristics, gives an action plan and shows the ways of development.*

*Getting the profits cannot be a company's mission. Sometimes companies define the mission in the wrong way, they formulate by profit terms, but the profit mainly is the result of the company's activity. The profit we try to get does not say anything about which area it will be earned. The company's mission, which is focused only on profits, does not allow you to distinguish one enterprise from another.*

*The most successful formulation of the company's mission is expressed in a simple, short and clear way. This is an appeal that has a desirable effect on the staff and causes enthusiasm for the firm's future course. Such activity is also necessary in the future as it allows staff and shareholders to get acquainted with the whole company's activities and values.*

*The presence of company mission is always limited in time. The agenda includes new and new issues and the previous mission cannot keep up with today's demands. And a very well-formed mission is one of the most valuable managerial elements for the company:*

*1. It creates the views of high-level managers related to the company's long-term plans and prospects.*

*2. It reduces the risk factors for close vision management and wrong decisions.*

*3. It expresses the objectives of the organization and encourages the staff to do their job well.*

*4. It assists medium-sized managers to set out goals, objectives and aspirations of the departments, to suit the policy of each department in conjunction with company policies and with the direction of development.*

*5. It facilitates the preparation process for the company's future.*

*The companies which have well-established mission and have formulated it in the right way, are oriented on development and will certainly succeed.*

**Keywords:** company; strategy; mission; manager; Staff.

კომპანიის მისია ყოველთვის ინდივიდუალურია, სწორედ მისია გამოყოფს ერთ კომპანიას სხვებისაგან და ანიჭებს მას თავისებურ განმასხვავებელ ნიშნებს, აძლევს სამოქმედო გეგმას და უჩვენებს განვითარების გზებს.

მოგების მიღება არ შეიძლება იყოს კომპანიის მისია. ზოგჯერ კომპანიები მისიას შეცდომით განსაზღვრავენ, ფორმულირებას აკეთებენ მოგების ტერმინებით. მაგრამ მოგება - ეს უფრო მეტად კომპანიის საქმიანობის შედეგია. მოგება, რომელსაც ჩვენ ვცდილობთ მივიღოთ, არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომელ სფეროში იქნება ეს მოგება მიღებული. კომპანიის მისია, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ მოგებაზე, არ იძლევა საშუალებას განვასხვაოთ ერთი საწარმო მეორისაგან. კომპანია, რომელიც აცხადებს, რომ მისი მიზანია მოგების მიღება, ვალდებულია გასცეს შესაბამის კითხვაზე პასუხი: „რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ მივიღოთ მოგება?“ იმისათვის, რომ გავიგოთ ღირებული ინფორმაცია კომპანიის მისიის თაობაზე, უნდა ვიცოდეთ მათი პასუხი კითხვაზე: “მივიღოთ მოგება: როგორ და ვისთვის?”

კომპანიის დასაბუთებული მისიისა და სტრატეგიული ხედვის ფორმულირებისათვის არსებობს სამი ასპექტი:

1. გაცნობიერება იმისა, ბიზნესის რომელ სფეროში საქმიანობს კომპანია.
2. კომპანიის სტრატეგიული ხედვა და მისია უნდა იყოს მკაფიოდ და ნათლად გადმოცემული.
3. თანადროულად უნდა მოხდეს გადანაცვლებების მიღება სტრატეგიული ხედვისა და მისიის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ზოგჯერ ადვილი არ არის იმის განსაზღვრა, თუ რა ბიზნესით არის დაკავებული ორგანიზაცია. ბიზნესის მიმართულებების სწორად განსაზღვრისათვის, საჭიროა გავითვალისწინოთ სამი ძირითადი ფაქტორი:

1. მომხმარებელთა მოთხოვნილებები, ანუ ის რაც უნდა ვაწარმოოთ.
2. მომხმარებელთა ჯგუფი, ანუ ვისთვის უნდა ვაწარმოოთ პროდუქტი.
3. ტექნოლოგიური და ფუნქციონალური შესრულება, ე.ი როგორ ხდება მომხმარებელთა მოთხოვნილებების და კმაყოფილება.

იმისათვის, რომ გაგაჩნდეს სტრატეგიული ხედვა, კომპანიის მისიის და საქმიანობის სფეროს განსაზღვრის შესაძლებლობა, საჭიროა ზუსტად განსაზღვრო კომპანიის საქმიანი ინტერესების რეალური სფერო.

დივერსიფიცირებული ფირმების მოქმედების სფერო უფრო ფართოა, ვიდრე იმ კომპანიებისა, რომლებიც დაკავებულია მხოლოდ ერთი კონკრეტული საქმიანობით. საერთოდ, კომპანიის მისიის განსაზღვრისას გამოიყენება მიმდინარე ვითარების ზუსტი ფორმულირება კლიენტების, ბაზრისა და ტექნოლოგიის მიმართ, რომელიც ამავდროულად საკმაოდ მოქნილია იმისათვის, რომ შეიტანონ გარკვეული ცვლილებები თავიანთი საქმიანობის გაფართოებაში და ბიზნესის ახალი სფეროების ათვისებაში.

მისიის ფორმულირება უმნიშვნელოვანესია ფუნქციური განყოფილებებისათვის და უზრუნველყოფელი დანაყოფებისათვის. თითოეული განყოფილება გარკვეულად მოიგებს კომპანიის შეთანხმებული დასახული მიზნებიდან, რომელიც გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ მისიის რეალიზაციაში მათ მიერ შეტანილი წვლილი. ხელმძღვანელები, რომლებიც კონსულტაციებს ეწევიან თავიანთ ქვეშევრდომებთან და ზემდგომ ორგანოებთან თუ რა უნდა გაკეთდეს, ასევე რომელ საკითხზე უნდა მოახდინონ კონცეტრირება, უფრო

კარგად ერკვევიან კომპანიის მართვაში. ქვემოთ მოყვანილია სამი მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს თუ მისიის ფორმულირება რა სახით ახდენს, ფირმაში განყოფილების როლისა და ფუნქციის მნიშვნელობის განსაზღვრას: 1. ადამიანური რესურსების განყოფილების დანიშნულებაა კომპანიის წარმატების უზრუნველყოფა თანამშრომელთა შერჩევით, ხელმძღვანელთა მომზადებით, მაღალ ეფექტიანი კოლექტივის შექმნით, აგრეთვე თითოეული თანამშრომლის პოტენციური შესაძლებლობების ამაღლებით. 2. პრეტენზიების განყოფილების მისიაა შეამციროს გადასახდელი კომპენსაციის საერთო ღირებულება, კონკურენტუნარიანი ინსტრუმენტების გამოყენების გზით. 3. უსაფრთხოების სისტემის მისია მდგომარეობს კომპანიის ქონებისა და პერსონალის დაცვის ღონისძიებების გატარებაში.

კომპანიის მისიასთან დაკავშირებული სტრატეგიული ხედვის აღწერა და მისი კარგად გააზრება ყველა მენეჯერისა და თანამშრომლისათვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფირმის საქმიანობის კონცეფციისა და განვითარების გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა. მკაფიოდ ჩამოყალიბებული მისია და ხედვა უნდა ახდენდეს თანამშრომელთა სტიმულირებას, რათა მათ უფრო მეტი პასუხისმგებლობითა და ხარისხიანად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა. თავი უნდა ავარიდოთ თანამშრომლებთან მეტისმეტად გადაჭარბებულ მეგობრულ ურთიერთობას, რადგანაც ამას მივყავართ რეგრესისაკენ და არა პროგრესისაკენ. მენეჯერები უნდა იყვნენ პრინციპულები თავიანთ გამონათქვამებში, რათა მოხდეს თანამშრომლებში პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება, შესრულებული სამუშაოსათვის სიამაყის შეგრძნება და სტიმულირება უკეთესი მუშაობისათვის. ადამიანები ამაცობენ, როცა მათი სამუშაო ასოცირებულია კომპანიის საქმიანობასთან, რომლებიც ისახავენ მიზნებს და ამოცანებს და ისწრაფვიან გაუსწრონ კონკურენტებს.

კომპანიის მენეჯერის მიერ განსაზღვრული სტრატეგია ახდენს თანამშრომელთა მობილიზებას და მიმართავს მათ ძალისხმევას, რომ ისინი არსებობდნენ ბიზნესის ინტერესების სასიკეთოდ. თუ ფირმის მისიაში ხდება გარკვეული ცვლილებების შეტანა, მენეჯერებმა უნდა გაარკვიონ ამის გამომწვევი მიზეზები და უნდა შეეცადოს თანამშრომლებს აუხსნას, რისთვის არის საჭირო ეს ცვლილება. კომპანიაში მომუშავე პერსონალმა უნდა

გაიგოს თუ როგორ იცვლება ბიზნესის გარემო მათ ფირმაში და რას მოიტანს ეს სიახლე, რადგან კომპანიის დანიშნულების უბრალო ფორმულირებას ნაკლები აზრი აქვს და არ გამოიწვევს საქმიანობის გაუმჯობესებას, ფირმაში უკვე არსებული საქმიანი პრაქტიკის სტილის შეცვლას.

კომპანიის მისიის ყველაზე წარმატებული ფორმულირება, უმეტეს წილად გამოხატულია მარტივად, ლაკონურად და გასაგებად. სწორედ ასეთი მიმართვა ახდენს თანამშრომლებზე სასურველ ეფექტს და ინვესტს ენთუზიაზმს ფირმის სამომავლო კურსის გამო. მსგავსი საქმიანობა მომავალშიც აუცილებელია, რადგანაც ეს საშუალებას აძლევს თანამშრომლებსა და აქციონერებს, უკეთესად გაეცნონ კომპანიის საქმიანობისა და ღირებულებების მთელ არსს. მკაფიოდ განსაზღვრული სტრატეგია, აიძულებს ყველას იმუშაოს ახლად შემუშავებული, ინოვაციური გეგმის მიხედვით. როცა ეს მოხდება, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ პირველი ნაბიჯები წარმატებულად არის გადადგმული.

სტრატეგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი, ვალდებულია განსაზღვროს რისკის დონე და განვითარების ალტერნატიული გზები, მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიის მომავალს. დეტალურად დამუშავებული მისია არის წარმატებული მომავლის გარანტია.

კომპანიის მისიის არსებობა დროში ყოველთვის შეზღუდულია. დღის წესრიგში სულ ახალახალი საკითხები დგება და ადრინდელი მისია ვეღარ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს. სწორად დასაბუთებული, კარგად ჩამოყალიბებული მისია, კომპანიისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ მენეჯერულ ელემენტს:

1. ის ახდენს მაღალი დონის მენეჯერების შეხედულებების ჩამოყალიბებას კომპანიის გრძელვადიან გეგმებსა და პერსპექტივასთან დაკავშირებით.
2. ამცირებს ახლო მხედველური მენეჯმენტის და არასწორი გადაწყვეტილებების მიღების რისკებს.
3. გამოხატავს ორგანიზაციის მიზნებს და თანამშრომლებს აძლევს სტიმულს, რათა მათ უკეთ შეასრულონ მათზე დაკისრებული სამუშაო.
4. ეხმარება საშუალო დონის მენეჯერებს ჩამოაყალიბონ განყოფილებების მიზნები, ამო-



ცანები და მისწრაფება, შეახამონ თითოეული განყოფილების პოლიტიკა, მთლიანად კომპანიის პოლიტიკასთან და განვითარების მიმართულებასთან კავშირში.

5. აადვილებს კომპანიის მომავლისათვის მზადების პროცესს.

დასკვნის სახით კი შეიძლება აღვნიშნოთ, რომ კომპანიებს, რომელთაც გააჩნიათ ჩამოყალიბებული მისია და ის სწორად აქვთ ფორმირებული, განვითარებაზე ორიენტირებულნი არიან და უდაოდ აღწევენ ნარმატებებს.

#### ლიტერატურა/REFERENCES

- [1] არტურ ა. ტომპსონი-უმც, ა. ჯ. სტრიკლენდი "სტრატეგიული მენეჯმენტი," გამომცემლობა "შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი," საქართველო 2010 წელი.
- [2] შენგელია თ. "საერთაშორისო მენეჯმენტი", გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი 2012 წელი.
- [3] შუბლაძე გ. მესხია ი. ნანიტაშვილი მ. "საერთაშორისო მენეჯმენტი", გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი 2012 წელი.
- [4] **Braown, Shona L. and Kathleen M. Eisenhardt.** On the Edge: Strategy Structured Chaos. Boston, MA: Harvard Business School Press. 1998.
- [5] **Collins. James C. ...and Jerry I.Porras.** "Building Your Company's Vision." Harvard Business review 74. no. 5(September-October 1996). pp. 65-77.

საქართველოს ღია ეკონომიკის მენეჯმენტის პრობლემები გლობალიზაციის პირობებში

GEORGIA'S OPEN ECONOMIC MANAGEMENT PROBLEMS UNDER GLOBALIZATION

**დავით ქათამაძე,**

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**DAVID KATAMADZE,**

Doctor of Economics,  
Batumi Shota Rustaveli State University  
Associate Professor

**აბსტრაქტი**

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში საქართველო ავითარებს ღია ეკონომიკას, რომლის მართვაც მისი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკებთან მრავალმხრივი საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური, სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკური და სოციალური არხებით ურთიერთდაშორებული ურთიერთობის გამო, რთულდება. ჩვენი ქვეყნის ღია ეკონომიკის წარმატებით მენეჯმენტი მრავალ ეკონომიკურ პრობლემასთან არის დაკავშირებული, რომელთა გადაჭრა ჩვენს ქვეყანას არ შეუძლია დამოუკიდებლად, დანარჩენ სახელმწიფოებთან აქტიური თანამშრომლობის გარეშე.

გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ისეთი მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესთა უფრო მაღალ დონეზე წარმოჩენას და დაცვას. ამ მიზნის მისაღწევად პრაქტიკაში გამოიყენება ღია ეკონომიკის მართვის მრავალი ბერკეტი (სავაჭრო პოლიტიკა, შემოსავლების განაწილების პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საბიუჯეტო პოლიტიკა და ა.შ.), რომელთა შორის მთავრობას შეუძლია შეარჩიოს მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ეკონომიკური ინსტრუმენტები. თითოეული ბერკეტის გამოყენება ცვლის ღია ეკონომიკის მენეჯმენტის ეფექტიანობის დონეს.

ღია ეკონომიკის მართვის მექანიზმის შემუშავების დროს მთავარი ყურადღება უნდა გამახვილდეს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფაზე, რაც დაკავშირებულია ეკონომიკური წონასწორობის პრობლემების ანალიზთან - მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების, დასაქმებისა და ფასების რეგულირებასთან ცვალებად გლობალიზაციის პირობებში. რეალური შემოსავლისა და ფასთა დონის სწორი პროგნოზირებისათვის საჭიროა, ეროვნულ შემოსავალზე, საგარეო ვაჭრობასა და ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების გავლენის ანალიზის მეშვეობით, შემუშავდეს ეკონომიკის სახელმწიფო-პრივი რეგულირების ეფექტური მექანიზმი.

**საკვანძო სიტყვები:** ღია ეკონომიკის მართვა, სავაჭრო პოლიტიკა, შემოსავლების განაწილების პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საბიუჯეტო პოლიტიკა

**ABSTRACT**

*Under the globalization of the global economy, Georgia develops an open economy that is difficult to manage with its partner countries' economies with foreign trade, financial, scientific, technical, political and social channels. Successful management of the open economy of our country is associated with many economic problems that our country can not solve independently, without active cooperation with the rest of the states.*

*Under globalization, the Georgian authorities must adopt such a macroeconomic policy that will contribute to high level of national economic interests. In order to achieve this goal, many leverage of open economy management (trade policy, revenue distribution policy, monetary policy, budget policy, etc.) among which the government can choose the most favorable economic instruments. The use of each leverage changes the level of efficiency of open economy management.*

*During the development of an open economy management mechanism, the focus should be on securing macroeconomic stabilization, which is related to the analysis of economic balance problems - regulating the production, employment and prices of the entire domestic product. The correct mechanism of state regulation of the state economy is required for proper prognosis of real income and prices.*

**Keywords:** Open Economy Management, Trade Policy, Revenue Distribution Policy, Credit Policy, Budget Policy

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში საქართველო ავითარებს ღია ეკონომიკას, რომლის მართვაც მის პარტნიორ ქვეყნებთან მრავალმხრივი საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური, სამეცნიერო-ტექნიკური, პოლიტი-

კური და სოციალური არხებით ურთიერთდამოკიდებულების გამო, ძალიან გართულებულია. ჩვენი ქვეყნის ღია ეკონომიკის წარმატებით მენეჯმენტი მრავალ პრობლემასთან არის დაკავშირებული, რომელთა დამოუკიდებლად გადაჭრა ჩვენს ქვეყანას არ შეუძლია.

საქართველოს ღია ეკონომიკის ურთიერთქმედება სხვა ეკონომიკებთან შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად: ჩვენი ქვეყანა 1. ყიდულობს ან ყიდის აქტივებს მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე; 2. ყიდულობს ან ყიდის საქონელსა და მომსახურებას მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე. საქართველოს წმინდა ექსპორტი ახასიათებს მის სავაჭრო ბალანსში შექმნილ ვითარებას. საქართველოს არა აქვს ჩამოყალიბებული მის პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით სავაჭრო უპირატესობა, რადგანაც მისი წმინდა ექსპორტი უარყოფითია. ჩვენი ქვეყნის ღია ეკონომიკის სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში მიიღწევა დაბალანსებულ საგარეო ვაჭრობას, როცა წმინდა ექსპორტი გაუთანაბრდება 0-ს.

საქართველოში წმინდა ექსპორტის ფორმირებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: 1. მომხმარებელთა გემოვნება ეროვნული და უცხოური საქონლის მიმართ; 2. საქონლის ფასი ქვეყანაში და უცხოეთში; 3. სავალუტო კურსი; 4. საქონლის ტრანსპორტირების ხარჯები; 5. ქვეყანაში გატარებული საგარეო სავაჭრო პოლიტიკა.

საგარეო ეკონომიკურ კავშირთა დაბალანსების მეორე წყაროა კაპიტალის დენადობა, რაზეც გავლენას ახდენს: 1. უცხოური და ეროვნული აქტივების განაკვეთები. 2. უცხოეთში აქტივების ფლობის რისკი. 3. აქტივის ფლობის სამთავრობო პოლიტიკა. საქართველოში სავაჭრო დეფიციტს აბალანსებს აქტივების წმინდა შემოდინება.

გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ისეთი მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესთა უფრო მაღალ დონეზე წარმოჩენასა და დაცვას. ამ მიზნის მისაღწევად პრაქტიკაში გამოიყენება ღია ეკონომიკის მართვის მრავალი ბერკეტი (სავაჭრო პოლიტიკა, შემოსავლების განაწილების პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საბიუჯეტო პოლიტიკა და ა. შ.), რომელთა შორის მთავრობას შეუძლია შეარჩიოს მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ეკონომიკური ინსტრუმენტები. თითოეული ბერკეტის გამოყენება ცვლის ღია ეკონომიკის მენეჯმენტის ეფექტიანობის დონეს.

ღია ეკონომიკის მართვის მექანიზმის შემუშავების დროს მთავარი ყურადღება უნდა გამახ-


ვილდეს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფაზე, რაც დაკავშირებულია ეკონომიკური წონასწორობის პრობლემების ანალიზთან - მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების, დასაქმებისა და ფასების რეგულირებასთან ცვალებადი გლობალიზაციის პირობებში. რეალური შემოსავლისა და ფასთა დონის სწორი პროგნოზირებისათვის საჭიროა ეროვნულ შემოსავალზე, საგარეო ვაჭრობასა და ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების გავლენის ანალიზის მეშვეობით შემუშავდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტური მექანიზმი.

ამრიგად, საქართველოში ღია ეკონომიკის მენეჯმენტს შესაბამისი, მასტაბილიზებელი წინაპირობების ჩამოყალიბება ესაჭიროება. ეს წინაპირობებია კრედიტი-დებეტის, უმუშევრობა-ინფლაციის, დანაზოგები-ინვესტიციების დაბალანსება, რადგანაც იმპორტიც, ექსპორტიც, ფასებიც, ხელფასებიც, დანაზოგებიც და წმინდა უცხოურ ინვესტიციებიც სწორედ ეროვნული შემოსავლის ცვლილებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული შემოსავალი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობაზე, ძირითადად, საქონლის და მომსახურების იმპორტის მხრიდან იმპორტისადმი მაღალი ზღვრული მიდრეკილების გამო. საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი საქონლით ვაჭრობის უარყოფითი სადღოთია განპირობებული. სავაჭრო ბალანსის დეფიციტის გაღრმავებას ხელს უწყობდა იმპორტის ზრდის ტენდენცია. იმპორტის ზრდაში დიდი წვლილი შუალედური საქონლის იმპორტის ზრდამ შეიტანა. საინვესტიციო საქონლის წვლილი იმპორტის ცვლილებაში დადებითია, სამომხმარებლო საქონლის ცვლილება - უმნიშვნელო.

საქართველოში უმუშევრობის დონე იმდენად მაღალია, რომ ერთობლივი მოთხოვნა, უპირველეს ყოვლისა, ზეგავლენას ახდენს რეალურ შემოსავალზე და არა ფასებზე. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი მხოლოდ ერთობლივი მოთხოვნის ზეგავლენას ექვემდებარება. რაც შეეხება ფასების რყევას, ის განიხილება, როგორც მოთხოვნის ცვლილების შედეგად შემოსავლის ცვლილების თანმდევი ეფექტი.


ნახ. 1.-ზე ნაჩვენებია საქართველოს ეროვნული შემოსავლის განონასწორებული დონე A წერტილში, სადაც ეროვნული შემოსავალი შეესაბამება ერთობლივ მოთხოვნას. ეროვნული შემოსავლის 100-ზე ქვევით ვარდნა გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის გადამეტებას პროდუქციის წარმოე-

საქართველოს ერთობლივი მოთხოვნა



ა)  $m = \Delta m / \Delta Y$ ; იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება (აქ იგი 0,7-ია)

საქართველოს წმინდა უცხოური ინვესტიცია



ბ)  $S = \Delta S / \Delta Y$ ; დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება (აქ იგი 0,1-ია)

ნახ. 1. საქართველოს ეროვნული შემოსავლის ნონასწორობა ღია ეკონომიკის პირობებში (ორი ხერხი)

ბაზე, რაც იმით გამოიხატება, რომ ნონასწორობა გადაიხრება A წერტილიდან მარცხნივ. ამ დროს ერთობლივი მოთხოვნის გადამეტება რეალურ შემოსავალზე იმდენად დიდი იქნება, რომ ფირმებს გამოეღვათ რესურსები. ამ პროცესზე ფირმების რეაქცია იქნება წარმოების გაფართოება, ახალი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების შექმნით, რაც უბიძგებს ეკონომიკას დაუბრუნდეს ნონასწორობის A წერტილს. ანალოგიურად ეროვნული შემოსავლის 100-ზე გადაჭარბება ქმნის არასაკმარის მოთხოვნას, მარაგების დაგროვებას, წარმოების შეკეცვას, სანამ ეკონომიკა არ დაუბრუნდება ნონასწორობის სანყის დონეს.

როგორც წესი, პატარა ზომის ქვეყნების (და მათ შორის, საქართველოს) ეროვნული შემოსავალი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე, როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის მხრიდან. ეს იმითაა გამოწვეული, რომ საქართველოს რეალობაში იმპორტს და ეროვნულ შემოსავალს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულების მთავარი პარამეტრია იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია (საქართველოსთვის ის შეადგენს 70%-ს). იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილების მაღალი დონე აუარესებს საქართველოს სავაჭრო ბალანსს. ამის გამო ის ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივ წარმოებაზე ერთობლივი მოთხოვნის ზრდის შიდა მულტიპ-

ლიკაციურ ეფექტს. საქართველოს ეროვნული შემოსავლის იმპორტზე დამოკიდებულების მაღალი დონე რამდენადმე ართულებს ჩვენი ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მენეჯმენტს

ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა და ინვესტირების პროცესი დაკავშირებულია ეროვნული შემოსავლის ნონასწორულ დონემდე მიღწევის მექანიზმთან, სადაც უცხოური სექტორის როლი უნდა ვლინდებოდეს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფაში. საქართველოში დანაზოგების ნაწილი გარდაისახება შიდა ინვესტიციებად, ხოლო დანარჩენი საინვესტიციო დეფიციტი კი ივსება წმინდა უცხოური ინვესტიციების მოდინების ხარჯზე. ნახაზ. 1. ბ)-ზე ამა თუ იმ ქვეყნის დანაზოგების და ინვესტიციების გათანაბრებით წინა პლანზეა წამოწეული ფინანსურ ანგარიშთა ბალანსი ჩვენს შემთხვევაში საქართველოს გააჩნია მისი დეფიციტი.


ღია ეკონომიკის მენეჯმენტის გართულებული მექანიზმის ფონზე საერთაშორისო ვაჭრობაში საქართველოს ჩართვის დონე გავლენას ახდენს მისი ეროვნული შემოსავლის მულტიპლიკატორის სიდიდეზე. თუ საქართველოს ხელისუფლება გაზრდის დანახარჯებს საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე ვთქვათ 100 მლნ. ლარის ოდენობით, მაშინ ამ თანხას მიიღებს მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც მიჰყიდა სახელმწიფოს დამატებითი საქონელი და მომსახურება. ამ თანხ-



ების შემოსავლების ნამატად გადაქცევის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხარჯავენ თავიანთი კეთილდღეობის ნამატს მისი პირველი მიმღები ადამიანები.

ვთქვათ მოსახლეობა ყოველ ნამატ ლარზე 10 თეთრს ზოგავს ( $S = 0,1$ ), 70 თეთრს ხარჯავს იმპორტული საქონლის შეძენაზე ( $m = 0,7$ ), ხოლო 20 თეთრს კი-შიდა პროდუქციის მოხმარებაზე ( $c = 0,2$ ). მაშინ, სახელმწიფოს მიერ დახარჯული 100 მლნ. ლარიდან 10 მლნ. ლარი იზოგება, 70 მლნ ლარი იმპორტზე იხარჯება, ხოლო 20 მლნ. ლარი კი ხმარდება შიდა წარმოებას, რომელიც შემდეგ სტიმულს

აძლევს მოთხოვნის ზრდას. ამათგან დაზოგილი და იმპორტზე გაცემული თანხები შეადგენს დანახარჯების შიდა ნაკადებიდან თანხების „გაჟონვას“. მომდევნო ხარჯებში რჩება მხოლოდ 20 მლნ. ლარი, რაც თავის მხრივ, ხელახლა ნაწილდება - 4 მლნ. ლარი ადგილობრივ ხარჯებზე, 2 მლნ. ლარი - დანაზოგებზე, 14 მლნ. ლარი - იმპორტზე და ა.შ. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო შესყიდვების 100 მლნ. ლარით ზრდა გამოიწვევს შემოსავლის 20 მლნ. ლარით ზრდას, რადგან მულტიპლიკატორის ეფექტი ტოლია  $1/(0,7+0,1)=1,25$ ;



ნახ. 2. საქართველოს სახელმწიფო ხარჯების გავლენა საგარეო ვაჭრობასა და ეროვნულ შემოსავალზე

„საგარეო ვაჭრობის მულტიპლიკატორის“ ეფექტი ღია ეკონომიკაში უფრო მცირეა, ვიდრე ჩაკეტილში, რადგანაც ჩაკეტილ ეკონომიკაში იმპორტი არ არსებობს:  $m = 0$ .  $1/S = 10$ . შიდა ხარჯების ზრდით მულტიპლიკაციური გაფართოების პროცესი ნახ. 2.-ზე ნაჩვენებია  $S - I_d$  მრუდის ქვემოთ გადანაცვლებით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1,25-ის ტოლი მულტიპლიკატორი ინვეს არა მარტო ეროვნული შემოსავლის, არამედ საბოლოო ჯამში უცხოური საქონლის იმპორტის ზრდასაც.

ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება ჩართავს მულტიპლიკატორულ პროცესს, რის შედეგადაც გაიზრდება ეროვნული შემოსავალი. მოსახლეობის შემოსავლების ზრდა გამოიწვევს იმპორტის გაფართოებასაც, რადგანაც საქართველოს მოსახლეობა ასეთ ვითარებაში თავის თავს მისცემს უფრო მეტი უცხოური ნაწარმის შესყიდვის უფლებას. ამის გამო, სავაჭრო ბალანსის გაუარესდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობა უცხოეთიდან იძენს იმ საქონელს, რაც განსხვავდება ადგილობრივისგან.

ვალუტის დევალვაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ცვლ-

ილებაზე. ერთი შეხედვით, ლარის დევალვაციას თითქოს უნდა გამოენჯია საქართველოს ეროვნული შემოსავლის ზრდა, რადგანაც დევალვაცია ხელს უწყობს ექსპორტის ზრდასა და იმპორტის შემცირებას, რასაც უნდა მივეყვანეთ ახალი შემოსავლების ფორმირებამდე. მაგრამ რეალურად ეს ასე არ ხდება, რადგანაც ლარის დევალვაციის გავლენა ეროვნულ შემოსავალზე ბუნდოვანია შემდეგი მიზეზის გამო:

1. ლარის დევალვაციას არ შეუძლია უშუალოდ შეცვალოს ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ბალანსი, რადგან ამ დროს წონასწორობის პირობები ყოველთვის არ სრულდება;
2. ლარის დევალვაცია აიძულებს ჩვენს ქვეყანას ერთეული იმპორტული პროდუქციის შესაძენად გადაიხადოს საქსპორტო ნაწარმის სულ უფრო მეტი ოდენობა;
3. ლარის დევალვაცია დადებით ეფექტს მანამდე ახდენს საქართველოს ეროვნულ შემოსავალზე, სანამ ის სპობს ჩვენი ქვეყნის საგადასახადო ბალანსის დეფიციტს.

თუ ლარის დევალვაციის შედეგად, საქართველოს საგარეო ვაჭრობის პირობები უარესდება,


მაშინ კეთილდღეობის უფრო რეალური საზომი იქნება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რეალური მსყიდველობითი უნარი, და არა უცხოელების მიერ ადგილობრივი ნაწარმის ყიდვის შესაძლებლობა. მსყიდველობითი უნარის დაცემის გააზრების შემდეგ საქართველოს მოსახლეობა შეამცირებს თავის ხარჯებს, რითაც კიდევ უფრო გაამწვავებს ლარის დევალვაციის ნეგატიურ შედეგს. დროის ხანგრძლივ პერიოდში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის პარიტეტის აღდგენასთან ერთად, საქართველოს საგარეო ვაჭრობის პირობები დაუბრუნდება საწყის დონეს.

საქართველოსათვის ლარის დევალვაცია ხელსაყრელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა იგი დროებით გააუარესებს ვაჭრობის პირობებს. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დროის ხანგრძლივ პერიოდში ადგილი აქვს ჩვენი ქვეყნის სავალუტო რეზერვების დანაკარგს, იმ შემთხვევაში, როცა ლარის დევალვაცია, გაუმჯობესების ნაცვლად, გამოიწვევს საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუარესებას, რადგან ყოველივე ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის სავალუტო რეზერვების გამოლევას. ლარის დევალვაცია საქართველოს დაიცავს კაპიტალის მსხვილი დანაკარგებისაგან, რაც გარდუვალი იქნებოდა მაშინ, თუ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტრო დაიწყებდა ოქროსა და სავალუტო რეზერვების გამოყენებას ლარის კურსის ხელოვნურ დონეზე შესანარჩუნებლად.

მაგრამ ლარის დევალვაციას რომც მოეხდინა გადაჭარბებული ეფექტი საქართველოს საგადასახადო ბალანსზე და ძვრები წარემართა დადებითი სალდოს ფორმირებაზე, მაშინ წარმოიქმნებოდა სხვა სახის პრობლემა: ეროვნულ ბანკს დაუგროვებოდა დიდი ოდენობით სავალუტო რეზერვი, რომლის ფასიც გრძელვადიან პერსპექტივით მათ დღევანდელ ხელოვნურად მაღალ ფასთან შედარებით გაუფასურდებოდა

არანონასწორულ ფასად უცხოური ვალუტის ზედმეტად ჭარბად შექმნასთან დაკავშირებული დანაკარგის შესაძლებლობა იმას მოასწავებს, რომ ლარის დევალვაცია საქართველოს ეროვნულ შემოსავალს მხოლოდ მანამდე გააუმჯობესებს, სანამ მოსპობს საგადასახადო ბალანსის დეფიციტს. ამრიგად, მივიღეთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაზე ლარის დევალვაციის დადებითი გავლენის შემდეგი პირობები: ლარის დევალვაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში გააუმჯობესებს საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივ კეთილდღეობას თუ ის: 1. არ გააუარესებს ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ბალანსს; 2. არ გააუარესებს საქართველოს საგარეო ვაჭრობის პირობებს; 3. და შეამცირებს ჩვენი ქვეყნის სავალუტო რეზერვების წმინდა დანაკარგს.

ამრიგად, თუ თავდაპირველად ლარის დევალვაცია გააუმჯობესებს საქართველოს სავაჭრო ბალანსს და ეროვნულ შემოსავალს, აღმოჩნდება, რომ დროის ხანგრძლივ პერიოდში ეს გამაუმჯობესებელი ეფექტი რამდენადმე შემცირდება კიდევ.



ნახ. 4. ლარის დევალვაცია და სავაჭრო ბალანსი ეროვნული შემოსავლების ცვლილების დროს

ნახ. 4.-ზე ნაჩვენებია საქართველოს ეროვნულ შემოსავალზე ლარის დევალვაციის მულტიპლიკაციური გავლენა. თავიდან ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში ვითარების გაუმჯობესება ხდება ერთი წლის განმავლობაში (10 ერთეულით). მაგრამ მოგვიანებით ეს გამაუმჯობესებელი ეფექტი რამდენადმე შემცირდება (-10 ერთეულიდან - 7 ერთეულამდე) შემცირდება, რაც იმპორტის ზრდით არის გამოწვეული.


ნებისმიერ ფაქტორს, რომელიც გააუარესებს ჩვენი ქვეყნის სავაჭრო პირობებს, შეუძლია დააქვეითოს ადგილობრივ მომხმარებელთა რეალური მსყიდველობითი ძალა, ეროვნული შემოსავლების ვარდნის გარეშეც კი. რადგანაც ლარის დევალვაციას ასეთი შედეგები შეიძლება ახლდეს, ამიტომ მას შეუძლია დააქვეითოს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა რეალური კეთილდღეობის დონე. საქართველოში ლარის კურსის ერთ დონეზე

ფიქსაციის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა ეროვნული ეკონომიკის ერთდროულად შიდა და გარე წონასწორობის მიღწევა, რადგანაც ლარის ხელოვნურად მყარი კურსის ფიქსირებულად შენარჩუნების მცდელობაში, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ბანკს მალევე გამოეღოდა უცხოური ვალუტის რეზერვები და ადრე თუ გვიან მაინც მოუწევდა ლარის ფიქსირებული კურსის ხელოვნურად შენარჩუნებაზე უარის თქმა, რასაც თან დაემატებოდა სპეკულიანტების მხრიდან ცალმხრივი შეტევის მცდელობაც და მოსახლეობის მხრიდან ლარის თავიდან მოშორების პანიკური ქმედებაც.

ამიტომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება გადავიდა ლარის კურსის თავისუფალი ცურვის რეჟიმზე. რადგანაც საქართველოს ეკონომიკა ღიაა დანარჩენი მსოფლიოსათვის ვაჭრობისა და კაპიტალის დენადობის თვალსაზრისით. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მოქმედების მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ღია ეკონომიკის მართვის სფეროში წარმოქმნილი იმ პრობლემების პრე-

ვენცია და აღმოფხვრა, რასაც ის აწყდება ლარის მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის მოქმედების პირობებში.

სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ამტკიცებენ, რომ საქართველოს ეკონომიკის შიდა და გარე წონასწორობის ერთდროულად მიღწევის ერთ-ერთი რეალური გზაა „ნება მიეცეს ლარის კურსს თვითონ მოაგვაროს“ გარე წონასწორობა, ხოლო მთელი მაკროეკონომიკური ძალისხმევა კი მომართული იყოს მხოლოდ ერთი პრობლემის - ჩვენი ქვეყნის შიდა წონასწორობის მისაღწევად. თუ საქართველოს ეკონომიკის გარე დისბალანსის პრობლემის აღმოფხვრას მივანდობთ ლარის კურსის თავისუფლად ცურვის რეჟიმზე გადასვლას, მაშინ ამას ერთი შეხედვით თითქოს უნდა გამოენჯია ღია ეკონომიკის მართვის ბევრად უფრო გაადვილდება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის შესაბამის, ადექვატურ ინსტრუმენტთა გამოყენების მეშვეობით.



ნახ. 5. საქართველოს ღია ეკონომიკის მაკრომოდელი მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის დროს


ამ მნიშვნელოვანი და პოლიტიკურად სადავო საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა გაირკვეს საქართველოს ეკონომიკის რეაქცია მაკროეკონომიკურ შოკთა მიმართ მცურავი კურსების სისტემის პირობებში. რა სახის გადაწყვეტილება ბევრად უფრო ნაკლებად მგრძობიარეს გახდის ჩვენი ქვეყნის ერთობლივ მოთხოვნას ამა თუ იმ შოკის მიმართ, სწორედ ის გადაწყვეტილება უნდა გამოიყენოს საქართველოს ხელისუფლებამ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად. ფიქსირებულ და მცურავ სავალუტო კურსთა

სისტემების ურთიერთშედარებითი ანალიზის ჩასატარებლად საჭიროა გამოყენებული იქნეს ღია ეკონომიკის მართვის მაკრომოდელი.

ლარის კურსი, საქონლისა და მომსახურების უცხოეთში ან საქართველოში ყიდვასთან დაკავშირებულ სამომხმარებლო არჩევანზე ზეგავლენის მეშვეობით, აწონასწორებს სავალუტო ბაზარს. მსგავსი არჩევანის გაკეთება გავლენას ახდენს ადგილობრივ საქონელზე არსებული მოთხოვნის ჩამოყალიბებაზე. მაგალითად., მიმდინარე ეკონომიკურმა დაცემამ შეიძლება მოითხოვოს მასტიმულირებ-

ელ ღონისძიებათა გატარება. თუ მთავრობა ახლო მომავალში მოელის ციკლის შემობრუნებას და ცემიდან აღმავლობისაკენ, მაშინ მან არ უნდა მოახდინოს ეკონომიკის სტიმულირება, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის ზრდა დაინყებოდა მხოლოდ დიდი დროის გასვლის შემდეგ, რაც ხელს შეუწყობდა ინფლაციის დაჩქარებასა და ეკონომიკას ამით

კიდევ უფრო გამოიყვანდა წონასწორობიდან, ასე რომ საქართველოს რეალობაში ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკის გატარების საკითხები ერთობ ჩახლართულია. ამ შემთხვევაში საჭიროა რეგულირების ისეთ ინსტრუმენტთა შემოღება, რომლის გამოყენების დროსაც სტაბილიზაციის პოლიტიკის გატარება ავტომატური იქნებოდა.



ნახ. 6. საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტიმულირების გავლენა ღია ეკონომიკის მართვაზე მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში

იმის დასადგენად, თუ რომელი (ფიქსირებული, თუ მცურავი) სავალუტო სისტემა დაიცავს საქართველოს ეკონომიკას შიდა და გარე შოკებისაგან, საჭიროა განვიხილოთ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკურ წონასწორობაზე მცურავ სავალუტო კურსთა სისტემაში. ამ დროს ფულადი პოლიტიკა გავლენას ახდენს შემოსავალზე; ამის გასარკვევად პირობითად გავზარდოთ ლარის მინოდება.

ეს დასკვნა სამართლიანია კაპიტალის მიგრაციის მობილურობის ხარისხის მიუხედავად. კაპიტალი თავისუფლადაც რომ მოძრაობდეს საქართველოს და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის ფულადი პოლიტიკის გავლენა ლარის მცურავ კურსთა მოქმედების დროს მაინც უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა. ფულის მასის გაფართოება კვლავ გამოიწვევდა ლარის გაუფასურებას. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებდა აგრეგირებული მოთხოვნის შემდგომ ზრდას. იმის მიუხედავად, მიეყავართ, თუ არა კაპიტალის სრულ მობილობას სარგებლის განაკვეთის ფიქსაციამდე, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით საქართველოს ეროვნული შემოსავლის გაკონტროლების მცდელობა არ იქნებოდა უსარგებლო ჩვენი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე.


საბიუჯეტო პოლიტიკის მიერ ეროვნულ შემოსავალზე მოხდენილი გავლენის შედეგების ანალიზი ლარის მცურავი კურსის სისტემის ფუნქციონირების დროს უფრო რთულია, რადგანაც მას შეუძლია ნებისმიერი მიმართულებით იმოქმედოს გადასაცვლელ კურსზე. სახელმწიფო შესყიდვების

(G) ზრდა ან გადასახადების შემცირება გაზრდის ერთობლივ ხარჯებსა და ეროვნულ შემოსავალს. ამას შედეგად მოჰყვება იმპორტის გაფართოება და სავაჭრო ბალანსის გაუარესება, ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნა. ამავე დროს საბიუჯეტო ექსპანსია ზრდის სარგებლის განაკვეთს, მთავრობის მიერ სესხების შეზღუდვის კვალობაზე. უფრო მაღალი სარგებლის განაკვეთი მოიზიდავს კაპიტალს საზღვარგარეთიდან.. ამიტომ იქმნება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: 1. ერთობლივი მოთხოვნის ზრდა, რაც აქვეითებს ლარის კურსს; 2. კაპიტალის მოდინება, რომელიც დროებით ამყარებს ლარის კურსს.

სავარაუდოა, რომ პირველი ტენდენცია დაძლევს მეორეს, რადგანაც ერთობლივი მოთხოვნის ეფექტი უფრო ძლიერი და ხანგრძლივი აღმოჩნდება, ვიდრე კაპიტალის მოდინების ეფექტი, რადგანაც კაპიტალის მოდინების ეფექტი ნეიტრალდება შემდგომში ამ კაპიტალზე სარგებლის განაკვეთის სახით, ვალის ძირითადი ნაწილის და ვადაგადაცილების თანხების (თუ იქნება ასეთი ფაქტი) ქვეყნიდან გადინებით.

შედეგად საბიუჯეტო პოლიტიკამ უნდა გამოიწვიოს ლარის კურსის დაცემა და ამ გზით შექმნას საგარეო ვაჭრობაზე დამატებითი ბაზირებული სტიმული სამამულო წარმოების წასახალისებლად. როდის არის ეროვნული შემოსავალი უფრო სტაბილური ფიქსირებული, თუ მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში? ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკას რომ შეეძლოს





ნახ. 7. საქართველოს საბიუჯეტო პოლიტიკის სტიმულირების გავლენა ღია ეკონომიკის მართვაზე მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში

ეროვნული ეკონომიკის შიდა წონასწორობის უმტკივნეულო სტაბილიზება, მაშინ ამ კითხვაზე პასუხი ნათელი იქნებოდა. ეს პოლიტიკა რომ უფრო ეფექტიანი ყოფილიყო ლარის მცურავი კურსის დროს, მაშინ ლარის მცურავი კურსი საშუალებას მისცემდა მარეგულირებელ ორგანოებს უფრო სტაბილურად შეენარჩუნებინათ ეკონომიკის შიდა წონასწორობა.

ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე ძალზე არასრულყოფილია (ბუნდოვანია) ხშირად უცოდინრობის, თუ პოლიტიკური მიზეზებით. მას ეროვნული ეკონომიკის დესტაბილიზაციამდე მივყავართ.

ამრიგად, გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ღია ეკონომიკის მენეჯმენტის მიზნით საჭიროა რეგულირების ისეთ ინსტრუმენტთა შემოღება, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც სტაბილიზაციის პოლიტიკის გატარება ავტომატური იქნებოდა და ნაკლებად გახდებოდა დამოკიდებული ოფიციალურ ორგანოთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე (რაც ხშირად მცდარია). ერთ-ერთ ასეთ ქმედით ინსტრუმენტად მიჩნეულია პროგრესული საგადასახადო სისტემის შემოღება, რომლის დროს ავტომატური სტაბილიზატორები ისეა ჩაშენებული ერთობლივ მოთხოვნაში, რომ შემოსავლების ზრდის ძირითადი წილი ავტომატურად მიდის გადასახადების ზრდაში.

ამრიგად მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ფონზე საქართველოს ღია ეკონომიკის წარმატებით მენეჯმენტის მიზნით საჭიროა გატარდეს ღონისძიებები:

1. ეროვნულმა ბანკმა უნდა გაატაროს ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კომერციული ბანკებისთვის საკრედიტო ხაზების გაფართოების, სარგებლის განაკვეთის დაქვეითებისა და საბანკო სფეროში კონკურენციის განვითარების გზით,

2. ჩვენი ქვეყნის მთავრობამ უნდა გაატაროს მკაცრი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, რათა იმპორტისადმი მაღალი ზღვრული მიდრეკილების გამო, შემცირდეს იმპორტის დაფინანსება და ამ გზით თანხების საზღვარგარეთ „გაჟონვა“;

3. უნდა მოხდეს იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის რაციონალიზაცია, მის მიმართ არასატარიფო ბარიერების შემოღების გზით, რათა შემცირდეს იმპორტის მოცულობა და შემორჩეს მხოლოდ პირველადი მოხმარების პროდუქციის იმპორტი;

4. უნდა მოხდეს ექსპორტის ორგანიზაციული მხარდაჭერა, ექსპორტის დაზღვევა, ქართული პროდუქციის მსოფლიო ცნობადობის ამაღლება სწორი მარკეტინგული სტრატეგიის, ეფექტური რეკლამის შემუშავებისა და რეალიზაციის გზით;

5. აგრეთვე უნდა მოხდეს განახლებული, მოდფიცირებული მსოფლიო მოთხოვნის გამოვლენა, ხოლო მოთხოვნადი საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალს შორის უნდა შეირჩეს ის საქონელი და მომსახურება, რომელთა წარმოებაშიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია ერთგვარი, შეფარდებითი ბუნებრივი ან შექმნილი უპირატესობა;

6. უნდა დაინერგოს პროგრესული საგადასახადო სისტემა, რათა მოხდეს უსა-მართლოდ განაწილებული შემოსავლების ხელახალი, სამართლიანი გადანაწილება.

**ლიტერატურა/REFERENCES**

[1] ასლამაზაშვილი ნ. საგარეო ვაჭრობა. თსუ-ს გამომცემლობა. თბ. 2003 წ., გვ. 188;  
 [2] კრუგმანი პ. მაურის ოფსვილდი. საერთაშორისო ეკონომიკა. თბ., 2017 წ. გვ. 500;  
 [3] ლინდერტი პ. ჰ. საერთაშორისო ეკონომიკა. “სიახლე” თბილისი 2009 წ. გვ. 365;  
 [4] ქათამაძე დ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. ბათუმი 2008 წ. გვ. 400;  
 [5] Международные экономические отношения. Учебник. \Под ред. Б. М. Смитиенко. Москва. Изд. «ИНФРА—М». 2005 г. 514—с.

**კერძო უნივერსიტეტის სტუდენტების დროის მენეჯმენტი**

**TIME MANAGEMENT OF PRIVATE UNIVERSITY STUDENTS**

**ნატალია ხარაძე,**

ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი, საქართველო, თბილისი

**დავით დუგლაძე,**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**NATALIA KHARADZE,**

PhD in Economics, Manager of HPML, Professor of TSU, Georgia, Tbilisi

**DAVIT DUGLADZE,**

PhD Student of GTU

**ანოტაცია**

კვლევის მიზანია კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა დროის მენეჯმენტის თავისებურებების დადგენა. გასულ წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანთა პოტენციალის მართვის ლაბორატორიამ მსგავსი კვლევა ჩაატარა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების მაგალითზე. ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენა რა თავისებურებებით გამოირჩევიან კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები დროის მართვის კუთხით. კვლევა დასრულებულია და ეტაპობრივად ვაპირებთ გამოვაქყნოთ ის თავისებურებები, რომელიც სტატისტიკური ანალიზის შედეგად მივიღეთ/ მოცემულ სტატიაში კი შევჩვენებთ, მხოლოდ კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა დროის მენეჯმენტის შედარებით ანალიზს. მიღებული საბოლოო შედეგები საშუალებას მოგვცემს რეკომენდაციებით დავეხმაროთ როგორც სახელმწიფო სასწავლებელს კერძო უნივერსიტეტის სტუდენტებს.

**საკვანძო სიტყვები:** დროის მენეჯმენტი, კერძო უნივერსიტეტი, თავისუფალი დროის მართვა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი

**ABSTRACT**

The goal of the research is to identify time management peculiarities of private university students. Last year The Human Potential Management Lab at Ivane Javakhishvili Tbilisi State University conducted the similar research on the example of Georgian state universities. Our goal was to see what the characteristic features of the private university students are in terms of time management. The research is completed and we are going to publish the characteristics we received as a result of the statistical analysis step by step. In this article we will discuss only the comparative analysis of private university students' time management. The final results will allow us to make recommendations for state as well as private university students.

**Keywords:** time management, private university, free time management, human resources management

სტუდენტობის ასაკში დროის მენეჯმენტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნების განვითარების უნარზე არა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე. ნაშრომის მიზანია დროის ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე დავადგინოთ რამდენად გააზრებულად ვითარდებიან სტუდენტები და ანალიზებენ დროს დასახული მიზნებიდან გამომდინარე. სტუდენტთა დროის ბიუჯეტის სიღრმისეული კვლევა აქტუალურია, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ ქვეყნის პოტენციურ შრომით რესურსს. ჯანსაღი შრომითი რესურსის არსებობა კი განსაზღვრავს ორგანიზაციის და ქვეყნის ხანგრძლივადიანი განვითარების პოტენციალს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულმა კვლევამ გადაგვანყვეტინა მსგავსი კვლევის ჩატარებს კერძო სექტორში. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დროის ბიუჯეტის კვლევაზე გამოიცა მონოგრაფია „მაგისტრანტთა დროის მენეჯმენტი“ (ხარაძე & გულუა, მაგისტრანტთა დროის მენეჯმენტი, 2018), ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში სტატიები: „Impact of Time Management on Personal Development of Master's Degree Students“ (Ekaterine & Kharadze, 2017) „Free-Time Management among Master's Degree Students of Georgia“ (Natalia, Gulua Ekaterine, & Dugladze, 2017) „Time Management Peculiarities Based on Gender“ (Kharadze, Natalia; Gulua, Ekaterine, 2017)

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტების დროის მართვის თავისებურებები“ (ნატალია & გულუა, 2017) „მაგისტრანტთა თვითმენეჯმენტის თავისებურებები საქართველოში“ (Kharadze, Natalia; Gulua, Ekaterine, 2016); „დროის მენეჯმენტის გამოწვევები ახალგაზრდა მეცნიერებში“ კიდევ უფრო ადრე

2005 წელს თითქმის ათ წელზე მეტი გავიდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა მცირე ზომის კვლევა და გამოიცა ბროშურა „სტუდენტთა დროის ბიუჯეტი“ (ხარაძე & ბადრიძე, სტუდენტთა დროის ბიუჯეტი, 2005) დროის სწორ მართვაზე ასევე გავლენას სხედენს ორგანიზაციული კულტურა (Gulua, Ekaterine; Kharadze, Natalia, 2018); (Gulua, Ekaterine; Kharadze, Natalia, 2014) და konflikturi situaciebi (Kharadze, Natalia; Gulua, Ekaterine, 2018).

ჩვენთვის საინტერესო იყო გვეჩვენა რა თავისებურებები ახასიათებს კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებს და როგორ ახდენენ ისინი საკუთარი დროის რესურსის განაწილებას. ასევე მოგვჩვენა შედარებით ანალიზი სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტის სტუდენტების თავისებურებებზე. რამდენად არის განსხვავება მათი შრომის ორგანიზაციის კუთხით, აგრეთვე შევადარებთ წლების წინ ჩატარებული კვლევის შედეგებს რათა დავადგინოთ რა გავლენა იქონია ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოჭრამ სტუდენტთა ცხოვრებაში, როგორ აისახა იგი მათი დროის ბიუჯეტზე.


კვლევამ მოიცვა თბილისში მოქმედი 4 კერძო უნივერსიტეტი: ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი-გაუ (GAU); კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი-(CU); კავკასიის უნივერსიტეტი (C) და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი-სეუ (SEU).

კვლევა ჩატარდა ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე რომელიც მოიცავდა 34 კითხვასა და პასუხის 111 ვარიანტს. შედეგები დამუშავდა SPSS პროგრამაში. მოვახდინეთ საინტერესო ჰიპოთეზების ფორმულირება.

რესპოდენტთა საერთო რაოდენობა იყო 520 სტუდენტი. მათ შორის გაუ-ს სტუდენტთა რაოდენობა იყო 23,3%, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 23,8%, კავკასიის უნივერსიტეტის 30,2% და სეუ-ს უნივერსიტეტის სტუდენტთა 22,7 %.

მოცემულ სტატიაში გავანალიზებთ კერძო უნივერსიტეტების რესპოდენტთა შედარებით ანალიზს და დავადგინოთ რა თავისებურებებით ხასიათდება თითოეული უნივერსიტეტის რესპოდენტთა დროის მენეჯმენტი. შერჩეული უნივერსიტეტების მიხედვით გაუ-ში გამოკითხულ რესპოდენტთა 73,6 % იყო მდებარი 26.4 % მამრობითი სქესის წარმომადგენელი. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში 41.1% მდებარობითი სქესის წარმომადგენელი ხოლო 58.1% მამრობითი. კავკასიის უნივერსიტეტში 70.7% მდებარობითი ხოლო 29.3% მამრობითი. სეუ-ში 45.8% მდებარობითი 54.2% მამრობითი. გაუ-სა და კავკასიის უნივერსიტეტში ჭარბობდნენ მდებარობითი სქესის რესპოდენტები სხვა დანარჩენ შემთხვევაში რესპოდენტთა რაოდენობა სქესის მიხედვით თითქმის თანაბრად გადანაწილდა იხილეთ დიაგრამა 1.

დიაგრამა 1. რესპოდენტთა განაწილება სქესის მიხედვით




გამოკითხული რესპოდენტები ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა. გაუ-ში გამოკითხულ რესპოდენტთა 70.2% იყო ბაკალავრი 29.8% მაგისტრანტი.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში 87.9% ბაკალავრი 12.1 % მაგისტრანტი. კავკასიის უნივერსიტეტში ბაკალავრიატის სტუდენტების რაოდენობა იყო 59.2% მაგისტრანტების 40.8%

ხოლო სეუს რესპოდენტებს შორის მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა 83.9% ბაკალავრი 16.1% მაგისტრანტი. ბუნებრივია ბაკალავრიატის სტუდენტების რაოდენობა რესპოდენტებში ქარ-

ბობს ვინაიდან ნებისმიერ უნივერსიტეტში მათი საერთო რაოდენობა გაცილებით მალაია მაგისტრანტების საერთო რაოდენობაზე. იხილეთ დიაგრამა 2.


დიაგრამა 2. რესპოდენტთა განაწილება უნივერსიტეტებს შორის სწავლების საფეხურის მიხედვით



უნივერსიტეტების მიხედვით საინტერესო იყო რამდენად ყოფნიდათ მათ დროის რესურსი იმ საქმეების გასაკეთებლად, რომელიც დაგეგმილი ჰქონდათ. აღმოჩნდა, რომ გაუ-ს სტუდენტების 7.4% მთლიანად ყოფნიდათ მათ ხელთ არსებული დროის რესურსი, ხოლო 92.6% ზოგჯერ ან არასდროს ყოფნით მათ ხელთ არსებული დროის რესურსი. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 14.5% მთლიანად ყოფნით დროის რესურსი, ხოლო 85.5% ზოგჯერ ან თითქმის არასდროს ყოფნით დროის რესურსი. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებს 30.6% მთლიანად ყოფნით

მათ ხელთ არსებული დროის რესურსი ხოლო 69.4% ზოგჯერ ან თითქმის არასდროს. სეუს-ს სტუდენტების შემთხვევაში 16.1% მთლიანად ყოფნის დროის რესურსი 83.9% ზოგჯერ ან არასდროს ყოფნის დრო. საინტერესოა ის ფაქტი. რომ კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების თითქმის 2 ჯერ მეტ რაოდენობას მთლიანად ყოფნის დრო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტებსა და სეუს-ს უნივერსიტეტების სტუდენტებთან შედარებით, ხოლო გაუ-ს უნივერსიტეტთან შედარებით 4ჯერ უკეთესი მაჩვენებელი აქვს. იხილეთ დიაგრამა 3.

დიაგრამა 3. გყოფნით თქვენი ყოველდღიური სამუშაო დრო იმ საქმეებისთვის, რომლის გაკეთებასაც აპირებთ?



გამოკითხულ რესპოდენტებს შორის გაუ-ს სტუდენტთა 28.1% იყო დასაქმებული 71.9% კი დაუსაქმებელი. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში 17.7% დასაქმებული 82.3% დაუსაქმებ-


ლი. კავკასიის უნივერსიტეტში 43.3% დასაქმებული, ხოლო 56.7% დაუსაქმებელი. სეუს-ს გამოკითხული რესპოდენტების 20.3% არის დასაქმებული 79.7% კი დაუსაქმებელი. როგორც მონაცემებიდან



ირკვევა კავკასიის უნივერსიტეტის რესპოდენტების გაცილებით მეტი ნაწილი არის დასაქმებული და სხვა უნივერსიტეტთან შედარებით ლიდერულ

პოზიციას იკავებს. ყველაზე ნაკლები რაოდენობის რესპოდენტი კი დასაქმებული ჰყავს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს. იხილეთ დიაგრამა 4


დიაგრამა 4. რესპოდენტთა დასაქმების მდგომარეობა



საინტერესოა როგორია თითოეული უნივერსიტეტის მიხედვით რესპოდენტთა ლექცია სემინარების მომზადებაზე დახარჯული დრო. როგორც მონაცემებიდან ირკვევა გაუ-ს სტუდენტების 14% ერთ საათს ანდომებს ლექცია სემინარების მომზადებას. 2-3 საათს 60.3% ხოლო 3 საათზე მეტს ანდომებს 25.7%. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მონაცემები კი შემდეგნაირად გადანაწილდა. 71.8%; 23.4%; 4.8%. კავკასიის უნივერსიტეტის შემთხვევაში კი აღნიშნული მონაცემები შემდეგი სახით ნაწილდება 24.2%;

68.2%; 7.6%. სეუ-ს შემთხვევაში კი 56.8%; 38.1%; 5.1%. შედარებითი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ლექცია სემინარების მომზადებაზე 3 საათზე მეტ დროს ყველაზე ხშირად უთმობენ გაუ-ს უნივერსიტეტის სტუდენტები, მას მოჰყვება კავკასიის უნივერსიტეტი და ყველაზე დაბალ პოზიციაზე იმყოფება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. შეიძლება ვივარაუდოთ რომ გაუ-ს სტუდენტები ყველაზე უფრო პასუხისმგებლობით ეკიდებიან ლექცია სემინარების მომზადებას. იხილეთ დიაგრამა 5.

დიაგრამა 5. დღის მანძილზე რა დროს ანდომებთ ლექცია-სემინარების მომზადებას?




საინტერესოა, რამდენად იყენებენ დამატებით სახელმძღვანელოებს სხვადასხვა უნივერსიტეტების რესპოდენტები. გაუ-ს სტუდენტების გამოკითხულ რესპოდენტთა 28.9% სარგებლობს

დამატებითი ლიტერატურით ზოგჯერ და თითქმის არასდროს 71.1%. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 8.9% სარგებლობს დამატებითი ლიტერატურით, ხოლო 91.1% ზოგჯერ და თითქმის

არასდროს. კავკასიის უნივერსიტეტის 28.7% ხშირად 71.3% ზოგჯერ ან თითქმის არასდროს. ხოლო სეუ-ს უნივერსიტეტის გამოკითხულ რესპოდენტთა შორის 13.6% ხშირად სარგებლობს დამატებითი ლიტერატურით, ხოლო 86.4% ზოგჯერ და თითქმის არასდროს. როგორც შედარებითი ანალიზის შედე-

გად ირკვევა სიღრმისეული განათლების მიმართ დამოკიდებულება გაცილებით მაღალია გაუ-სა და კავკასიის უნივერსიტეტების რესპოდენტთა შორის, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში. იხილეთ დიაგრამა 6.


დიაგრამა 6. სასწავლო დისციპლინების მომზადებისას სარგებლობთ დამატებითი სახელმძღვანელოებითაც?



როგორია ლექცია სემინარებზე დასწრების მაჩვენებელი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დღეში ერთ ლექციას ესწრება გაუ-ს სტუდენტთა 6.6% 2 ლექციას 46.3% ხოლო 3 ლექციას 47.1%. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რესპოდენტთა მაგალთზე მონაცემები შესაბამისად გადანაწილდა-4.8%; 80.6%; 14.5%. კავკასიის უნივერსიტეტის მაგალითზე- 7%; 61.1%; 31.8%; სეუ-ს რესპოდენტთა შემთხვევაში- 2.5%; 76.3%; 21.2%. დღის მანძილზე 3

საათი ლექციაზე ყოფნა არის დადებითი მაჩვენებელი და საუკეთესო მდგომარეობა დაფიქსირდა გაუ-სა და კავკასიის უნივერსიტეტებში. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტებში. როგორც ხედავთ თითქმის ყველა მონაცემებში გაუ-ში არის ლიდერულ პოზიციაზე, ხოლო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯერჯერობით ყველა მაჩვენებელში ბოლო ადგილზეა. იხილეთ დიაგრამა 7.

დიაგრამა 7. დღეში რამდენი საათი ხართ ლექციაზე?




დროის გამოყენებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვადასხვა პერიოდის დაგეგმვის სიხშირე,

ამიტომ შევისწავლეთ თუ რამდენად გეგმავენ დროის მოკლე და გრძელვადიან პერიოდებს რე-

სპოდენტები, კვლევამ გვიჩვენა, რომ დღეს ხშირად გეგმავენ გაუ-ს სტუდენტების 47.9% ხოლო ზოგჯერ და თითქმის არასდროს 52.1%. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გამოკითხულ რესპოდენტთა 37.1% ხშირად გეგმავს სამუშაო დღეს, ხოლო 62.9% ზოგჯერ ან თითქმის არასდროს. კავკასიის უნივერსიტეტის შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა-33.8% და 66.2%. სეუ-ს შემთხვევაში- 15.3% და 84.7%. როგორც ვხედავთ დღის დაგეგმვას ყველაზე ხშირად გაუს სტუდენტები ახდენენ, ხოლო ყველაზე ნაკლებად სეუ-ს სტუდენტები. იხილეთ დიაგრამა 8.

დიაგრამა 8 გეგმავთ თქვენს სამუშაო დღეს?



კვირის პერიოდის დაგეგმვას ხშირად ახერხებენ გაუს გამოკითხულ რესპოდენტთა 18.2% ხოლო ზოგჯერ და თითქმის არასდროს 87.8%. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 8.1% ხშირად ხოლო 91.9% ზოგჯერ ან თითქმის არასდროს. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტები 17.2% და 82.8%. სეუს -10.2% და 89.8%. ანალიზის შედეგად ირკვევა რომ კვირის პერიოდების დაგეგმვაშიც ლიდერულ პოზიციას გაუს სტუდენტები იკავებენ ხოლო ყველაზე ნაკლებად კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები გეგმავენ კვირას.

ერთ თვიანი პერიოდის დაგეგმვას ხშირად ახერხებენ გაუს სტუდენტთა 7.4% ხოლო ზოგჯერ ან თითქმის არასდროს გეგმავს სამუშაო თვეს 92.6%. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 3.2% ხშირად გეგმავს სამუშაო თვეს, ხოლო 96.8% ზოგჯერ ან თითქმის არასდროს. კავკასიის უნივერსიტეტის 7.6% ხშირად გეგმავს სამუშაო თვეს და 92.4%. თითქმის არასდროს. ხოლო სეუ-ს 4.2% ხშირად გეგმავს სამუშაო თვეს და 95.8% ზოგჯერ ან თითქმის არასდროს. ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ერთთვიანი პერიოდის დაგეგმვის კუთხით ყველა უნივერსიტეტს დაახლოებით ერთნაირი მდგომარეობა აქვს.


ერთწლიანი პერიოდის დაგეგმვას ხშირად ახდენენ გაუს სტუდენტთა გამოკითხულ რედ-

კავსიის უნივერსიტეტის შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა-33.8% და 66.2%. სეუ-ს შემთხვევაში- 15.3% და 84.7%. როგორც ვხედავთ დღის დაგეგმვას ყველაზე ხშირად გაუს სტუდენტები ახდენენ, ხოლო ყველაზე ნაკლებად სეუ-ს სტუდენტები. იხილეთ დიაგრამა 8.

პოდენტთა 3.3%, ხოლო ზოგჯერ ან თითქმის არასდროს 96.7%. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გამოკითხულთა 1.6% ხშირად გეგმავს, ხოლო ზოგჯერ და თითქმის არასდროს 98.4%. კავკასიის უნივერსიტეტის გამოკითხულთა არცერთი რესპოდენტი არ გეგმავს სამუშაო წელს. ხოლო სეუ-ს გამოკითხულთა 4.2% ხშირად გეგმავს ხოლო 95.8 ზოგჯერ ან თითქმის არასდროს. როგორც ვხედავთ ხანგრძლივი პერიოდის დაგეგმვას გაუსა და სეუ-ს სტუდენტების მცირე ნაწილი მაგრამ მაინც ახდენენ.

თავისუფალი დროის გამოყენება და მისი სწორი დაგეგმვა გავლენას ახდენს სტუდენტთა შრომისმწარმოებლურობაზე. კვლევამ დაადგინა, რომ ხშირად აქვთ გამოყოფილი დრო დღის მანძილზე დასასვენებლად გაუს სტუდენტთა 5.8% კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 8.1% კავკასიის უნივერსიტეტის 7.0% და სეუ-ს 15.3% როგორც მონაცემებიდან ჩანს, დღის მანძილზე დასვენებას სეუ-ს სტუდენტები ახერხებენ. მაშინ როცა ლექცია სემინარებზე დასწრების ხანგრძლივობა და დამატებითი ლიტერატურის გამოყენების მონაცემები გაცილებით დაბალი ჰქონდა, ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მთავარი აქტივობების თავის აცილების ხარჯზე ახდენენ ისინი დასვენებას. (იხ.დიაგრამა9)


დიაგრამა 9 დღის მანძილზე გაქვთ გამოყოფილი დრო დასასვენებლად?



ყოველდღიური დასვენებასთან ერთად ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს უქმე დღეებში ენერჯის აღდგენას, ხშირად ახერხებს გაუ-ს სტუდენტთა 12.4% კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 17.7% კავკასიის უნივერსიტეტის 16.6% და სეუ-ს 28%. თითქმის არასდროს შესაბამისად 3.3%; 5.6%; 11.5%; 11%. როგორც ვხედავთ შაბათკვირას დასვენებისა და გართობის კულტურა ყველაზე მეტად სეუ-ს სტუდენტებს აქვთ. ვფიქრობ იმ მონაცემებიდან გამომდინარე რომელციც წინა ფაქტორებში გამოჩნდა, კერძოდ ის, რომ სეუ-ს სტუდენტები ყველაზე ნაკლებად დადიან ლექციებზე ყველაზე ნაკლებად იყენებენ დამატებით ლიტერატურას შესაბამისად დასასვენებლად მეტი

დრო რჩებათ ოჯახური მდგომარეობის მიხედვით გაუ-ს გამოკითხულ რესპოდენტთა 68.6% არის დაოჯახებული კავკასიის უნივერსიტეტის 66.9% სეუ-ს 24.6% და კავკასიის საერთაშორისო 20.2%. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დიდი მაჩვენებელი გაუ-ს სტუდენტების შემთხვევაში არიან დაოჯახებულნი სწორედ ისინი ყველაზე მეტი რაოდენობის ლექციებს ესწრებიან, ყველაზე მეტად გეგმავენ დროის სხვადასხვა პერიოდს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოჯახური მდგომარეობა გაცილებით უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ახალგაზრდებს, მეტად მობილიზებულნი არიან და ეს აისახება მათი შრომის სწორ ორგანიზებაში. იხილეთ დიაგრამა (იხ.დიაგრამა10)

დიაგრამა 10 ოჯახური მდგომარეობა



ინფორმაციული ტექნოლოგიების ერა ახალგაზრდებს ართმევს დროის ბიუჯეტიდან მნიშვნელოვან ნაწილს და ეს გამოჩნდა ანალიზის


დროს. უნივერსიტეტების შედარების შემთხვევაში რაიმე არსებითი განსხვავება სტუდენტებს შორის არ დაფიქსირდა. გამოკითხულ რესპოდენტთა



დიდი უმრავლესობა 50% ზე მეტი თითოეული უნივერსიტეტის შემთხვევაში 2 და 3 საათზე მეტს ხარჯავენ სოციალურ ქსელებზე. კვლევას არ დაუდგენია თუ რა მიზნით იყენებენ ისინი სოციალურ

ქსელს. იმედი მინდა დავიტოვო, რომ იმ სტუდენტთა შემთხვევაში, რომლებიც გაცილებით ორგანიზებულინი აღმოჩნდნენ სოციალური ქსელი არ არის მხოლოდ გართობის საშუალება (იხ.დიაგრამა11)


დიაგრამა 11 დღის მანძილზე რა დროს ატარებთ სოციალურ ქსელში?



დროის სხვადასხვა პერიოდის დაგეგმვა გავლენას ახდენს დაგეგმილი სამუშაოების გადადების სიხშირეზე. გაუ-ს სტუდენტთა გამოკითხულ რესპოდენტთა 14.9% ხშირად უწევთ დაგეგმილი საქმეების გადადება, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 19.4%, კავკასიის უნივერსიტეტის 7% და სეუ-ს რესპოდენტთა 10.2%. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის საერთაშორისო და გაუ-ს

უნივერსიტეტის სტუდენტები დროის ყველა პერიოდს უკეთ გეგმავდნენ სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით მათ უწევთ დაგეგმილი სამუშაოების ყველაზე ხშირად გადადება. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაგეგმვის პროცესი არასწორად ხდება ან სხვა რაიმდე ფაქტორები ახდენენ გავლენას. (იხილეთ დიაგრამა12)

დიაგრამა 12 ხშირად გინევთ დაგეგმილი ან შესასრულებელი საქმის გადადება?




ტრანსპორტით მგზავრობა დედაქალაქში საკმაოდ რთულია განსაკუთრებით პიკის საათებ-

ში, სწორედ იმ დროს როდესაც სტუდენტები იწყებენ სწავლას, ამიტომ ბუნებრივია დიდი დრო მაი-

ქვეს დროის ბიუჯეტიდან, ერთ საათამდე ხარჯავენ გაუ-ს ტუდენტთა 2.3% კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 10.5% კავკასიის უნივერსიტეტის 24.2% სეუ-ს სტუდენტების 16.1%. სეუ-ს სტუდენტების დაბალი მაჩვენებელი შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ უნივერსიტეტს აქვს შენობაში საერთო საცხოვრებელი თუმცა საკმაოდ დიდი ისეთი სტუდენტების რაოდენობა რომლებიც 2 დან 4 საათამდე დროს ტრანსპორტირებას ანდომებენ. (იხილეთ დიაგრამა 13 )

ლი იყოს იმით, რომ უნივერსიტეტს აქვს შენობაში საერთო საცხოვრებელი თუმცა საკმაოდ დიდი ისეთი სტუდენტების რაოდენობა რომლებიც 2 დან 4 საათამდე დროს ტრანსპორტირებას ანდომებენ. (იხილეთ დიაგრამა 13 )


დიაგრამა 13 რა დროს ანდომებთ ყოველდღიურად ტრანსპორტით მგზავრობას?



სწორი შრომის ორგანიზაცია და არსებული ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია თუ არ მოვახდინეთ დროის დანაკარგების მიზეზების ანალიზი. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა აქვს გაუ-ს გამოკითხულ რესპოდენტებს. კვლევამ დაადგინა, რომ 19.8% ხშირად ახდენს დაკარგული დროის მიზეზების ანალიზს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 9.7% კავკასიის უნივერსიტეტის შემთხვევაში 5.1% და სეუ-ს 6.8%. თითქმის არ ახდენს დაკარგული დროის მიზეზების ანალიზს შესაბამისად გაუ-ს 20.7%

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი-47.6% კავკასიის უნივერსიტეტი-37.6% და სეუ-ს 60.2%. გასაკვირი არ არის, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სეუ-ს სტუდენტები ყველაზე ნაკლებად გეგმავენ დროის სხვადასხვა პერიოდს ყველაზე ნაკლები რაოდენობის ლექციებს ესწრებიან და ყველაზე ორგანიზებულები თავისუფალი დროის დაგეგმვაში არიან, გასაკვირი არ არის, რომ დროის დანაკარგების მიზეზების ანალიზის მიხედვით ყველაზე უარყოფითი მაჩვენებელი დაუფიქსირდათ. (იხილეთ დიაგრამა 14)

დიაგრამა 14 ახდენთ თქვენი დროის დანაკარგების მიზეზების ანალიზს?




დროის სხვადასხვა პერიოდების დაუგეგმავი მართვა აგროვებს გაუთვალისწინებელ საქმეებს,

რომლებიც უცებ შესასრულებელი ხდება შესაბამისად ერთ-ორ საათს ამგვარი საქმეების კეთება-

ზე ხარჯავენ გაუ-ს სტუდენტთა 92.6% კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 92.7% კავკასიის

უნივერსიტეტის 95.5% და სეუ-ს უნივერსიტეტთა 93.2% იხილეთ დიაგრამა 15)


დიაგრამა 15 დაახლოებით რა დრო გეკარგებათ ყოველდღიურად გაუთვალისწინებელ საქმეებში?



ცხადია, რომ სტუდენტები ძირითადად გონებრივი შრომით არიან დაკავებული, ამიტომ მათთვის ენერჯის აღსადგენათ და სტრესის მოსახსნელად საუკეთესო საშუალება არის სპორტული აქტივობა. სპორტით ხშირად არის დაკავებული გაუ-ს სტუდენტთა 15.5%, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 5.6%, კავკასიის უნივერსიტეტის 6.4 და სეუ-ს 8.5% ხოლო თითქმის არ არის დაკავებული სპორტით გაუ-ს 16.5% კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 71% კავკასი-

ის უნივერსიტეტის 21% და სეუ-ს 61%. როგორც ვხედავთ გაუ-ს სტუდენტები ყველაზე აქტიურად არიან ჩართულები სპორტულ აქტივობებში და ეს დადებით გავლენას ახდენს მათი საქმიანობის შედეგებზე და ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს არის იმის დამსახურება, რომ მეტ ლექციებს ესწრებიან უფრო მეტად იყენებენ დამატებით ლიტერატურას და გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები აქვთ იმ ფაქტორებში რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია სტუდენტთათვის.( იხილეთ დიაგრამა16)


დიაგრამა 16 ხართ დაკავებული სპორტით (პროფესიონალური ან მოყვარულის დონეზე ჯანმრთელობისთვის)?



სპორტულ აქტივობებთან ერთად ძილის ხანგრძლივობა ერთ-ერთი ფაქტორია ,რომელიც გავლენას ახდენს სტრესის მოხსნაზე და ენერჯის აღდგენაზე. სამწუხაროდ ყველა უნივერსიტეტისათვის დაფიქსირდა არც თუ ისე სახარბიელო მაჩვენებელი ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის განკუთვნილი ძილის ხანგრძლივობა 8-9 საათი მხოლოდ გაუ-ს

სტუდენტთა 32.2% დააფიქსირა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 22.6% კავკასიის უნივერსიტეტის 21% და სეუ-ს 31.4%. ყველაზე სავალალო მაჩვენებელი 5 საათზე ნაკლები თითოეული უნივერსიტეტისათვის 2.5% დან 3.4% მერყეობს. (იხილეთ დიაგრამა17)

დიაგრამა 17 დაახლოებით რამდენი საათი გძინავთ?




ასევე საგანგაშოა ის ფაქტი რომ სტუდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი თითოეული უნივერსიტეტის შემთხვევაში ახერხებს 10 დან 11 საათამდე დაძინებას რაც ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნორმაა და მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა. გაუ-ს გამოკითხულ სტუდენტთა 1.7% კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 3.2% კავკასიის უნივერსიტეტის 5.7% და სეუ-ს 1.7% ახერხებს დროულად დაძინებას.

უნივერსიტეტის სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართულობა როგორც კულტურულ ასევე სამეცნიერო ღონისძიებებში მნიშვნელოვანი აქტივობაა სტუ-

დენტისთვის და ამ კუთხით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დააფიქსირა კავკასიის უნივერსიტეტის რესპოდენტებმა 17.8% გაუს-16.5% კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის-5.6% და სეუ-ს 9.3%. ასევე თითქმის არასდროს არ არიან ჩართულნი ყველაზე მცირე რაოდენობით გაუ-ს სტუდენტები-19.0% კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის-67.7% კავკასიის უნივერსიტეტის 24.8% და სეუ-ს 66.9%. ყველაზე მეტი აქტივობა დაფიქსირდა გაუ-სა და კავკასიის უნივერსიტეტის შემთხვევაში რაც ისედაც თვალშისაცემია სხვადასხვა ინფორმაციული საშუალებებიდანაც. (იხილეთ დიაგრამა 18)

დიაგრამა 18 ხართ ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში (სამეცნიერო ან კულტურულ ღონისძიებებში)?




ჩვენმა კვლევამ დააფიქსირა სტუდენტთა კვების მდგომარეობა, კერძოდ დავეინტერესდით რამდენჯერ იკვებებიან დღის მანძილზე სრულფასოვნად. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ანუ 3-4 ჯერ კვება გაუ-ს გამოკითხულ რესპოდენტებში და იგი 76.9%. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი 50.8% კავკასიის უნივერსიტეტი 61.1% სეუ-51.2% ესეიგი კვების თვა-

ლსაზრისით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო გაუ-ს სტუდენტების შემთხვევაში. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს არის უნივერსიტეტი სადაც ყველაზე მაღალია გადასახადი შესაბამისად მატერიალურად უზრუნველყოფილი სტუდენტები სწავლობენ და სრულფასოვნად კვებასაც უკეთესად ახერხებენ (იხილეთ დიაგრამა 19)



დიაგრამა 19 დღეში რამდენჯერ იკვებებით სრულფასოვნად?



- კერძო უნივერსიტეტის სტუდენტთა ზოგადი ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული კვლევით გამოვლინდა უამრავი პრობლემა, რომელიც აგრეთვე მოითხოვს სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ჩართვას და რეკომენდაციების შემუშავებას.
- ჩვენი მხრივ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დროის მენეჯმენტისადმი არასათანადო დამოკიდებულება ქმნის უამრავ პრობლემას და მიზანშეწონილად მიგვაჩვენა საბაკალავრო დონეზე თვითმენეჯმენტისა და დროის მენეჯმენტის საკითხების შესწავლის დანერგვა.
- დასაქმებული სტუდენტების სრული განაკვეთით დასაქმების შეზღუდვა; სამაგისტრო სწავლებით უნდა დაკავდნენ მეცნიერებით დაინტერესებული სტუდენტები.
- დაოჯახებული სტუდენტების გარკვეული წამახალისებელი ღონისძიებების გატარება. კერძოდ მასალით უზრუნველყოფა და მათი განთავისუფლება ლექცია- სემინარებიდან

ლიტერატურა/REFERENCES

- [1]. Katerine, G., & Kharadze, N. (2017). Impact of Time Management on Personal Development of Master’s Degree Students. European Journal of Social Sciences Education and Research, pg 110-118 .
- [2]. Gulua, Ekaterine; Kharadze, Natalia. (2014). Knowledge-Based Organizational Culture Development Challenges in Small and Medium Sized Enterprises of Post-Soviet Georgia. 3rd International Symposium: “Advances in Business Management Towards Systemic Approach” (pp. 93-96). Perugia: Business Systems Laboratory.
- [3]. Gulua, Ekaterine; Kharadze, Natalia;. (2018). Organization Culture Management Challenges. European Journal of Interdisciplinary Studies, 67-79.
- [4]. Kharadze, Natalia; Gulua, Ekaterine. (2016). Self Management Peculiarities of Master’s Students in Georgia. CHALLENGES OF GLOBALIZATION IN ECONOMICS AND BUSINESS (gv. 613-616). Tbilisi: Universal.
- [5]. Kharadze, Natalia; Gulua, Ekaterine. (2017). Time Management Peculiarities Based on Gender. I International Scientific and Practical Conference: Foresight-management: best world practice of development and integration of education, science and business (pp. 39-42). Kyiv-Tbilisi: Vyshemyrkyi.
- [6]. Kharadze, Natalia; Gulua, Ekaterine;. (2018). Organization Conflict Management Challenges. European Journal of Economics and Business Studies, 30-41.
- [7]. Natalia, K., Gulua Ekaterine, & Dugladze, d. (2017). Free-Time Management among Master’s Degree Students of Georgia. European Journal of Social Sciences Education and Research, 24-33.
- [8]. ნატალია, ს., & გულუა, ე. (2017). „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტების დროის მართვის თავისებურებები. „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა, 20-25.
- [9]. ხარაძე, ნ., & ბადრიძე, ვ. (2005). სტუდენტთა დროის ბიუჯეტი. თბილისი: თსუ.
- [10]. ხარაძე, ნ., & გულუა, ე. (2018). მაგისტრანტთა დროის მენეჯმენტი. თბილისი: უნივერსალი.

**სოდნის მართვა და ორგანიზაციული განვითარების კონცეფცია**

**KNOWLEDGE MANAGEMENT AND CONCEPT OF ORGANIZATIONAL DEVELOPMENT**

**ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე,**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,  
საქართველო, თბილისი

**კობა ჩაგელიშვილი,**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი.  
საქართველო, თბილისი

**DAVID KATAMADZE,**

LALI CHAGELISHVILI-AGLADZE,  
Doctor of Economic Sciences  
Professor of Guram tavartkiladze Tbilisi  
Teaching University. Georgia, Tbilisi

**KOBA CHAGELISHVILI,**

PHD, Academic Doctor of economics  
Professor of Guram tavartkiladze Tbilisi  
Teaching University. Georgia, Tbilisi

**ანოტაცია**

კომპანიათა ცხოვრებაში ინოვაციური ეკონომიკის ფართოდ შემოჭრამ, გააძლიერა კონკურენციის მასშტაბები. პრაქტიკამ დაგვანახა ახალი ეკონომიკის ეტაპობრივი ხასიათი, რომლის პირველ ფაზაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტექნოლოგიურ კაპიტალს (მატერიალური აქტივი), კომპანიათა პროცესებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემებით უზრუნველყოფას, ხოლო მეორე ფაზა ხასიათდება არამატერიალურ აქტივებზე მოთხოვნის ზრდით.

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის პირობებში, კომპანიებისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება არამატერიალური რესურსი, რომელსაც ცოდნა და ინტელექტუალური კაპიტალი მიეკუთვნება. ამ დროს სულ უფრო მეტად იზრდება ადამიანური კაპიტალის, მათი პროფესიონალური კომპეტენციის როლი კომპანიათა განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად. კომპანიათა საქმიანობიდან ნათელი ხდება, რომ პროდუქციისა და მომსახურების ღირებულებაში სულ უფრო მეტად იზრდება „უხილავი კაპიტალის“ - ცოდნის წილი.

მაგრამ, როგორ უნდა მოხდეს ამ ფენომენის გამოყენება კომპანიებში ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას ცოდნის გავრცელების ჯაჭვის (ცოდნის შექმნა, ათვისება, გადაცემა) ყველა რგოლის უწყვეტობა და მდგრადობა, დღეისათვის ნაკლებადაა შესწავლილი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ცოდნის მართვის პრობლემების შენახვა და მათზე შემოქმედი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე ორგანიზაციისათვის განვითარების კონცეპტუალური მოდელის წარმოდგენა.

**საკვანძო სიტყვები:** ცოდნის მართვა, ინოვაცია, ცვლილებები, ორგანიზაციული განვითარება.

**ABSTRACT**

*The widest invasion of innovative economics in the lives of companies has increased the scope of competition and slowly decreases the life cycle of the companies that can't develop the news or misinterpret them. Practice demonstrated the gradual nature of the new economy, the first phase of which was given the technology capital (material asset), providing companies with processes and management automated systems, and the second phase is enhanced by increasing demand for non-material assets.*

*Under the knowledge-based economics, companies are becoming increasingly important for intangible resources, which are knowledge and intellectual capital. Nowadays, the role of human capital and their professional competence is increasing to ensure the development and sustainability of companies. From the activities of the companies, it becomes clear that the share of "invisible capital" In value of Companies products and services is increasing.*

*But how to use this phenomenon in companies to ensure continuity and sustainability of the chain of knowledge distribution (acquisition, use, transmission) is not yet understood.*

*The purpose of the present article is to study the knowledge management problems and present the conceptual model of development of organizations based on analysis of the factors that affect them.*

**Keywords:** Knowledge Management, Innovation, Changes, organizational Development

**შესავალი**

თანამედროვე პერიოდში ეკონომიკური განვითარების მთავარ ღერძს ცოდნის მართვა წარმოადგენს. ცოდნა და მასზე დაფუძნებული განვითარება ეკონომიკისათვის ახალ ფენომენს არ წარმოად-

გენს. ინოვაციური განვითარების ციკლები, რომლებიც ცვლილებათა მცირე და დიდი ტალღებით ხასიათდებიან, მეცნიერთა კვლევის საგანს ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნიდან წარმოადგენს. ინოვაციური განვითარების ციკლები ოთხ ფაზად შეგვიძლია წარმოვადგინოთ. ესენია: I. ბაზრის სტრუქტურული კრიზისი, II. ტექნოლოგიური რევოლუცია, III. მსოფლიო ძვრები და IV. საერთაშორისო ბაზრების რევოლუციის ფაზა.

სტაბილური მსოფლიო წესრიგის პირობებში, გლობალიზაცია თანდათანობით ძლიერდება. II და IV ფაზების დროს, გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური რევოლუციური გარდაქმნების შედეგად ხდება რადიკალური ცვლილებები, რაც საერთაშორისო ურთიერთობებზეც აისახება. [ლ.ჩაგელიძე-ლი-აგლაძე; თბ.2012; გვ.36-41]

გლობალური ბაზრის რევოლუციურ განვითარებაში სულ უფრო აქტუალური ხდება ქვეყნების ინოვაციური ხედვებისა და მათ ცხოვრებაში ცოდნის ეკონომიკის გააქტიურება.

ახალი ტექნოლოგიებისა და ცოდნის შექმნა და მათი გამოყენება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ეროვნული უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ცოდნის გავრცელებისა და განვითარებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობლივი მოქმედება. ქვეყნის ხელისუფლებისათვის ცოდნის შექმნისა და განვითარების, ინოვაციების ხელშეწყობა, მისი სოციალური ტვირთის შემცირებას უზრუნველყოფს გრძელვადიან პერიოდში. ქვეყანაში იკლებს სოციალურად დაუცველი ფენის რაოდენობა; ბიზნესის ხელშეწყობის საფუძველზე კი ეკონომიკისა და ბიზნეს-სუბიექტების საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან, სახელმწიფო უფრო მეტად შეძლებს არსებული სოციალურად დაუცველი ფენების კეთილდღეობის უზრუნველყოფას; შეაჩერებს ინტელექტუალური რესურსის ქვეყნიდან გადინებას. რეგიონები სულ უფრო სწრაფად შეძლებენ როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სამრეწველო ინდუსტრიის განვითარებას.

კერძო სექტორისათვის კი, ცოდნასა და ინოვაციებში აქტივების დაბანდება მათი მომავალი მყარი პოზიციებისა და კონკურენტუნარიანობის საფუძველია. ამდენად, როგორც სახელმწიფოსთვის, ისე კერძო სტრუქტურებისთვის ზემოთ აღნიშნული საერთო ინტერესის საგანს წარმოადგენს და ერთნაირად პრიორიტეტული უნდა იყოს. ყოველივე ამის გათვითცნობიერება დააჩქარებს, სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრების,

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების შექმნას, ეროვნული ინტელექტუალური რესურსების გამოყენებისა ინოვაციური პროდუქტის შექმნის მიზნით, ტექნოპატკების ქსელის გაფართოებას, რაც ტექნოლოგიურად სწრაფად ცვლად მსოფლიოში მდგრადი და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველს ქმნის.


**ბიზნესი**

მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განსხვავება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის გამოიხატება არა მარტო საფინანსო რესურსების მოცულობით, არამედ ცოდნის უკმარისობით. ამჟამად, განვითარება განიხილება დაგროვილი ცოდნის დონის მიხედვით, კერძოდ, ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ცოდნის დონით.

ცოდნის დეფიციტის დაძლევა თანამედროვე პირობებში საკმაოდ რთული ამოცანაა. განვითარებადმა ქვეყნებმა ტექნოლოგიური ჩამორჩენილობიდან გამომდინარე მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ ცოდნის შექმნის, მისი ათვისების და გადაცემის თანმიმდევრული მექანიზმი. ცოდნის შექმნის ამოცანები უნდა მოიცავდნენ მსოფლიოში არსებული ცოდნის გამოყენებას საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად; უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, სალიცენზიო ხელშეკრულებების, პატენტების შექმნას და სხვა.

აღნიშნულს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მძაფრი კონკურენციისა და გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნებში კვლევითი და არაკვლევითი ინოვაციების თანაფარდობა [ო. შატერაშვილი; გვ.12]. თუ მოცემულ სქემას დავაკვირდებით, დავინახავთ რაოდენ მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის ორივე ტიპის ინოვაციის განვითარება და ხელშეწყობა. აქ ნათლად ჩანს მეცნიერების, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთ მთლიანობაში ფუნქციონირების აუცილებლობა საერთო ინტერესების უზრუნველსაყოფად.


აღნიშნულის უზრუნველყოფა საქართველოსათვის არსებული რესურსებით, მაშინ, როცა რეალურად აღარ არსებობენ სამეცნიერო, სამრეწველო-სამეცნიერო ცენტრები და ბიზნეს ინკუბატორების მხოლოდ ჩანასახის ეტაპზეა, განათლების სივრცეში აღარ არსებობენ მომქედი მკვლევარები, მეცნიერთანამშრომლები, ძალზე რთული იქნება. მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი სახელმწიფოსთვის აღნიშნული პრიორიტეტული არ არის.



სურ 1. კვლევითი და არაკვლევითი ინოვატორები

ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს ჩართულობა ის ვალდებულებაა, რომლის შესრულებაც საჭირო და აუცილებელია და, მიზანი ამ შემთხვევაში, ქვეყნისათვის რეალური შედეგების მიღწევაა, რაც სულაც არ ნიშნავს საერთაშორისო ნორმების ფორმალურად შესრულებას.

ევროსტატის მონაცემებით, ევროპული ინოვაციური ინდექსის (European Innovation Scoreboard-EIS 2017)<sup>1</sup> ჯგუფებში შეედიან: ადამიანური რესურსები; ფინანსური მხრდაჭერა; საწარმოთა ინვესტიციები; ურთიერთკავშირები და მენარმეობა; წარმადობა;



სურ 2. შესრულების ჯგუფები: ინოვაციურობა 10 განზომილების მიხედვით<sup>2</sup>

1 European Commission; European Innovation Scoreboard-EIS 2017; PDF

2 European Commission, Regional innovation Scoreboard 2017; p.21



როგორც სურთიდან ჩანს, ყველაზე დიდი განსხვავება 10 ძირითადი განზომილების მიხედვით ოთხივე ჯგუფის ქვეყნებში(ყველაზე ლიდერები; ძლიერი ინოვატორები; ზომიერი ინოვატორები; მოკრძალებული ინოვატორები) არის მიმზიდველ კვლევის სისტემებში; ფინანსურ მხარდაჭერაში; ინოვატორობასა და კავშირებში.

არსებულის საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სწორედ ამ ოთხ დეტერმინანტს აქვს განმასახვრელი როლი ქვეყნის ინოვაციურობის ინდექსის ზრდისათვის.

ეროკომისიის მინაცემების მიხედვით 2017 წელსნლისათვის ყველაზე ინოვაციურ ევროპულ ქვეყნად ისევ რჩება შვეიცარია; ხოლო რეგიონულ ტრილში, ჩინეთს აქვს ყველაზე მაღალი ზრდის მაჩვენებელი საერთაშორისო კონკურენტებს შორის.

ინოვაციურობის ფაქტორის ანალიზისას პოსტსაბჭოთა სივრცისა და კონკრეტულად საქართველოსათვის, ნათელი ხდება, რომ პრობლემა და ოთხივე დეტერმინანტის მიხედვით არსებობს. უფრო მეტიც, საქართველოში გამოკვლეულ კომპანიათა(მცირე და საშუალო საწარმოები, ორგანიზაციები) 87% არ იყენებს ინოვაციებს მარკეტინგში და არ ახორციელებენ საკუთარ ინოვაციებს ქვეყნის შიგნით. 3%-მდეა მიმზიდველი კვლევითი სისტემების მაჩვენებელიც, რომელიშიც შედის საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციები; ციტირებული პუბლიკაციები და სადოქტორო დონის უცხოელი სტუდენტების რაოდენობა.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს ცოდნის მართვის სწორი პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობას, რადგანაც ცოდნა ესაა პრაქტიკულ ინფორმაციას, რომელიც აქტიურად მართვს ამოცანების შესრულებისა და პრობლემათა გადაწყვეტის პროცესს. ორგანიზაციებისა და კომპანიებისათვის მნიშვნელოვანია ორგანიზაციული ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს ცვლილებების სწორ და მიზანმიმართულ მართვას მათი გადარჩენისა და სიცოცხლისუნარიანობის ზრდისათვის.

კვლევის შედეგად დსტურდება, რომ საკვლევი ობიექტთა იმ 57%-ში სადაც შედიან როგორც ე.წ. სახელმწიფო, ასევე კერძო ტიპის უმაღლეს სასწავლებლებშიცოდნის გავრცელების დაბრკოლებად დასახელდა **არასათანადო მენეჯმენტი. IT ტექნოლოგიების** მიზეზით ცოდნის გავრცელებისა და გამოყენების დაბრკოლებები სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში 15%-ით გამოიხატა, ხოლო კერძო ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში მისი წილი 27% -ია. ცოდნის გავრცელებისა და გამოყ-

ენების თვალსაზრისით თვლნათლივ გამოიხატა ასევე პრობლემები **ფინანსურ მენეჯმენტში.**


ცოდნის გამოყენების თვალსაზრისით ფართო და ინოვაციური სამუშაოები ტარდება, საბანკო სტრუქტურებში პერსონალური, ჯგუფური და IT ტექნოლოგიების გამოყენებით კომუნიკაციების დონე მაღალია. ცოდნის გავრცელებისა და გამოყენების დამაბრკოლებელი მიზეზი ძირითადად როტაციების დროს მიმდინარე ხარვეზებია (21%), ხოლო დაბალი კვალიფიკაციის კადრების მიზეზით(რაც აღქმასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქმნის) ცოდნის გამოყენების დაბრკოლებაზე მოდის 11%;

რაც შეეხებათ სამრეწველო საწარმოებსა და სადაზღვევო კომპანიებს, ცოდნის გავრცელების და გამოყენების ინტენსიური პროცესები მიმდინარეობს, თუმცა ხარვეზები კორპორაციული ბაზების თვალსაზრისით აქ უფრო მეტად შეიმჩნევა. ფინანსური თვალსაზრისით, ეს მიზნობრივი ჯგუფი აფინანსებს ცოდნის გავრცელებასა და გამოყენებას იმ მასშტაბებით რაც მათი ინტერესების სფეროში ხვდება.

გაცილებით რთული სიტუაციაა სავაჭრო ობიექტებზე, სადაც გამოკითხულთა 62%-სათვის უცხოა ცოდნის მართვის ცნება საერთოდ; 21% -ს (საშუალო დონის მენეჯმენტი) გაუგია მის შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად არ ფლობს მის ტექნოლოგიას; 15% -კი (ზედა დონის მენეჯმენტი) ამ ეტაპისათვის ვერ ხედავს მის საჭიროებას; 2%-ს მიეკუთვნება ისეთი სავაჭრო ობიექტები, როგორიცებიცაა: კარფური და გუდვილის ქსელი და რომელთა ზედა დონის მენეჯმენტი თვლის, რომ ცოდნის მართვის საკითხები მათ კომპანიებში ჩანასახის პროცესშია და ამის მიზეზად ისინი საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირების ხანმოკლე პერიოდს ასახელებენ.

**დასკვნა**

ზემოდ აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ცოდნა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ კონკურენტულ ინდიკატორს, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი უკავია როგორც ქვეყნების, ასევე კომპანიათა კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის ფორმირებასა და განხორციელებაში. ამ ინდიკატორის სწორად გამოყენებისათვის მიზანშეჭონილად მიგვაჩნია კომპანიათა სტრატეგიაში ცოდნის მართვის პოლიტიკის გამოკვეთა, მისი ცალკეული ინდიკატორებისა და შედეგების მიხედვით. კერძოდ, ცოდნის მართვის კონცეპტუალურ მოდელში უნდა შედიოდეს ყველა პარამეტრი, რომელიც ძლიერი მოტივატორია ცოდნის გამოყენებისა და გავრცელებისათვის



სურ. 3 ცოდნის მართვის კონცეპტუალური მოდელი

წარმოდგენილი კონცეპტუალური მოდელის ეფექტიან ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს შემდეგმა კომპონენტებმა:

- ადამიანური რესურსი
- ფინანსური მხარდაჭერა
- მარკეტინგის აუდიტი და ინოვაციური მარკეტინგი

- ინოვაციური პროცესი

წარმოდგენილი კონცეფცია მნიშვნელოვნად დაგვეხმარება და უზრუნველყოფს ცოდნისა და ინოვაციების საერთაშორისო ინდიკატორებთან დაახლოებას.

**ლიტერატურა/REFERENCES**

[1] ი. გოგოძე, ინოვაციური პროცესების შეფასება და მონიტორინგი ევროპაში; თბ.2015;

[2] ლ. ჩაგელიშვილი, ინოვაციური ეკონომიკის თანამედროვე ასპექტები; თსუ. საერთაშორისო კონფერენციის მასალები; 2009

[3] ლ. ჩაგელიშვილი, განათლება და მდგრადი განვითარება: რეალობა, პრობლემები და შესაძლებლობები; გორი; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები; 2010

[4] ლ. ჩაგელიშვილი-აგლაძე, ინოვაციური ეკონომიკა გლობალიზაციის პირობებში; გთსუ; მაცეცნიერო შრომათა კრებული; თბ.2011

[5] ლ. ჩაგელიშვილი-აგლაძე, გლობალიზაციის თანამედროვე ასპექტები; ჟ, ეკონომისტი 2012, №2;

[6] ლ. ჩაგელიშვილი-აგლაძე, ინოვაციების კომერციალიზაციის თავისებურებები; თბ.2015

[7] ლ. ჩაგელიშვილი-აგლაძე განათლების თანამედროვე მიდგომები; გთსუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალები; 2015

[8] ო. შატბერაშვილი, საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირსა და საქართველოში; რეგიონული პოლიტიკა; თბ. 2015; PDF

[9] European Commission; European Innovation Scoreboard-EIS 2017; PDF

[10] European Commission, Regional innovation Scoreboard 2017; p.21

[11] Multi-Level Innovation policy and European Integration; Guidebook. 2010

[12] The Knowledge Economy, the KAM Methodology and World Bank Operation. Derek H.C. Chen and Carl J. Dahlman The World Bank, Washington DC, 2043; 2005

[13] Fasih, T. 2008. Linking Education Policy to Labor Market Outcomes. The World Bank.

[14] Ionescu, A. M. 2012. How does education affect labor market outcomes? Review of Applied Socio- Economic Research. (Volume 4, Issue 2/ 2012 )

[15] Indicators of Science and Technology, Tokyo. [http:// www.oecd.org/indDocument/](http://www.oecd.org/indDocument/)

**ურთიერთობათა მარკეტინგისა და სასტუმროების  
დამოკიდებულება, ბათუმის მასპინძლობის ბაზრის მაგალითზე**

**ATTITUDE OF HOTELS TO RELATIONSHIP MARKETING IN THE  
CASE OF BATUMI HOSPITALITY MARKET**

**ეკატერინე ბახტაძე,**

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა  
რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

**EKATERINE BAKHTADZE,**

PhD in Economics, Associated Professor  
Batumi Shota Rustaveli State University,  
Georgia, Batumi

**ანოტაცია**

ურთიერთობათა მარკეტინგი მარკეტინგის თანამედროვე ფორმაა, რომელიც იზიდავს, ინარჩუნებს მომხმარებლებს და ზრდის მათ კმაყოფილებას. ისტორიულად ტურიზმსა და მასპინძლობაში მარკეტინგები არ იშურებდნენ ძალისხმევას ახალი მომხმარებლების მოზიდვაზე, თუმცა ბოლო ათწლეულებია ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ინდივიდუალური ურთიერთობები არსებულ და ყოფილ მომხმარებლებთან ბევრად უფრო ეკონომიურია და მომგებიანი. მთავარი შედეგი არის მომხმარებლის დარწმუნება იმაში, რომ ის არის ორგანიზაციისთვის განსაკუთრებული.

ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად, იზრდება ურთიერთობათა მარკეტინგის როლი და იქმნება ე.წ. ლოიალურობის პროგრამები. მომხმარებლებთან ურთიერთობების დამყარების მიზნით კომპანიამ გარკვეული ეტაპები უნდა გაიაროს. მსოფლიო პრაქტიკაში მასპინძლობის ინდუსტრიაში კომპანიები იყენებენ მომხმარებელთა დაკავების სტრატეგიებს, ურთიერთობათა მარკეტინგის მხარდასაჭერად.

სტატიის მიზანია ბათუმის ტურისტული ბაზრის მაგალითზე ურთიერთობათა მარკეტინგისა და სასტუმროების დამოკიდებულების შესწავლა. ბათუმში სხვადასხვა ტიპის სასტუმროებია წარმოდგენილი. დიდია საერთაშორისო ქსელური სასტუმროების, კერძოდ შერატონის, ჰილტონის და რედისონის როლი ბათუმის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობის ამაღლებაში. ზემოაღნიშნული ბრენდები ჩვეულებრივ იყენებენ ლოიალურობის პროგრამებს მათი მომხმარებლების შენარჩუნების და კმაყოფილების მიზნით. კვლევამ მოიცვა ადგილობრივი ეროვნული ბრენდული სასტუმროები, რათა გამოგვევლინა მათი ურთიერთობათა მარკეტინგის სტრატეგიები და ლოიალურობის პროგრამების ინსტრუმენტები.

**საკვანძო სიტყვები:** ურთიერთობათა მარკეტინგი, ლოიალურობის პროგრამა, სასტუმროები,

მომხმარებელთა დაკავების სტრატეგია, ბათუმის მასპინძლობის ბაზარი

**ABSTRACT**

*Relationship marketing is a form of marketing that attracts customers, retains them and enhances their satisfaction. Historically, tourism and hospitality marketers have put more emphasis on attracting new customers, but in the last few decades, the idea of nurturing the individual relationship with current and past customers has received greater attention. Most marketers now accept that it is less expensive to attract repeat customers that to create new ones and this is basic concept behind relationship marketing. The key outcome of all relationship marketing efforts is to make individual customers feel unique and to make them believe that the organization has singled them out for special attention.*

*Improvement in technology and innovation in loyalty programs have made it much easier to deliver on the promise of greater probability form reduce customer attraction. In order to build relationships with customers there are a number of steps that companies need to follow. In world practise hospitality companies use retention strategies to encourage relationship marketing.*

*The purpose of the article is to analyse the attitude of hotels to relationship marketing in the case of Batumi hospitality market. Different types of hotels represent in Batumi hospitality market. International hotel chains, such as the Sheraton, the Hilton, and the Radisson could make Batumi city popular and attractive destination among international tourists. These international brands generally use loyalty programs to retain and satisfy their customers. The research work involved Georgian hotel brands to find out and analyse their relationship marketing strategies and loyalty program tools.*

**Key words:** Relationship marketing, loyalty programs, hotels, consumer retention strategy, Batumi hospitality market.

**შესავალი**

წარმატებული სასტუმროს ორგანიზაციული სტრუქტურა აგებული უნდა იყოს ურთიერთობათა მარკეტინგის პრინციპებზე და ეფუძნებოდეს პირამიდას, რომლის სათავეში დგანან მომხმარებლები, მათ ქვევით დაქირავებული პერსონალი და ბოლოს ხელმძღვანელობა. ყოველივე ეს პერსონალს საშუალებას აძლევს ადვილად შევიდეს ინტერაქციაში მომხმარებელთან, მარტივად მიიღოს მისთვის სასურველი გადაწყვეტილება და შეინარჩუნოს მომხმარებლის კმაყოფილება. წარმატებული სასტუმრო სტრატეგიულად და კრეატიულად უნდა მოქმედებდეს, მას უნდა ამოძრავებდეს მიზნები, რითაც შეძლებს მომხმარებლების დაინტერესებას, სტიმულირებას და მათი მოლოდინების გამართლებას. მომხმარებლის კმაყოფილებაზე და მოლოდინებზე მოქმედ არა ხელშესახებ ფაქტორთა შორისაა: მომხმარებლის შეცნობა, რეგისტრაციის დროს პერსონალის სისწრაფე, მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და ფასის თანაფარდობა, პერსონალის ქცევა, წინა ხაზზე მომუშავე პერსონალის ენთუზიაზმი და პროფესიონალიზმი, თბილი დახვედრა და თავაზიანობა.

განთავსება ტურიზმის სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილია. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით ბათუმში - 276 განთავსების საშუალებაა, რომელშიც მოიაზრება როგორც დაბალ ბიუჯეტიანი, ასევე ძვირადღირებული განთავსების საშუალებები. ბათუმის ცნობადობის გაზრდაში განსაკუთრებული როლი შეასრულა საერთაშორისო ქსელურმა სასტუმროებმა - შერატონმა, რედისონმა და ჰილტონმა.

დღესდღეობით აჭარაში ადგილი აქვს როგორც შიდა ისე უცხოელი ტურისტების ზრდის ტენდენციას. 2016 წლის სტატისტიკით აჭარას სტუმრობდა 872 ათასი ტურისტი, მათი 44% სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში იყო განთავსებული. მომსახურების სფეროს მთავარ პრობლემას ფასისა და ხარისხის ურთიერთ თავსებადობა წარმოადგენს, რომლის დაძლევაში მომხმარებლებთან ურთიერთობის მარკეტინგის როლი გადამწყვეტია. აჭარის ტურისტულ მიზნობრივ ბაზრებს შორისაა თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, ისრაელი, აზერბაიჯანი, ირანი, სომხეთი და პოლონეთი.

**ლიტერატურის მიმოხილვა**

მომსახურების მარკეტინგი გასული საუკუნის 80-იან წლებში მარკეტინგის ყველაზე მზარდი სფერო გახდა (Berry and Parasuraman, 1993). გასული

საუკუნის 80-90-იან წლებში ჩატარებული კვლევების მიზანს წარმოადგენდა ნათლად დაენახათ ფიზიკური საქონლისა და მომსახურების განმასხვავებელი თვისებები, რამაც უზრუნველყო ის, რომ მომსახურების სექტორს, მათ შორის სასტუმრო ინდუსტრიას აქვს საკუთარი მარკეტინგი. (Booms and Bitner 1981, Berry 1983, Reicheld and Saaser 1990). სასტუმრო ინდუსტრიაში ეფექტური მომსახურების მარკეტინგი მოითხოვს მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებას, რაც უნდა ეფუძნებოდეს გრძელვადიან, ორმხრივ მომგებიან ურთიერთობებს, რაც მიიღწევა მომხმარებლებთან ახლო ინტერაქციით.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მარკეტინგმა განვლო განვითარების სხვადასხვა საფეხური: სამომხმარებლო მარკეტინგი (1950) —> ინდუსტრიული მარკეტინგი (1960) —> სოციალური მარკეტინგი (1970) —> მომსახურების მარკეტინგი (1980) —> ურთიერთობათა მარკეტინგი (1990) —> მომხმარებლებთან ურთიერთობის მარკეტინგი (CRM – 2000)

უახლოეს წარსულში მარკეტინგის მენეჯერები მომხმარებელთან ურთიერთობას ე.წ. ჩვეულებრივი, ტრანზაქციული მარკეტინგის საფუძველზე ამყარებდნენ. ეს იყო ფაქტიურად „ერთჯერადი ტრანზაქცია“ მომხმარებელთან. ტრანზაქციული მარკეტინგი, თავის მხრივ მოიცავს მომხმარებლების საჭიროებების იდენტიფიცირებას, დაკმაყოფილებას, თუმცა ის არ ითვალისწინებს მათთან გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებას.

თანამედროვე ბიზნესი დღესდღეობით მწვავე, აგრესიული კონკურენციის წინაშე აღმოჩნდა, რამაც განაპირობა მომხმარებლებთან გრძელვადიანი ურთიერთობების შენარჩუნების აუცილებლობა.

ურთიერთობათა მარკეტინგის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია მომხმარებელთა შენარჩუნების სტრატეგიების განსაზღვრა ოთხ დონეზე, რაც ითვალისწინებს მათთან ფინანსური, სოციალური, სამომხმარებლო და სტრუქტურული კავშირების დამყარებას.

ფინანსური კავშირის დროს კომპანია მუდმივ კლიენტებს სთავაზობს დაბალ და სტაბილურ ფასებს, ასევე გამოიყენებს ე.წ. bundling (დაბალი და მაღალ ფასიანი მომსახურების ერთ კომპლექტად შეთავაზება), cross selling (ურთიერთ დაკავშირებული მომსახურების და პროდუქტის შეთავაზების სტიმულირება) და up-selling (მაღალ ფასიანი მომსახურების შეთავაზება, მისი სარგებლიანობის და უნიკალურობის დარწმუნების გზით) მეთოდებს.



მეორე დონეზე მარკეტერები ცდილობენ გრძელვადიანი ურთიერთობა შეინარჩუნონ სოციალური და პიროვნებათა შორისი კავშირებით. მომსახურების მინოდებისას გათვალისწინებულია ინდივიდუალური საჭიროებები და ყურადღება ექცევა მომხმარებლებზე ზრუნვას. ტურიზმში განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მომხმარებლების ურთიერთქმედების ფაქტორი. Fairmont Resorts & Hotels-მა შექმნა ინტერნეტ პროგრამა „Everyone’s an Original“ (ყველა ორიგინალურია), რათა განემტკიცებინა პიროვნებათა შორისი კავშირები და ბრენდისადმი მომხმარებლების ლოიალურობა. სტუმრებისთვის პროგრამის პლატფორმას წარმოადგენს სოციალური მედია, კერძოდ Facebook და Twitter. ფორუმი ითვალისწინებს კონკურსებს და განსაკუთრებულ საპრომოუშენო პროგრამებს და სტუმრებს უზიდავს გაერთიანდნენ Fairmont President’s Club-ში, რომელიც წარმოადგენს სპეციალურად შექმნილ პროგრამას ინდივიდუალური სამოგზაურო შეთავაზებებით, ექვემდებარებით და ინტერსებით. კლუბის წევრები სასტუმროში რეგისტრაციას გადიან ცალკე მაგიდასთან და მათ სთავაზობენ უფასო ინტერნეტს და ადგილობრივ სატელეფონო ზარებს, სტუმრები ასევე ფასდაკლებებით სარგებლობენ ფიტნეს დარბაზის, გოლფის მოედნის და სპას გამოყენების დროს.

მესამე დონეზე ფინანსურ და სოციალურ კავშირებს ემატება სამომხმარებლო კავშირები. ეს მიდგომა მოითხოვს მომხმარებლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და თვისებების კარგ ცოდნას. ამასთან მომხმარებელს უნდა შეეუქმნათ მოლოდინის განცდა. მაგალითად The Ritz-Carlton-ს აქვს სტუმრის კომპიუტერული ისტორიის პროფილი, რომელიც ათასობით სტუმრის განმეორებითი ვიზიტების შედეგად შეიქმნა. სასტუმროს თანამშრომლებმა უკვე იციან რა მოსწონს სტუმარს და რა არა.

მეოთხე დონეზე მნიშვნელოვანია მოხდეს სტრუქტურირებული მიდგომის გამოყენება კომპანიასა და მომხმარებელს შორის ფინანსური, სოციალური და სამომხმარებლო კავშირების დამყარების დროს. ასეთი კავშირების პროდუქტიულობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენება. ბევრ სასტუმროში დაჯავშნის და ლოიალურობის პროგრამები ერთად იმართება.

ლოიალურობის პროგრამის შემუშავება მოიცავს რიგ ეტაპებს (ბერმანი 2006):

- პროგრამის მიზნების განსაზღვრა;
- ბიუჯეტის შემუშავება, რომელიც მოიცავს

საწყის საპრომოუშენო ხარჯებს, მიმდინარე საპრომოუშენო ხარჯებს, IT პროგრამას და მისი მომსახურების ხარჯებს, მონაცემთა ბაზის შექმნას და მისი შენახვის ხარჯს, ლოიალური მომხმარებლის დაჯილდოებისთვის საჭირო პირდაპირ ხარჯებს. ზოგი კომპანია ამცირებს საწყის ხარჯებს სანეკროს შემოღებით.

- ლოიალურობის პროგრამის შექმნა. კომპანიამ უნდა გადანყვიტოს მისი ხელმისაწვდომობის საკითხი, კერძოდ ის ყველა მომხმარებელს შესთავაზოს თუ განსაკუთრებულ საბაზრო სეგმენტს. სანეკროს საფასური შეიძლება გამოყენებული იქნეს ნაკლებად ლოიალური მომხმარებლის დასაფრთხობად.
- იქმნება მომხმარებლის დაჯილდოების სტრუქტურა და ეტაპები. ლოიალურობის პროგრამის სტრუქტურა Hilton Hhonor-ში იყოფა 4 დონედ: Blue, Silver VIP, Gold VIP და Diamond VIP, რომლის მთავარ კრიტერიუმს 12 თვის მანძილზე სასტუმროში დარჩენათა რაოდენობა წარმოადგენს.
- მეხუთე ეტაპზე განიხილება სხვა კომპანიებთან თანამშრომლობა.
- მეექვსე ეტაპზე ხდება ლოიალურობის პროგრამის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, რაც მოითხოვს საჭირო ადამიანურ რესურსს.
- მეშვიდე ეტაპზე პროგრამის განსახორციელებლად ხდება მონაცემთა ბაზის ჩაშვება.
- მერვე ეტაპზე ხდება მონაცემთა ბაზის მართვა და მონაცემების სრულყოფა. ინფორმაცია კომპანიას საშუალებას უნდა აძლევდეს განახორციელოს მარკეტინგული და საპრომოუშენო აქტივობები და მოახდინოს მომხმარებელთა სეგმენტაცია. სასტუმროებისთვის ეს მარტივია, რადგან მომხმარებელთა იდენტიფიცირება მათი ვიზიტისთანავე ხდება.
- მეცხრე ეტაპზე ხდება პროგრამის წარმატების ან წარუმატებლობის შეფასება
- მეათე ეტაპზე ხდება შესწორებების შეტანა, თუ ლოიალურობის პროგრამა არ იძლევა დასახული მიზნების მიღწევის საშუალებას.

**კვლევის მიზანი და შედეგები**

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მომხმარებელთან ურთიერთობათა მარკეტინგისადმი ადგილობრივი, ბრენდული სასტუმროების დამოკიდებულების შესწავლა. ამასთან გვინდოდა გაგვეგო

თუ რა პროგრამებს იყენებენ ისინი და რა განსაკუთრებულ მომსახურებას სთავაზობენ მუდმივ მომხმარებლებს. გამოვიკითხეთ ბათუმის როგორც საერთაშორისო ქსელური სასტუმროების ისე ადგილობრივი ეროვნული ბრენდული სასტუმროების წარმომადგენლები. ისეთი ლოიალურობის პროგრამები, როგორცაა HHonors (ჰილტონი), Starwood Preferred Guest (შერატონი) და Radisson Rewards (რედისონი) აპრობირებულია მთელ მსოფლიოში და ბათუმის საერთაშორისო ბრენდულ სასტუმროებში სტუმრების ხშირი ვიზიტების მასტიმულირებელი ფაქტორი ხდება.

ზემოაღნიშნულ სასტუმროებთან მომსახურების ხარისხით, ფასით, ინტერიერითა და ექსტერიერით ახლოს დგანან ისეთი ადგილობრივი ბრენდები როგორცაა ადმირალი, კოლიზეუმი, პიაცა ინნი და ოაზისი, მათ ჭრილში ასევე შეგვიძლია განვიხილოთ თურქული სასტუმრო ბრენდი - დივანი. სტუმართა რეგისტრაციისას სასტუმროები იყენებენ ისეთ პროგრამებს, როგორცაა Fidelio და FINA, ეს უკანასკნელი ქართულ პროგრამას წარმოადგენს. ორივე პროგრამა რეგისტრაციის გარდა ლოიალურობის პროგრამების შემუშავების შესაძლებლობებს იძლევა, თუმცა ქართულ რეალობაში ისინი ნაკლებად არიან მიბმულნი საფინანსო სისტემასთან. შედეგად სასტუმროებს არა აქვთ საჭირო საბიუჯეტო რესურსი ლოიალურობის პროგრამის შესაქმნელად. ისინი მარტივად ქმნიან მუდმივი მომხმარებლების სიას, რისი საფუძველცაა სტუმართა ვიზიტების რაოდენობა, ძირითადად ეს კრიტერიუმი 5-დან 7 ვიზიტამდე მერყეობს. შედეგად ლოიალურ მომხმარებლებს უკეთებენ 15%-30%-იან ფასდაკლებას, ასევე სთავაზობენ ნომრის ე.წ. up-grade-ს (უკეთესი ნომრის შეთავაზება იგივე ფასად), უგზავნიან სიახლეებს ელექტრონული ფოსტით სხვადასხვა შეთავაზებების შესახებ. სასტუმროები აღიარებენ, რომ მათი შემოსავალი დიდადაა დამოკიდებული ლოიალურ მომხმარებლებზე და როგორც დამოკითხვამ აჩვენა მათ შენარჩუნებაში ფინანსური სტიმულატორების გარდა დიდ როლს ასრულებს პიროვნული ინტერაქცია, მეგობრული გარემო, თბილი დამოკიდებულება და მათზე ზრუნვა. მცირე ზომის სასტუმროებში ადვილია სტუმართა მახასიათებლების შესწავლა და მათი გულის მოგება.

მომხმარებლის კმაყოფილება არ არის მასთან

გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარების გარანტი, მას თან უნდა ახლდეს ნდობა, ორმხრივი ვალდებულება და მომხმარებლის მოლოდინის გამართლება. ყოველივე ამას თან სდევს მომხმარებლის მხრიდან დადებითი რეკომენდაციები და შთაბეჭდილებები, რომელსაც ის უზიარებს თავის ახლობლებს და დღეს უკვე ინტერნეტის საშუალებით ამას იგებს ყველა პოტენციური მომხმარებელი.

მომხმარებლის მხრიდან ნდობა ასოცირდება სასტუმროს მომსახურების ხარისხის მუდმივობასთან, პერსონალის კომპეტენტურობასთან, პატიოსნებასთან, პასუხისმგებლობასთან, და მზრუნველობასთან. ბერი (Berry 1983) მიიჩნევს, რომ „ნდობა ლოიალურობის საფუძველია“. მყიდველსა და გამყიდველს შორის ურთიერთობათა შესწავლისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლადს წარმოადგენს ასევე ორმხრივი ვალდებულება (Wilson 1985), რომელიც ბერის და პარასურამანის აზრით (Berry and Parasuraman, 1991) სასტუმრო ინდუსტრიაში გასათვალისწინებელი კონცეფციაა და გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარების, განვითარების და შენარჩუნების აუცილებელი პირობაა. ნდობასა და ორმხრივ ვალდებულებას ემატება ისეთ ცვლადები, როგორცაა დაპირება და კომუნიკაცია,

### დასკვნა

ამრიგად, მასპინძლობასა და ტურიზმში ლოიალურობის პროგრამები სასტუმროების საქმიანობის განუყოფელი ნაწილი ხდება. 90-იან წლებში რეიჩელდის და საასერის (Reicheld & Saaser) კვლევებმა აჩვენა, რომ მომხმარებლის ლოიალურობის 5%-იან ზრდას მიყვავართ მოგების 25-85%-იან ზრდამდე. თუმცა როგორც ვხედავთ მათდამი ქართული კომპანიების დამოკიდებულება არ გამოირჩევა სტრატეგიული და კრეატიული მიდგომით. ბათუმის ეროვნულ, ბრენდულ სასტუმროებში წინა ხაზზე მომუშავე პერსონალს კარგად ესმის ლოიალური პროგრამების არსი და მნიშვნელობა, მაგრამ სასტუმროების მართვის არასწორი პრინციპები და მეთოდები ჯერ კიდევ აფერხებს ურთიერთობათა მარკეტინგის ყველა ინსტრუმენტის დანერგვას პრაქტიკაში. ფასის სტრატეგიების შემუშავებაზე მეტად დღესდღეობით მნიშვნელოვანი უნდა გახდეს მომხმარებლების ლოიალურობის ამაღლების სტრატეგიების შემუშავება.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] **Simon Hudson, Louse Hudson. Simon and Louse Hudson.** Customer Service for Hospitality and Tourism. 2013.
- [2] Berry and Parasuraman, 1993. Marketing Service: Competing Through Uality. The Free Press. New York.
- [3] **Booms, B.H. & Bitner, M.J.** 1981, “Marketing Strategies and Organization Structures for Service Firms” in Marketing of Services, eds. J.H. Donnelly & W.R. George, American Marketing Association, Chicago
- [4] **Reichheld, F.F.** 1993, “Loyalty-Based Management”, Harvard Business Review, vol. 71 no. 2
- [5] **Reichheld, F.F. & Sasser Jr, W.E.** 1990, “Zero Defections: Quality Comes to Services”, Harvard Business Review, vol. 68, no. 5.
- [6] **Berman, B.** (2006). Developing an Effective Customer Loyalty Program. California Review Management. 49 (1)
- [7] [www.spg.com](http://www.spg.com)
- [8] <http://hiltonhonors3.hilton.com/en/index.html>
- [9] <https://www.radisson.com/section/gpp.home/gpp.sidemenu>

**ციფრული მარკეტინგი და მისი როლი ბიზნესის განვითარებაში**

**DIGITAL MARKETING AND ITS ROLE IN BUSINESS DEVELOPMENT**

**გულიკო კატამაძე,**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**GULIKO KATAMADZE,**

Doctor of Business Administration, Batumi  
Shota Rustaveli State University  
Associate Professor

**აბსტრაქტი**

ციფრულმა მარკეტინგმა უდიდესი გავლენა მოახდინა ადამიანთა ცხოვრებაზე, მკვეთრად შეცვალა მათი წარმოდგენა დროსა და მანძილზე. მისი მამოძრავებელი ძალაა კომერცია. კომერციული საქმიანობის წარმატება ისეთ გარემოში, როგორც ინტერნეტი, შეიძლება მხოლოდ იმით განისაზღვროს, თუ რამდენად ითვისებენ ბიზნესი მომხმარებლების ინტერესებს. ამისათვის კი აუცილებელია იმის ცოდნა, თუ ვინ არიან ისინი, რა მოთხოვნილებები, სურვილები, ქცევის მოდელები და სხვა თვისებები გააჩნიათ. ციფრული მარკეტინგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ციფრული ინფრასტრუქტურის მართვა.

ციფრული მარკეტინგი განაპირობებს მსოფლიო სამეურნეო პროცესებში მომხმარებლებისა და მწარმოებლების მჭიდრო ინტეგრაციას, აგრეთვე ქსელური ეკონომიკის, ელექტრონული ბაზრის, კონკურენტული და გამჭვირვალე ბიზნეს-გარემოს, საინვესტიციო წყაროების გავრცელებას და დამკვიდრებას. ბიზნესის ცნობადობის გასაზრდელად გამოიყენება ციფრული მარკეტინგის სხვადასხვა ფორმები, როგორც კონტენტ მარკეტინგი, ვიდეო მარკეტინგი, საძიებო სისტემების ოპტიმიზაცია, ინტერნეტ მაღაზიები, კატალოგები, განცხადებები და სხვა.

ამდენად, დღესდღეობით ციფრული მარკეტინგის როლი ბიზნესში წარმატების მისაღწევად ძალზედ დიდია, ამიტომაც კომპანიებმა თავიანთი ბიზნესის ციფრულ სივრცეში წარმოსაჩენად უნდა გაითვალისწინონ შემდეგი პრობლემური საკითხები:

1. თუ კომპანია არ გადაიტანს თავის ბიზნესს ინტერნეტში, ამას გააკეთებენ მისი კონკურენტები;
2. რა ფუნქციების და სირთულისაც არ უნდა იყოს საიტი, მას უნდა გააჩნდეს ეფექტური დიზაინი;
3. საიტის ოპტიმიზაცია და სწორი კონტენტ მარკეტინგის განხორციელება;
4. მომხმარებელმა შესაძლოა მოინდონოს მოცემული კომპანიის სოციალური მედიის გვერდი, თუმცა ეს ყველაფერი არ მისცემს შედეგს კომპანიას,

თუ კომპანიის მარკეტოლოგი ვერ უზრუნველყოფს ეფექტური კომუნიკაციის შესაძლებლობას. ამრიგად, თუ გაითვალისწინებთ არსებულ ტენდენციებს, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ასეთი დასკვნა, რომ ელექტრონულ ბიზნესში მხოლოდ იმ კომპანიებს აქვთ განვითარების და წარმატების შანსი, რომლებიც ინტერნეტში დაიკავენ მნიშვნელოვან ადგილს, ხოლო ისინი, რომლებიც ამას ვერ მოახერხებენ გაქრებიან ასპარეზიდან. საქართველოში ციფრული მარკეტინგის როლი უფრო დაბალია ვიდრე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, შესაბამისად უფრო მარტივია იმ სადავების დაკავება, რომელიც ახლო მომავალში მეტი წარმატების განმაპირობებელი იქნება.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული მარკეტინგი, ციფრული ინფრასტრუქტურა, კონტენტ მარკეტინგი, საძიებო სისტემები, ქსელური ეკონომიკა, საიტის ოპტიმიზაცია.

**ABSTRACT**

Digital marketing has had a huge impact on people's lives and has dramatically changed their performance in time and distance. His driving force is commerce. Success of commercial activity in an environment, such as an investment, can only be determined by the interests of business users. To this end, it is important to know who they are, what are the needs, desires, models of behavior and other options. Digital marketing can be considered as a digital infrastructure management.

Digital marketing has had a huge impact on people's lives and has dramatically changed their performance in time and distance. His driving force is commerce. Success of commercial activity in an environment, such as an investment, can only be determined by the interests of business users. To this end, it is important to know who they are, what are the needs, desires, models of behavior and other options. Digital marketing can be considered as a digital infrastructure management.

Thus, the role of digital marketing today is very high for business success, so companies should take into consideration the following problematic issues in the digital space:



1. *If the company does not transfer its business to the Internet, its competitors will do this;*
2. *What functions and complexity should not be the site, it should have an effective design;*
3. *Site optimization and implementation of correct content marketing;*
4. *Customers may like the social media side of this company, but this will not give the company the result if the company's market makers fail to provide effective communication.*

*So, if we take into consideration the existing trends, we can make such a conclusion that only companies in the electronic business have a chance to develop and succeed, which will occupy an important place in the Internet, and those who can not do that will be disappearing from the ground. The role of digital marketing in Georgia is lower than in high-income countries, and is therefore easier to detain those entanglements that will have more success in the near future.*

**Keywords:** *Digital Marketing, Digital Infrastructure, Content marketing, Search engines, Network economy, Site Optimization.*

ციფრულმა მარკეტინგმა უდიდესი გავლენა მოახდინა ადამიანთა ცხოვრებაზე, მკვეთრად შეცვალა მათი წარმოდგენა დროსა და მანძილზე. მისი მამოძრავებელი ძალაა კომერცია. კომერციული საქმიანობის წარმატება ისეთ გარემოში, როგორც ინტერნეტი, შეიძლება მხოლოდ იმით განისაზღვროს, თუ რამდენად ითვალისწინებს ბიზნესი მომხმარებლების ინტერესებს. ამისათვის კი აუცილებელია იმის ცოდნა, თუ ვინ არიან ისინი, რა მოთხოვნილებები, სურვილები, ქცევის მოდელები და სხვა თვისებები გააჩნიათ. ციფრული მარკეტინგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინტერნეტის ინფრასტრუქტურის მართვა. ეს არის ინტერნეტ-მარკეტინგის ბერკეტების მეშვეობით საქონლის და მომსახურების გასაღების ბაზარზე წინსვლის ორგანიზაცია.

ციფრული მარკეტინგი განიხილება როგორც გლობალური საინფორმაციო სისტემა, ბიზნესის წარმოების ეფექტური გარემო და მარკეტინგის უნივერსალური ინსტრუმენტი. ციფრული მარკეტინგი გასაღების გლობალური სისტემაა, რომლის უნიკალური მახასიათებლებია: ჰიპერმედიაური ბუნება, ინტერაქტიულობა, კომუნიკაცია, რეკლამირებისა და საზოგადოებასთან დისტანციურად ურთიერთობის შესაძლებლობა. სწორედ ეს მახასიათებელი თვისებები ამაღლებენ ციფრული მარკეტინგის საბაზრო შესაძლებლობებს ბიზ-

ნესში. შეიძლება ითქვას, რომ ციფრულმა მარკეტინგმა საფუძველი ჩაუყარა ელექტრონული ბიზნესის მზარდი ტემპებით განვითარებას. მისი გამოყენების მასშტაბი განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და ეკონომიკური განვითარების დონეს. ბიზნესის განვითარების შესახებ ციფრული მარკეტინგის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები დამოკიდებულია შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებაზე.

ციფრული მარკეტინგი განაპირობებს მსოფლიო სამეურნეო პროცესებში მომხმარებლებისა და მწარმოებლების მჭიდრო ინტეგრაციას, აგრეთვე ქსელური ეკონომიკის, ელექტრონული ბაზრის, კონკურენტული და გამჭვირვალე ბიზნეს-გარემოს, საინვესტიციო წყაროების გავრცელებას და დამკვიდრებას. იგი არის აბსოლუტურად თავისუფალი, არაკონტროლირებადი, ანონიმური, ცენზურის და რედაქტირების გარეშე არსებული სივრცე. მისი ინფრასტრუქტურის მართვაზე ზრუნავენ სახელმწიფოები (სამართლებრივი ბაზის ფორმირებით), კერძო სექტორი (ოფისების, კომპიუტერების, ინტერნეტ-ქსელის ფორმირებით) და სამეცნიერო წრეები და სწავლულ-ექსპერტები (შესაბამისი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებით, კვლევების ჩატარებით, სტატიების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოქვეყნებით).

ციფრული მარკეტინგის სფეროში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით ხდება ბიზნესის მოდელების დამუშავება და ბიზნესის სფეროში არსებული პოტენციალის გამოვლენა, ახალი სახის ინტერნეტ-პროდუქტების მიმოქცევა, გასაღების ორგანიზება, ყიდვა-გაყიდვის შესახებ კონტრაქტების გაფორმება, კომუნიკაციური კულტურის შექმნა, ონლაინ-კონფერენციების ჩატარება და ასე შემდეგ.

სწორედ ციფრული მარკეტინგის დამსახურებაა ის, რომ მომხმარებლის 80% პროდუქტებს ყიდვამდე ონლაინში ეძებს, აგრეთვე სასურველი ინფორმაციის მისაღებად ხუთიდან ოთხი ადამიანი საძიებო სისტემას იყენებს. სწორედ აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ციფრულ მარკეტინგს მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ბიზნესის განვითარებაში. შესაბამისად ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტები პოპულარული გახდა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.

ეჭვგარეშეა, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში დედამიწის სხვადასხ-

ვა ნახევარსფეროში, სხვადასხვა კონტინენტზე ჩრდილოეთით და სამხრეთით ათასობით კილომეტრის დაშორებით მდებარე სახელმწიფოებს, კომპანიებს, საშუაშაგლო ფირმებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მყიდველებსა და გამყიდველებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობათა დამყარება (რეკლამის, პიარის, ყიდვა-გაყიდვის ორგანიზება) ხდება ციფრული ტექნოლოგიის მეშვეობით. ციფრულმა ტექნოლოგიამ კი გადამწყვეტი როლი ითამაშა ბიზნესის აღმავლობაში.

ციფრული მარკეტინგის მეშვეობით კომპანიებმა შეძლეს მილიონობით კლიენტის მოზიდვა. ეს ტექნოლოგია გახდა ძლიერი იარაღი ბიზნესისათვის. იგი უზრუნველყოფს ონლაინ მომხმარებელს ჰქონდეს შერჩევის ფართო თვალსაზიერის სასურველი პროდუქტის შესაძენად. ონლაინ მარკეტინგის როლი ბიზნესში არ არის გაზვიადებული. ბევრმა დამწყებმა და არსებულმა ბიზნესმა მისი ინსტრუმენტების გამოყენებით გაზარდა თავისი საქმიანობის წარმატება. ბიზნესის ცნობადობისთვის გამოიყენება სხვადასხვა გზები, როგორცაა სარეკლამო ბანერი, ვიდეო და იმეილ რეკლამა, სოციალური მედია და სხვა ხერხები.

ციფრულმა მარკეტინგმა, ვებ-გვერდების შექმნით თანაბარ სასტარტო ვითარებაში ჩააყენა მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი. თუ მცირე კომპანიამ შეძლო ვებ-გვერდის შექმნა და მისი ფუნქციონირების ორგანიზება, მაშინ მისი პროდუქცია ისევე ხელმისაწვდომი გახდება მილიარდობით ონლაინ-მომხმარებლისათვის, როგორც მსხვილი, ტრანსნაციონალური კომპანიების პროდუქცია. სოციალური მედიის გამოყენებით პატარა ზომის კომპანიების ბიზნესი გაიზარდა წინა წლებთან შედარებით.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში გადარჩება მხოლოდ ის კომპანიები, რომლებიც ამუშავებენ და ახორციელებენ ყველაზე წარმატებულ მარკეტინგულ სტრატეგიას. მსოფლიო მაშტაბით კომპანიების 85% თავიანთ მომხმარებელს იზიდავს ინტერნეტის მეშვეობით. ამის მიუხედავად, მარკეტინგის მენეჯერების 30% თვლის, რომ მომხმარებლის მოსაზიდად სხვა მარკეტინგულ ინსტრუმენტებთან ერთად მნიშვნელოვანია ბრენდების მობილური აპლიკაციები. ამის ნათელი მაგალითია გამაგრებული გაზიანი სასმელის ბრენდი „Coca-Cola“.

აუდიტორიის გაზრდისთვის და მომხმარებლის შენარჩუნებისთვის კომპანია იყენებს მრავალფეროვან სარეკლამო კამპანიას. დიდ ყურადღებას უთმობს ინტერნეტ-მარკეტინგის ინსტრუ-

მენტებს, როგორცაა: სოციალური მედია, საბანერო რეკლამა, ვიდეო რეკლამა, ბლოგი, YouTube და სხვა. რეკლამის გარდა, „Coca-Cola“-მ შექმნა თამაშები მობილურისათვის. ერთ-ერთი ასეთი თამაშია „Polar Bears“. მომხმარებლის ნახევარზე მეტი პროდუქტის ყიდვის შესახებ გადამწყვეტილებას ადვილად იღებენ ვიდეოს ყურებისას. YouTube არის მსოფლიოში მეორე სოციალური საიტი, სადაც ყოველდღიურად ათასობით ვიდეო თავსდება. იგი ქვეყნდება 61 ქვეყანაში 61 ენაზე. ვიდეო პორტალს ყოველთვიურად მილიარდობით ადამიანი სტუმრობს და ვიდეოების ყურებას მილიარდობით საათს უთმობს. ეს იმას ინვესტ, რომ ბრენდები მისწრაფვიან Youtube-ზე კორპორატიული გვერდის შექმნას და ვიდეოების განთავსებას.

შესაბამისად, ბიზნესის სფეროში ციფრული მარკეტინგის როლი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. იგი ყოველდღიური მოხმარების ძლიერი საშუალება გახდა. ამიტომ წარმატებული ინტერნეტ მარკეტინგის სტრატეგია კომპანიისთვის წარმატების მომტანია. ბიზნესმენები სულ უფრო აღიარებენ ციფრული მარკეტინგის როლს დღევანდელ რეალობაში. არსებული ტენდენციის გათვალისწინებით, სულ უფრო მეტი ბიზნესი ხდება ციფრული მარკეტინგზე დამოკიდებული. ეკონომიკაში არსებობს ბიზნესის ისეთი სახეებიც, რომლებიც მთლიანად ინტერნეტ სივრცეშია გადაყვანილი, მაგალითად, ესენია: ონლაინ მაღაზიები, ონლაინ კაზინოები, საბანკო გადარიცხვები, კავშირგაბმულობა, სატელევიზიო გადაცემები, სწრაფი სესხის საიტები და ა. შ..

ამდენად, დღესდღეობით ციფრული მარკეტინგის როლი ბიზნესში წარმატების მისაღწევად ძალზედ დიდია, ამიტომაც მარკეტინგული კომპანიები გვთავაზობენ 5 ძირითად საკითხს, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, კომპანიის მენეჯერებმა თავიანთი ბიზნესის ინტერნეტში წარმოსაჩენად:

1. თუ კომპანია არ გადაიტანს თავის ბიზნესს ინტერნეტში, ამას გააკეთებენ მისი კონკურენტები, რომლებიც სრულიად მოემსახურებიან ინტერნეტ სივრციდან მომავალი კლიენტების ნაკადს და ამით აიმაღლებენ თავიანთ კონკურენტუნარიანობას. ინტერნეტ-მომხმარებელთა ნაკადი კი სულ უფრო იზრდება. ნებისმიერი კომპანიის ბიზნესის ინტერნეტში გადატანის საფუძველია ეფექტური ვებ საიტის შექმნა, რომელიც განსხვავებული ფუნქციებისა და შესაძლებლობების მქონე შეიძლება იყოს. მაგ., ზოგიერთ კომპანიას

ბიზნესის ინტერნეტში განხორციელების მიზნით შესაძლოა დასჭირდეს, ისეთი ფუნქციების შესრულება, როგორცაა მომხმარებელთა რეგისტრაცია, პროდუქციის დაჯავშნისა და ანგარიშსწორების ფუნქცია, ხოლო ზოგიერთი კომპანიისთვის საკმარისია მხოლოდ ინფორმაციული საიტის ქონა, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ. როგორც არ უნდა იყოს ვებ-საიტი, ის უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებსა და პრინციპებს:

2. რა ფუნქციების და სირთულისაც არ უნდა იყოს საიტი, მას უნდა გააჩნდეს ეფექტური დიზაინი, სწორედ ვიზუალური ექმნება მომხმარებელს პირველად შთაბეჭდილება კომპანიისა და მისი პროდუქციის შესახებ. საიტის დიზაინი, ფერებითა და სპეც-ეფექტებით უნდა ასოცირდებოდეს კომპანიის ბრენდთან. საიტი უნდა იყოს სწრაფი და ადაპტირებული ნებისმიერ მობილურ ტელეფონთან, პლანშეტთან და სხვა ტიპის ხელსაწყოებთან. ამის მიზეზი მობილური ტექნოლოგიების სწრაფი ტემპებით განვითარებაა, შესაბამისად მობილურ მოწყობილობათა მომხმარებლის რიცხვი უკვე აჭარბებს კომპიუტერული მონიტორით მოსარგებლე პირთა რაოდენობას. საიტის მასალები უნდა იყოს საინტერესო წასაკითხი, ადვილად აღქმადი და არ უნდა შეიცავდეს გრამატიკულ/ენობრივ ხარვეზებს. მნიშვნელოვანია, რომ საიტზე განთავსებული მასალა იყოს რაც შეიძლება ინფორმაციული. საიტის მომხმარებელს უნდა გააჩნდეს დაუყოვნებლივი წვდომა კომპანიის საკონტაქტო მონაცემებთან, რამდენიმე წამის დაგვიანების გამო, მყიდველმა შეიძლება გადაიფიქროს დაკონტაქტება. კომპანიის საკონტაქტო მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს არა მხოლოდ ერთ გვერდზე, არამედ ყველა მომსახურების გვერდზე, მყიდველის თვალმისაცემ ადგილებში.
3. ინტერნეტ მომხმარებელთა უმეტესობა ეძებს პროდუქტს/მომსახურებას გუგლის საძიებო სისტემაში. გაყიდვების მენეჯერმა მარკეტოლოგიებისა და პროგრამისტების დახმარებით უნდა შეძლოს იმის ორგანიზება, რომ საიტი ამოუგდოს იმ მომხმარებელს, რომელიც ეძებს კომპანიის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტს/მომსახურებას? ამისთვის საჭიროა საიტის ოპტიმიზაცია და სწორი კონტენტ მარკეტინგის განხორციელება. ვიზუალური მასალა არის ის წამყვანი ელემენტი,

- რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კომპანიის ინტერნეტში წარმოსაჩენად. რაც უფრო მაღალი ხარისხისაა, ფოტო-ვიდეო მასალა, მით უფრო მეტი მომხმარებლის მოზიდვა და პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბება არის შესაძლებელი. ნებისმიერ ფოტო-ვიდეო მასალას, რომელსაც გამოიყენებს კომპანია თავის საიტზე ან ციფრულ მარკეტინგში, საჭიროა მას გააჩნდეს ბრენდირებული დიზაინი და შესაბამისად უნდა ასოცირდებოდეს მოცემული კომპანიის ბრენდთან. კომპანიამ უნდა დაიცვას საავტორო უფლება. მან არ უნდა გამოიყენოს ის ვიდეო მასალა, რომელზეც ნებართვა მას არ გააჩნია.
4. ციფრული მარკეტინგის როლი ბიზნესში უაღრესად დიდია, რომ წარმოვიდგინოთ მასშტაბურობა, ფეისბუქის, Youtube-ისა და გუგლის საერთო სარეკლამო შემოსავლები აღემატება ერთად აღებული მთელი მსოფლიოს ყურნალების, გაზეთებისა და ტელევიზიით მიღებულ სარეკლამო შემოსავლებს. საქართველოც არ ჩამორჩება აღნიშნულ ტენდენციებს, სოციალური მედია საკმაოდ დიდ ნაწილს იკავებს ქვეყნის მთლიანი სარეკლამო ბაზრის წილში. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ფეისბუქი და ინსტაგრამი, ასევე მზარდი პოპულარობა გააჩნია Pinterest-ს.
  5. მომხმარებელმა შესაძლოა მოინონოს მოცემული კომპანიის სოციალური მედიის გვერდი, სასიამოვნო განწყობა შეექმნას ვებ საიტზე სტუმრობისას, თუმცა ეს ყველაფერი არ მისცემს შედეგს კომპანიას, თუ კომპანიის მარკეტოლოგი ვერ უზრუნველყოფს ეფექტური კომუნიკაციის შესაძლებლობას. ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები კომპანიას აძლევს მომხმარებელთან კომუნიკაციის მრავალმხრივ შესაძლებლობას, თუმცა ხშირად კომპანიები, მაინც ვერ ახერხებენ მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციას, რასაც პოტენციური კლიენტების დაკარგვა მოყვება შედეგად.
- ამდენად, მომხმარებელთა კომუნიკაციისას, მთავარი არის პასუხის დროულად და პოზიტიურად მიწოდება. კომპანიის ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა ინტენსივობით უნდა განისაზღვროს კომუნიკაციის შესაძლებლობა. ასევე მნიშვნელოვანია მინიმუმ ორი საკომუნიკაციო არხის ქონა, მათგან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა იყოს სატელეფონო კომუნიკაცია. კომუნიკაციის სხვა ფორმები: მეილები, ფეისბუქის ბიზნეს

გვერდი, ვებ-საიტის ჩატი, ჩატბოტები და სხვა.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ არსებულ ტენდენციებს, ჩვენ შეგვიძლია გა-ვაკეთოთ ასეთი დასკვნა, რომ ელექტრონულ ბიზნესში მხოლოდ იმ კომპანიებს აქვთ განვითარების და წარმატების შანსი, რომლებიც ინტერნეტში დაიკავებენ მნიშვნელოვან ადგილს, ხოლო ისინი, რომლებიც ამას ვერ მოახერხებენ გაქრებიან ასპარეზიდან. საქართველოში ციფრული მარკეტინგის როლი უფრო დაბალია ვიდრე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, შესაბამისად უფრო მარტივია იმ სადავეების დაკავება, რომელიც ახლო მომავალში მეტი წარმატების განმაპირობებელი იქნება.

იმისათვის, რომ ბიზნესმა ციფრული მარკეტინგი ეფექტურად მართოს და გამოიყენოს იგი კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, აუცილებელია რამდენიმე რეკომენდაციის გათვალისწინება:

1. საჭიროა ციფრული მარკეტინგის მეთოდოლოგიის საფუძვლიანი ფლობა და არა დილექტანტური მიდგომებით მოქმედება;

2. ციფრულ მარკეტინგს უნდა წარმართავდეს სპეციალურად ამ სფეროში გამოცდილი და კვალიფიცირებული კადრი;
3. აუცილებელია ციფრული მარკეტინგის სფეროში მიმდინარე სიახლეებზე მუდმივი თვალყურის დევნება და მათი პრაქტიკაში გატარება;
4. მარკეტინგული მიზნების და ამოცანების რეალისტურად დასახვა და განხორციელების კონტროლი;
5. ბაზარზე მიმდინარე მოვლენების შესაბამისად მარკეტინგულ კამპანიაში ცვლილებების შეტანის უნარი;
6. მიმდინარე და ჩატარებული მარკეტინგული კამპანიის ანალიტიკის მეთოდოლოგიის ფლობა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება მომავალი კამპანიებისთვის;
7. ინტერნეტ აუდიტორიის ქცევის ძირითადი თავისებურებებში წვდომა და სამიზნე სემენტზე გათვლილი საკომუნიკაციო სტილის დამკვიდრება.



შიდა ორგანიზაციული კომუნიკაციის პრაქტიკული ასპექტები

PRACTICAL ASPECTS OF THE INTERNAL ORGANIZATIONAL COMMUNICATION

ირმა ჩხაიძე,

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი საქართველო, ბათუმი

IRMA CHKHAIDZE,

Doctor Of Economics, Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University Georgia, Batumi

ანოტაცია

ადამიანის, როგორც პიროვნებისა და საზოგადოების წევრის, ნორმალური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ურთიერთობის კომუნიკაცია, როგორც ურთიერთ დამაკავშირებელი რგოლების რთული სისტემა. აღნიშნულს შესაძლებელია საფუძვლად დაუდოთ ჯონდ. როკფელერის აზრი, რომ: „მე მზად ვარ გადავიხადო ამ ურთიერთობის უნარის შესაძენად უფრო მეტი, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახის საქონელში“.

თანამედროვე ეტაპზე უმნიშვნელოვანესია კომუნიკაციის როლი ორგანიზაციის მართვის პროცესში, რადგან ორგანიზაცია, სადაც კომუნიკაცია ეფექტურად არის ორგანიზებული, გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდება, უფრო ეფექტურია, მოქნილია და მარტივად ახერხებს გარემოს ცვლილებებთან შეგუებას. ყოველივე ეს კი განაპირობებს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობას.

სტატიაში შიდა ორგანიზაციული კომუნიკაციის პრაქტიკული ასპექტების უმთავრეს ობიექტს წარმოადგენს კომპანიაში ხელმძღვანელს, პირველი და საშუალო რგოლის მენეჯერსა და თანამშრომლებს შორის ორმხრივი ეფექტური კომუნიკაციის შესწავლა და გაანალიზება. ორგანიზაციაში მენეჯერი მართვის ფუნქციების უზრუნველყოფას განახორციელებს პერსონალის მეშვეობით, რის გამოც მენეჯერი თანამშრომლებს შორის ურთიერთობის ინსტრუმენტის-ინფორმაციის გამოყენებით გეგმავს, ორგანიზებას უკეთებს, მართავს და მოტივირებს უწევს თანამშრომლებს.

მიზნის მიღწევისათვის განსახორციელებელი ამოცანა შეისწავლოთ კომპანიაში კომუნიკაციის საშუალებები და კომუნიკაციის პროცესში მათი მართებულად გამოყენება; ორგანიზაციაში ცვლილებათა მართვა კომუნიკაციის ფაქტორების გათვალისწინებით. კომუნიკაციური ბარიერები და მათი დაძლევის გზები, რომლებიც გამოწვეულია ურთიერთობის მონაწილეებს შორის გაუგებარი მიზეზებით.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს კომუნიკაცია, ორმხრივი კომუნიკაცია, კომუნიკაციური ბარიერები.

ABSTRACT

The essential condition of the normal development of a human, as a member of person and society, is a relationship communication, as a complicated system of interconnections. On the above mentioned, we can underlie John D. Rockefeller's opinion, that: "I'm ready to pay more to buy the ability of this relationship, than in any other kinds of goods".

On the modern stage, it's the most important the role of communication in the management process of organization, because, organization where communication is effectively organized, is developed much faster and it's more efficient, flexible and it's able to adapt to the environment changes easier. All these stipulate the competitiveness of the organization.

In the article, **The main object** of the practical aspects of organizational communication in the company is to study and analyze of bilateral effective communication between manager and individual person, between the group of employees and the whole company. In the organization, manager will carry out to provide the management functions through the staff, because of which, manager plans, organizes, manages and motivates the employees by using an instrument-information of relationship between employees.

In order to achieve the goal, the objectives, to be carried out, is to study: means of communication in the company and to use them properly in the communication process; Management of the changes in the organization considering the communication factors. Communication barriers and the ways of overcoming them, which are caused with misunderstanding or with other reasons between the participants of relations.

**Keywords:** Business communication, bilateral communication, communications barriers.

შესავალი

ორგანიზაციაში ცვლილებების აუცილებლობას, როგორც წესი, გარე გარემოში მომხდარი ცვლ-

იღებები განაპირობებს, რომელშიც იგულისხმება ხელმძღვანელის მიერ ორგანიზაციის მიზნების, სტრუქტურის, ამოცანების, ტექნოლოგიისა და ადამიანისეული ფაქტორებისათვის დამახასიათებელი ერთი ან მეტი შინაგანი ცვლადის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ორგანიზაციაში ცვლილებების განხორციელების დროს მენეჯერი იკავებს ან პროაქტიურ ან რეაქტიურ პოზიციას, ანუ მენეჯერი თვითონ იჩენს აქტიურობას, ან კიდევ რეაგირებს კონკრეტული სიტუაციის მოთხოვნებზე. რის გამოც **ნაშრომის კვლევის მიზანია** უცხოური კომპანიების მაგალითზე შევისწავლოთ რეორგანიზაციის პროცესში მიმდინარე ცვლილებების გამომწვევი მიზეზები და გავაანალიზოთ ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამყალიბების პრინციპები.

პრაქტიკული რეალობა ცხადყოფს, რომ კომუნიკაცია, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ორგანიზაციების წარმატებით ფუნქციონირებაში და უშუალოდ არის დამოკიდებული ორგანიზაციის მართვის ეფექტიანობაზე. კვლევები ცხადყოფს, რომ ამერიკელი მენეჯერების 73%-ი, ინგლისელი მენეჯერების 63%-ი და იაპონელი მენეჯერების 85%-ი [6] აზრით არაეფექტიანი კომუნიკაცია ორგანიზაციაში ეფექტიანობის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი ბარიერია, რომელიც ორგანიზაციაში წარმოიშობა: ვერტიკალური, ჰორიზონტალური, ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციის დროს.

შიდა ორგანიზაციული კომუნიკაციის პრაქტიკული ასპექტების შესწავლისას მიზანშეწონილია განვიხილოთ კომპანიის რეორგანიზაციის პროცესში მიმდინარე ცვლილებებზე დაყრდნობით ვერტიკალური კომუნიკაციები, რომელიც მყარდება ორგანიზაციაში, როგორც „**დამავალი კომუნიკაცია**“, ასევე „**აღმავალი კომუნიკაცია**“.

კომპანიაში ეფექტური „დამავალი და აღმავალი“ კომუნიკაციის პროცესის შექმნისათვის მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ორგანიზაციული სტრუქტურა არა ხელმძღვანელების მიერ დამოუკიდებლად არამედ კომპანიაში დასაქმებულ პერსონალთან უშუალო კომუნიკაციით [7] რადგან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კომპანიის რეორგანიზაციის შესახებ თანამშრომლები ინფორმაციას გებულობენ არაფორმალური გზით, რომლის მანკიერი მხარეა ის, რომ ინფორმაცია ფრაგმენტულად, ხშირ შემთხვევაში, არასწორად გადაიცემა, მის ინტერპრეტირებას კი ყველა სხვადასხვანაირად აკეთებს, რაც უარყოფით ტალღას და არასწორ მოლოდინებს ქმნის თანამშრომლებში.

ამიტომ მნიშვნელოვანია, ორგანიზაციის სტრუქტურის დანერგვის ეს ნაწილი კარგად დაიგეგმოს და ფორმალური სახე მიეცეს.

კომპანიის რეორგანიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია ხელმძღვანელების მონაწილეობა, ასევე საშუალო და პირველი რგოლის მენეჯერების მიერ ორგანიზაციის იერარქიულ-ორგანიზაციული სტრუქტურით თანამშრომლებზე ზუსტი ინფორმაციის გადაცემა იმის შესახებ თუ რა ცვლილება უნდა განხორციელდეს, რატომ არის საჭირო და რა წინააღმდეგობები მოჰყვება აღნიშნულ პროცესს. ე.ი. კომპანიაში ყველა დონეზე ინფორმაციის მიწოდება ხარვეზის გაეშე საჭიროებს ერთიანი ინფორმაციის საშუალების, კონტექსტის და კოდიფიცირების სისტემის გამოყენებას. ეს შეიძლება განხორციელდეს ზეპირი, წერილობითი სახით და პრეზენტაციით. სწორედ ამიტომ, ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილია შეიმუშაოს კომუნიკაციის გაუმჯობესების გეგმა და მოამზადოს კომუნიკაციის საკითხებზე პრეზენტაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს: ინფორმაციას კომუნიკაციის როლზე, მნიშვნელობაზე, მიმდინარე პროცესზე, არსებულ ან მოსალოდნელ ბარიერებზე და ბოლოს პრეზენტაცია მიზანშეწონილია დაექვემდებაროს კითხვა-პასუხის რეჟიმს, რომლითაც მოწმდება აუდიტორიის მიერ პრეზენტაციის შინაარსის სწორად გააზრება.

პრეზენტაციის შემდგომი პროცესი აუცილებელია დაექვემდებაროს სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას, ანუ კომუნიკაციის ისეთი ეფექტური საშუალების ამოქმედებას, როგორცაა: თათბირების და შეხვედრების, მენეჯმენტთათბირების გამართვა; მართვის ყველა დონის მენეჯერებთან შეხვედრების მოწყობა, ტრენინგების ჩატარება, მუშათა საბჭოს მოწვევა, გამოსაქვეყნებელი დაფების მომზადება და არაფორმალური შეხვედრების წარმართვა. მაშასადამე, კომპანიის რეორგანიზაციის შესახებ ზუსტი ინფორმაცია თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, რომ ინფორმირებული იყვნენ მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მათ მოტივაციას და თავს აარიდებს მოულოდნელობის პრინციპით გამონვეულ სტრესსა და არაეფექტურ სამუშაო პროცესს.

კომპანიის რეორგანიზაციის შედეგად ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად საქართველოში შესაძლებელია დასახელდეს შპს „ბათუმის ნავთობის ტერმინალი“, რომლის რეორგანიზაციული ცვლილებები უკავშირდება მე-20 საუკუნის

90-იან წლებში სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული საწარმოს მიყიდვას ევროპული კომპანია „დეველოპმენტ ლიმიტედზე“. კომპანია, რომელმაც 1999 წლიდან 2006 წლამდე, ბათუმის ნავთობის ტერმინალის რეკონსტრუქციაზე დახარჯა 200 მილიონ დოლარზე მეტი.

შპს „ბათუმის ნავთობის ტერმინალი“ დღეს მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურა შემუშავდა საშუალო დონის მენეჯერების მიერ მომზადებული წინადადებების საფუძველზე და შემდგომ ყველა მენეჯერთან ერთად შემუშავებული საბოლოო ორგანიზაციული სტრუქტურა დაეფუძვნა დეპარტამენტიზაციის პრინციპს, რომლის საფუძველად ჩამოყალიბდა მოქნილი სისტემა, რომლის მართვა და შიდა კომუნიკაცია ეფექტური გახდა.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების შემდგომ გაიწერა, როგორც თანამდებობრივი ინსტრუქცია და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები ასევე განისაზღვრა მათი რაოდენობრიობა. 2008 წელს თანამშრომელთა რაოდენობამ შეადგინა 733 თანამშრომელი, მაშინ როდესაც 1998 წლისათვის შეადგენდა 1147 თანამშრომელს. 2008 წლის მონაცემებით კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურაში დასაქმებული პერსონალის პროცენტული გადანაწილებით: ადმინისტრაციულ განყოფილებაზე მოდიოდა 5%-ი (1998 წელს-17%), ფინანსურ განყოფილებაზე 2%-ი (1998 წელს-2%), ტექნიკურ განყოფილებაზე 13%-ი (1998 წელს-18%), ოპერაციულ განყოფილებაზე 69%-ი (1998 წელს-48%), ხარისხის განყოფილებაზე 75%-ი (1998 წელს-17%), უსაფრთხოების განყოფილებაზე 4%-ი (1998 წელს-10%) [1.გვ.,84, 87-88].

კომპანიაში დიდი ძლისხმევის საფუძველზე დანერგილია კომუნიკაციის გაუმჯობესების გზებმა, საბოლოო ჯამში, ხელი შეუწყო მიეღო ხარისხის მართვის სერტიფიკატი ISO 9001, სადაც კომუნიკაციის პროცესებსა და პროცედურებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ეფექტური კომუნიკაციის შედეგად უნაკლოდ განხორციელებულმა ცვლილებებმა საშუალება მისცა ბათუმის ნავთობ ტერმინალს მოეხდინა არსებული რესურსების ოპტიმიზაცია, და არსებულ კონკურენტულ (ფოთის ტერმინალი „ჩენელენერჯი“, სუპსის ნავთობ ტერმინალი) გარემოში კონკურენტუნარიანობის მოპოვება.

2004 წლიდან დაწყებულმა რეორგანიზაციის, ოპტიმიზაციისა და ეფექტურობის ზრდის პროცესის გაანალიზების საფუძველზე დადგინდა, რომ 2006 წელს, 2004 წელთან შედარებით, თითქმის 5 მილიონი ტონით მეტი ნავთობი და ნავთობპრო-

დუქტი გადაიტვირთა (300 ადამიანით შემცირებული კოლექტივით განხორციელდა) რამაც შესაბამისად თავისი ასახვა პოვა როგორც ბიზნესის განვითარებაზე (2005 წელს ექსპლუატაციაში გაიშვა თხევადი აირის ტერმინალი, განახლდა სარეზერვუარო პარკები, მოხდა ტექნიკური გადაიარაღება), ასევე ორგანიზაციის შიდა (გაიზარდა სოციალური მხარდაჭერის პაკეტი თანამშრომლებისთვის, დაწესდა უფასო სამედიცინო დაზღვევა თანამშრომლებისთვის და შეღავათიანი-მათი ოჯახის წევრებისთვის) და გარე (საქველმოქმედო აქციები) სოციალურ პასუხისმგებლობაზეც [1.გვ.,113-114].

მსოფლიო პრატიკაში კომპანიის რეორგანიზაციის პროცესში ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად სახელდება რიკარდო სემლერის მიერ დაფუძნებული ბრაზილიური კომპანია „Semco“. სემკოს წარმატებას შესაძლებელია საფუძველად დაუდოთ რ. სემლერის სიტყვები, რომ „კომპანია მაშინ აღწევს წარმატებას და გამოავლენს საკუთარ პოზიციას მაქსიმალურად, როცა თანამშრომლები თვლიან, რომ ეს კომპანია მათია და ისინი არა დაქირავებული მუშები, არამედ საკუთარ ბიზნესში დასაქმებული პირები არიან“ [7].

1980 წლიდან (მამისაგან მემკვიდრეობით გამოცემული) კომპანიაში სემლერის მიერ ჩატარებული რეორგანიზაცია თავდაპირველად დაექვემდებარა ტოპ-მენეჯერთა 60%-ის სამსახურიდან დათხოვნას; შემდგომ დაეყრდნო სამი კომპონენტის: 1.დემოკრატიის (ყველა თანამშრომელი თავად ირჩევს რას, როგორ და როდის გააკეთებს), 2.მოგების განაწილების (მოგების ნაწილის გაენაწილებინა თანამშრომლებისათვის) და 3.ინფორმაციის საჯაროობის (ყველა თანამშრომელს აქვს თანაბარი უფლება მიიღოს ინფორმაცია კომპანიისა და დანარჩენი თანამშრომლების შესახებ) კომბინაციას. ეს უკანასკნელი კი ითვალისწინებდა „მშრომელთა საკუთრების“ პრინციპზე დაფუძნებულ ცვლილებების თანმიმდევრულ განხორციელებას, კერძოდ: -მუშა პერსონალის საქმიანობაში არსებული პრობლემების შესწავლას, მათივე სურვილების გათვალისწინებას და მათ მიერ საკუთარი ხელფასის განსაზღვრას (კომპანიის 2/3 თვითონ იწესებს ხელფასს); -დამოუკიდებელი „ბიზნეს ერთეულების“ შექმნას, რომელთაც მიანიჭა საკუთარი გეგმების დამოუკიდებლად შედგენის უფლება საკუთარი ბიუჯეტის ფარგლებში, რომელსაც თავად განკარგავდა საჭიროებისამებრ (ბიზნეს ერთეულის წმინდა მოგების 23%-ი მის თანამშრომლებზე ნაწილდებოდა. ხოლო ამ თანხის განაწილება ხმის მი-



ცემის პრინციპით ბიზნეს-ერთეული გადაწყვეტს).

ბრაზილიაში არსებული არასტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის პირობებში რეორგანიზაციის შდეგად ჩამოყალიბებულ კომპანიაში „Semco“ მოქმედებს სამი იერარქიული რგოლი: პირველ უმაღლეს რგოლში განეწიანებულია ხუთი მრჩეველი (თავად სემლერი), რომლებიც კომპანიას ექვს-ექვსი თვით მორიგეობით უდგანან სათავეში. მეორე რგოლის წარმომადგენლებია-რვა დივიზიის ხელმძღვანელები, ე.წ. პარტნიორები. მესამე რგოლში შედის კომპანიის დანარჩენი თანამშრომლები. ანუ ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილების ურთიერთკავშირი იერარქიულად არ არის აწყობილი და ამასთან განსაზღვრავს მთელი მოდელის შეთანხმებულ ფუნციონირებას. მაშასადამე, ეს არის კომპანიის სრულიად საუცხოო ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის არასტანდარტული მეთოდი- „მენეჯმენტი მენეჯერების გარეშე“, რადგან რიკარდოს შეფასებით, „ცოტაა ისეთი მენეჯერი, რომელიც მიანიჭებდა თავისუფლებას თავის თანამშრომლებს“. ამ პრინციპით მუშაობს „Semco“ 20 წელზე მეტი [8].

ამრიგად, კომპანიის რეორგანიზაციის პროცესში, მიზანშეწონილია კომუნიკაცია დამყარდეს (ორგანიზაციის ყველა დონეზე), როგორც ხელმძღვანელებთან ასევე პირველი და საშუალო რგოლის მენეჯერებთან, ანუ იმ პირებთან, რომლებიც უშუალოდ სტრუქტურის დამუშავებაში არიან ჩართული, და მათი აქტივობით თანამშრომლების ჩართვა ხორციელდება ორგანიზაციის სტრუქტურულ ცვლილებებში, რაც ერთი მხრივ პერსონალს აარიდებს არაფორმალური გზით მიღებული ინფორმაციას, გამოააშკარავებს თვით მენეჯმენტის შეცდომებს და გარკვეულ საკითხებში არაპროფესიონალიზმს, მეორე მხრივ მთელი კოლექტივისათვის ინფორმაციის სწორად მიწოდება მნიშვნელოვნად შეამცირებს გაუგებრობას, რადგან თითოეულისათვის გასაგები ხდება თავისი როლი ახალ სტრუქტურაში. ეს კი კიდევ უფრო ზრდის ახალი სტრუქტურის ამოქმედებისა და მისი წარმატების ალბათობას.

**დასკვნა**

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის კონკურენციულ გარემოში მიმდინარე ცვლელად პირობებში კომპანიები ცდილობს არა უბრალოდ გადარჩეს, არამედ გააგრძელოს განვითარება. ეს ცვლილებები მოითხოვს დაუყოვნებლივ რეაგირებას, გადაწყვეტილების მიღებას, რაც უზრუნველყოფს

ორგანიზაციაში შესაბამისი პროცესების თანმიმდევრულ განხორციელებას. ახალ პირობებთან შეგუება რთული და მტკივნეული პროცესია. შესაბამისად, ორგანიზაციაში ნებისმიერი ცვლილების პროცესი (ეს იქნება ახალი მიზნის დასახვა, საკადრო ცვლილება, სტრუქტურის შეცვლა, ახალი კანონების შემოღება და ა.შ.) უნდა იყოს კარგად ორგანიზირებული და მართვადი. ცვლილებების მართვის დისციპლინა საუკუნეებია არსებობს, მაგრამ ბოლო საუკუნეებში მას სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა, ვინაიდან ის ნებისმიერი ორგანიზაციის მენეჯმენტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს.

**რეკომენდაციები.**

კომპანიაში ორგანიზაციის სტრუქტურული ცვლილებების დროს კომუნიკაციის პროცესი ითვალისწინებს:

ერთი მხრივ, კომუნიკაციას პირველი და საშუალო რგოლის მენეჯერებთან, ანუ იმ პირებთან, რომლებიც უშუალოდ სტრუქტურის დამუშავებაში არიან ჩართული, მიზანშეწონილია მონაწილეობდეს გენერალური დირექტორი და ყველაზე მსხვილი მიმართულებების ხელმძღვანელები, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას ახალ სტრუქტურაში კადრების კომპლექტაციის, ასევე სტრუქტურის, ან ცალკეული მიმართულების შექმნის, ამუშავების, გაერთიანების საკითხებზე.

მეორე მხრივ, კომუნიკაციას რიგით თანამშრომლებთან, ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს ამ ქვედანაყოფის ხელმძღვანელი და სტრუქტურის დანერგვაზე მომუშავე გუნდის მინიმუმ ერთი წევრი. ამ შეხვედრის სასურველი შედეგია, ის რომ თითოეულმა ცხდად გაიგოს ახალ სტრუქტურაში რა არის მათი ქვედანაყოფის როლი, როგორ ნაწილდება პასუხისმგებლობები მათ შიდა სტრუქტურაში, რა და როდის იცვლება მათ ყოველდღიურ მუშაობაში.

დაინტერესებული პირებისთვის საკონსულტაციო შეხვედრების მოწყობას, რომელიც კომუნიკაციის დასკვნითი ნაწილის მნიშვნელოვანი ელემენტია; ინდივიდუალური შეხვედრების დანიშვნას (უშუალო ხელმძღვანელთან, გენერალურ დირექტორთან, რომელიმე მიმართულების დირექტორთან) სტრუქტურის დამუშავების პროცესში ჩართულ იმ პირებთან, თუ ვინმეს დამატებითი განმარტებები ან სტრუქტურაში თავისი როლის დაზუსტება სჭირდება.

უცხოური კომპანიებისაგან განსხვავებით ქართული კომპანიების საქმიანობის რეალობიდან



გამომდინარე ხშირად გვეხმის ფრაზები „რა ეს-აქმება მუშა-პერსონალს“ კომპანიაში ცვლილებების განხორციელების დროს და მითუმეტეს გადანაცვლებების მიღებაში. განვითარებული კომპანიის მაგალითებით დგინდება, რომ კომუნიკაცია, რომ განხორციელდეს არა უბრალოდ არამედ ეფექტიანად მიზანშეწონილია მუშა-პერსონალის პრობლემები საშუალო დონის მენეჯერებიდან „გაფილტვრის“ გარეშე გადაეცეს ორგანიზაციის პირველ პირს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოჩნდება „მასთან“ დაპირისპირებაში რასაც თავის მხრივ შესაძლებელია ეწოდოს „ხელმძღვანელის

ხელისუფლების ბალანსის რღვევა“ და დადგება მასთან კომუნიკაციაზე მოთხოვნის საჭიროება. აღნიშნული პრობლემის დასაძლევად და რეორგანიზაციის წარმატებით განხორციელებისათვის პირველ პირს მოეთხოვება აღნიშნულ შემთხვევაში შეიმუშაოს წესი მუშათა-საბჭოს მოსაწყობად, რაც თავდაპირველად მოითხოვს გარკვეული წესების შემუშავებას, განრიგების განსაზღვრას, წინასწარ მოსაზრებების შეგოვებას, დამუშავებას, შეხვედრებზე ერთობლივ განხილვას და შემდგომ მის საფუძველზე საერთო გადანაცვლებების მიღებას კომპანიის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად.

**ლიტერატურა/REFERENCES**

[1] **მეგრელიშვილი კ.**, „ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა ცვლილებათა მართვის პროცესში - თანამედროვე მართვის პრობლემები“, დისეტაცია, ბათუმი, 2012

[2] **ფარესაშვილი ნ. ქეშელაშვილი გ.** „ორგანიზაციული ქცევა“, თბ., 2010

[3] **ჩაჩანიძე გ., ნანობაშვილი ქ.**, „ბიზნეს-კომუნიკაცია“, თბ., 2009

[4] **ხიზანიშვილი ს., ყულიჯაშვილი ა., ნიქარიძე ლ.**, „საქმიანი ურთიერთობების კულტურა“, თბ., 2007

[5] **ლამბაშიძე თ.**, „კომუნიკაციური ბარიერები ორგანიზაციებში“, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 2000, №3-4

[6] <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---o>

[7] <http://strategy.ge/2013/03/22/structure-communication/>

[8] <http://forbes.ge/news/275/korporaciuli-demokratia>

რისკის კულტურა ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე

RISK CULTURE IN THE MODERN STAGE OF ECONOMIC DEVELOPMENT

**ლელა ონიანი,**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. საქართველო, ბათუმი

**თამარ ღოღობერიძე,**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი. საქართველო, ბათუმი

**LELA ONIANI,**

Batumi Shota Rustaveli State University  
Faculty of Economics and Business  
Associate Professor. Batumi, Georgia

**TAMAR GHOGHERIDZE,**

Batumi Shota Rustaveli State University  
Faculty of Economics and Business  
Doctorate. Batumi, Georgia

**ანოტაცია**

რისკ-კულტურა რისკ-მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია. რისკ-მენეჯმენტი, როგორც სხვა მმართველობითი პროცესი მკაფიოდ რეგლამენტირებულია. ორგანიზაციული სტრუქტურები, როლი, პროცედურები, ინსტრუმენტები, მოდელები ჰარმონიულ მეთოდებს შექმნიან, მაგრამ ამასთან რისკ მენეჯმენტის მდგრადი სისტემის და მისი მუდმივად ცვალებად შიდა და გარე ფაქტორებთან ადაპტაციისთვის საკმარისი არ არის ფორმალური მეთოდები დაყრდნობა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ცხოვრებისეული პრაქტიკა და სიტუაცია წინ უსწრებს ყველაზე ფართო და დეტალურ რეგულაციებსაც კი. ამიტომაც რეგულაციებში არსებული ხარვეზებისა და ბუნდოვანი ზონების ამოცხვების ერთ-ერთი საშუალებაა ცოდნა, ფასეულობები, პრინციპები და რწმენა რისკების მართვაში. სწორედ ამ კომპონენტების ერთობლიობა (ცოდნა, ფასეულობები, პრინციპები და რწმენა) მათმა მთლიანობამ საერთაშორისო პრაქტიკაში მიიღო რისკ-კულტურის სახელწოდება. ამ ეტაპზე კომერციული ბანკები რისკ-კულტურის განვითარების სხვადასხვა დონეზე არიან.

დღევანდელ რეალურ პრაქტიკაში ქართულ კომერციული ბანკებში ორგანიზაციული სტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ რისკების მართვაც მიმდინარეობს ცენტრალიზებულად და რეგიონულ და ფილიალურ სტრუქტურებში რისკ კულტურის ფასეულობათა და პრინციპების კომუნიკაციურ განვითარებას არ საჭიროებენ, რაც ჩვენი აზრით სრულყოფილებას მოკლებულია და ჩვენ ვფიქრობთ, რომ რისკ-კულტურა არ არის განვითარების შესაბამის დონეზე.

**საკვანძო სიტყვები:** რისკ-კულტურა, რისკ-მენეჯმენტი, ეკონომიკა, კომერციული ბანკები, ფინანსები, პერსონალი, რეგულაცია, საქართველო.

**ABSTRACT**

*Risk culture is an integral part of risk management. Risk management, as another management process is clearly regulated. Organizational structures, role, procedures, tools, models should be a harmonious mechanism, but it is not sufficient to adapt to a sustainable system of risk management and its constantly changing internal and external factors. Because in many cases the practice of life and the situation precedes even the most comprehensive and detailed regulations. That is why one of the ways to fill the gaps and vulnerabilities in the regulations is knowledge, values, principles and beliefs in the management of risks. The combination of these components (knowledge, values, principles and beliefs) in their entirety has received the name of the culture of international culture. At this stage, banks are at different levels of development of Risk-culture.*

*In today's real practice, the organizational structure of the Georgian commercial banks is designed so that the risk management is being centralized and regional and financial structures do not need the communicative development of the values and principles of cultural culture, which we consider absolutely inadmissible. In the case of such a system of management, the personnel employed at the level of the region and the individual branch office do not require the competencies that the higher education is available. Therefore, we can not say that the culture of risks developed at an appropriate level.*

**Keywords:** Risk-Culture, Risk-Management, Economics, Commercial Banks, Finance, Staff, Regulation, Georgia.

**თემის აქტუალობა.** თანამედროვე ეტაპზე კომერციულმა ბანკებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს რისკების მართვის პროცესის, წესების, სტანდარტებისა, და ზოგადად რისკების მართვის

ორგანიზაციის სტრუქტურის განვითარების მხრივ. თუმცა ხშირ შემთხვევაში რისკების მართვის საერთო წესები ბანკებში შეიძლება არასწორად იყოს გაგებული და გამოყენებული, არაადეკვატური ბანკის საქმიანობასთან, ან კიდევ ყურადღების მიღმა დარჩენილი. ცხადია, რომ ბანკში არსებული რისკ-მენეჯმენტის კულტურას შეუძლია გააუმჯობესოს, ან პირიქით უარესობისკენ შეცვალოს ბანკის საქმიანობის საბოლოო შედეგი. ბანკებმა უფრო და უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ რისკების მართვას და მათი საქმიანობის მთავარი საფუძველი სწორედ რისკ-მენეჯმენტზე დააფუძნონ.

**კვლევის მიზნები და ამოცანები.** შესწავლილი იქნეს ქართულ კომერციულ ბანკებში რისკ-კულტურის ჩამოყალიბების ტენდენციები და შემუშავებული იქნეს შესაბამისი წინადადებები;

**კვლევის საგანს** წარმოადგენს საბანკო სფეროში არსებული რისკ-კულტურის განვითარების დონე, ხოლო **კვლევის ობიექტს** საქართველოს საბანკო სისტემის კომერციული ბანკები.

რისკ-მენეჯმენტი, როგორც სხვა მმართველობითი პროცესი მკაფიოდ რეგლამენტირებული უნდა იყოს. ორგანიზაციული სტრუქტურები, როლი, პროცედურები, ინსტრუმენტები, მოდელები ჰარმონიზებულ მექანიზმს უნდა ქმნიდნენ, მაგრამ ამასთან რისკ მენეჯმენტის მდგრადი სისტემის და მისი მუდმივად ცვალებად შიდა და გარე ფაქტორებთან ადაპტაციისთვის საკმარისი არ არის ფორმალური მექანიზმზე დაყრდნობა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ცხოვრებისეული პრაქტიკა და სიტუაცია წინ უსწრებს ყველაზე ფართო და დეტალურ რეგულაციებსაც კი. ამიტომაც რეგულაციებში არსებული ხარვეზებისა და ბუნდოვანი ზონების ამოცხების ერთ-ერთი საშუალებაა ცოდნა, ფასეულობები, პრინციპები და რწმენა რისკების მართვაში. სწორედ ამ კომპონენტების ერთობლიობამ (ცოდნა, ფასეულობები, პრინციპები და რწმენა) მათმა მთლიანობამ საერთაშორისო პრაქტიკაში მიიღო რისკ-კულტურის სახელწოდება.

**საბანკო სისტემაში რისკ-კულტურის განვითარების ეტაპები და რისკ-კულტურის სახეების კლასიფიკაცია**

საბანკო რისკების მართვის სფეროში ხშირად დომინირებს ან ფორმალური პროცედურები ან

არაფორმალური პრინციპები და მტკიცებულებები. წარმატებული ბანკები ავითარებენ როგორც ერთ, ასევე მეორე მხარესაც. ორგანიზაციაში რისკ-კულტურის ჩამოყალიბება და განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანი, გრძელვადიანი და რთული პროცესია. ის მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. სწავლება
2. რისკის მართვის ინსტრუმენტების დანერგვა ყოველდღიურ პრაქტიკაში
3. რისკ მენეჯმენტის ინსტრუმენტების გამოყენების მოტივირებული სისტემის მოწყობა.
4. ორგანიზაციის შიგნით რისკ-კულტურის ფასეულობებისა და პრინციპების კომუნიკაცია.

რისკ-კულტურის სახეების კლასიფიცირება შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნების მიხედვით, მაგალითად

- **შემთხვევა 1:** როდესაც აქცენტები კეთდება ბანკის შემოსავლებსა და მოცულობაზე. ორგანიზაციის მართვა ორიენტირებული არის ბრუნვების მოცულობასა და შემოსავლებზე. საქმიანობის შესაბამისი მაჩვენებლები ფაქტიურად არ კორექტირდება რისკის მიხედვით. ორგანიზაციაში პროფილური სპეციალისტების გარდა სხვა დანარჩენი პერსონალში რისკის ცნობადობა ძალიან დაბალია. რისკ მენეჯმენტს აქვს მკაცრი კონტროლის ფუნქცია, რის გამოც წარმოიქმნებოდა კონფლიქტური სიტუაციები რისკების მართვისა და ფრონტ ოფისებს განყოფილებებს შორის, რომელშიც პრაქტიკულად იმარჯვებდა უკანასკნელი.
- **შემთხვევა 2:** აქცენტები რენტაბელობასა და მომგებიანობაზე. მაღალ რენტაბელობაზე ფოკუსირების შემთხვევაში ცნობადობა რისკებზე დაბალია და მმართველობითი გადანყვეტილებების მიღებისას გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, რომლებშიც ფორმალურად არის გათვალისწინებული რისკები. ორგანიზაციაში არის რისკ მენეჯერი, რომელიც ცდილობს შეიტანოს თავისი წვლილი მართვაში, მაგრამ ვინაიდან მას თვლიან ხარჯებისა და დანაკარგების რუპორად, რაც აისახება რენტაბელობის დონეზე, მისი კონსერვატიული გადანყვეტილება არავის არ აინტერესებს, ამას კი მივყავართ იქამდე, რომ რეალურად

- მისაღები რისკის დონე ხშირად მაღალია დადგენილ დონესთან მიმართებაში.
- **შემთხვევა 3:** უზარალობა ნებისმიერ ფასად. აქ ვსაუბრობთ ორგანიზაციაში რისკის ცნობიერების ამაღლებაზე. რისკ-მეტრიკის გამოყენება შეზღუდული მოცულობით. კარგია თუ არა რისკზე არ წასვლა ზარალის არ მიღების მიზნით? რა თქმა უნდა არა, ვინაიდან ეს გულისხმობს ბევრი შესაძლებლობების ხელიდან გაშვებას, რამაც შეიძლება საბოლოო ჯამში ბანკი მიიყვანოს კრახამდე.
  - **შემთხვევა 4:** სირაქლემას პოზიცია-თავით ქვიშაში. მოცემულ ვარიანტში ბანკი მიიჩნევს რომ იცავს კონსერვატიულ მიდგომას რისკებთან, იცის და კარგად მართავს ძირითად რისკებს და შესაბამისად ამ მხრივ განიცდის უსაფრთხოებას და კომფორტს. სამხუხაროდ რეალობაში ასეთი უსაფრთხოების უზრუნველყოფა საკრედიტო ბაზრის მაღალ დინამიური გარე და შიდა გარემოს ფაქტორების გათვალისწინებით მიუღწეველია. ამიტომ რისკების მართვის პროცესი უნდა იყოს რეგულარული და მიზანმიმართული ახალი სახის რისკების იდენტიფიკაციასა და შეფასებაზე. მთლიანობაში ასეთი რისკ-კულტურა ნაკლებად მიიყვანს ორგანიზაციას წარმატებამდე.
  - **შემთხვევა 5:** დაბალანსებული კულტურა. ამ შემთხვევაში ორგანიზაციას აქვს რისკის შესახებ ცნობიერების მაღალი დონე და რისკის კორექტირების ინდიკატორებს აქტიურად იყენებს. ორგანიზაციის განვითარება გრ-

ძელვადიან პერსპექტივაში დაფუძნებულია გარკვეული რისკების გათვალისწინებით. არ არსებობს კონფლიქტი რისკის მართვის ფუნქციებსა და ბიზნეს ფუნქციებს შორის ორგანიზაციაში ყველა დონეზე, ვინაიდან მათ საერთო მიზნები ამოძრავებთ. [4, გვ.,52]

ვთვლით, რომ რისკ-კულტურა მაშინ არის განვითარებული, როცა პერსონალს მიუხედავად მათი რისკ მენეჯმენტის ფუნქციებთან არაპირდაპირი შეხებისა, შეუძლიათ ესაუბრონ რისკ-მენეჯერებს თავიანთ ენაზე და კარგად ესმით თუ მთლიანად ბანკისთვის რა მნიშვნელობა აქვს საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების მართვას და კონკრეტულად რა დოზით ეხება თითოეულ თანამშრომელს ეს რისკები.

მაშასადამე, რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს რისკ-მენეჯმენტის ინსტრუმენტები, ვერ იქნება ეფექტიანი თუკი ორგანიზაციაში არ არის რისკების მართვის კულტურა განვითარებული.


**რისკ-კულტურის კვილეა**  
**საქართველოს საბანკო ბაზარზე არსებულ კომერციულ ბანკებში**

დავინტერესდით რა ქართულ კომერციულ ბანკებში რისკ კულტურის განვითარების დონით გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა გამოკითხვა და შევიშუშავეთ მარტივი კითხვარები კვლევის მიზნის მითითების გარეშე, ვინაიდან მოგვხსენებათ, რომ ასეთი კვლევის უარყოფითი შედეგი გავლენას იქონიებდა ცალკეული ბანკების რეპუტაციასა და იმიჯზე.

დიაგრამა №1

უნდა იცოდეს თუ არა ბანკის რიგითმა თანამშრომელმა რა რისკ -ფაქტორების წინაშე დგას ბანკი?


111 პასუხი





იცით თუ არა საკრედიტო რისკის რაობა?


111 პასუხი



დიაგრამა №3

იცით თუ არა რა ფაქტორები ახდენს გავლენას საოპერაციო რისკზე?


111 პასუხი



დიაგრამა №4

არის თუ არა საპროცენტო რისკი საბაზრო რისკის შემადგენელი?


111 პასუხი



დიაგრამა №5

სავალუტო რისკი მიეკუთვნება თუ არა საბაზრო რისკს?


109 პასუხი



დიაგრამა №6

როგორ წარმოგიდგენიათ, რა გავლენას იქონიებს თქვენს ბანკზე რუსეთ-უკრაინის საექსპორტო ბაზრის ჩაკეტვა


111 პასუხი



დიაგრამა №7


ახდენს თუ არა გავლენას კლიენტის მიერ სესხის გადაუხდელობა თქვენს შემოსავალზე?

110 პასუხი



იღებთ თუ არა გადაჭარბებულ რისკებს ჯგუფის წევრის დახმარების იმედად?


111 პასუხი



დიაგრამა №9

მიეკუთვნება თუ არა რომელიმე კომერციული ბანკი გლობალური მნიშვნელობის სისტემურ ბანკს?


112 პასუხი



დიაგრამა №10

გაუწევს თუ არა კონკურენციას კომერციულ ბანკს სანგარიშსწორებო სისტემაში კრიპტო ვალუტების ჩართვა?

112 პასუხი



გამოკითხვების შედეგებმა გვიჩვენა, რომ დაახლოებით პერსონალთა 30-40%-მა არ იცის ის ძირითადი ცნებები და კრიტერიუმები, რომელიც მეტყველებს კორპორაციაში არსებულ რისკ-კულტურის განვითარებაზე.

რისკ-კულტურის განვითარების ერთ-ერთ დაუძლეველ ბარიერს წარმოადგენს ის რომ ბიზნეს სუბიექტები არ ცდილობენ თავიანთი ქმედებები დაინახონ ისეთი კუთხით, რომელიც უკარნახებს მათ მოვლენათა განვითარების ალტერნატიული გზებს. ამიტომაც უნდა ჩამოყალიბდეს სწორი კომუნიკაცია რისკ-მენეჯერების, როგორც კონსტრუქციული პარტნიორების როლისა ბიზნეს გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების პროცესში.

ბოლო 30 წლის განმავლობაში გლობალურ საბანკო სექტორში რისკ-კულტურის მდგომარეობა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. გასული საუკუნის ბოლო 10 წლეულში ორ იარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისას რისკ მენეჯმენტის სფეროს კომპეტენციები განვითარების საწყის ეტაპზე იყო. რისკების მართვა მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნათა დაცვის კონტექსტში განიხილებოდა. ამ პერიოდში რისკების მართვა მოიაზრებოდა როგორც წმინდა კონტროლის ფუნქცია და წარმოადგენდა ბიზნესის განვითარებისათვის დამაბრკოლებელ საგანს.

რისკ-მენეჯმენტის ფასეულობები და პრინციპები ხშირად ენიანადმდეგებოდა ბიზნესის მოცულობის მაქსიმიზაციის სტრატეგიას, მიუხედავად მოგების მიღების დონისა და რისკისა. საუკუნის დასაწყისში შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი პროგრესი რისკის მენეჯმენტის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ასპექტების განვითარებაში. ამ პერიოდისათვის ბანკები ორიენტირებულები იყვნენ მოგების მაქსიმიზაციასა და ფინანსური ეფექტიანობის სხვა მაჩვენებელთა ზრდაზე. რისკი განიხილებოდა, როგორც ხარჯების შემადგენელი კომპონენტი, რის გამოც რისკ მენეჯმენტი განცდიდა სერიოზულ ზეწოლას, რისკ მაჩვენებლები მანიპულირების მაღალ დონედ რჩებოდა და ბანკების რისკების ღირებულება ხშირად მცირდებოდა.

2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა განაპირობა აუცილებლობა იმისა, რომ მსოფლიო საბანკო სექტორს ეფიქრა დაბალანსებული რისკ კულტურის ჩამოყალიბებაზე.

რისკების იდენტიფიცირებისა და გაზომვის ინდიკატორების დანერგვამ, შეამცირა კონფლიქ-

ტური სიტუაციები სტრუქტურულ ერთეულებს შორის, კერძოდ რისკ-მენეჯერებსა და ფრონტ ოფისებს შორის. ზოგიერთი ბანკისათვის ეს ინოვაციური მიდგომები ადვილად დაძლევადი დარჩა, ზოგიერთმა კი შეწყვიტა არსებობა. ასეთი სისტემის შემთხვევაში რეგიონისა და ცალკეული ფილიალის დონეზე დასაქმებული პერსონალი გამოდის რომ არ საჭიროებს იმ კომპეტენციებს, რომელსაც უმაღლესი განათლება სძენს. შესაბამისად ვერ ვიტყვით რომ რისკების კულტურა სათანადო დონეზეა განვითარებული.

**დასკვნები და რეკომენდაციები.** კვლევის შედეგებისა და პრაქტიკული ფაქტების ანალიზის საფუძველზე ვასკვნით რომ, ქართულ კომერციულ ბანკებში რისკ-კულტურის განვითარების დაბალი დონე განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- ბანკის ტოპ მენეჯმენტის მხრიდან სუსტია რისკ-მენეჯმენტისადმი მხარდაჭერა;
- ესმით რა რისკების მართვის ინსტრუმენტების დანერგვის მნიშვნელობა ხელმძღვანელობა ყოველთვის არ აღიარებს რომ, რისკ მენეჯმენტი ეხება არა მარტო რისკ მენეჯერებს არამედ ბანკის ყველა სხვა თანამშრომლებსაც;
- პერსონალი არ არის დაინტერესებული რისკების შესახებ ინფორმაციის ურთიერთ გაზიარებით. სიტყვა „ რისკი “ ხშირად ნეგატიურად აღიქმება მათი მხრიდან, ისინი შიშობენ აიღონ პასუხისმგებლობა და პასუხი აგონ შედეგებზე. ორგანიზაციამ თანამშრომლებთან მიმართებაში უნდა გააუქმოს გასაიდუმლოების დადგენილი დირექტივები, რათა რაც შეიძლება ადრე იქნეს გამოვლენილი პრობლემები, მანამ სანამ ისინი ჯერ კიდევ მართვადია;
- პერსონალს სხვადასხვაგვარად ესმის რისკების შინაარსი, ვინაიდან ვფიქრობთ არ გააჩნიათ რისკების მართვის ერთიანი სტრატეგია;
- არ არის განვითარებული კომპეტენციები და სასწავლო პროგრამები რისკ მენეჯმენტის სფეროში, ასევე პერსონალის კომპეტენციების დონე არ შეესაბამება ამავე დროს დაკავებულ თანამდებობათა დონეებს.

პრობლემის დაძლევის მიზნით, ბანკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელი უნდა იყოს რისკის კულტურის ჩამოყალიბებაზე, მართვის ყოველ დონეს შორის კომუნიკაციასა და მის განხორციელებაზე, რომელიც საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს ბანკის სტრატეგიასა და საბოლოო მიზანზე. შესა-



ბამისად, რისკების მართვის შესახებ დებულება ც მიუთითებს, რომ „კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ მხარი უნდა დაუჭიროს და განავითაროს რისკების მართვის ეფექტიანი კულტურა, რომელიც სრულად ითვალისწინებს და აცნობიერებს რისკებს“. „დირექტორატმა უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის სათანადო და კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტება კომერციული ბანკის ყველა ბიზნეს ხაზის მიმართულებით, იზრუნოს კომპეტენტურობის და პატიოსნების პრინციპების ამალგებზე და განვითარებაზე. დირექტორატი ვალდებულია, რომ ჩამოყალიბდეს ძლიერი ორგანიზაციული კულტურა, რომელიც მხარს უჭერს პროფესიონალიზმსა და პასუხისმგებლობის მაღალ დონეს ორგანიზაციის მასშტაბით“.[1.მუხლი 2.2ე]

რისკ-კულტურის სრულყოფის პროცესი უნდა დაიწყოს რისკების მართვის ორგანიზაციის ჩამოყალიბებით კომპანიის თითოეული თანამშრომლის დონემდე დაყვანით. მიგვაჩნია, რომ ბანკისთვის რისკის მართვის კულტურის ჩამოყალიბება უფრო მომგებიანია, ვიდრე დაბრკოლებებზე თავის არიდება. მართვის თითოეული რგოლი უნდა იყოს ინფორმირებული რისკების შესახებ, უნდა ჩამოყალიბდეს რისკების მართვის საერთო კულტურა, ღირებულებები და რისკების მართვის ეთიკა.

ქართულ კომერციული ბანკებისათვის ეროვნულმა ბანკმა მოამზადა კანონპროექტი -„ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი კომერციული ბანკებისთვის“, რაც ერთგვარი გამოძახილია რისკ-კულტურის ცნებისა. აღნიშნული კანონ-პროექტის მიზანია საბანკო სექტორში ეთიკისა და საბანკო პროფესიის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დამკვიდრება, რაც ხელს შეუწყობს საბანკო სექტორისა და პროფესიის მიმართ საზოგადოების, მათ შორის, ინვესტორთა ნდობის ამალგებასა და საბანკო სექტორის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას. კოდექსის მიზნები შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში: ეროვნული ბანკი) მანდატთან და ამოცანებთან. წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული პრინციპები და სტანდარტები ეფუძნება სერტიფიცირებულ ფინანსურ ანალიტიკოსთა (ჩ) ინსტიტუტის მიერ განსაზღვრულ ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების ჩარჩოს, რომელიც საფინანსო ბაზარზე საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული სახელმძღვანელო სტანდარტია. კოდექსის მოქმედების სფეროში შემავალი პირები ვალდებული არიან, საქმიანობისას იმოქმედონ ეთიკის პრინციპთა დაცვით.[3.მუხლი 1.4]

**ეთიკის ზოგადი პრინციპები**

ცხრილი №2

1	იმოქმედონ პატიოსნად, კომპეტენტურად, ყურადღებით, პატივისცემითა და ეთიკის ნორმების სრული დაცვით საზოგადოების, მომხმარებლების, პოტენციური მომხმარებლების, დამსაქმებლების, დასაქმებულების, საბანკო სექტორისა და ზოგადად, საფინანსო ბაზრის სხვა მონაწილეების მიმართ;
2	პირად ინტერესებზე მაღლა დააყენონ საბანკო პროფესიისა და მომხმარებლის ინტერესები;
3	პროფესიული საქმიანობისას იმოქმედონ გონივრული პროფესიული სიფრთხილითა და დამოუკიდებელი განსჯით;
4	იმოქმედონ და მოუწოდონ სხვებსაც, იმოქმედონ პროფესიონალურად და ეთიკურად, რაც დადებითად აისახება მათზე და ზოგადად, საბანკო პროფესიაზე;
5	ხელი შეუწყონ საბანკო სექტორისა და ზოგადად, საფინანსო ბაზრის კეთილსინდისიერებასა და მდგრადობას საერთო საზოგადოებრივი სარგებლისთვის;
6	იზრუნონ საკუთარი და სხვების პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე.

წყარო: ეროვნული ბანკის მიერ მომზადებული კანონპროექტი -„ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი კომერციული ბანკებისთვის“

კანონპროექტში ნათქვამია, რომ „კომერციული ბანკი ვალდებულია, შექმნას წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული პრინციპებისა და სტანდ-

არტების ეფექტური შესრულებისთვის საჭირო გარემო, მათ შორის, შეიმუშავოს (ან არსებული შიდა დოკუმენტები შეუსაბამოს) წინამდებარე კო-

დექსთან შესაბამისობაში მყოფი შიდა სტანდარტის დოკუმენტ(ებ)ი, რომელიც მინიმუმ მოიცავს ეთიკისა და პროფესიული ქცევის სტანდარტებს, მათი ეფექტური შესრულების უზრუნველყოფისა და მონიტორინგის, შესაბამისი ანგარიშგების, დარღვევის ფაქტების გამოძიების, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და შესაბამისი სანქციების,

საჩივრების განხილვის საკითხებს“.[3.მუხლი 6]

როგორც აღვნიშნეთ, წინამდებარე კანონ-პროექტი ერთგვარი გამოძახილია რისკ-კულტურის ცნობადობისა, რაც ნიშნავს იმას რომ ქართულ კომერციულ ბანკებში არის მცდელობა რისკ-კულტურამ მიიღოს კანონმდებლობის სახე და აქტიურად დაინერგოს საბანკო სივრცეში.

**ლიტერატურა/REFERENCES**

- [1] „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ <http://www.legal.nbg.gov.ge/ka/document/view/705->
ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობის კლების ტენდენციით ხასიათდება. ამიტომ დემოგრაფიული პროცესები განხილული უდა იქნას გლობალურ ასპექტში, მაგრამ აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის კოეფიციენტი ვერ იქნებება მუდმივი სიდიდე. იგი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. შესაბამისად, მოსახლეობის რაოდენობის გამოთვლით თეორიულად მიღებული მონაცემები შეი-



ძლება მკვეთრად განსხვავდებოდნენ რეალურ პრაქტიკაში არსებული მისი ფაქტობრივი შედეგებისგან.

ამ საკითხის რეგიონულ ქრილში განხილვა კიდევ უფრო მეტ საფიქრალს ბადებს. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისათვის საქართველოს რეგიონების დეპოპულაციას განიცდიდა მხოლოდ ერთი რეგიონი-რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, ხოლო ამჟამად ასეთივე მდგომარეობაშია კიდევ ხუთი რეგიონი (გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას როგორც დემოგრაფიული განვითარების, ისე დასაქმების თვალსაზრისით მეტად გამოკვეთილი თავისებურებანი აქვს და აღწერს დემოგრაფიული განვითარების გზას.

აჭარაშიც თვალში საცემია დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებელთა გაუარესება, რაც ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 წლისათვის შეადგენდა 376 ათას კაცს. 2014 წლისათვის კი 396 ათას კაცს. შესაბამისად ამ 12 წლიანი პერიოდისათვის რეგიონში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი არის 0,004. ზრდის ამ ტემპით ადვილად შეიძლება გამოითვალოს მომავლის პროგნოზები.

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის შედეგად დგინდება, რომ აჭარის აქტიური მოსახლეობის პროცენტული წილი რესპუბლიკის საერთო მოსახლეობაში 2006-2016 წლებისათვის მერყეობს 36-60 %ის შუალედში. მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია არ შეიმჩნევა, თუმცა მაინც შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობის 5-8 %-ით ზრდა ფიქსირდება. 2006-2016 წლებში დასაქმებული მოსახლეობის წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში მოთავსებულია 75-87 % შუალედში, ამასთან უკანასკნელ წლებში ის აღწევს რეკორდულ მაჩვენებელს 87 %-ს. დაქირავებული მოსახლეობა 27-40 %-ის შუალედშია მოთავსებული. ამასთან უკანასკნელ წლებში უმუშევართა პროცენტული წილი კლებულობს და მინიმალურ რეკორდულ მაჩვენებელს-13 %-ს აღწევს. ანალოგიური ცვლილებები შეიმჩნევა მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაშიც.

ჩვენ ვიზიარებთ რა ავტორთა შეხედულებებს აჭარის მოსახლეობის ბუნებრივ მატებაში რელიგიური ფაქტორის გარკვეული ზეგავლენის შესახებ, მაგრამ ეს წარსულია და არა თანამედროვეობა. კრიზისის პერიოდში აჭარაში შობადობის

ზრდა უფრო სწრაფი ტემპით მოხდა, ვიდრე დანარჩენ რეგიონებში და თუ ამჟამად აჭარაში ბევრად მეტი ბუნებრივი მატებაა საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ეს მოკვდაობის დაბალი დონითაა გამოწვეული. მოკვდაობის დაბალ ზოგად მაჩვენებელს კი მოსახლეობის შედარებით ახლგაზრდა სტრუქტურა განსაზღვრავს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების კვლავწარმოებასა და დასაქმებას ახასიათებს მნიშვნელოვანი სპეციფიკა, რაც მოითხოვს მის დამოუკიდებელ დემოეკონომიკურ რეგიონად განხილვას და კვლევას. აჭარა დღემდე წარმოადგენს საქართველოს სხვა რეგიონებისათვის შრომითი რესურსების მიმწოდებელ დონორ რეგიონს. საჭირო ხდება ამ თვალსაზრისით მომავალი ვითარების განსაზღვრა და დასაბუთება

დასკვნა - ამრიგად, საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება. გაეროს მონაცემებით 2050 წლისთვის მოსალოდნელია, რომ საქართველოს მოსახლეობა 38 %-ით ანუ 1 170 000 კაცით შემცირდება. დემოგრაფიული პრობლემის მოგვარების მიზნით, სახელმწიფო უკვე ახორციელებს არაერთ პროგრამას. თუმცა გასაკეთებელი მაინც ბევრია.

აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური საგანგებო ღონისძიებები:

საჭირო რაოდენობის მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზება; ოჯახში ოპტიმალური ოდენობით ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ფორმირება; უმუშევრობის შემცირება, რაც შრომით მიგრაციას შეამცირებს.

ადამიანის სიკვდილის გამომწვევი სნეულეზების დადგენასთან ერთად, შესწავლა თვით ამ სნეულეზების წარმომშობი ეკოლოგიური ხასიათის მიზეზებისა და და ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

ქმედითი ღონისძიების განხორციელება მოსახლეობის გამანადგურებელი ანომალიების (ნარკომანია, პროსტიტუცია, ლოთობა, სიგარეტის წევა გოგონების მიერ და სხვა) ნეგატიური ტენდენციების წინააღმდეგ, რამდენადაც ეს მოვლენები ხელს უწყობენ არა მხოლოდ შობადობის კლებას, არამედ არაჯანსაღი (სნეული) ბავშვების დაბადებასა და ადრეულ ასაკში მათ გარდაცვალებას.

იმედია, ამ ფაქტორების მაქსიმალური გათვალისწინებით შემუშავებულ და გონივრულად გატარებულ სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას უდავოდ შეუძლია თვალსაჩინო წვლილის შეტანა დემოგრაფიული ოპტიმიზის შექმნაში, შედეგში საყოველთაო კეთილდღეობისა და პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებაში.

**ლიტერატურა/REFERENCES**

- [1] გ ნულაძე, ა. სულაბერიძე „დემოგრაფიის საფუძვლები“, თბ. 2015 წ.
- [2] ლ. ჩიქავა „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტენდენციები და რეგიონალური თავისებურებანი“, დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები, შრომათა კრებული.თბ.2014.
- [3] ს. გელაშვილი „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის-2, ამოცანებისა და ტესტების კრებული, თბ.2017.
- [4] საქსტატის შესაბამისი წლების წელიწადეულები.
- [5] [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge);
- [6] [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
- [7] [www.ttimes.ge](http://www.ttimes.ge) ;
- [8] [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

**ბუნებრივი და შრომითი რესურსების გონივრული და ეფექტური გამოყენების გზებიერტი ასპექტი**

**SOME ASPECTS ABOUT REASONABLE AND EFFECTIVE USE OF NATURAL AND LABOR RESOURCES**

**თამაზ გამსახურდია,**

ეკონომიკის დოქტორი,

**თეიმურაზ ფასტვენიძე,**

ტექნიკის დოქტორი ასოცირებული პროფესორები.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

**TAMAZ GAMSAKHURDIA,**

Doctor of Economics,

**TEIMURAZ PESTVENIDZE,**

Doctor of Engineering Associate Professors.

Akaki Tsereteli State University, Georgia, Kutaisi

**ანოტაცია**

ნაშრომში განხილულია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების ძირითადი მიმართულებები, საშუალებები და მიღწევის გზები. ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ადამიანური და ბუნებრივი რესურსების მეცნიერული შესწავლისა და მათი ეფექტური გამოყენების ზოგიერთ საკითხზე. ნაჩვენებია მცირე და საშუალო ბიზნესის როლის მნიშვნელობა ადამიანის რესურსების დასაქმებაში, ემიგრაციული პროცესების შემცირებაში, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის საქმეში.

ასევე აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი ჯერჯერობით კვლავ დაბალია, რაც, რა თქმა უნდა, მკვეთრად აისახება ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ყურადღება გამახვილებულია ქვეყანაში არსებული საბანკო-საკრედიტო პოლიტიკის უარყოფით გავლენაზე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე.

გაანალიზებულია ხელისუფლების მცდელობა, მთიანი რეგიონების მოსახლეობის პირობების გაუმჯობესების მიზნით მიღებული კანონები, თუ ნორმატიული აქტების მნიშვნელობა და მითითებულია ხარვეზები.

ნაშრომში აღნიშნულია ის პირობები და მოტივაციები, თუ რატომ ეტანებიან ბიზნესმენები უფრო მეტად სავაჭრო საქმიანობას, ვიდრე სამეწარმეო ბიზნესში გრძელვადიანი ინვესტიციების ჩადებას, რომელსაც შეუძლია დიდი სიკეთის მოტანა, როგორც მათთვის, ასევე ქვეყნისათვის. მოცემულია ინვესტიციების ეფექტურად დაბანდების ზოგიერთი შესაძლო ვარიანტი აგრარული და ნიაღისეული სიმდიდრეების მოპოვება-გადამუშავების დარგებში.

*საკვანძო სიტყვები:* ადამიანური რესურსი, ინოვაცია, მენეჯმენტი, ინვესტიცია, კრედიტი.

**ABSTRACT**

*The paper deals with the main directions, means and ways to improve the economic potential of the country. The focus is mainly on the scientific study of human and natural resources and some of their effective use. It shows the importance of SMEs in the employment of human resources, reduction of emigration processes, improving demographic conditions and increasing economic potential of the country.*

*It is also noted that the efficiency use of human resources in the country is still low, which, of course, has a sharp impact on the economic situation.*

*The focus is on the negative impact of banking-credit policy in the development of SMEs and the improvement of the living standards of the population.*

*It is also analyzed that the government attempts to make the regulations for improvement of the conditions of the mountainous regions, but there are some errors.*

*The paper states the conditions and motivations why businessmen tend to trade more than the long-term investment in entrepreneurial business, which can bring great goodness for both themselves and the country. There are some possible ways of investing in agricultural and fossil wealth-in processing industries.*

**Keywords:** Human Resources, Innovation, Management, Investment, Credit.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდა ძირითადად დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე - ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია-პროფესიონალიზმზე, ტექნიკური პროგრესის ეფექტიანობაზე, ინოვაციებზე, შრომის მოტივიზაციაზე, სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებაზე და სხვა. ყოველივე ეს

ადამიანური რესურსების სულიერი და ზნეობრივი პროცესების ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული.

ფაქტია, რომ შრომა არის ადამიანის მიზანშეწონილი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, რომელიც მიმართულია სულიერი და მატერიალური სიმდიდრის შესაქმნელად, ან მომსახურების მიზნით. ნაყოფიერი შრომის გარეშე შეუძლებელია დასახული მიზნების განხორციელება. ცნობილია, რომ ფიზიკური თუ გონებრივი შრომა დასაბამიდან იყო და არის საზოგადოების განვითარების, კვლავწარმოების უშრეტე წყარო. წინა საუკუნეებში ადამიანის შრომის შედეგად მიღებული შედეგები სახეზეა: ეგვიპტის პირამიდები, ჩინეთის დიდი კედელი, ძველი მსოფლიოს სხვა საოცრებები, კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია, სვეტიცხოველი, გელათი, ჯვარი, ბაგრატი, ცათამბჯენები და მრავალი სხვა საინტერესო ნაგებობანი, რომლებსაც მაღალი კულტურული და ისტორიული ფასეულობა გააჩნია.

მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება, ორ საუკუნეზე მეტს ითვლის, რომელმაც საფუძველი დაუდო შრომის მეცნიერულ კვლევას, სწორედ მეცნიერული მენეჯმენტის განვითარებამ მისცა საშუალება სპეციალისტებს, ეფიქრათ პრიორიტეტული დარგების განვითარებისა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

საქართველო კავკასიის რეგიონში ითვლება ერთ-ერთ მაღალ ავტორიტეტულ ქვეყნად, თუმცა ამჟამინდელი სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენი მეზობელი ქვეყნების განვითარების ტემპები უფრო მაღალია, რაც რეგიონის დემოგრაფიულ სურათზეც აისახა. 1926 წელს ამიერკავკასიაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით ქართველები 207 ათასით მეტი ვიყავით აზერბაიჯანელებზე, ხოლო - სომხებზე მილიონ ნახევრით. დღეს კი, აზერბაიჯანელები 4 მილიონით მეტი არიან ქართველებზე. 1980-იან წლებში საქართველოში ყოვლწლიურად საშუალოდ 94 000 ბავშვი იბადებოდა, ამჟამად ახალშობილთა რაოდენობა წელიწადში 47 ათასამდე შემცირდა. სამწუხაროდ, დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში მოკვდაობა გაცილებით მეტია, ვიდრე შობადობა. ამჟამად ოფიციალური მონაცემებით მოსახლეობა 4 მილიონ 725 ათას კაცს შეადგენს. როგორც წესი, მშობიარე ქალების ასაკი 20-29 წელია. 1989 წლის აღწერიდან დღემდე ამ ასაკის ქალების რაოდენობა, სამწუხაროდ, წლიდან წლამდე მცირდება. აგრეთვე გაუარესდა სხვა მაჩვენებლებიც, მაგალითად შემცირდა ქორწინებისა და გაიზარდა

განქორწინების მაჩვენებლები. თუ გასული საუკუნის 70-იან წლებში 49 ქორწინებაზე 1 განქორწინება მოდიოდა, დღეისათვის ყოველი მეორე ქორწინება, სავალალოდ, განქორწინებით მთავრდება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შობადობაზე. ქვეყნიდან მილიონზე მეტი ადამიანი წასული საზღვარგარეთ. იუნესკოს ოფიციალური დემოგრაფიული პროგნოზების მიხედვით, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა განახევრდება. ასეთი კატასტროფული მონაცემების აღმოფხვრისათვის ხელისუფლებამ, გონივრული მენეჯმენტის გამოყენების საფუძველზე უნდა განახორციელოს ეფექტური ეკონომიკური რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მძიმე პირობებში მყოფი ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

წინა ხელისუფლებასთან შედარებით ახალმა ხელისუფლებამ გარკვეული ქმედითი ნაბიჯი გადადგა მოსახლეობის ჯანმრთელობის, საყოფაცხოვრებო და მართლწესრიგის გაუმჯობესების მიზნით, რაც აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია, რადგან ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმები და გაკეთებული კეთილშობილური საქმეები დანგრეული და აღსადგენი მეურნეობის ფონზე მკრთალად ჩანს. დანგრეული მეურნეობის აღდგენას ათეული წლები სჭირდება, მაგრამ ქართველი კაცის პატრიოტული სულისკვეთებისა და თავისი სამშობლოსადმი დიდი სიყვარულით ყველაფრის დაძლევა შესაძლებელი.

მოტივირებული მშრომელი ადამიანების გარეშე ქვეყანას ვერ ავაშენებთ. შევედეთის გმირის მანერჰიმის სიტყვებით თუ განვსჯით - „ვაჭრუკანების, მსტოვრებისა და კარიერისტების მიერ აშენებული ქვეყანა არავის უნახავს. სახელმწიფოს იდეალისტები და პატრიოტები ქმნიან, რომლებიც მზად არიან, უყოყმანოდ შესწირონ თავი სამშობლოს, პატრიოტიზმის გარეშე ქვეყნის აღმშენებლობა წარმოუდგენელია“. თითქმის იგივეა ჩვენი მგოსანის აკაკი წერეთელის ნააზრევი: „ვინაც სამშობლოს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვია მამულიშვილი“.

დღეს ქართველი კაცი გაზარმაცებული და ინდიფერენტულია, არ ადარდებს თავისი სამშობლოს ბედ-იღბალი. როგორ უნდა იყოს განწყობილი თითოეული მოქალაქე თავისი ქვეყნისადმი და როგორ უნდა ფიქრობდეს თავისა თუ ქვეყნის მომავლისათვის ნათლად ჩანს პოლონეთის მაგალითიდან: ჩვენი ქვეყნების უახლესი ისტორია ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ესაა სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდი. თუმცა პოლონეთში ჩატარებულ-



მა სწორად გათვლილმა რეფორმებმა (შოკურმა თერაპიამ) უფრო სწრაფი და მაღალეფექტური შედეგები მოიტანა. პოლონეთში შიდა პროდუქტის ხვედრითი წილი ერთ სულ მოსახლეზე საკმაოდ მაღალია, ცხოვრების პირობები, სხვა ანალოგიური გზით მიმავალ ქვეყნებთან შედარებით, უკეთესია, რაც ქვეყნიდან მოსახლეობის დენადობის შეჩერებას უწყობს ხელს. პოლონელები ოპტიმისტური განწყობილებით უყურებენ ჯერ კიდევ არსებული პრობლემების გადწყვეტას. ზედმინვნით უყვართ ქვეყანა, მშობლიური ენა, კულტურა და ისტორიული წარსული, მტკიცედ და კატეგორიულად მოითხოვენ სახელმწიფოში პოლონური ენის ცოდნას, ასეთია მათი სულისკვეთება. უნდა მივხადოთ პოლონელ ხალხს - დაფიქრდეთ ქართული ენის სინმინდის დაცვაზე. გავამკაცროთ და რეალური გავხადოთ საჯარო სანქციები იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც უგულენდყოფენ კანონის მოთხოვნებს ფირნიშებისა და სხვა დოკუმენტების გაფორმებისას სახელმწიფო ენის მიმართ. დაუშვებლად მიგვაჩნია ფირმის რეგისტრაციაში გატარება - არაქართული შინაარსის ამსახველი უცხო ალფავიტით ჩანერილი სიტყვების გამოყენება.

ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის საჭიროა გონივრული ნაბიჯების გადადგმა და ეფექტური ღონისძიების განხორციელება, რომ მენარმემ შემოქმედებით საქმიანობაში იგრძნოს ისეთი ბერკეტების შემოღება, რომლებიც მოტივირებულს გახდის სამენარმეო საქმიანობას. კერძოდ, შემოღებული უნდა იქნეს გრძელვადიანი კრედიტები დაბალი საპროცენტო განაკვეთით. საბანკო საქმიანობის პროგრამიდან ამოღებულ იქნას ბინების იპოთეკით დატვირთვა და საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით გაუქმდეს ბანკების შემოსავლების გადიდების მახინჯი პრაქტიკა. სახელმწიფომ იფიქროს იმისათვის, რომ კრედიტის აღება მსესხებელს გულში ჩაუსახავს იმედებს, რომ აღებული კრედიტი მისთვის მისაღებია და არ იწვევს მის დათგრუნვას. ბინების იპოთეკით დატვირთვამ გაამდიდრა ბანკები და გააღატაკა ქართული ოჯახები. ასეულობით და ათასეულობით ადამიანი დარჩა უსახლკაროდ, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის გადინებას საზღვარგარეთ. დაცარიელდა სოფლები თუ ქალაქები. მაგალითად, ბოლო ათ წელიწადში ძალიან გაიზარდა გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობა, თუ 2002 წელს ასეთი 143 სოფელი იყო, ამჟამად 223 შეადგენს. თუ 2000 წელს 16 ერთკომლიანი სოფელი იყო, 2014 წელს ასეთი 39 სოფელია.

2002 წელს საქართველოში 28 დიდი (5000 და მეტი მოსახლეობით) სოფელი იყო, ამჟამად ეს რიცხვი 12-დგა შემცირებული. სამწუხაროდ ეს ტენდენცია კვლავ გრძელდება. ზოგს ქვეყნის დედაქალაქში სურს დაბინავდეს, იქიროს ნესტიანი სარდაფი და მიჰყოს ხელი სასოფლო სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციას. ამით არჩინოს თავი და ოჯახი. ამიტომაც, რომ დედაქალაქში ტევა აღარ არის, აქ ქვეყნის მოსახლეობის 40%-ზე მეტი ცხოვრობს, რაც იწვევს დიდ სირთულეს თბილისისათვის.

საქართველოს ყველა კუთხეში თუ ადრე სიცოცხლე ჩქეფდა, ახლა მიტოვებული ოდა-სახლები, გავერანებული ლამაზი გარემო ითხოვს მოვლა-პატრონობას. გული გეტკინება, რომ ნახოთ რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო და ზემო სვანეთის, იმერეთის, სამეგრელოს და სხვა კუთხეების ადამიანების ყოფა-ცხოვრება, მათ გაუსაძლის მდგომარეობაში უხდება ყოფა. ყოველივე ამის გამოსწორებისათვის საჭიროა მეცნიერებმა, პრაქტიკოსებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ხალხის წარმომადგენლებთან ერთად, იფიქროს და მათი მონაწილეობით შედგეს შესაფერისი პროექტი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტს ქვეყნის აღდგენა-აღორძინებას. ხელისუფლებამ შექმნას სპეციალური ფონდი, რომელიც გრანტებით უზრუნველყოფს იმ ადამიანებს, რომლებიც შექმნიან და განახორციელებენ სოფლების გადარჩენის სპეციალურ პროექტებს. ჩვენ არაერთხელ აღვინიშნავს და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ქართველი კაცი უფრო მობილიზიზებული და გულანთებული უნდა იყოს მშობლიური კუთხის სიყვარულით. აბა, ნახეთ ებრეულმა ერმა რას მიაღწია. მონდომებითა და შრომით აღაშენა და ნალკოტად აქცია უდაბნო და დღეს ისრაელის სახელმწიფო ანგარიშგასანევი ქვეყანაა მსოფლიოში. მცირემინიანი ისრაელში ერთ მტკაველ მინას ვერ ნახავთ დაუმუშავებელს. წლის ყველა სეზონში „კიბუცებში“ მოჰყავთ ყველაფერი ის, რაც ადამიანის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ჩვენთან ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა ელის მშრომელი ადამიანის ხელს. ახლანდელმა ხელისუფლებამ სოფლის მცხოვრებლებს დიდი შვება მისცა-დაუბნა ათასობით ჰექტარი მიწა და უთხრა-მოუარე და მიიღე მოსავალიო. სამწუხაროდ, ბევრმა ადამიანმა ხელი არ გაანძრია. ვინც შრომა არ დაიზარა უხვი მოსავალი მიიღო. რა ხდება, რა არის მიზეზი? ხალხი გაზარმაცდა, იმზე აღარ ფიქრობენ, რომ „სხეულის გადასარჩენად პურია საჭირო, სულის გადასარჩენად კი სიყვარული“. ამაზე თუ დაფიქრებულა ქართველი კაცი, რომელიც ფიქრობს საზღ-

ვარგარეთ ნასვლაზე, იქ ურჩევნია მონად ემსახუროს უცხოელს, ვიდრე თავის ქვეყანაში შრომით და ვაჟკაცური საქმიანობით ისახლოს თავი. ჩვენს ქვეყანას რაც სჭირს, ყველაფერი ჩვენი ბრალია - „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. ბევრმა შეიძულა შრომა, სხვის ხელში შემყურე გახდა და სხვისგან ელის დახმარებას. როდემდის? თუ ქვეყანა მაქსიმალურად გამოავლენს და გამოიყენებს არსებულ რესურსებს, იმედია, შევძლებთ, ძირითადად ვანარმოთ მოსახლეობის გამოსაკვებად საჭირო პროდუქტი, სანამ უნდა ვიყოთ სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი გენმოდინფიცირებული იმპორტული პროდუქტის იმედად? ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე აღნიშნავს, რომ ქართულ ბაზარზე არსებული პროდუქტის 80% ფალსიფიცირებულია, მათ შორის ბევრი იმპორტულიც არაა ნატურალური. დანარჩენი 20% კეთილსინდისიერი მენარმის პროდუქტია.

ჩვენი ქვეყანა არავის მონა არ უნდა იყოს. ქართველი ხალხი ყოველთვის გმირული სულისკვეთების ხალხად ითვლებოდა. ნუ დავივიწყებთ ილიასეულ სენტენციას „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, როცა ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობაშია, ერთ მუშტად შევიკრათ, ქართველებო. შეუძლებელი შევძლოთ, როგორც ეს შეძლო დიდმა დავით აღმაშენებელმა. ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველო შაგრენის ტყავივით მცირდება. პოლიტიკოსების უნიათობის გამო ქართული მიწების 20 და 33% ოკუპირებულია რუსეთისა და თურქეთის მიერ. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენი ხელისუფლება ხელგაშლილი ეგებება უცხოელ მიგრანტებს, როგორც დემოგრაფი ა. თოთაძე აღნიშნავს, რომ ზუსტი სტატისტიკა მიგრანტების შესახებ არ არსებობს, მაგრამ ვიზუალურადაც თვალში საცემია თბილისში 100 კაციდან 10 მიგრანტია. ანუ გამოდის, რომ მოსახლეობის თითქმის 10% მიგრანტია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყანაში 500 ათასამდე ადგილმონაცვლე მოსახლეობიდან უმრავლესობა ჯერ კიდევ გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. თვალში საცემია ისიც, რომ ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნებიც კი თავს არიდებენ მიგრანტების მიღებას და თხოულობენ დანესდეს ქვოტები მათ რაოდენობაზე, ჩვენთან კი სტატისტიკის არ არსებობის გამო არც კი ვიცით რამდენი მიგრანტი თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეები ცხოვრობენ ჩვენთან და არავის გამოუთვლია ის ზღვარი თუ რამდენი უცხოელის მიღება შესაძლებელი ისე, რომ არ დავზარალოთ ჩვენი დემოგრაფიული სურათი.

ამ სიტუაციაში შეიძლება საკუთარ ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობაში აღმოგჩნდეთ.

გასაკვირი არ არის, ქვეყანა რთულ და მძიმე მდგომარეობაში იყოს, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ვერ ვახერხებთ ადამიანური რესურსების მიზანმიმართულ და ეფექტურ გამოყენებას. ამის მიზეზი ბევრია, მათ შორის კარგი და პატიოსანი კადრის დაუნახაობა. რას ნიშნავს ეს? არ არის ცნობადი სახე ელიტისათვის. სახელისუფლებო სტრუქტურებში გამოუცდელ და დაბალკვალიფიციურ კადრებს ზურგს უმაგრებს „ნეპოტიზმი“, ნათესაური კლანი. არკვეულნილად, ამის მიზეზია, რომ ქვეყნის ხელისუფლების მართვის ზედა და ქვედა სტრუქტურებში ჭარბობს უნიათო და არაფრის მკეთებელი კადრები. სწორედ ამ უნიათობამ, არაკომპეტენტურობამ და უპასუხისმგებლობამ ქვეყანა მიიყვანა კრიზისამდე. ჩვენი აზრით, მოუთმენელი და აღმაშფოთებელია სამთავრობო სტრუქტურებში ისეთი გავლენიანი ადამიანების ყოფნა, რომლებიც ქმნიან იმის ილუზიას, რომ ქვეყანაში არ არის ღირსეული და გამოცდილი კადრი, ამით ხელს უწყობენ საბოტაჟს და აფერხებენ ქვეყნის წინსვლას.

ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი და წელგამართული რომ იყოს, საქართველოში მცხოვრებმა ადამიანებმა უნდა გაათვითცნობიერონ, რომ გააზრებული ეფექტური შრომის შედეგად მიღებული იქნება სასურველი შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის კეთილდღეობას.

დღევანდელი მარკეტები გადავსებულია უცხოური წარმოების კვების თუ სამრეწველო პროდუქციით. ჩვენი დაკვირვებით, ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ადამიანების დიდ ნაწილს სურვილი აქვთ კომერციულ საქმიანობას მოჰკიდონ ხელი, როცა ადამიანების უმრავლესობას არ გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, კვალიფიკაცია და გამოცდილება, მაგრამ ეს დარგი უფრო შემოსავლიანია. ნებისმიერ რეგიონში სავაჭრო ობიექტების მშენებლობის ბუმი დგას. რა არის მიზეზი? როგორც ირკვევა, ქვეყანაში მაინც და მაინც არ იჩენენ ინტერესს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, როცა ქვეყანაში ამის საჭირო რესურსი არსებობს. როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, ინვესტორები თავს არიდებენ სამენარმეო საქმიანობაში ინვესტიციების ჩადებას, რადგან აღნიშნულ დარგში აქ პროცესი რთულია, მოითხოვს დიდი და შრომატევადი სამუშაოების განხორციელებას, მაგრამ აქ ჩადებული ინვესტიციები უამრავი სიკეთის მომტანი შეიძლება გახდეს ქვეყნისთვის და თვით ინვესტორებისთვის.

საც. ჯერ ერთი, დასაქმდება ათასობით შრომითი რესურსები, მოხმარებული იქნება ადგილობრივი ბუნებრივი თუ წიაღისეული რესურსები, წარმოებული ნატურალური პროდუქტებით უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობა, ჩამოყალიბდება დისტრიბუციები, სადაც უმეტესწილად დასაქმდება ახალგაზრდობა, ბიუჯეტში შევა მილიონობით შემოსავალი, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებას. როცა ქვეყანას ეროვნული ხელისუფლება მართავდა, განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდათ გამახვილებული რესპუბლიკაში ბუნებრივი სიმდიდრის მეცნიერულ შესწავლაზე. მაშინდელ ხელისუფლებას ნორმალურ ფუნქციონირების საშუალებას არ აძლევდნენ, როგორც შინაური, ასევე გარეშე მტრები, რომ ქვეყანა ყოფილიყო ეკონომიკურად ძლიერი და დამოუკიდებელი. ერზე მოფიქრალი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ მოკლე დროში ბევრი რამ გააკეთა. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს ხელშეკრულება გაფორმდა ყატარის სასულთნოსთან სასმელი წყლის საქართველოში ჩამოსხმაზე და ყატარში გატანაზე. ყატარელ ბიზნესმენტა დელეგაციამ სასმელი წყალი ასპინძის რაიონში შეარჩია. ისინი თავიანთი ხარჯებით აშენებდნენ ქარხანას. ჩამოსხმულ ერთ ლიტრ მტკნარ წყალში 4 ამერიკულ დოლარს გადაგვიხდიდნენ. საქმე გადანყვებულ იყო და ყატარელები ხარობდნენ - მთელ ყატარს მოამარაგებს საქართველოს წყალი! ეს იქნებოდა უდიდესი შემოსავალი საქართველოსთვის, მაგრამ კრიმინალურმა გადატრიალებამ ყველაფერი ჩაშალა და დაღუპა. ასევე გადანყვებულ იყო, რომ ბერძნები საქართველოში ბაყაყების ფერმას ააშენებდნენ, სადაც 4 ათას კაცს დაასაქმებდნენ, წელიწადში 12 მილიონ ქილა ბაყაყის კონსერვს დაამზადებდნენ და თითოეულ კონსერვში საქართველოს 14 ამერიკულ დოლარს გადაუხდიდნენ! ამ პროექტმაც ჩაილურის წყალი დალია. აღსანიშნავია, რომ დმანისისა და ბოგდანოვკის რაიონში მსოფლიოში ბაზალტის მარაგის ცხრა მეათედია დავანებული. ბაზალტი შეუცვლელი პროდუქტია სარაკეტო მშენებლობაში, გადამუშავებული ბაზალტისაგან ამზადებენ კოსმონავტების სკაფანდრებს და ისეთ ქსოვილებს, რომლის გარეშე ადამიანი კოსმოსში ვერ გაფრინდება. ასეთი დიდი მარაგის მქონე დმანისსა და მის შემოგარენში უნდა შექმნილიყო დიდი დასახლება, მაგრამ წინათ არსებული ხელისუფლების ხელმძღვანელობა საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი გეოლოგიური სკოლის წარმომადგენლებს მასში არ ალებინებდნენ მონაწილეობას, რათა ჩვენს მო-

სახლეობას არ სცოდნოდა, რა სიმდიდრეს ფლობდა იგი ბაზალტის სახით. იგივე შეიძლება ითქვას დარიშხანის საბადოზე, რომელიც რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მთებში მოიპოვებოდა (ახლა კონსერვაციაა გაკეთებული). საბჭოთა კავშირის დროს იაპონელები ამ წიაღისეულს ათეული წლების განმავლობაში ეზიდებოდნენ რაჭიდან და მერე მსოფლიო ბაზარზე ასმაგად ყიდდნენ. არსებული სერიოზული კვლევების თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე 1261 დასახელების სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება. უფლება არ გვაქვს თქვათ ჩვენი ქვეყანა ღარიბიაო. საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ უფრო განვითარდეს, მას შემდეგ, როცა ღრმად შევისწავლით ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს და მას ჩავაყენებთ ქვეყნის სამსახურში. ახლად არჩეულმა პარლამენტმა უნდა შექმნას საკანონმდებლო ბაზა, ხელისუფლებამ განახორციელოს ახალ-ახალი პროგრესული რეფორმები, რათა მიაღწიოს სანუკვარ მიზანს. მოტივირებული და გონივრული შრომა ბიძგს მისცემს სამენარმეო საქმიანობის ეფექტურ განვითარებას. თუ გვინდა ვარსებობდეთ და ერი გადავარჩინოთ, საჭიროა მუხლჩაუხრელი შრომა, მოყვასისადმი თანადგომა, მიტევება, რჩევა, ერთგულება, ერთმანეთისათვის პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული. მოვუსმინოთ იოანე ოქროპირის შეგონებას „უბედურება ის კი არაა, რომ წაიქეცი, უბედურება ისაა, ადგომა რომ არ გინდა“. შეიძლება ადამიანი წარუმატებელი იყოს, მაგრამ არ უნდა შეეპუოს ამას შრომით, ბრძოლითა და გონიერი მენეჯმენტის მეშვეობით, რისკების გონივრული გათვლებით უნდა დავძლიოთ წინააღმდეგობები და მივაღწიოთ წარმატებებს.

ქვეყნის ხელისუფლებამ ჯერ-ჯერობით ვერ გამოახა ისეთი ეკონომიკური ბერკეტები, რომლებიც უზრუნველყოფდა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას და ხალხის ცხოვრების კეთილდღეობის ამაღლებას. ჩვენი აზრით, საჭიროა ფართომასშტაბიანი რეფორმა, რომლის დაგეგმვაში და რეალიზაციაში მონაწილეობას მიიღებენ გამოცდილი პროფესიონალები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და არა თვითმარქვია დილეტანტები, რომლებიც სამწუხაროდ, მრავლად არიან მიტმასნილი მმართველობაში. დიდი ფრანგი განმანათლებელი ვოლტერი აღნიშნავდა, რომ „სახელმწიფოს აუძლურებს არა ფულის, არამედ ნიჭიერი ადამიანების ნაკლებობა“. სწორედ ეს სიტუაციაა ჩვენს ქვეყანაში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მყოფმა ქვეყანამ ვერ მოახერხა ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც ინვესტიციების შემდგომ

მოზიდვასა და სამენარმო საქმიანობის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ყოელივე ამან უარყოფითი გავლენა იქონია იმაზე, რომ ქვეყნის სასურსათო კალათაში ყოველწლიურად იზრდება იმპორტირებული სასოფლო პროდუქტის წილი, რაც ქვეყნის მაშტაბით 2/3-ის ტოლია, ხოლო დედაქალაქში გაცილებით მეტი - 80 პროცენტია. ცხადია, იმპორტირებული სასოფლო პროდუქტის ასეთი მოძალევა ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის განვითარებას. უკარგავს გლახს საქმიანობის მოტივაციას, მნიშვნელოვნად აღარბებს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას და იწვევს მათ დესოციალიზაციას. ამას, უდავოდ, მოჰყვება სოფლების, განსაკუთრებით კი მთიანი რეგიონების დაცლა, რასაც, შესაძლოა, შორს მიმავალი და შეუქცევადი ნეგატიური შედეგები მოჰყვება. ცხადია, ბოლო დროს მიღებული კანონი მთიანი რეგიონების შესახებ წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მასაც გააჩნია გარკვეული ხარვეზები, რომელებიც დროულ კორექტივებს მოითხოვს. ქვეყანას ეშველება როცა ადამიანური რესურსების დასაქმებისას აღმოვფხვრით ნეპოტიზმსა და ნათლიმამობის მახინჯ ფორმებს, რომელთაც ადგილი აქვს ცენტრალური თუ ადგილობრივი მართველობის სტრუქტურებში. სახელმწიფომ აუცილებელი სამართლებრივი და ფინანსური, ეკონომიკური პირობების შექმნით ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და სოფლად სხვადასხვა კოოპერატივებისა და გაერთიანებების შექმნასა და ფუნქციონირებას. მოსაწესრიგებელია ბუნებრივი და წიაღისეული რესურსებით სარგე-

ბლობის წესებიც. აუცილებელია მეტი გამჭირვალეობა ამ საქმეში, რათა ერთეულები არ დაეპატრონონ ისედაც მწირ რესურსებს. ქვეყნის ადამიანური რესურსების გადარჩენა და საზღვარგარეთ გადინების შემცირება შეუძლებელია მხოლოდ კანონქვემდებარე აქტებით, აუცილებელია მოსახლეობის თვითშეგნების, შრომის დისციპლინისა და სამენარმო საქმიანობის ამაღლებისათვის სწორი პოლიტიკის განხორციელება. სანამდე უნდა ვითმინოთ ქვეყნის განვითარების ასეთი დაბალი ტემპით და თავი ვიიმედოთ სტატისტიკური მონაცემებით, რომლის მხედვით, თითქოს საქართველო არაფრით ჩამოუვარდება მაღალგანვითარებული ქვეყნების ზრდის ტემპებს. სინამდვილეში ჩვენ გვჭირდება გაცილებით უფრო მრავალჯერ მაღალი ზრდის ტემპები, რათა მივალწიოთ ისეთი ქვეყნების დღევანდელი ცხოვრების დონეს მაინც, როგორცაა თურქეთი, აზერბაიჯანი, ბალტიისპირეთის პოსტსაბჭოთა ქვეყნები და ა. შ. უპირველეს ყოვლისა საჭიროა სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტის აღმოფხვრა როგორც ქვეყნის მოქალაქეების ასევე სახელმწიფო მოხელეებს შორის, რაც გააერთიანებს ერს, გაუმჯობესდება ხელისუფლებასა და ხალხ შორის ურთიერთობა, შემცირდება ნეპოტიზმი, მომხვეჭელობა, ამაღლება შრომის ეფექტიანობა, მეტად დაფასდება, დღესდღეობით დაუფასებელი ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი და ქვეყნის ყველა მატერიალური, ფინანსური, ბუნებრივი თუ ინტელექტუალური რესურსი მიმართული იქნება ქვეყნისა და მისი ყველა მოქალაქის კეთილდღეობისაკენ.





ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. საქართველოში 2017 წლის მონაცემების მიხედვით შობადობის მაჩვენებელი ყოველ 1000 კაცზე 14.3-ის ტოლია, რაც დინამიკაში კლების ტენდენციით ხასიათდება, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა წლების მიხედვით მატულობს და 2017 წლისათვის 73,5 წლითაა განსაზღვრული. მოსახლეობის დაბერებას ასევე განაპირობებს გარე მიგრაცია, რომელშიც უფრო მეტი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა გვხვდება.

**კვლევის მიზანი.** კვლევის მიზანია გამოავლინოს შრომის ბაზრის ფორმირებაზე დემოგრაფიული დაბერების პროცესის გავლენა; განისაზღვროს დემოგრაფიული დაბერების მიზეზები და შედეგები.

**კვლევის მეთოდოლოგია.** კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი, რაოდენობრივი აბსტრაქტულ-ლოგიკური აზროვნებისა და სტატისტიკური მეთოდები.

**ძირითადი ნაწილი.** შრომის ბაზრის ფორმირება შრომითი რესურსების საფუძველზე იწარმოება. შრომითი რესურსები — ქვეყნის მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილი, ე.ი. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ჩაბმულია ქვეყნის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ანდა პრეტენზიას აცხადებს შრომაზე. თავის მხრივ, შრომისუნარიანი მოსახლეობა მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივი პირობების გათვალისწინებით იყოფა ორ ჯგუფად: ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობად (შრომისუნარიანი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მონაწილეობს საზოგადოებრივ წარმოებაში. აქ შედის ასევე მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც გარკვეულ დროს არ მუშაობს, ელოდება სამუშაოს და სურს მუშაობა) და ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობად (მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც არ აქვს და არც ეძებს სამუშაოს საშინაო საქმეებით დაკავებული გამო, აქ შედიან ასევე სტუდენტები და სამხედრო სამსახურში მყოფნი, ასევე საპენსიო ასაკის მოსახლეობა, რომელიც ჩაბმული არაა მეურნეობაში). ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, მონაწილეობს რა საზოგადოებრივ წარმოების პრო-

ცესში, განაპირობებს მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის მოცულობას, რაც ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი ძირითად ინდიკატორს წარმოადგენს. საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობაზე დემოგრაფიული დაბერების ფაქტორი მოქმედებს.

დემოგრაფიული დაბერება წარმოადგენს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ხანშიშესული და მოხუცი ადამიანების წილის ზრდას. დემოგრაფიული დაბერების მიზეზია ხანგრძლივი ცვლილებები მოსახლეობის აღწარმოების ხასიათში. ანსხვავებენ „დაბერებას ქვემოდან“, რომელიც შობადობის კლების შედეგად ბავშვების რაოდენობის შემცირებით განისაზღვრება და „დაბერებას ზემოდან“, რომელიც გამონეუულია მოხუცებულობის ასაკში მოკვდაობის დონის შემცირებით და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდით, რასაც მოჰყვება მოხუცი ადამიანების რაოდენობისა და წილის ზრდა. აღმოჩნდა, რომ დემოგრაფიულ დაბერებას ძირითადად განაპირობებს „დაბერება ქვემოდან“. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა ნაკლებად მოქმედებს დემოგრაფიულ დაბერებაზე, ვინაიდან მისი განმაპირობებელი მოკვდაობის შემცირება ძირითადად ბავშვების ასაკს ეხება, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს მოსახლეობის გაახალგაზრდავებას.

დემოგრაფიული დაბერება შემჩნეულ იქნა XIX საუკუნის ბოლოს, მაგრამ მისი მნიშვნელობის, მასშტაბებისა და მიზეზების გაცნობიერება მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. დემოგრაფიული დაბერების პროცესის შეფასებისათვის შემუშავებულია სხვადასხვა სკალა. ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სკალაა ჟ. ბოჟე-გარნიეს მიერ შემუშავებული და ე. როსეტის მიერ განვითარებული სკალა:

ეტაპი	60 და უფროსი ასაკის პირთა წილი (%) მთელ მოსახლეობაში	მოსახლეობის დაბერების ეტაპები და დონეები
I	8-ზე ნაკლები	დემოგრაფიული სიყმაწვილე
II	8-დან 10-მდე	სიბერის პირველი კარიბჭე
III	10-დან 12-მდე	საკუთრივ სიბერის კარიბჭე
IV	12 და მეტი	დემოგრაფიული სიბერე
	12-დან 14-მდე	დემოგრაფიული სიბერის საწყისი დონე
	14-დან 16-მდე	საშუალო დონე
	16-დან 18-მდე	მაღალი დონე
	18 და მეტი	ძალიან მაღალი დონე

აღნიშნული სკალის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ძალიან მაღალი დონე ფიქსირდება - 20,6 %, ხოლო 2010 წლისათვის იგი 18,3%-ით განისაზღვრებოდა.


65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა რაოდენობის ფარდობითი შეფასებისათვის გაეროს დემოგრაფიის მიერ შემუშავებულია სამ საფეხურიანი სკალა:

- 4% ნაკლები - ახალგაზრდა მოსახლეობა;
- 4-7% - მოსახლეობა სიბერის კარიბჭეზე;
- 7%-ზე მეტი - დაბერებული მოსახლეობა<sup>1</sup>.

ამ სკალის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობა 2018 წლისათვის დაბერებულად ითვლება (14,6%)

დემოგრაფიული დაბერების ორი ძირითადი ფაქტორი შეიძლება გამოვყოთ: სიკვდილიანობის (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა) და შობადობის შემცირება. აღნიშნული ფაქტორები თვალნათლივ არის გამოსახული საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდაზე.

დიაგრამა 1



1 გ. წულაძე, ა.სულაბერიძე, დემოგრაფიის საფუძვლები, თბ. 2015

პირამიდის ანალიზისას დიდი ყურადღება ექცევა როგორც მის ფორმას, ასევე მოსახლეობის ცალკეული ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფების სიდიდეს. შობადობისა და სიკვდილიანობის მაღალი დონის შემთხვევაში პირამიდას ექნება განიერი ფუძე და ვიწრო თხემი. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ქვეყანაში შობადობის დონე არც თუ ისე მაღალია, რადგან როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში 0-4 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წევრთა რიცხოვნობას აჭარბებს ზედა ასაკობრივ ჯგუფებში მათი რიცხოვნობა. რაც მიუთითებს წინა წლებში შობადობის მაღალ დონეზე. პირამიდის გაშლილი წვერო კი მიუთითებს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. სიკვდილიანობის დონის კლება, განსაკუთრებით ზედა ასაკობრივ ჯგუფებში პირამიდის წვეროს გაფართოებას იწვევს.


მოსახლეობა შეიძლება სამ ნაწილად დავაჯგუფოთ: 15 წლამდე ასაკის მოსახლეობა (შრომისუნარიანზე ნაკლები ასაკის), 15-65 წლამდე ასაკის მოსახლეობა (შრომისუნარიანი ასაკის) და 65 წლის ზემოთ ასაკის მოსახლეობა (შრომისუნარიანზე უფროსი ასაკის), რომელიც საპენსიო ასაკს წარმოადგენს. შრომისუნარიანი ასაკის პიროვნებას უწევს ორი დანარჩენი ასაკის, როგორც საპენსიო, ასევე შრომისუნარიან ასაკამდე ასაკობრივი ჯგუფების უზრუნველყოფა. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა წარმოდგენილია დიაგრამა 2-ზე:

დიაგრამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მეტი წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას უკავია.


ბოლო წლებში შრომისუნარიანი მოსახლეობის არსებული დინამიკა კლების ტენდენციით გამოირჩევა, რაც განპირობებულია ზოგადად ქვეყანაში მოსახლეობის შემცირებით, მათ შორის გაზრდილი მიგრაციით. (დიაგრამა 3).

სამუშაო ძალის რიცხოვნობამ 2018 წლის პირველ კვარტალში 1938,7 ათ. კაცი შეადგინა. 2000 წელთან შედარებით იგი 5,39%-ით, ხოლო 2017 წელთან შედარებით 2,23%-ით შემცირდა. მოსახლეობის რიცხოვნობა 2000 წელთან მიმართებაში კი შემცირდა 9,4%-ით.

დიაგრამა 2



დიაგრამა 3



ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალა) რიცხოვნობა წლების მიხედვით არათანაბრად ვითარდება. სწორი ტენდენციის გამოსავლენად, ზრდადია მწკრივი თუ კლებადი, საჭიროა იგი მოვასწოროდ. მოსწორებისას შეიძლება გამოვიყენოთ წრფივი ფუნქცია:

$$\hat{y}_t = a_0 + a_1 t$$

სადაც,  $t$  წლებია

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum t = \sum y \\ a_0 \sum t + a_1 \sum t^2 = \sum ty \end{cases}$$

$a_0$  და  $a_1$  პარამეტრების გასაანგარიშებლად ვიყენებთ ნორმალურ განტოლებათა სისტემას:

განტოლებათა სისტემის ამოხსნით ვგებულობთ პარამეტრების რიცხვით მნიშვნელობებს.

აღნიშნული განტოლების ამოსახსნელად შეიძლება მივმართოთ გაანგარიშების გამარტივებულ ხერხს, თუ ათვლას დინამიკური მწკრივის ცენტრში გადავიტანთ, მაშინ

$$\sum t = 0$$

ამიტომ,  $a_0 = \frac{\sum y}{n}$  და  $a_1 = \frac{\sum ty}{\sum t^2}$



ცხრილი 1

წლები	y	t	yt	t <sup>2</sup>	ŷ <sub>t</sub>
2009	1971,8	-5	-9859	25	1986.16
2010	1970,9	-4	-7883,6	16	1985.62
2011	1988,2	-3	-5964,6	9	1985.08
2012	2004,5	-2	-4009	4	1984.54
2013	1978,6	-1	-1978,6	1	1984
2014	1984,6	1	1984,6	1	1982.92
2015	2018,0	2	4036	4	1982.38
2016	1996,2	3	5988,6	9	1981.84
2017	1983,1	4	7932,4	16	1981.3
2018	1938,7	5	9693,5	25	1980.76
Σ	19834,6	0	-59,7	110	19834,6

$a_0 = 1983,46$

$a_1 = -0,54$

$\hat{y}_t = a_0 + a_1 t = 1983,46 - 0,54 t$

განგარიშების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა კლების ტენდენციით ხასითდება.

ცხრილი 2

სამუშაო ძალა

ასაკი	ათ.კაცი	S <sub>med.</sub>
15-19	51,8	51,8
20-24	135,7	187,5
25-29	211,2	398,7
30-34	192,8	591,5
35-39	192,7	784,2
40-44	198,8	983
45-49	188,2	1171,2
50-54	214,7	1385,9
55-59	210,9	1596,8
60-64	155,3	1752,1

$$\bar{X}_{\text{მოდ.}} = x_{\text{მოდ.}} + h_{\text{მოდ.}} \cdot \frac{f_{\text{მოდ.}} - f_{\text{მოდ.-1}}}{(f_{\text{მოდ.}} - f_{\text{მოდ.-1}}) + (f_{\text{მოდ.}} - f_{\text{მოდ.+1}})} \approx 66 \text{ წელს}$$

$$\bar{X}_{\text{მედ.}} = x_{\text{მედ.}} + f_{\text{მედ.}} \cdot \frac{\frac{\sum f}{2} - \sum S_{\text{მედ.-1}}}{f_{\text{მედ.}}} \approx 45,2 \text{ წელს}$$

სამუშაო ძალის მოდალური ასაკი 66 წლით განისაზღვრა, მაშასადამე დასაქმებულთა შორის ყველაზე მეტი ამ ასაკის შრომისუნარიანი მოსახლეობაა, თუმცა რეალურად ამ ასაკის მოსახლეობის 76,2% თვითდასაქმებულია. მედიანური ასაკი 45 წელს შეადგენს (მედიანა რანჟირებული მწკრივის შუამდებარე წერია). გაანგარიშებები გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ საქართველოში შრომის ბაზრის ფორმირება დემოგრაფიული დაბერების ფონზე მიმდინარეობს.

ასაკობრივი სტრუქტურის დასახასიათებლად სტატისტიკაში გამოიყენება დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის განზოგადებულ რაოდენობრივ მახასიათებელს. დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ დემოგრაფიული დატვირთვის დონე და სტრუქტურა ყოველ 1000 შრომისუნარიან პიროვნებაზე. საქართველოს მაგალითზე დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები შემდეგ მნიშვნელობებს ღებულობენ:

**ბავშვებით დატვირთვის მაჩვენებელი:**

2010 წლისათვის  $k_1 = \frac{S_{0-14}}{S_{15-59}} \cdot 1000 = 263,9$ ; 2016 წლისათვის - 314,1; 2018 წლისათვის - 336,2 ბავშვი.

**ხანდაზმულებით დატვირთვის კოეფიციენტი:**

2010 წლისათვის  $k_2 = \frac{S_{60+}}{S_{15-59}} \cdot 1000 = 283,9$ ; 2016 წლისათვის - 328,8; 2018 წლისათვის - 347,3 ხანდაზმული

**საერთო დატვირთვის კოეფიციენტი:**

$k_3 = \frac{S_{0-14} + S_{60+}}{S_{15-59}} \cdot 1000 = K_1 + K_2 = 547,8$ ; 2016 წლისათვის - 642,9; 2018 წლისათვის - 683,5 ბავშვი და ხანდაზმული

დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტი განისაზღვრება 15 წლამდე ბავშვების, შრომისუნარიანი და საპენსიო ასაკის მოსახლეობის ურთიერთშეფარდების საფუძველზე. ეს მარტივი მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რამდენი არასრულწლოვანისა და პენსიონერის უზრუნველყოფა უწევს შრომისუნარიან ადამიანს. დინამიკაში იზრდება როგორც კერძო, ასევე საერთო დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები. ხანდაზმულებით დატვირთვის კოეფიციენტი აჭარბებს ბავშვებით დატვირთვის კოეფიციენტს თავისი მნიშვნელობით.

საერთო დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა პირი, რომელიც 15 წელზე უმცროსია და პენსიონერია არაპროდუქტიულია, ხოლო 15 წლის ასაკიდან 60 წლის ასაკის ჩათვით პროდუქტიული, რაც რეალურად ასე არაა. დაბალგანვითარებულ ქვეყნებში დასაქმებულთა შორის მნიშვნელოვანი წილი სწორედ 15 წლამდე და 60 წლის

ზემოთ ასაკის მოსახლეობას უჭირავს. ამიტომ, დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტის მეშვეობით ქვეყნის ეკონომიკურ-დემოგრაფიული მდგომარეობის დახასიათება რთულია.


საქართველო, როგორც დემოგრაფიული თვალსაზრისით გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყანა, საგულისხმო გამოწვევების წინაშე დგას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის განყოფილების (UNPD) პროგნოზით, საქართველოში 65 და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი, რომელიც 2015 წელს 14 პროცენტი იყო, 2030 წლისათვის 19 პროცენტამდე გაიზრდება. პროგნოზით მოსალოდნელია სიცოცხლის ხანგრძლივობის შემდგომი ზრდა: თუ 2012 წელს საქართველოში ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობა 79 წელი, ხოლო მამაკაცის — 70 წელი იყო, 2030 წლისთვის რიცხვები, შესაბამისად, 80.6 და 74.1 წლამდე გაიზრდება. დღევანდელი შრომითი ბაზარი ხანდაზმული მოსახლეობის საჭიროებებთან შესაბამისობაში არ

მოდის. ხანდაზმულთა აქტიურ ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მრავალი ფაქტორი უშლის ხელს, მათ შორის: შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სერვისების არარსებობა, ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნის შეზღუდული შესაძლებლობები, მწირი შემოსავალი და სტიგმა, რომელიც ხანდაზმულთა გარიყვას იწვევს. მოსახლეობის დაბერება შეიძლება მნიშვნელოვანი სოციალური გამოწვევების მიზეზიც გახდეს, რადგან ხანდაზმულობის ასაკში სოციალური უთანასწორობა შესამჩნევად ძლიერდება.<sup>2</sup>

მოსახლეობის დაბერებას ასევე განაპირობებს გარე მიგრაცია, რომელშიც უფრო მეტი შრომის-

უნარიანი ასაკის მოსახლეობა გვხვდება. თუ შობადობის დონეც დაბალია, შესაბამისად იზრდება საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. ყოველივე გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, როგორც სოციალურზე, ასევე ეკონომიკურზე. საქართველოში 2017 წლის მონაცემების მიხედვით შობადობის მაჩვენებელი ყოველ 1000 კაცზე 14.3-ის ტოლია, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 73,5 წლით განისაზღვრება. საქართველოსათვის დემოგრაფიული დაბერების მნიშვნელოვან ფაქტორს მიგრაცია წარმოადგენს.

დიაგრამა 4



დიაგრამაზე თვალნათლის ჩანს, თუ რომელ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება მიგრანტთა ყველაზე დიდი წილი - ეს შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობაა.

მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე მეტყველებს, მაგრამ ხანდაზმული მოსახლეობის წილის მატება ნეგატიურად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. 60 წელზე მეტი მოსახლეობის წილის გაზრდა იწვევს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიულ დატვირთვას. თუ გავითვალისწინებთ შობადობის დაბალ დონესაც და იმასაც, რომ შრომისუნარიანი

მოსახლეობაც ბერდება. შესაბამისად, იზრდება ხარჯები საპენსიო უზრუნველყოფასა და სამედიცინო მომსახურებაზე. შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილის კლება ასახვას ჰპოვებს დასაქმების მოცულობაზე. შესაბამისად, შემცირდება კაპიტალდაბანდებანი და ინვესტიციები.

**დასკვნა**

საქართველო დემოგრაფიული დაბერების აქტიურ ფაზაში იმყოფება. შობადობის დაბალი დონე, გარე მიგრაციის ზრდა, სიცოცხლის ხანგრძლივობის მაღალი მაჩვენებელი ერის დაბერებაზე მეტყველებს. სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს,

2 <http://www.citymagazine.ge/arqivi/article/1/13832-gamoiyvane.html>

რომ საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის კლებასთან ერთად, მატულობს ხანდაზმულთა და კლებულობს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი. დემოგრაფიული პრობლემები კი ნეგატიურად აისახება სამუშაო

ძალის რიცხოვნობასა და შესაბამისად, შრომის ბაზრის ფორმირებაზე.

საკვანძო სიტყვები. შრომის ბაზარი. სამუშაო ძალა. დემოგრაფიული დაბერება. შრომის ბაზრის სტატისტიკა. დემოგრაფიული სტატისტიკა.

#### ლიტერატურა/REFERENCES

- [1] აბესაძე ნ., ქინქლაძე რ., ჩიტალაძე ქ., სტატისტიკა ტურიზმისათვის, თბ. 2015.
- [2] გაბიაშვილი ბ., სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ. 2011.
- [3] გამყრელიძე გ., დემოგრაფიული სტატისტიკა, თბ. 1955
- [4] გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ., „სოციალური სტატისტიკა“, თბ. 2013
- [5] ხმალაძე მ., დემოგრაფია, თბ. 2009
- [6] ხმალაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, თბ. 2008
- [7] ნულაძე გ., სულაბერიძე ა., დემოგრაფიის საფუძვლები, თბ. 2015
- [8] <http://www.geostat.ge>
- [9] [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=145&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo)
- [10] <http://www.lari.ge/148-sazogadoeba/518-axalgazrda-taobis-problemebi-dasaqmebis-sferoshi-.html>
- [11] <http://epn.ge/?id=6619>
- [12] [http://www.commersant.ge/?m=5&news\\_id=32594&cat\\_id=5](http://www.commersant.ge/?m=5&news_id=32594&cat_id=5)
- [13] <http://www.observer.com.ge/2016/02/25/english-employment-challenges-for-youth-and-the-governments-new-initiative/>
- [14] <http://young-lawyer.ucoz.com/news/2008-12-22-305>
- [15] <http://www.ambebi.ge/ekonomikao/38945-dausaqmebeli-akhalgazrdebi-uperspeqtivo-qveyana.html>
- [16] <http://www.citymagazine.ge/arqivi/article/1/13832-gamoivyane.html>



COMMERCIALIZATION OF HEIS' RESEARCH RESULTS: PROSPECTS AND PROBLEMS

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევის შედეგების კომერციალიზაცია: პერსპექტივები და პრობლემები

NATALIYA KHOLIIVKO,

Candidate of Economic Sciences, Associate Professor  
Ukraine, Chernihiv, Chernihiv National University of  
Technology

ნატალია ხოლიავკო,

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ჩერნიგოვის  
ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი, უკრაინა, ჩერნიგოვი

ABSTRACT

The current stage of the leading countries development is characterized by the transition to an information society and by the formation of information economy. In such conditions the special role in the national economy development is played by the sectors capable of generating new knowledge and ideas with the possibility of their commercialization in industry. First of all – the higher education sector (universities, institutes, academies, research centers). Urgent problem of modernization of the Ukrainian higher education system is the lack of funding. It causes the necessity of development of the effective mechanisms for diversifying the funding sources of the higher education institutions (HEIs). Nowadays is increasing the demand of the innovative enterprises for scientific, technical and innovative products; thus is growing the interest to the theoretical and applied aspects the intensification of the commercialization of HEIs' research results. The activization of commercialization processes at HEIs would allow: to implement effective motivation mechanisms universities' scientists; reduce the number of outflow of scientists abroad ("brain drain"); to update the material and technical base of scientific laboratories and research centers; to form the proper staffing of the commercialization offices at universities (marketers, lawyers, accountants, economists, patent attorneys, etc.); to intensify the applications to international patent offices; to expand cooperation of subjects within the Quadruple Helix ("higher education sector - business enterprise sector – government sector – private non-profit sector").

**Keywords:** higher education; funding sources; higher education institution; commercialization; transfer; information economy.

აბსტრაქტი

წამყვან ქვეყანათა განვითარების ამჟამინდელი ეტაპი ხასიათდება ინფორმაციულ საზოგადოებაში გადასვლითა და საინფორმაციო ეკონომიკის ფორმირებით. ასეთ პირობებში, ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში განსაკუთრებული როლს თამაშობს სექტორების შესაძლებლობა, რომელთაც შეუძლიათ შექმნან ახალი ცოდნა და იდეები მათი

დარგში კომერციალიზაციის შესაძლებლობით. უპირველეს ყოვლისა - უმაღლესი განათლების სექტორი (უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, აკადემიები, კვლევითი ცენტრები). უკრაინის უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაციის პრობლემას წარმოადგენს დაფინანსების ნაკლებობა. ეს იწვევს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა (უსდ) დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის ეფექტური მექანიზმების შემუშავების აუცილებლობას. დღესდღეობით იზრდება ინოვაციური საწარმოების მოთხოვნა სამეცნიერო, ტექნიკური და ინოვაციური პროდუქტებისადმი; ამგვარად იზრდება ინტერესი თეორიული და გამოყენებითი ასპექტებისა, რომლებიც მიმართულია უსდ-ის კვლევის შედეგების კომერციალიზაციის გაძლიერებაში. საწარმოებში კომერციალიზაციის პროცესის გააქტიურება საშუალებას მისცემს: უნივერსიტეტების მეცნიერებს განახორციელონ ეფექტური მოტივაციის მექანიზმები; საზღვარგარეთ მეცნიერების გადინების რაოდენობის შემცირებას ("ტვინის გადინება"); სამეცნიერო ლაბორატორიების და კვლევითი ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება; უნივერსიტეტებში კომერციალიზაციის ოფისების (მარკეტინგის, ადვოკატების, ბუღალტერების, ეკონომისტების და ა.შ.) ჩამოყალიბებას; განაცხადების გააქტიურებას საერთაშორისო საპატენტო უწყებებში; „Quadruple Helix“-ის ("უმაღლესი განათლების სექტორი - ბიზნეს საწარმოო სექტორი - სამთავრობო სექტორი - კერძო არაკომერციული სექტორი") ფარგლებში სუბიექტების თანამშრომლობის გაფართოებას.

**საკვანძო სიტყვები:** უმაღლესი განათლება; დაფინანსების წყაროები; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება; კომერციალიზაცია; ტრანსფერი; საინფორმაციო ეკონომიკა.

Современный этап развития ведущих стран мира характеризуется переходом к информационному обществу, в рамках которого формируется информационная экономика. Под последним понимается особый тип экономической системы, для которой свойственна

определяющая роль информации, знаний, инноваций и информационных технологий в процессах производства, обмена, распределения и потребления, а также в развитии основных отраслей и национальной экономики в целом. В условиях экономики информационного типа особую роль в обеспечении экономического роста и конкурентоспособности страны играют секторы, субъекты которых способны к генерации новых знаний и идей с возможностью их последующего трансфера в реальный сектор национальной экономики. Консолидированный в системе высшего образования интеллектуальный и инновационный потенциал превращает высшие учебные заведения государства в одних из ключевых агентов трансформации на пути активизации процессов становления информационной экономики.

В современных условиях рассмотрение образовательных услуг в качестве общественного блага является несколько ограниченным подходом. Модернизация системы высшего образования требует надлежащего финансирования. Учитывая мощный потенциал сектора высшего образования и принимая во внимание постепенное превращение университетов в полноправных экономических субъектов, на общегосударственном уровне целесообразно создать необходимые предпосылки для диверсификации источников финансирования деятельности высших учебных заведений.

12.	ფინანსური თავისუფლება	60.0	39

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საერთაშორისო ფონდი “The Heritage Foundation“ მონაცემებზე დაყრდნობით, <https://www.heritage.org/index/country/georgia>

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ „ბიზნესის კეთების“ შესახებ გამოქვეყნებული ანგარიში<sup>3</sup> აღნიშნულია, რომ შედეგი მიღწეული იქნა ქვეყანაში განხორციელებული ინსტიტუციური რეფორმებისა და მარეგულირებელი გარემოს დახვეწის შედეგად. მნიშვნელოვან რეფორმებად დასახელებულია: ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის შემცირება (“ერთი სარკმლის პრინციპი“ და „დუმილი

თანხმობის ნიშანია“ შეიქმნა სალიცენზიო აპლიკაციებისათვის); გამარტივებული საგადასახადო კოდექსი (21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6 გადასახადი); შემცირდა ქონების დარეგისტრირებისათვის საჭირო დრო და ღირებულება {4}.

ბიზნესის კეთების რეიტინგში ცალკეული კომპონენტები მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრ. 6.):

ბიზნესის კეთების რეიტინგში ცალკეული კომპონენტები მდგომარეობა

ბიზნესის კეთების რეიტინგის კომპონენტი	ადგილი 2017 წელს	შენიშვნა	
		ადგილი	წელი
1. ბიზნესის დაწყება	10	4	2014
2. მშენებლობის ნებართვა	9	2	2013
3. ელექტროენერჯით მომარაგება	39	36	2014
4. ქონების რეგისტრაცია	3	1	2012-2014
5. კრედიტის მიღება	7	3	2013
6. მინორიტარულ ინვესტორთა დაცვა	7	3	2013
7. გადასახადების გადახდა	22	22	2014
8. ვაჭრობა საზღვრებს შორის	54	31	2014
9. კონტრაქტის აღსრულება	16	13	2015
10. გადახდის უუნარობა	106	75	2012
ბიზნესის კეთების რეიტინგი	16	9	2013

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილი Doing Business-ის მონაცემებზე დაყრდნობით, <http://www.doingbusiness.org/rankings>

<sup>3</sup> [http://www.economy.ge/uploads/ek\\_ciprebshi/reitingebi/reitingebi\\_geo/Doing\\_Business\\_2017\\_-\\_GEO\\_8.12.pdf](http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Doing_Business_2017_-_GEO_8.12.pdf)

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეიტინგში საკმაოდ კარგი პოზიცია (მე-16 ადგილი) უჭირავს, ეს მაჩვენებელი გაუარესებულია წინა 2010 (13-ე ადგილი), 2012 (12-ე ადგილი), 2013 (9-ე ადგილი) და 2014 (14-ე ადგილი) წლებთან შედარებით. გარდაც ამისა, როგორც წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს რეიტინგის თითქმის ყველა კომპონენტში ასევე შეიმჩნევა გაუარესების ტენდენციები.

მეორე საკითხია რეიტინგის რიგი ცალკეული კომპონენტების გაუმჯობესებაზე მოქმედი გადანყვეტილებებში (მშენებლობის ნებართვები, ქონების რეგისტრაცია, კრედიტის მიღება და სხვა) რამდენადაა დაცული მოსახლეობის და მთლიანად ქვეყნის ინტერესები. ცალკე კვლევის საკითხია ამ გადანყვეტილებების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეფექტები.

**ლიტერატურა/REFERENCES**

[1] რ. მამულაძე, მ. გაბაიძე, ლოჯისტიკა, სახელმძღვანელო. ბათუმი, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2013 [1]  
 [2] <http://reports.weforum.org/global-competitiveness-index-2017-2018/competitiveness-rankings/> {2}  
 [3] <http://www.heritage.org/index/country/georgia> {3}  
 [4] [http://www.economy.ge/uploads/ek\\_ciprebshi/reitingebi/reitingebi\\_geo/Doing\\_Business\\_2017\\_-\\_GEO\\_8.12.pdf](http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Doing_Business_2017_-_GEO_8.12.pdf) [4]  
 [5] <https://www.weforum.org/reports>  
 [6] <https://www.heritage.org/index/country/georgia>  
 [7] <http://www.heritage.org/index/country/georgia>  
 [8] <https://www.heritage.org/index/country/georgia>  
 [9] [http://www.economy.ge/uploads/ek\\_ciprebshi/reitingebi/reitingebi\\_geo/Doing\\_Business\\_2017\\_-\\_GEO\\_8.12.pdf](http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Doing_Business_2017_-_GEO_8.12.pdf)  
 [10] <http://www.doingbusiness.org/rankings>



## მენეჯმენტი საქართველოში რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის თანამედროვე ეტაპზე

### ENTREPRENEURSHIP IN GEORGIA IN THE PROCESS OF REGIONAL ECONOMIC INTEGRATION

#### რომან მამულაძე,

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო  
აკადემიის პროფესორი საქართველო, ბათუმი

#### მერი გაბაიძე,

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის,  
ასისტენტი. საქართველო, ბათუმი

#### გიორგი მამულაძე,

ქუთაისის უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
საქართველო, ქუთაისი

#### ROMAN MAMULADZE,

Batumi State Maritime Academy, Professor.  
Georgia, Batumi

#### MERI GABAIDZE,

Batumi State Maritime Academy, Assistant  
Georgia, Batumi

#### GIORGI MAMULADZE

Kutaisi University, Phd candidate

#### ანოტაცია

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ფონზე საქართველოს უმთავრეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ მისწრაფებას მსოფლიო ცივილიზირებულ სივრცეში ინტეგრაცია წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ცდილობს ინტეგრაციულ პროცესების გაღრმავებას, ეს პროცესი ჯერ-ჯერობით დადებითად ვერ აისახება მენარმოების განვითარების ძირითად ტენდენციებზე. ამიტომაც უნდა გამოინახოს გზები ინტეგრაციული პროცესების ეფექტურობის ამაღლების თვალსაზრისით.

ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებით მიღებული შესაძლებლობების პრაქტიკულ რეალიზაციაში, სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად, დიდი როლი ბიზნეს-სექტორმა უნდა შეასრულოს. სახელმწიფომ სხვა შესაბამის ღონისძიებებთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის ინფორმირებულობას ინტეგრაციული პროცესებით მიღებული ახალი შესაძლებლობების შესახებ, ბიზნესმა კი უნდა შეძლოს ახალ ვარემოში ადაპტაცია და აღნიშნული შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენება.

**საკვანძო სიტყვები:** ინტეგრაციული პროცესები, მსოფლიო მეურნეობა, მენარმოება, ეკონომიკური განვითარება, ბიზნესის განვითარება.

#### ABSTRACT

*The main economic and political aspiration of Georgia is the integration into the civilized world in the light of globalization and deepening the integration processes of the world economy.*

*Despite the fact, that Georgia tries to deepen integration processes, it has not reflected on the main tendency of the*

*entrepreneurship development. Therefore, it is crucial to find the ways to increase the efficiency of integrative processes.*

*In the practical realization of the possibilities of deepening integration processes, the business sector should significantly contribute together with different state entities. The State shall, together with other relevant measures, promote business awareness of new opportunities during integration processes, on the other hand, the business must adapt to the new environment and effectively use these capabilities.*

**Keywords:** integration processes, world economy, entrepreneurship, economic development, business development.

თანამედროვე ეტაპზე ძნელია მოიძებნოს ქვეყანა, რომელიც არ მონაწილეობს მსოფლიო თანამეგობრობაში მიმდინარე გლობალურ პროცესებში. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ფონზე საქართველოს უმთავრეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ მისწრაფებას მსოფლიო ცივილიზირებულ სივრცეში ინტეგრაცია წარმოადგენს. აღნიშნულ გზაზე არსებული სირთულეების, წინააღმდეგობების და ზოგიერთი არაკეთილმოსურნე უცხო ძალების ზენოლის მიუხედავად, საქართველომ საკმაოდ თამამი ნაბიჯები გადადგა მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის თავალსაზრისით. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები გაფორმებული აქვს ევროკავშირთან, თურქეთთან, დსთ-ს ქვეყნებთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან და ჩინეთთან. {1}

ცხადია, ნებისმიერი ქვეყნის ინტეგრაციული პროცესებისკენ სწრაფვის უმთავრეს მიზანს გაერთიანების წევრ სახელმწიფოებთან საგარეო ვაჭრობის მოცულობის ზრდა და პირდაპირი უცხო

ოური ინვესტიციების მოზიდვისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა წარმოადგენს, ვინაიდან, საგარეო ვაჭრობის მოცულობასა და პირდაპირ უცხოური ინვესტიციებზე დიდადა დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა, მისი განვითარების პერსპექტივები და ზრდის ტემპები. ამგვარად, ინტერაციული პროცესებში ჩართულობამ, სხვა მნიშვნელოვან დადებით ეფექტებთან ერთად, შესაბამისი ასხვა უნდა ჰქონდეს ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლების გაუმჯობესებასა და ბიზნესის განვითარებაზე.

საქართველო-ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბებამ, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სხვა შეთანხმებებმა და ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციამ სხვა დადებით ცვლილებებთან ერთად შესაბამისი ასახვა უნდა ჰქონდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისა და ქვეყნის სწრაფი ეკონომიკურ განვითარების საქმეში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნესი უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის ძრავაა, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს მდგრად, სიღარიბისა და უთანასწორობის შემცირებაზე ორიენტირებულ, ე.წ. ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას.

ბიზნესის გარეშე ეკონომიკა ძალზე არაეფექტური და პრიმიტიული იქნება. ნებისმიერ ეკონომიკაში ადამიანებს ესაჭიროება სამუშაო ადგილები. ამასთან ნებისმიერ, მათ შორის პრიმიტიულ ეკონომიკაშიც კი, საზოგადოებას უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა შეისყიდოს მისთვის საჭირო საქონელი და მომსახურება. ბიზნესი აკმაყოფილებს ორივე მოთხოვნას. ანუ ერთის მხვრივ ბიზნესი ქმნის სამუშაო ადგილებს და ამით ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს უჩნდებათ შემოსავალი. მეორეს მხვრივ კი, ბიზნესი ქმნის პროდუქტს და ამით აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნას. ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ შემდეგნაირად:

- სიმდიდრის შექმნა და განაწილება;
- სამუშაო ადგილების შექმნა;
- დაბალანსებული რეგიონული განვითარება;
- მთლიანი შიდა პროდუქტისა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ზრდა;
- ცხოვრების დონის გაუმჯობესება;
- ექსპორტის ხელშეწყობა;
- საზოგადოების განვითარება.

ამგვარად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოცემულ ეტაპზე საჭიროა მიზანმიმართული კვლევები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად და რა ხარისხით ასრულებს საქართველოში არსებული ბიზნესი ზემოთ ჩამოთვლილ როლს და როგორ აისახება ინტერაციული პროცესების გაღრმავება ბიზნესის განვითარებაზე. აღნიშნულის შესაფასებლად გამოვიყენეთ სამენარმეო სფეროს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი. ცხრილში (იხ. ცხრ. 1) წარმოდგენილია სამენარმეო სფეროს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები საქართველოში.

როგორც წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ზრდის ტემპებს აქვს დაბალი სტაბილური ხასიათი (5-6% წელიწადში). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2015 წელს 2014 წელთან შედარებით ზრდის ტემპი შემცირებულია (2015 წელი - 6,6%, 2014 წელი - 5,5%). დაბალია დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის დინამიკა, კერძოდ, 2014 წელს

დასაქმებულთა რაოდენობის ზრდამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 7,5%, 2014 წელს 5.8%, ხოლო 2016 წელს 6.4% [2].

შეიძლება ითქვას, რომ თუ ვისარგებლებთ აღნიშნული ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლით, ინტერაციული პროცესების გავლენა ბიზნესის განვითარებაზე რაიმე გამოკვეთილი ფორმით არ ასახულა. ცხრილში (იხ. ცხრ. 2.) წარმოდგენილია ეკონომიკური მაჩვენებლები საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით.

საქართველოს ევროინტეგრაციულ პროცესებში ჩართულობისა და „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების“ გაფორმების ფონზე ძალზედ მნიშვნელოვანია იმის დასაბუთება, თუ რამდენად აისახა ეს პროცესები და ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულება უპირველესად სოფლის მეურნეობასა და მისი მომიჯნავე დარგების განვითარებაზე. ცხრილში (იხ. ცხრ. 3.) წარმოდგენილია რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა საქმიანობის სახეების მიხედვით.

მონაცემები ცხადყოფს, რომ ზოგადად ეკონომიკური საქმიანობის ცალკეულ სახეობებისათვის დამახასიათებელია ზრდის თანაბარი ტენდენციები. კერძოდ, ბოლო ხუთ წელიწადში ცალკეული დარგები ზრდის თანაბარი და სტაბილური ტენდენციებით ხასიათდება. მაშინ, როცა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება ძირითადად სოფლის მეურნეობაში ან მის მომი-

სამეწარმეო სფეროს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

	2011	2012	2013	2014	2015	2016
რეგისტრირებულ; საწარმოთა რაოდენობა	460128	484319	517628	554053	586297	-
ზრდა, %		5.0%	6.4%	6.6%	5.5%	-
ბრუნვა, მლნ. ლარი	36726.2	42048.0	44327.9	50064.7	56984.8	64081.8
ზრდა, %		14.5	5.4	12.9	13.8	12.4
გამოშვებული პროდუქცია, მლნ.ლარი	19239.9	23096.0	23553.6	26068.6	29993.9	34156.9
ზრდა, %		20.0	2.0	10.7	15.1	13.8
დამატებული ღირებულება, მლნ. ლარი	9253.7	11190.7	12139.1	12849.5	14761	16772.4
შუალედური მოხმარება, მლნ. ლარი	9986.3	11905.3	11414.5	13219.2	15232.9	17384.5
ზრდა, %		19.2	-4.1	15.8	15.2	14.1
ძირითადი კაპიტალი, მლნ. ლარი	15538.7	18625.8	20346.4	23183.9	24829.9	28519.3
ზრდა, %		19.9	9.2	13.9	7.1	14.9
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	503236	534397	550885	592147	626739	66679.1
ზრდა, %		6.1	3.1	7.5	5.8	6.4
შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი	622.6	714.3	760.1	800.5	896.8	938.3
ზრდა, %		14.7	6.4	5.3	12.2	4.6

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე გაყრდნობით, [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=211&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo)

ეკონომიკური მაჩვენებლები საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით

საკუთრების ფორმების მიხედვით		ორგანიზაციულ-სამართ- ლებრივი ფორმის მიხედვით		
სახელმწიფო	არასახელმწიფო	იურიდიული პირი	ინდივიდუალური	
რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, ერთეული	1393	584904	179287	407010
ბრუნვა, მლნ. ლარი	2164.9	54820.0	53730.6	3254.3
გამოშვებული პროდუქცია, მლნ. ლარი	1762.3	28231.6	29019.0	974.9
დამატებული ღირებულება, მლნ. ლარი	1008.4	13752.6	14284.8	476.2
შუალედური მოხმარება, მლნ. ლარი	753.9	14479.0	14734.2	498.7
ძირითადი კაპიტალი, მლნ. ლარი	6538.0	18291.8	24742.6	87.3
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	55454	571284	565023	61716
შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი	868.1	899.9	932.9	215.2

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=211&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo)

ჯნავე დარგებში წარმოებულ პროდუქციას ანიჭებს თავისუფალ წვდომას ევროკავშირის უდიდეს და უმდიდრეს ბაზარზე. მონაცემები ცხადყოფს, რომ „სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა“ დარგში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა ბოლო ხუთი წლის მანძილზე პრაქტი-

კულად ძალზედ უმნიშვნელოდ შეიცვალა (წლიური ზრდა საშუალოდ 0,9%). იგივე სიტუაციაა „თევზჭერა, მეთევზეობის“ მიმართულებით (წლიურ ზრდა 0,1%). რთული მდგომარეობაა განათლების სფეროში (წლიური ზრდა 0,5%) [3].

რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების იხედვით

ეკონომიკური საქმიანობის სახეობა		2011	2012	2013	2014	2015
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	ერთ.	4210	4545	4937	5131	5203
	%	0.9	0.9	1.0	0.9	0.9
თევზჭერა, მეთევზეობა	ერთ.	325	340	354	362	360
	%	0.1	0.1	0.1	0.1	0.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა	ერთ.	967	1070	1174	1245	1301
	%	0.2	0.2	0.2	0.2	0.2
დამამუშავებელი მრეწველობა	ერთ.	23080	24736	26922	28129	28750
	%	5.0	5.1	5.2	5.1	4.9
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	ერთ.	407	426	434	435	430
	%	0.1	0.1	0.1	0.1	0.1
მშენებლობა	ერთ.	10239	11393	13070	14097	14835
	%	2.2	2.4	2.5	2.5	2.5
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმ-ს საგნ-ს რემონტი	ერთ.	102259	110831	122280	126801	128674
	%	22.2	22.9	23.6	22.9	21.9
სასტუმროები და რესტორნები	ერთ.	7439	8487	10130	10953	11499
	%	1.6	1.8	2.0	2.0	2.0
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	ერთ.	13072	14835	16635	17256	17591
	%	2.8	3.1	3.2	3.1	3.0
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხ.მომსახურების გაწევა	ერთ.	18115	19938	21898	22955	23594
	%	3.9	4.1	4.2	4.1	4.0
განათლება	ერთ.	2145	2352	2566	2719	2855
	%	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება, %	ერთ.	3524	3649	3936	4088	4125
	%	0.8	0.8	0.8	0.7	0.7
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახ-ბის გაწევა, %	ერთ.	9014	9515	10154	10449	10582
	%	2.0	2.0	2.0	1.9	1.8
საქმიანობა უცნობია	ერთ.	265332	272202	283138	309433	336498
	%	57.7	56.2	54.7	55.8	57.4
სულ	ერთ.	460128	484319	517628	554053	586297
	%	100	100	100	100	100

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=211&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo)

ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის „ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“, სადაც ზრდის ტემპი 21,9%-ია, თუმცა ძნელია იმის დასაბუთება თუ რამდენად უკავშირდება

აღნიშნული დარგის ზრდის მოცემული ტენდენციები ზოგადად ინტეგრაციულ პროცესების გარღმავებას, ან ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას.



წარმოდგენილი მონაცემებით (იხ. ცხრ. 4.) ირკვევა, რომ რეგისტრირებულ საწარმოთა უდიდესი ნაწილი მოდის ქვეყნის დედაქალაქ თბილისზე (დაახლოებით 43-44%), ზოგიერთ რეგიონში კი ეს მაჩვენებელი საგანგაშოდ დაბალია (გურია (2,5%), მცხეთა-მთიანეთი (1,8%), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (0,8%), სამცხე-ჯავახეთი (2,8%)), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბიზნეს-აქტივობების უდიდესი მოცულობა (შესაბამისად, მოსახლეობაც!) თავ-

მოყრილია ქვეყნის დედაქალაქში თბილისში, ხოლო რეგონული თვალსაზრისით საქმე გვაქვს ეკონომიკის არათანაბარ განვითარებასთან. გარდა ამისა, ყველა რეგიონი ხასიათდება სტაბილური ზრდის ტემპებით, რაც ასახული იყო ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაშიც, და რაც იმის მანიშნებელია, რომ ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ფონზე არ შეინიშნება ცვლილებები ეკონომიკური განვითარების დაბალანსების კუთხით [4].

ცხრილი 4.

რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონების მიხედვით:		2011	2012	2013	2014	2015
ქ. თბილისი	ერთ.	202262	213107	227325	241114	253605
	%	44.0	44.0	43.9	43.5	43.3
აფხაზეთის არ	ერთ.	346	299	248	199	154
	%	0.1	0.1	0.0	0.0	0.0
აჭარის არ	ერთ.	36248	38314	41423	45063	48639
	%	7.9	7.9	8.0	8.1	8.3
გურია	ერთ.	11487	12136	13004	14016	14703
	%	2.5	2.5	2.5	2.5	2.5
იმერეთი	ერთ.	63767	67651	72560	78114	82671
	%	13.9	14.0	14.0	14.1	14.1
კახეთი	ერთ.	28200	29798	31967	34246	36556
	%	6.1	6.2	6.2	6.2	6.2
მცხეთა-მთიანეთი	ერთ.	8683	9078	9661	10308	10818
	%	1.9	1.9	1.9	1.9	1.8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ერთ.	3439	3627	3828	4145	4519
	%	0.7	0.7	0.7	0.7	0.8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	ერთ.	37019	38902	41743	44984	47639
	%	8.0	8.0	8.1	8.1	8.1
სამცხე-ჯავახეთი	ერთ.	12316	12786	13664	14933	16330
	%	2.7	2.6	2.6	2.7	2.8
ქვემო ქართლი	ერთ.	35481	36876	39011	41812	44591
	%	7.7	7.6	7.5	7.5	7.6
შიდა ქართლი	ერთ.	20880	21745	23194	25119	26072
	%	4.5	4.5	4.5	4.5	4.4
სულ	100%	460128	484319	517628	554053	586297

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=211&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo)

რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში (იხ. ცხ. 5).

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის მონაცემებით ირკვევა, რომ დარეგისტრირებულ საწარმოთა უდიდესი ნაწილი მოდის „ინდივი-

დუალური მენარმის“ (69,4%) და ‘შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (28,8%) ფორმებზე. ამასთან, ეს ორი ფორმა ზრდის განსხვავებული ტენდენციებით ხასიათდება, კერძოდ, დადებითია ‘შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების“ ფორმით რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ზრდის ტემპები (2011 წელს მისი წილი

რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების იხედვით

		2011	2012	2013	2014	2015
<b>ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმების მიხედვით:</b>						
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთ.	102181	116448	133697	150867	168785
	%	22.2	24.0	25.8	27.2	28.8
სააქციო საზოგადოება	ერთ.	2135	2120	2153	2200	2273
	%	0.5	0.4	0.4	0.4	0.4
სოლიდარული პასუხის მგებლობის საზოგადოება	ერთ.	2751	2749	2748	2747	2747
	%	0.6	0.6	0.5	0.5	0.5
კომანდიტური საზოგადოება	ერთ.	188	187	187	187	186
	%	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კოოპერატივი	ერთ.	2567	2579	2618	3205	4156
	%	0.6	0.5	0.5	0.6	0.7
უცხოური საწარმოს ფილიალი	ერთ.	691	779	867	1025	1140
	%	0.2	0.2	0.2	0.2	0.2
ინდივიდუალური მეწარმე	ერთ.	349615	359457	375358	393822	407010
	%	76.0	74.2	72.5	71.1	69.4
<b>საკუთრების ფორმების მიხედვით</b>						
არასახელმწიფო	ერთ.	458302	482781	516103	552600	584904
	%	99.6	99.7	99.7	99.7	99.8
კერძო პირისაქართველოს მოქალაქე	ერთ.	451748	471815	500200	533677	562672
	%	98.2	97.4	96.6	96.3	96.0
უცხოელი კერძო პირი	ერთ.	4966	8766	12914	15197	17700
	%	1.1	1.8	2.5	2.7	3.0
კერძო შერეული	ერთ.	1588	2200	2989	3726	4532
	%	0.3	0.5	0.6	0.7	0.8
სახელმწიფო		1826	1538	1525	1453	1393
		0.4	0.3	0.3	0.3	0.2
სულ	100%	460128	484319	517628	554053	586297

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=211&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo)

შეადგენდა რეგისტრირებულ საწარმოთა 22.2%-ს, ხოლო 2015 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 28,8%-მდე), ხოლო “ინდივიდუალური მეწარმის“ ფორმით რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ზრდის ტემპები კი შემცირებულია (2011 წელს წილი შეადგენდა 76,0%-ს, ხოლო 2015 წლისათვის ეს მაჩვენებელი 69,4%-მდე შემცირდა [5].

რაც შეეხება საკუთრების ფორმების მიხედვით რეგისტრირებულ საწარმოთა სტატისტიკას - არ შეიმჩნევა მკვეთრად გამოხატული ცვლილებე-

ბი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სახელმწიფო საწარმოების რაოდენობის შემცირებას. 2011 წელს აღნიშნული ტიპის საწარმოების რაოდენობა იყო 1826 ერთეული, ხოლო 2015 წლისთვის მათი რაოდენობა შემცირდა 1393 ერთეულამდე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

- მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ცდილობს ინტეგრაციულ პროცესების გაღმავლებას, ეს პროცესი ჯერჯერობით დადებითად ვერ აისახება მეწარმეობის განვითარების ძირით-

ად ტენდენციებზე. ამიტომაც უნდა გამოინახოს გზები ინტეგრაციული პროცესების ეფექტურობის ამაღლების თვალსზრისით.

- ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებით მიღებული შესაძლებლობების პრაქტიკულ რეალიზაციაში, სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად, დიდი როლი ბიზნეს-სექტორმა უნდა შეასრულოს. სახელმწიფომ სხვა შეს-

აბამის ღონისძიებებთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის ინფორმირებულობას ინტეგრაციული პროცესებით მიღებული ახალი შესაძლებლობების შესახებ, ბიზნესმა კი უნდა შეძლოს ახალ გარემოში ადაპტაცია და აღნიშნული შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენება.

#### ლიტერატურა/REFERENCES

- [1] რ. მამულაძე, მ. გაბაიძე, ლოჯისტიკა, სახელმძღვანელო. ბათუმი, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2013. გვ. 409 {1}
- [2] [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=211&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo) [2]
- [3] [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=211&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo) [3]
- [4] [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=211&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo) [4]
- [5] [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=211&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo) [5]

მიწოდების ჯაჭვის აღმინისტრირების თავისებურებები გლობალურ ბიზნესში

SPECIFICITY OF MANAGING SUPPLY CHAIN IN A GLOBAL BUSINESS

ნინო ჭილაია,

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,  
 ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის  
 ასისტენტი-პროფესორი  
 საქართველო, ბათუმი

NINO TCHILAIYA,

Doctor of Business Administration,  
 Batumi Navigation Teaching University, assistant  
 professor. Georgia Batumi

ანოტაცია

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად სულ უფრო იზრდება ლოჯისტიკის მნიშვნელობა და მეტ დატვირთვას იძენს მინოდების ჯაჭვი. წლებია ლოჯისტიკა გასცდა სახელმწიფოთა ეროვნულ საზღვრებს და უკანასკნელ ათწლეულში აქტიურად განვითარდა სახელმწიფოთაშორისი და ტრანსნაციონალური (გლობალური) ლოჯისტიკური სისტემები. ეს სისტემები მოწოდებულნი არიან გაადვილდეს საზღვრის გაღლით ინფორმაციის, საქონლის, კაპიტალის მინოდება და ადამიანთა გადაადგილება. სპეციალისტები აღიარებენ, რომ გლობალიზაციის პირობებში მსხვილი კორპორაციების გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობა ემყარება მათ უნარს, გააერთიანონ დაქსაქსული საწარმოები მთლიან სისტემად საერთო ამოცანებითა და განვითარების მიზნებით და დავეგმონ ინტეგრირებული მინოდების სტრატეგია. მაშინ როდესაც ეფექტური ლოჯისტიკური სისტემა მნიშვნელოვანია შიდა-სახელმწიფოებრივი მინოდების ჯაჭვის ფორმირებაში, იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალური მინოდების, წარმოებისა და მარკეტინგის პირობებში.

წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში გაანალიზებულია:

- გლობალიზაციის გავლენა მინოდების ჯაჭვის სტრუქტურასა და სტრატეგიების შემუშავებაზე;
- ეროვნულ დონეზე მოქმედი და ტრანსნაციონალური კომპანიების მინოდების ჯაჭვის სტრუქტურა;
- გლობალური ლოჯისტიკისა და მინოდების ჯაჭვის თავისებურებები წარმოების, მარკეტინგის, მინოდების, მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსების გადმოსახედიდან;
- მინოდების სტრატეგიები და ის ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია მინოდების სტრატეგიის შერჩევისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** მინოდების ჯაჭვი, ლოჯისტიკა, მინოდების სტრატეგიები, გლობალიზაცია

ABSTRACT

With the development of the country's economy, the importance of logistics and thus supply chain is increasing. Logistics has gone beyond the national boundaries of the states and in the last decade it has been actively developed international and transnational (global) logistics systems. These systems are encouraged to facilitate cross-border flow of information, goods, capital and people. The specialists recognize that long-term competitiveness of large corporations is based on their ability to unify dispersed businesses in the integrated system with the common goals and objectives and set up integrated supply chain strategy. Whereas an effective logistics system is important for domestic supply chain integration, it is absolutely essential for successful global sourcing, manufacturing and marketing.

The paper:

- examines the influence of the globalization processes on supply chain structure and strategies;
- differentiates the supply chain structures in the transnational corporations and businesses operating at the national level;
- compares and contrasts the different characteristics of global logistics and supply chains from the perspective of manufacturing focus, marketing strategy, delivery strategy, management strategy and human resource strategy;
- illustrates the difference by a generalized scheme and discusses the factors to be considered while developing supply chain strategy.

**Key words:** supply chain, logistics, supply strategies, globalization.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად სულ უფრო იზრდება ლოჯისტიკის მნიშვნელობა. წლებია ლოჯისტიკა გასცდა სახელმწიფოთა ეროვნულ საზღვრებს და უკანასკნელ ათწლეულში აქტიურად განვითარდა სახელმწიფოთაშორისი და ტრანსნაციონალური (გლობალური) ლოჯისტიკური




რი სისტემები. ეს სისტემები მონოდებულნი არიან გაადვილდეს საზღვრის გავლით ინფორმაციის, საქონლის, კაპიტალის მიწოდება და ადამიანთა გადაადგილება. ლოჯისტიკური სისტემის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად მეტი დატვირთვა შეიძინა მიწოდების ჯაჭვმა.

ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ ტერმინი „მიწოდების ჯაჭვი“ ძალიან გამარტივებული აღ-

წერაა იმ სურათისა, რომელიც თანამედროვე ბიზნესში იქმნება მასალების მოძრაობის თვალსაზრისით, რადგან ხშირად ამ მხრივ საქმე გვაქვს ასეულობით ორგანიზაციის ურთულეს კავშირებთან. ამ რთული სურათის მარტივად აღსაქმელად ჩვენ შევეცადეთ მიწოდების ჯაჭვი გრაფიკულად წარმოგვედგინა (იხ. ნახაზი №1, გვ.3).

ნახაზი 1: მიწოდების ჯაჭვის მარტივი სქემა



**წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ**

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ნახაზიდან ჩანს, მიწოდების ჯაჭვი ფარავს ორგანიზაციის საზღვრებს, რადგანაც მოიცავს გაცვლებს, რომელიც წარმოებს როგორც მის შიგნით, ისე მის გარეთაც. აღნიშნული ნახაზის სახით მოცემულია მიწოდების მარტივი ჯაჭვი, როგორც ძირითადად ეროვნულ დონეზე მოქმედ კომპანიებში გვხვდება. არ უნდა დაგვაინწყდეს, რომ მიწოდების ჯაჭვის ცნება და სტრუქტურა იცვლება კომპანიის საოპერაციო არეალის შესაბამისად. არ აქვს მნიშვნელობა კომპანია ნედლეულის იმპორტს ეწევა თუ ექსპორტზე გააქვს თავისი პროდუქცია, როდესაც მისი ბიზნესოპერაციები ეროვნულ საზღვრებს სცდება, ამ შემთხვევაში უკვე საქმე გვაქვს გლობალურ მიწოდების ჯაჭვთან.

გლობალური კორპორაციების გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობა ემყარება მათ უნარს, გააერთიანონ დაქსაქსული საწარმოები მთლიან სისტემად საერთო ამოცანებითა და განვითარების მიზნებით და დაგეგმონ ინტეგრირებული მიწოდების სტრატეგია. მაშინ როდესაც ეფექტური ლოჯისტიკური სისტემა მნიშვნელოვანია შიდასახელმწიფოებრივი მიწოდების ჯაჭვის ფორმირებაში, იგი ერთიორად მნიშვნელოვანია გლობალური მიწოდების, წარმოებისა და მარკეტინგის პირობებში.


გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო მეტი ფორმა სცდება ეროვნულ საზღვრებს და მოლ-

ვანობას საერთაშორისო მასშტაბით აგრძელებს. მათ ამგვარ მისწრაფებებს რამდენიმე საფუძველი გააჩნია, ესენია: იაფ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მესამე ქვეყნებში არსებული შეღავათიანი საგადასახადო და სატარიფო პოლიტიკა და მზარდი რეგიონალიზაცია; საკუთარ ქვეყნებში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოქმედების გამო ზრდის შეზღუდვის გადალახვა; ახალი ბაზრების მოპოვების სურვილი; უნიკალური ცოდნისა და გამოცდილების დაუფლებისკენ სწრაფვა [2].

ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც მუშაობენ რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე აქვთ საკმაოდ რთული მიწოდების სტრუქტურა, რომელსაც გლობალური მიწოდების ჯაჭვიც შეიძლება ვუწოდოთ. გლობალური მიწოდების ჯაჭვის მოდელი მოიცავს კომპანიების ოთხ ტიპს: ნედლეულის და კომპონენტების მომწოდებლები – S (suppliers), საწარმოო ორგანიზაციები – MP (manufacturing plants), გამანაწილებელი ცენტრები – DC (distribution centers), ასევე მომხმარებლები, რომლებიც დაჯგუფებულები არიან საბაზრო ზონებად – C (customers). გლობალური მიწოდების ჯაჭვის სტრუქტურა წარმოდგენილია ნახაზზე №2, გვ.5.

მიწოდების ჯაჭვის ილუსტრირება ნახაზი №1-სა და ნახაზი № 2-ის სახით გვაძლევს საშუალებას მარტივად დავინახოთ, თუ რაოდენ განსხვავდება გლობალურ დონეზე მოქმედ კომპანიათა მი-

ნახაზი 2: გლობალური მინოდების ჯაჭვის სტრუქტურა



წყარო: [1]

ნოდების სისტემა ეროვნულ საზღვრებს შიგნით მოქმედი კომპანიის მინოდების ჯაჭვის სტრუქტურისგან. ეროვნულ დონეზე მოქმედი კომპანიები ფოკუსირებას ახდენენ ქვეყნის შიდა დისტრიბუციის, დასაწყობებაზე და ცდილობენ ხელი შეუწყონ ერთიანი მინოდების ჯაჭვის ფორმირებას ეკონომიკურად და პოლიტიკურად მდგრად გარემოში. საერთაშორისო ასპარეზზე გასულ კომპანიებს კი მინოდების პროცესში უწევთ მრავალი რისკ ფაქტორის გათვალისწინება და სხვადასხვა პრობლემებთან ჭიდილი, როგორცაა მანძილი, განსხვავებული ეროვნება, რელიგიური აღმსარებლობა, კულტურა, პოლიტიკა, გემოვნება, საერთაშორისო ვაჭრობის რეგულაციები და სხვა.

შესაბამისად, ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ მინოდების ჯაჭვი ნამდვილად კომპლექსური სისტემაა და მის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სისტემის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს მთლიანი სისტემის მუშაობის ერთობლივი შედეგი. კომპანიის ზომის, გამოშვებული პროდუქციის, ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირების და რიგი სხვა ფაქტორების მიხედვით მინოდების ადმინისტრირებამ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა, მიემაგროს სხვადასხვა სტრუქტურულ განყოფილებას - როგორც შიდას, ისე გარეს.

საერთაშორისო მასშტაბით მოღვაწე კომპანია არჩევანის წინაშე დგება, რათა გადანავიჯოს რა ფორმით მოახდენს მინოდების ტექნოლოგიების ადმინისტრირებას გლობალურ დონეზე. დარგის სპეციფიკის ტიპი ფ. ფიტზსიმონსი, ე. სავიტზი, ა. კერნი მინოდების ოთხ სტრატეგიას გამოყოფენ:

1. **ეროვნული (ნაციონალური) სტრატეგია** - კომპანიას მინოდების გარკვეული სტრატეგია შეი-

ძლება აქვს შემუშავებული საშინაო ბაზრისთვის, მაგრამ საერთაშორისო ბაზარზე შეღწევისთვის იყენებს ლიცენზირების ფორმას. ასეთ სტრატეგიას ის კომპანიები ირჩევენ, რომლებიც არ ფლობენ სხვა ქვეყნებში შეიღობილ საწარმოებს და უკიდურეს შემთხვევაში პარტნიორებს გადასცემენ პროდუქციის წარმოების ლიცენზიას. ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში კომპანია ყველა ქვეყანას აწვდის სტანდარტულ ან მცირედ მოდიფიცირებულ პროდუქციას, რომელსაც დიდი პარტიებით აწარმოებს და რის გამოც მისთვის რთულია გლობალური მომხმარებლის მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება [6].

2. **მულტილოკალური სტრატეგია** - პროდუქციის მინოდება ხდება სხვადასხვა ბაზრებზე. კომპანია ცალკეულ ქვეყნებში არსებულ კონკურენტულ პირობებთან ადაპტაციას ცდილობს და თითოეული ქვეყნისთვის დამოუკიდებელ მინოდების სტრატეგიას იმუშავებს. განსაკუთრებული ფოკუსირების საგანი მზარდი პოტენციალის მქონე ბაზრებია. მულტილოკალური სტრატეგიის მქონე ფირმებში ადგილობრივი წარმომადგენლობების მენეჯერებს მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა გააჩნიათ ტაქტიკური და ოპერატიული გადაწყვეტილების მიღების დროს და საერთაშორისო ბაზარს აღიქვამს არა როგორც ერთიან მთლიანს, არამედ, როგორც ცალკეული ეროვნული ბაზრების ერთობლიობას [5].

3. **გლობალური სტრატეგია** - კომპანია ახდენს პროდუქტის მინოდებას მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა ქვეყანაში არსებული შეიღობილი საწარმოების დახმარებით. მინოდების პროცესების მართვა და ინფორმაციის კოორდინირება ხო-

რციელდება როგორც შვილობილი, ასევე დედა კომპანიიდან. ყოველი ქვეყნისთვის ინარმოება ქასთომიზირებული პროდუქცია, შესაბამისად, მათი ლოჯისტიკური სისტემა საკმაოდ მოქნილია და მაღალია მასშტაბის დადებითი ეფექტი. გლობალური სტრატეგიის მქონე კომპანიების მნიშვნელოვანი პრობლემაა კროსკულტურული ურთიერთობები [7].

**4. ტრანსნაციონალური სტრატეგია** - კომპანიის მთავარი მიზანი მინოდების ჯაჭვის ოპტიმიზაციაა. ტრანსნაციონალური სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია ურთულესი საქმეა, რადგან კორპორაციული მიზნების შესრულების დროს ფირმა შესაძლოა ურთიერთსაინანაღმდგო ქმედებების განხორციელების წინაშე აღმოჩნდეს. ხშირ შემთხვევაში ტრანსნაციონალური სტრატეგიის კომპანიებს არ აქვთ ერთი სათავო ოფისი და ბიზნესოპერაციები სხვადასხვა რეგიონებსა თუ ქვეყნებში მიმდინარეობს. მაგალითად, წარმოება იაფი მუშახელის გამო შეიძლება იყოს აზიაში, კომპანიის ფინანსური რესურსები კი უსაფრთხოების მიზნით იმართებოდეს ევროპაში. კომპანიები მინოდების ტრანსნაციონალურ სტრატეგიას ირჩევენ ერთი მხრივ, გლობალური ინტეგრაციის მიღწევისთვის, მეორე მხრივ ცალკეულ ქვეყნებში

სწრაფი რეაგირების უნარის შენარჩუნებისთვის. მთავარი მიზანია, მინოდების ოპერაციების ეფექტიანობის ზრდა, რისთვისაც აქტიურად იყენებენ ლინ მიდგომას, რაც გულისხმობს ნებისმიერი ზედმეტი დანახარჯის აღმოფხვრას საწარმოო პროცესის დროს [4].

ჩვენ შევეცადეთ ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიები სინთეზურად წარმოგვედგინა მარკეტინგულ სტრატეგიასთან, მენეჯმენტის სტრატეგიასთან და ადამიანური რესურსების მართვასთან მიმართებაში (იხ. ცხრ. №1, გვ.7). ცხრილი გვიჩვენებს, რაც უფრო დიდ მასშტაბებზე გადის კომპანიის მიერ პროდუქციის მინოდება, მით უფრო კომპლექსურია კომპანიის ბიზნეს სტრატეგიები და ორგანიზაციული სტრუქტურა. ეროვნული სტრატეგიის მქონე ფირმების მარკეტინგის სტრატეგია საშინაო ბაზარზეა მორგებული, მინოდების არხიც მარტივი, ერთ საფეხურიანია და პროდუქტი მწარმოებლიდან პირდაპირ მომხმარებელთან მიდის. შესაბამისად, ნაციონალურ დონეზე მოქმედი კომპანიებს ადამიანური რესურსებისადმიც ნაკლები მოთხოვნები აქვთ. აღნიშნული სტრატეგიის მქონე კომპანიათა მთავარი მისწრაფება ეროვნულ ბაზარზე დამკვიდრებაა.

ცხრილი 1: მინოდების სტრატეგიები გლობალურ ბიზნესში


მიწოდების სტრატეგია	სერვისი / პროდუქცია	წარმოების სტრატეგია	მარკეტინგული სტრატეგია	მიწოდების არხი	მენეჯმენტის სტრატეგია	ადამიანური რესურსები
ეროვნული (ნაციონალური)	სტანდარტული	წარმოება და დასაწყობება (MTO - Make-To-Stock)	საშინაო ბაზარზე მორგებული	პირდაპირ მომხმარებელთან	მარტივი	ნაკლები გამოცდილება საერთაშორისო ვაჭრობაში
მულტილოკალური	სტანდარტული თითოეული ლოკალური ბაზრისთვის	აწეობა შეკვეთისას (ATO - Assemble-to-order)	კონკრეტული ლოკალური ბაზრის მომხმარებლებზე მორგებული	კოლაბორაცია	ინტეგრირებული	კონკრეტულ ლოკალურ ბაზარზე გამოცდილების მქონე
გლობალური	ქასთომიზაცია	მოქნილი (Agile) წარმოება	სპეციფიკურ ბაზარზე ფოკუსირება და ქვეყნის საზღვრების გადაკვეთა	შვილობილი კომპანიები მსოფლიოს მასშტაბით	დეცენტრალიზებული ოპერაციები	მენეჯმენტის ნაწილი გამოცდილია საერთაშორისო ვაჭრობაში
ტრანსნაციონალური	გლობალური ბრენდინგი	ლინ (Lean) წარმოება	გლობალური მომხმარებლები	მსოფლიო მასშტაბით მიწოდება	ცენტრალიზებული ოპერაციები	საერთაშორისო გამოცდილების მქონე მენეჯმენტი

საჭიროა აღინიშნოს, რომ სადღეისოდ სხვადასხვა ორგანიზაცია მინოდების ჯაჭვის განვითარების დონისა და გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვა დონეზეა. კომპანიის პოზიციონირებას გლობალურ ბაზარზე ერთი მხრივ მის მიერ შერჩეული მინოდების სტრატეგია განსაზღვრავს. ზემოთ მოცემული სინთეზური და ამავე დროს შედარებითი ცხრილის საფუძველზე მარტივად შეგვიძლია მოვახდინოთ კომპანიის პოზიციონირება

ბა მომხმარებელთა ბაზარზე არჩეული მინოდების სტრატეგიის მიხედვით.

დიაგრამის ჰორიზონტალურ ღერძზე წარმოდგენილია საშინაო ბაზარზე პოზიციონირება და სწრაფვა ეროვნული მოთხოვნების შესრულებისკენ, ხოლო ვერტიკალურ ღერძზე კომპანიის ადგილი გლობალურ ბაზარზე და სწრაფვა გლობალური ინტეგრაციისკენ. კომპანია, რომელიც ეროვნული სტრატეგიით ხელმძღვანელობს,

დიაგრამა 1: მინოდების სტრატეგიები გლობალურ ბიზნესში



წყარო: [7]

სტანდარტული პროდუქციით პასუხობს ეროვნულ მოთხოვნებს, მაგრამ მისთვის რთულია საერთაშორისო მოთხოვნებზე რეაგირება და შესაბამისად გლობალურ კონკურენციაში ჩართვა. მულტილოკალური სტრატეგიის შემთხვევაში კომპანია ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ბაზრის მოთხოვნებს მარტივად პასუხობს, მაგრამ აღნიშნული სტრატეგიით რთული იქნება მისი გლობალიზაცია. კომპანიის წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებში შეეცდებიან დამოუკიდებლად უპასუხოთ თავიანთი მომხმარებლის მოთხოვნებს და შესაბამისად, ნაკლებად მოხდება კომპანიის დონეზე ერთიანი ინტეგრირებული მინოდების სტრატეგიის შემუშავება. გლობალური მინოდების სტრატეგიის მქონე კომპანიები პროდუქციის ქასტომიზაციით მარტივად ერთვებიან გლობალიზაციის პროცესში, რასაც ხელს უწყობს დედა კომპანიის მიერ ერთიანი მინოდების სტრატეგიის შემუშავება. ტრანსნაციონალური სტრატეგიის მქონე კომპანიები ყველაზე მარტივად ოპერირებენ გლობალურ ბაზარზე, ვინაიდან მათ მიერ ბიზნეს ოპერაციების დაგეგმვა თუ განხორციელება გლობალური გადმოსახედიდან ხდება.

მულტილოკალური, გლობალური და ტრანსნაციონალური სტრატეგიები დიდ გავლენას ახდენს ლოჯისტიკურ გადანაცვლებებზე. მინოდების ტექნოლოგიების ადმინისტრირების თავისებურებას წარმოადგენს სხვადასხვა კომპანიების ერთობლივი საქმიანობა მომხმარებლისკენ საქონლის წინსვლის გზაზე. ლოჯისტიკის მენეჯერმა გლობალურ ბაზარზე ოპერირების დროს მინოდების 5 ფაქტორზე უნდა გაამახვილოს ყურადღება: მინოდების ციკლის სტრუქტურა, ტრანსპორტირება, ოპერაციული ფაქტორები, ინფორმაციული სისტემის ინტეგრირება და სტრატეგიული ალიანსები. აღნიშნული ფაქტორები გათვალ-

ისწინებული უნდა იყოს მინოდების სტრატეგიების შემუშავებაშიც.

- მინოდების ციკლის ხანგრძლივობა განსხვავდება საშინაო და გლობალურ ბაზრებზე. თუკი პროდუქციის მინოდებას ქვეყნის შიგნით 1-დან 5 დღემდე სჭირდება, საერთაშორისო ბაზრებზე იგი რამდენიმე კვირას, ზოგჯერ რამდენიმე თვესაც კი მოითხოვს. ხშირ შემთხვევაში მინოდების დროზე გავლენას ახდენს ინფორმაციის დაგვიანებული მიმოცვლა, ფინანსური ფაქტორები, კლიენტთა განსაკუთრებული მოთხოვნები, ტრანზიტის დრო, საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული დროის ფაქტორი და სხვა.
- გლობალურ ბიზნესში მინოდებისას გასათვალისწინებელი ფაქტორია ტრანსპორტირება. გლობალიზაციამ გაზარდა მოთხოვნა პორტებზე და აეროპორტებზე და მსოფლიო მასშტაბით უკანასკნელი 50 წლის მანძილზე საგრძნობლად განვითარდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. საერთაშორისო მინოდების ჯაჭვში სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებია ჩართული. კომბინირებული გადაზიდვები ქვეყანაში ეროვნულ დონეზეც ხორციელდება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში შიდა გადაზიდვების დროს ერთი ტიპის ტრანსპორტი გამოიყენება. საერთაშორისო დონეზე კი ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის მანძილისა და ტვირთის მოცულობის გათვალისწინებით იცვლება მინოდების ჯაჭვში ჩართული სატრანსპორტო საშუალებების რიცხვი და ხასიათი. შესაბამისად, გლობალურ ბაზარზე მოასპარეზე კომპანიას მრავალ სატრანსპორტო კომპანიასთან აქვს კავშირი და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მრავალი ფაქტორის გათვალისწინება უწევს მინოდების



ჯაჭვის დაგეგმვის დროს. ეს ფაქტორებია: ტრანსპორტირების ფასი, ინფრასტრუქტურის ხარისხი, მიწოდების დონე, მომწოდებლის სანდოობა, მიწოდების ხარისხი და სხვ., რაც შეიძლება ნაკლებად იყოს გათვალისწინებული ქვეყნის შიდა გადაზიდვების დროს.

- რამდენიმე ოპერაციული ფაქტორი იჩენს თავს გლობალურ მიწოდების ჯაჭვში. უპირველეს ყოვლისა, ეს ენობრივ ფაქტორებს ეხება. ლოჯისტიკის გადმოსახედიდან ენობრივი ბარიერი ართულებს მიწოდების პროცესს და როგორც უკვე აღვნიშნეთ მიწოდების ციკლზეც დიდ გავლენას ახდენს. განსხვავებული გავლენა აქვს ენობრივ ბარიერს, როგორც ოპერაციულ ფაქტორს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის საქართველოსიც, ითხოვს იმპორტირებულ პროდუქტს თან ახლდეს სახელმწიფო ენაზე ნათარგმნი ანოტაცია. ენის ფაქტორი იკვეთება დოკუმენტაციის წარმოების დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენა ბიზნესის ენად ითვლება ზოგიერთი ქვეყნის მოთხოვნა საბაჟო დოკუმენტაცია სახელმწიფო ენაზეც იყოს ნათარგმნი. აქედან გამომდინარე, ბევრი კომპანია იძულებულია მრავალ ენაზე აწარმოოს დოკუმენტაცია, რათა მოახდინოს პროდუქციის ექსპორტირება სამიზნე ბაზარზე.

ოპერაციულ ფაქტორს მიეკუთვნება პროდუქტის ტექნიკური მახასიათებლებიც და სამიზნე ბაზრის მიერ წამოყენებული განსაკუთრებული მოთხოვნები ამა თუ იმ მახასიათებლებზე. ხშირად, ლოჯისტიკური დოკუმენტაციაც ერთ-ერთ შემაფერხებელ ოპერაციულ ფაქტორად გვევლინება. მაშინ როდესაც ქვეყნის შიგნით ვაჭრობისას საკმარისია მხოლოდ ანგარიშფაქტურა (ინვოისი), საერთაშორისო ვაჭრობის დროს მნიშვნელოვანია ტვირთს თან ახლდეს რიგი ლოჯისტიკური საბუთებისა, როგორებიცაა: ინვოისი, წარმომავლობის სერთიფიკატი, დაზღვევის სერთიფიკატი, სატრანსპორტო ზედნადები (საავტომობილო ზედნადები - ჩღ, ავია ზედნადები, კონოსამენტი ან სარკინიგზო ზედნადები). ჩამოთვლილ საბუთებს ექსპორტიორი აწოდებს იმპორტიორს, ხოლო იმპორტიორმა თავის მხრივ ექსპორტიორს უნდა მიანოდოს საბანკო ტრანზაქციის ქვითარი ან საექსპორტო შეუცვლელი აკრედიტივი, რაც ფინანსურ გარანტს წარმოადგენს.

- ინფორმაციის ფაქტორი არსებითად მნიშ-

ვნელოვანია გლობალურ მიწოდების ჯაჭვში, ვინაიდან ინფორმაციული მიმოცვლა გლობალიზაციის ერთ-ერთი გამონვევაა და გლობალიზაციის პროცესის პირველივე დღიდან ეყრება საფუძველი ინფორმაციული სისტემების ინტეგრირებას ბიზნესში. განსაკუთრებით ERP (კომპანიის რესურსების დაგეგმვა) და გლობალური დაგეგმვის (Global planning) სისტემაზე მახვილდება ყურადღება მიწოდების საერთაშორისო დონეზე ადმინისტრირების დროს. ეს ორი ინფორმაციული ტექნოლოგია ხელს უწყობს კომპანიას მარტივად უპასუხოს მომხმარებლის ცვლებად მოთხოვნას რესურსების სწორად გადანაწილებით, მომხმარებლისთვის ინფორმაციის დროული მიწოდებითა და მიწოდების ეფექტურად დაგეგმვით. სამწუხაროდ, მცირეა იმ კომპანიათა რიცხვი რომლებსაც მთლიანად ინტეგრირებული გლობალური ინფორმაციული სისტემები გააჩნიათ.

- გლობალურ ასპარეზზე მოქმედი კომპანიები მიწოდების ჯაჭვში ფართოდ იყენებენ სტრატეგიულ კავშირებს ან ე.წ. ალიანსებს, რაც მიწოდების კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს გლობალური ინტეგრაციის პირობებში. მსგავს ალიანსში შესვლა ხელს უწყობს კომპანიას დაკავშირებას ახალ ბაზრებთან, ლოჯისტიკური დანახარჯების მინიმუმამდე დაყვანას, სარისკო პროექტების რეალიზაციასა და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. სტრატეგიული კავშირებისა და ბიზნესის ქსელის განვითარება კი თავისთავად განაპირობებს ფირმათა ინტეგრაციას საერთაშორისო დონეზე.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც ნაკლებად იჩენს თავს მიწოდების ეროვნულ ბაზარზე ადმინისტრირების დროს, მაგრამ რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია მიწოდების საერთაშორისო დონეზე, თუმცა ამ ფაქტორების გარდა კომპანია კიდევ ბევრ გაუთვალისწინებელ პრობლემას შეიძლება გადააწყდეს გლობალიზაციის პირობებში.

გლობალიზაციის მთავარი გამონვევაა კომპანიებმა მიიღონ სარგებელი ინტეგრირებული მიწოდების სტრატეგიების შემუშავებით. მიწოდების სტრატეგიების განვითარება ქვეყანაში არსებულ ლოჯისტიკურ პოტენციალსა და სისტემაზე დამოკიდებული.

**ლიტერატურა/REFERENCES**

- [1] **ბაუვერსოქს** 2012: Bowersox Donald J., Closs David J., Cooper Bixby M., Bowersox John C., “Supply Chain Logistics Management“. 4th edition, London, 2012
- [2] **გარდნერი** 2003: Gardner John T., “Strategic Supply Chain Mapping Approaches”, Journal of business logistics, Vol.24, No. 2
- [3] **ვეშაპიძე** 2012: ვეშაპიძე შ., ოსაძე ლ. და სეხნიაშვილი დ., „ლოჯისტიკა“. თბილისი, 2012
- [4] **კერნი** 2008: Kearney A.T., “Supply chain globalization”, Chicago, 2008
- [5] **რამიშვილი** 2013: რამიშვილი ბ., „სტრატეგიული მენეჯმენტი“. თბილისი 2013
- [6] **სავიტზი** 2012: Savitz E., “Managing The Risks Of A Globalized Supply Chain”, Forbes, # 10, Paris
- [7] **ფიტზსიმონს** 2011: Fitzsimmons J., Fitzsimmons M., “Service Management: Operations, Strategy and Information Technology“. 7th edition, New York, 2011

**სუბტროპიკული და სხვა ეკონომიკურად მნიშვნელოვანი კულტურების განვითარების მიმართულებები აჭარაში**

**SUBTROPICAL AND OTHER ECONOMICALLY IMPORTANT CROPS DEVELOPMENT DIRECTIONS IN ADJARA**

**რეზო ჯაბნიძე,**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ს/მ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. საქართველო, ბათუმი

**REZO JABNIDZE,**

Batumi Shota Rustaveli State University  
Professor, Doctor of Science,  
Academician of the Academy of Sciences of Georgia.  
Batumi, Georgia

**ანოტაცია**

სუბტროპიკული მეურნეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. რესპუბლიკის ეკონომიკაში იგი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, რომელიც გვაძლევს კვებისათვის აუცილებელ ძვირფას და სასარგებლო პროდუქტებს, ხოლო მრეწველობის რიგი წამყვანი დარგებისათვის საუკეთესო ნედლეულს.

ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების გარეშე შეუძლებელია. სუბტროპიკული მეურნეობა კი საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. სუბტროპიკული კულტურები გვაძლევს კვებისათვის აუცილებელ ძვირფას და სასარგებლო პროდუქტებს, სამკურნალწამლო ნივთიერებებს, ხოლო მრეწველობის რიგი წამყვანი დარგისათვის — ნედლეულს.

**საკვანძო სიტყვები:** სუბტროპიკული მეურნეობა, მრეწველობა, დარგი

**ABSTRACT**

Georgia Batumizone of Georgia as a result of realization of land reform are considered. The serious analysis of a modern condition is made and ways of their possible decision are planned.

The article presents the situation existing in the food market, indexes of the level of food self-sufficiency, condition of support of the food market, particularities of market saturation, the main directions of food safety, reforms in an agrarian sphere in Gorgia and their socioeconomic importance on the both macero level, the role of state in regulation of food market. Also tendency of effective development of the markets of land, capital, labor and means of production for the purpose of formation of food market is discussed therein as well as importance of appropriate infrastructure, banking service and customs and tax system,

*the main machinery of stimulation of local production.*

*These matters are just in the process of exploration and need solid support of state what will be a significant step in supply of population with the food of domestic growth*

**Keywords:** subtropical farming, industry, industry

სუბტროპიკული მეურნეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. რესპუბლიკის ეკონომიკაში იგი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, რომელიც გვაძლევს კვებისათვის აუცილებელ ძვირფას და სასარგებლო პროდუქტებს, ხოლო მრეწველობის რიგი წამყვანი დარგებისათვის საუკეთესო ნედლეულს.

ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების გარეშე შეუძლებელია. სუბტროპიკული მეურნეობა კი საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. სუბტროპიკული კულტურები გვაძლევს კვებისათვის აუცილებელ ძვირფას და სასარგებლო პროდუქტებს, სამკურნალწამლო ნივთიერებებს, ხოლო მრეწველობის რიგი წამყვანი დარგისათვის — ნედლეულს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში დიდი და მრავალმხრივია სუბტროპიკული კულტურების წარმოებისა და დამზადების სამეურნეო მნიშვნელობა, რომელთა პროდუქცია მიეკუთვნება ფასეულ კვებით ბიოლოგიურ-სამრეწველო და სამედიცინო ღირებულებებს, ამიტომ ის წარმოადგენს მთელი მსოფლიოს სახელმწიფოებს შორის ვაჭრობისა და საქონელგაცვლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს, ამასთან მას საქართველოშიც ფართო გამოყენება აქვს, რომელთა ჯგუფში გაერთიანებულ მცენარეებისაგან მიიღება ტექნიკური დანიშნულების ნედლეული, რომელიც გამოიყენება მრეწველობის სხვადასხვა დარგში.

სამრეწველო განვითარება სუბტროპიკულ-მა მეურნეობამ მიიღო მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან. მთავრობის ხელის შეწყობით მასიური ხასიათი მიიღო ცალკეული კულტურების ქვემ ფართობების გადიდება. განუსაზღვრელია სუბტროპიკულ მცენარეთა როლი ბუნებაში, რადგანაც ისინი ადამიანებს აწვდიან საზრდოს, რომელიც შეიცავს მისი ორგანიზმისათვის აუცილებელ ენერჯიას. ეს ენერჯია არ შეიძლება შეიცვალოს სხვა სახის ენერჯიით. ის ორგანიზმმა აუცილებლად უნდა მიიღოს იმ სახით, რაც საზრდოშია მოცემული. ადამიანი გონებრივ და ფიზიკურ შრომასა და ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებზე ხარჯავს დიდი რაოდენობით ენერჯიას. ამ ენერჯიის აღდგენა რომ არ ხდებოდეს, ორგანიზმი თანდათან გამოიფიტებოდა და დაიღუპებოდა. საშუალოდ იმის მიხედვით, თუ რა სახის სამუშაოს ასრულებს, ყოველდღიურად 3000-დან 5000-მდე კკალორია სითბოს ხარჯავს. დახარჯული ენერჯიის აღსადგენად საჭიროა მიიღოს საშუალოდ 100-130 გ ცილა, 80-110 გ ცხიმი, 500-700 გ ნახშირწყლები და სხვა შენაერთები, რომელთაც ადამიანი ღებულობს მხოლოდ საზრდოს სახით.

მე-20 საუკუნის დასასრულს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები: მეხილეობა, მევენახეობა, მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, მებოსტნეობა, რომელთა საერთო ფართობი შეადგენდა 392000 ჰა-ს, ხოლო მთლიანი წლიური შემოსავალი 2 მილიარდ მანეთზე მეტს, კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აღნიშნული კულტურების ფართობები ორჯერ და მეტად შემცირდა, რაც ამოძირკვითა და მოუვლელიობითაა გამოწვეული. ამან მკვეთრად შეამცირა მოსავლიანობა, გაუარესდა პროდუქციის ხარისხი, მთლიანად მოიშალა მცენარეთა დაცვის სამსახური, ნიადაგის მოვლის ღონისძიებები, შეწყდა პროდუქციის ცენტრალიზებული დამზადება [1].

ამ პერიოდში პირველი დარტყმა აგრარული რეფორმის პირობებში სწორედ მეჩაიეობამ განიცადა, გაიჩეხა და მიტოვებული იქნა ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი. ქართული ჩაის ხარისხი იმდენად დაეცა, რომ მისი გასაღების ბაზრები მკვეთრად შემცირდა, ჩაის ბუჩქის ნარგავები ან მთლიანად იღუპება ან იმდენად დაკნინებულია, რომ არ იძლევა ნორმალურ მოსავალს, ზოგჯერ კი პლანტაციები გაველურდა. გლეხებისათვის ფულის გადახდის დაყოვნებამ შეამცირა სტიმული ჩაის ბუჩქის შენარჩუნების და მოსავლის მოყვანისათვის. ამან გამოიწვია მეჩაიეობის კრიზისი. საქართველოს ჩაის პროდუქციის მთავარი მომხმარებელი იყო რუსე-

თი. ქართული ჩაის პროდუქციის ასეთი დაცემის დროს, რუსეთმა იპოვნა ალტერნატიული წყაროები, ხშირად უფრო მაღალი ხარისხის ჩაიც [2].

როგორც ვხედავთ ქვეყანაში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად ბოლო 20 წლის მანძილზე, მეჩაიეობის დარგი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ამ უმთავრესი დარგის შესაძლებლობები ამჟამად მხოლოდ ალბათ 10-15%-ია გამოყენებული.

ჩაის პლანტაციების ფართობების ოპტიმალური ოდენობა მიმდინარე ეტაპზე, აუცილებელია განისაზღვროს დღეისათვის არსებული ექსპლუატაციისათვის ვარგისი და აღდგენას დაქვემდებარებული ჩაის პლანტაციებით.

არსებული პლანტაციების ექსპერტიზისა და სათანადო მეცნიერული რეკომენდაციების საფუძველზე მიზანშეწონილია ყოველწლიურად, როგორც წესი, ამორტიზირებული ჩაის პლანტაციების ამოძირკვა - ჯიშობრივი განახლების 1%-ის ოდენობით, რაც დღეისათვის არის გათვალისწინებული.

ამჟამად, როდესაც ჩაის დარგი ქვეყანაში გადაშენების პირას მივიდა, მისი აღდგენის ერთადერთ პრიორიტეტულ ფორმად ფერმერული მეურნეობების ორგანიზაცია მიგვაჩნია. ამისათვის საჭიროა თითოეული ფერმერისათვის 3-5 ჰა ჩაის პლანტაციების იჯარის წესით გადაცემა. ყველა აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებით ჰექტრიდან 2,5-3 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღება და 4-5 ტონა პროდუქციის წარმოება [5].

მართალია ბოლო წლებში ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ზომების შედეგად სიტუაცია უკეთესობისაკენ შეიცვალა, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. მეჩაიეობის დარგში შექმნილ სიტუაციას სხვა კუთხითაც შევხედოთ; ის ფართობები, რომლებზედაც ბოლო წლების განმავლობაში არ მოკრეფილა ფოთოლი, მოცდა როგორც სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ასეთი ფართობების რაოდენობა კი დაახლოებით 25-30 ათასი ჰექტარია; თუ უახლოეს პერსპექტივაში არ გადაწყდა ჩაის ნარგავების ქვეშ დაკავებული ფართობების ბედი, მაშინ, ისედაც მცირემიწიანი რეგიონები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გარეშე დარჩებიან. მაშასადამე, ეს უკანასკნელიც დღის წესრიგში აყენებს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისა და ხალხის სამსახურში მათი ჩაყენების რთული პრობლემების მოწესრიგებას.



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების ლიბერალიზაციის პირობებში ბუნებრივია ჩაის კულტურას გამოუჩნდება ე.წ. კონკურენტები. ასე მაგალითად ბოლო წლებში ჩვენში თხილის გაშენებამ ეჭვის ქვეშ დააყენა ჩაის პლანტაციების არსებობის საკითხი, განსაკუთრებით პრივატიზირებულ ნაკვეთებზე. სამწუხაროდ, მომდევნო წლებში თხილის პროდუქციაზე ფასები მკვეთრად დაეცა, რადგან მსოფლიოში თხილის ფასების რეგულირებას ახდენს თურქეთი და ჩვენ, როგორც მისი მეზობელი ქვეყანა, ყოველთვის მასზე ვიქნებით დამოკიდებული.

სადღეისოდ მეტად პრობლემური გახლავთ მეჩაიეობისა და საერთოდ სუბტროპიკული მემცენარეობის დარგთა ახალგაზრდა თაობით შევსების საკითხი, მხედველობაში მაქვს არა მარტო რიგითი სპეციალისტები, არამედ მეცნიერ-თანამშრომლებიც ჩაის გადამამუშავებელ სფეროს თითქმის აღარ ჰყავს კვალიფიცირებული ტიტისტიკების, ბიოქიმიკოსების, ტექნოლოგიის სხვა სფეროს სპეციალისტების ახალგაზრდა ცვლა. სოციალურად დაუცველი ძველი თაობა თანდათანობით ხელიდან გვეცლება. სამწუხაროდ სამეცნიერო კვლევის დაწესებულებებს ნაკლები ყურადღება ეძლევა.

სუბტროპიკულ ზონაში გლეხურ-ფერმერული მეურნეობების სავარგულების დაკავება მონოკულტურით არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. მოცემულ სქემაში ჩაისა და ციტრუსებს პრიორიტეტული ადგილები უკავიათ, რაც განპირობებულია იმით, რომ ტრადიციულად ამ კულტურათა პროდუქციაზე ყოველთვის იყო და პერსპექტივაშიც იქნება საბაზრო მოთხოვნილება, გლეხს-ფერმერს მიეცემა ვალუტით უზრუნველყოფის საშუალება. მნიშვნელოვანი იქნება აგრეთვე თხილის, აქტინიდიის (კივი), ფეიჰოას, სუბტროპიკული ხურმის, ტუნგის, დაფნის, მოცვის და ბამბუკის კულტურათა პროდუქციის რეაბილიტაციიდან მიღებული შემოსავლები. რაც შეეხება მარცვალს, ბოსტნეულ-ბაღჩეულს, ვაზს, ისინი აუცილებელია შიდა მოხმარების დასაკმაყოფილებლად, მეცხოველეობის განსავითარებლად [3].

დღევანდელ საქართველოში მეციტრუსეობის განვითარების პრობლემები არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი კანონების კონტექსტით, იგი განსაკუთრებულ მიდგომას და სახელმწიფოებრივ ხედვას საჭიროებს. მას აუცილებლად ესაჭიროება სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით სასწრაფო რეაბილიტაცია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძველი ეკონომიკური კავშირების რღვევის გამო ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა, ამჟამად ციტრუსოვანი კულტურების მოსავლის 10-ჯერ შემცირების მიუხედავად ექსპორტირება ძნელდება, ასე მაგალითად, 1995 წელს ციტრუსების ექსპორტმა შეადგინა 7 მლნ აშშ დოლარი, 2000 წელს ექსპორტის მოცულობა მცირდება 2,3 მლნ-მდე, ხოლო 2016 წელს 1,3 მლნ აშშ დოლარამდე [4].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სუბტროპიკულ ზონაში მეციტრუსეობისათვის ახალი ფართობების ათვისების რეზერვები ამონრუულია და დარგის განვითარება, ძირითადად, ინტენსიფიკაციის ფაქტორებზეა დამოკიდებული. დარგის რენტაბელობის დონის ამაღლება უნდა მოხდეს ბიოლოგიურად მობერებული (ამორტიზირებული) ხეების შეცვლით, პროგრესული აგროტექნიკის, სწორი ორგანიზატორული და ეკონომიკური ფაქტორების გამოყენებით, სანერგების მოწყობით, უხვად და რეგულარულად მსხმოიარე ჯიშების გამოყვანით და მათი ელიტური ნერგებით ახალი პლანტაციების გაშენებით.

ჩვენში არსებული ციტრუსოვანთა ბაღები სამოცდაათ წელზე და უფრო მეტი ხნისაა. თეორიულად და პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ ეს მცენარე მაღალპროდუქტიულია 50-55 წლის ასაკამდე, შემდეგ მოსავალი თანდათანობით მცირდება და ნებისმიერი აგროლონისძიებების გატარებაც კი არ იძლევა სასურველ შედეგს.

აღნიშნული საკითხის გადაჭრის ერთ-ერთ ეფექტურ ღონისძიებათ ციტრუსების პლანტაციების გაახალგაზრდავება წარმოადგენს, კერძოდ, ბიოლოგიურად მობერებული მცენარეები უნდა შეიცვალოს ადგილობრივ პირობებთან უკეთ შეგუებული უხვად და სტაბილურად მსხმოიარე ადრემწიფადი ჯიშებით, კლონებითა და ფორმებით. ამორტიზირებული ხეების ახალგაზრდა ნარგავებით ჩანაცვლება გაზრდის მოსავლიანობას, შესაბამისად ამაღლდება ეკონომიკური ეფექტიანობა და რამდენიმე წელიწადში მივიღებთ მთლიანად გაახალგაზრდავებულ პლანტაციებს.

ფინანსური თვალსაზრისით აღნიშნული ღონისძიება რომ ეკონომიკურად მომგებიანი იქნება, ამას ჩვენი გაანგარიშებაც ადასტურებს; ამორტიზირებული მცენარეები ჰექტარზე საშუალოდ იძლევა 6,6 ტონა ნაყოფს, ახალგაზრდა (25 წლის) კი 30 ტონას, რასაც ყოველწლიურად ფერმერებისა და კერძო მესაკუთრეებისათვის დამატებითი მოგების მოტანა შეუძლია.

მეციტრუსე ფერმერების მოგება განისაზღვრება სტანდარტული და არასტანდარტული ნაყოფის სარეალიზაციო ფასების მიხედვით. მარკეტინგული პრობლემების მოგვარებისას საადრეო ჯიშების 1 კგ ნაყოფის ფასი 1 ლარს გადააჭარბებს, არასტანდარტული ნაყოფის ღირებულება 40-50 თეთრი იქნება. აქედან გამომდინარე, როცა საადრეო მანდარინის ხვედრითი წილი ფერმერულ მეურნეობებში 60-70 %-ს მიაღწევს, მაშინ ფერმერი 1 ჰა მანდარინის ბაღიდან დაახლოებით 3500-4000 ლარის შემოსავალს მიიღებს.

ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის აუცილებელია სადედე ბაღებისა და ახალი სანერგეების მოწყობა. უნდა ვეცადოთ, მივიღოთ მაღალხარისხიანი სტანდარტული კალმები, რისთვისაც განსაკუთრებული პირობებია საჭირო: კერძოდ, ნიადაგის აგრონესებით განოყიერება, ნორმალური ტენის, ტემპერატურის, ჰაერაციის, ნიადაგში არსებული სასარგებლო მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობის უზრუნველყოფა და ა. შ.

საჭიროა რაც შეიძლება გავახანგრძლივოთ ნაყოფების მსხმოიარობის პერიოდი, რომლის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ციტრუსოვანთა განლაგების სტრუქტურაში ჯიშობრივი შეფარდების დაცვით, ანუ მანდარინის სამრეწველო ასოტირ-მენტში ისეთი ჯიშების ჩართვით, რომლებიც ნაყოფების მომწიფებას სხვადასხვა პერიოდში მოახდენენ, ამასთან ექნებათ უხვი მოსავალი და ნაყოფის უკეთესი ხარისხი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გეგმით, ბაღების განახლება უნდა მოხდეს, ახალი, გაუმჯობესებული, სხვადასხვა დროს მწიფადი და საადრეო ჯიშებით, რომლებიც უკვე გამოცდილი და აპრობირებულია საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, სადაც მეციტრუსეობა ტრადიციული და მთავარი დარგია. უნდა გავზარდოთ ფორთოხლისა და ლიმონის ბაღების ხვედრითი წილიც, რაც ასევე მომგებიანი იქნება. მაგალითად, ფორთოხალი და განსაკუთრებით მისი ნატურალური წვენი სულ უფრო პოპულარული და მოთხოვნადი ხდება მთელ მსოფლიოში.

ციტრუსოვნების ახალი, გაუმჯობესებული ჯიშების გამოყვანის და წარმოებაში დანერგვის მხრივ სხვა ქვეყნებმა ძალიან გაგვისწრეს, ისევე როგორც სხვა დარგებში. ჩვენთან ეს პროცესი ცნობილი პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეების გამო ჩამორჩა. მისასალმებელია, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სხვადასხვა ქვეყნებიდან შეძენილი და ჩამოტანილია ციტრუსოვანთა ნერგები: მანდარინის, ფორ-

თოხლის, ლიმონისა და პომელოს 5 სახეობის, 50 ჯიშის ციტრუსოვანთა სანერგე მასალა. აქედან 14 ჯიშში მანდარინია. ისინი გაშენებულია ჩაქვის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე, საიდანაც აიღებენ სანამყენე კვირტებს ციტრუსოვანთა ნერგების მასობრივი წარმოებისათვის. სადედე ნაკვეთზე ციტრუსოვანთა ნარგავები, ჯიშების მიხედვით, უბნებად და სექციებადაა გაშენებული და ეტიკეტირებული. სადაც შეიძლება ნებისმიერი ჯიშის მიგნება.

პრობლემის გადასაჭრელად აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ა(ა)იპ აჭარის აგროსერვისცენტრის სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარების სამსახურის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობაში, იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის სხვადასხვა ჯიშებზე, ძირითადი ფენოლოგიური დაკვირვებები, მიმდინარეობდა ჩაქვში, იაპონიიდან შემოტანილი მანდარინის 11 ჯიშზე: ნიჩინანი, იურა-ვასე, ტაგუჩი ვასე, მიაგავა ვასე, კავადა, ნანკანი-20, ოჰოცუ ვასე, უენო ვასე, აუშიმა, ოკიცუ ვასე, მუკაიამა.

ექსპერიმენტი ტარდებოდა 25-35 გრადუს დახრილობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე, სადაც მცენარეები დარგულია 4X2,5 მეტრის კვების არით, ზღვის დონიდან 35-40 მეტრის სიმაღლეზე. საცდელი მცენარეების ქვეშ ნიადაგი წითელმიწაა, თითოეულ ვარიანტში აღებული გვექონდა ათ-ათი მცენარე, ხოლო ცდები და დაკვირვებები ვანარმოეთ 110 მცენარეზე. დაკვირვებები მიმდინარეობდა ჩვენს მიერ შედგენილი სქემისა და მეთოდის მიხედვით. ყველა საცდელი მცენარე დაინომრა, გაუკეთდა ეტიკეტირება, მიღებული მონაცემები შეგვაქვს სპეციალურ ჟურნალში, სადაც აღირიცხება თითოეული მცენარის ყველა ის მონაცემი, რაც ფენოლოგიური დაკვირვებებით არის გათვალისწინებული.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში: პირველად იქნება შესწავლილი ინტროდუცირებული მანდარინის თერთმეტი ჯიშის აგროეკოლოგიური და აგროტექნოლოგიური თავისებურებები, მათი პროდუქტიულობისა და რეგენერაციული უნარის ამალღების მიზნით, ასევე სამეურნეო ნიშან-თვისებები, რომელსაც მიეცემა რეკომენდაცია, როგორც საუკეთესო ჯიშებს, ფერმერულ მეურნეობაში დასანერგად.

კვლევის სიახლეა ისიც, რომ ინტენსიური ტექნოლოგიების კომპლექსში ჩართულია საორგანიზაციო-სამეურნეო ღონისძიებები და ეკონომიკური საკითხები, რომელიც მიმართულია დარგის ორგანიზაციისა და მართვის ძირეული გაუმჯობესებისაკენ.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: მანდარინის ადრემნიფადი ჯიშების გაშენებით უახლოეს მომავალში ინტენსიურად გაიზრდება მათი ფათობები და შესაბამისად მოსავლიანობაც.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სისტემატიურად ჩამყავს აგრონომიის სპეციალობის სტუდენტები, სადაც სავსე პირობებში ვაცნობთ ფენოლოგიური დაკვირვებების მიმდინარეობას. ხდება ფოტოგრაფირება როგორც მსხმოიარე მცენარეების, ასევე ნაყოფებისა კრეფის მიმდინარეობის დროს. მცენარის სხვადასხვა ექსპოზიციიდან ვიღებდით ნაყოფებს და ჩაგვაქვს უნივერსიტეტში, რათა განვსაზღვროთ მათი ბიოქიმიური შედგენილობის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

თითოეულ ჯიშზე ვიკვლევდით: - კვირტების გაღვიძებას, ვეგეტაციის დასაწყისსა და დასასრულს, მასიურ ყვავილობას, გამონასკვას, ნაყოფების მომნიფების დასაწყისს და ნაყოფების მასიურ მომნიფებას, მსხმოიარობას (ცალობა, კგ-მი), ერთი ნაყოფის საშუალო წონას (გრ-მი), ნაყოფის შეფერილობას, კანის რბილობიდან მოცილების ხასიათს, რბილობში ნილაკოვანთა რაოდენობას, შეფოთვლას და სხვა.

ასევე შევისწავლეთ მანდარინის ჯიშებზე ბიომეტრიული მაჩვენებლები 2014-2017 წლებში, სადაც ისწავლებოდა მცენარის სიმაღლე სმ-ში, საძირისა და სანამყენის დიამეტრი მმ-ში. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ნაყოფების ადრემნიფადობით, ხარისხითა და მოსავლიანობით გამოირჩევა მანდარინის ჯიშები: ნიჩინანი, იურა-ვასე, ოჰიცუ-ვასე და მიაგავა-ვასე. მაგრამ აუცილებლობად მიმაჩნია, მომდევნო წლებშიც გაგრძელდეს საკოლექციო ნაკვეთებში დაკვირვებები, რადგანაც სხვადასხვა ქვეყნებიდან ინტროდუცირებული მცენარეების შეგუებას ადგილობრივ კლიმატურ-ნიადაგურ პირობებთან 6-10 წლის დაკვირვებები მაინც სჭირდება, რადგანაც ამას ითვალისწინებს მცენარეთა ჯიშთა გამოცდის მეთოდოლოგია. ვფიქრობ, არ უნდა დავუშვათ გამოუსწორებელი შეცდომა და მოსახლეობას, ფერმერებს მივანდოთ სწორი ინფორმაცია ამა თუ იმ ჯიშის მოვლა-მოყვანის ინტენსიურ ტექნოლოგიებზე.

ასევე არ უნდა დავივიწყოთ დღემდე არსებული მანდარინის ჯიშებს შორის, ყველაზე საუკეთესო ჯიშში - ტიახარა უნშიუ, რომლის ნაყოფები ოქტომ-

ბრის პირველ დეკადაში მნიფდება და კარგადაა შეგუებული ადგილობრივ პირობებს. აღნიშნული ჯიშში 35%-ით მეტ მოსავალს იძლევა დარაიონებულ ჯიშ - უნშიუსთან შედარებით და თანაც გამოირჩევა ნაყოფის უკეთესი ხარისხით [6].

მისასაღმებელია ასევე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარამი აჭარის აგროსერვის-ცენტრის მიერ 11 ჰექტარზე ხეხილოვნებისა და ვაზის სადედე, საკოლექციო და სადემონსტრაციო სანერგის მოწყობა, სადაც დღეისათვის გაშენებულია ვაზის სასუფრე და საღვინე 25 ჯიშის ნერგები. ასევე ხეხილოვნების ვაშლის, მსხლის, ბალის, ატმის ადრემსხმოიარე ნაგალა ჯიშები, რომელზეც დაკვირვებები 2014 წლიდან მიმდინარეობს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე სხვადასხვა სუბტროპიკული კულტურების ნერგების გამოყვანა წარმოებდა არაორგანიზებულად, ცალკეული გლეხური მეურნეობის დონეზე, რომელიც არ ატარებს ინტენსიურ ხასიათს და ვერ პასუხობს კულტურათა გავრცელების თანამედროვე მოთხოვნებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ორგანიზებული სანერგე მეურნეობები ფაქტიურად აღარ არსებობს, ამიტომ მოსახლეობის ერთეული პირები ნერგების გამოყვანას ახორციელებს საკარმიდამო ნაკვეთში მოწყობილ მიკრო სანერგებში, არა აპრობირებული, ზოგჯერ კი არა პერიოდულად მენლე ხეებიდან აღებული კალმებით.

მეციტრუსეობის დარგში არსებული მდგომარეობის გამოსწორება და მოგვარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სერვისული მომსახურების შექმნით, რაც გულისხმობს: მავნებელ-დაავადებათა დიაგნოსტიკას, მის კვალობაზე პრეპარატების სახეობისა და რაოდენობის, წამლობათა ვადების, ჯერადობების, კონცენტრაციების, სამუშაო ხსნარების მოცულობების და ლოდინის პერიოდის ზუსტ განსაზღვრას, საჭიროების მიხედვით ნიადაგის ნიმუშების აღებას და ქიმიური შედგენილობის განსაზღვრას, რეკომენდაციების საფუძველზე აგროქიმიკატებით ნიადაგის განოყიერებას, წამლობათა მაღალეფექტურად და ხარისხიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად თანამედროვე დისპერსიული შემასხურებელი ტექნიკის შექმნას და გამოყენებას.

მიუღებლად მიგვაჩნია, არაპროფილურმა ინსტიტუტებმა განაცხადოს პრეტენზია სუბტროპიკული მემცენარეობის განვითარების საკითხებში, მთავარი როლი ითამაშონ და კომპეტენტური



სიტყვა თქვან, როდესაც საკითხი ეხება ციფრუსოვანთა დარგის მომავალს და მის გადარჩენას. ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებს, მათ პარტნიორებს სათანადო გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია გააჩნიათ ციფრუსოვანთა ნერგების წარმოება-რეაბილიტაციაში.

მეთამბაქოება - აჭარის მაღალმთიანი რაიონების ეკონომიკის განმტკიცების ძირითადი და ტრადიციული დარგი კვლავ კრიზისულ მდგომარეობაშია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თამბაქოს წარმოება 5060 ტონიდან 150-200 ტონამდე შემცირდა. სავალალო შეხედვის ძირითადი მიზეზია ნედლეულზე შედარებით დაბალი შესასყიდი ფასები. მიუხედავად ამისა, თამბაქოს მწარმოებელთა ინტერესი ამ დარგისადმი კვლავ დიდია. მწარმოებელთა დაინტერესებას კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი უცხოური ბიზნესმენების გამოჩენა, რომლებიც დაინტერესებული არიან მაღალხარისხოვანი და ნაკლებნიკოტინიანი აჭარის თამბაქოს ნედლეულის შესყიდვით. ამ მხრივ ბიზნესმენტა დაინტერესება კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც წარმოებაში გამოიყენება ჩვენს მიერ ტრაპიზონისა და სამსუნის შეჯვარების შედეგად მიღებული ახალი ჯიშის „ქედის ადგილობრივი ჰიბრიდი“, რომელიც მოსავლიანობით, ხარისხით, არომატითა და ნიკოტინის დაბალი შემცველობით აღემატება აჭარაში დარაიონებულ სამსუნებს.

თამბაქოს ნედლეულზე ფასების რეგულირებით შეიძლება მივალნიოთ მოსახლეობის ისეთ მატერიალურ დაინტერესებას, რომ აჭარამ არა მარტო რეგიონის დასაკმაყოფილებელი ნედლეული დაამზადოს, არამედ საზღვარგარეთ გასატანი პროდუქციის მნიშვნელოვანი რაოდენობაც აწარმოოს.

მევენახეობას შიდა მთიანი აჭარის ეკონომიკაში, მეთამბაქოების შემდეგ, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. 2016 წლისათვის დაგეგმილია ვენახის ფართობის 100 ჰექტარის გაზრდა. ამ მხრივ განსაკუთრებული პრიორიტეტი უნდა ჩხავერის ჯიშს, რადგანაც საერთაშორისო ბაზარზე წითელი და ვარდისფერ ღვინოებზე დიდი მოთხოვნაა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ ჯიშის ვენახს არ სჭირდება განსაკუთრებული პირობები. იგი შეიძლება გავაშენოთ თითქმის ყველგან - გზების გასწვრივ, ღობეებზე, ეზოებში და სხვა. ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ალადასტურის, ცოლიკაურის, ციცქას და სხვა ჯიშების გაშენე-

ბას, რომლებიც სხვადასხვა სამეცნიერო დანებებულებების მიერ არის რეკომენდირებული აჭარის მთის რაიონებისათვის. ტექნოლოგია გულისხმობს ეკონომიკური პირობებისა და ჯიშების ბიოლოგიური თვისებების მიხედვით კვების არის, შტამბის სიმალლის ოპტიმალური ვარიანტისა და საყრდენი ტიპის შერჩევას, სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი იმაში გამოიხატება, რომ ფართობის ერთეულზე განეული ხარჯები ორჯერ ანაზღაურდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს შიდა და მაღალმთიანი აჭარის მეხილეობა. უპირველესად, უნდა შენარჩუნდეს ხეხილოვანი ჯიშების გენოფონდი. მეჩხერი ბაღები შეივსოს ყინვაგამძლე და მაღალმოსავლიანი ჯიშებით. ამ მიზნით ეფექტურია ვაშლის ახალი სელექციური ჯიშები „დელისი“, (ჰიბრიდული ფორმა 21/15) და „ხორუმი“ (ჰიბრიდული ფორმა 5/54). რომლებიც ხასიათდებიან ნაყოფის საშუალო ზომით (160-190 გრ), მაღალი გემური თვისებებით, ქეცისა და ნაცრის მიმართ იმუნურობით ინახება მათის შუა რიცხვებამდე, ჰექტარზე ირგვება 1000 ძირი. ანალოგიური ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სხვა თესლოვნებისა და კურკოვნების ადგიან-რეაბილიტაცია. ამასთან ფერმერებთან და მწარმებებთან შეხვედრების დროს ხშირადისმება საკითხი არსებული ხეხილის რეალიზაციის თაობაზე, ისინი მოთხოვენ აჭარის მაღალმთიან რაიონებში ერთი წვენების ქარხნის გახსნას.

სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს კვიის, თხილისა და კაკლის სელექციური ჯიშების გაშენებას. კვიი რომელიც მრავალ ლიტერატურაში „სიცოცხლის ხილად“ არის ცნობილი, ჩვენს სუბტროპიკებში სწრაფად ინერგება. მისი ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, იგი თავისუფლად შეიძლება გავაშენოთ შიდა მთიანი აჭარის მეჩხერი და განუახლებელი, დაბალი სიხშირის ტყის კორომებში. შედეგად, ავითვისებთ ტყის უსარგებლო უბნებს და მნი

შენელოვანად გავზრდით ესეოდენ მნიშვნელოვან პროდუქციას. გასაშენებელი ჯიშებიდან უპირატესობა უნდა მიექცეს „ჰაივარდს“.

თხილის ბაღების გაშენება უმჯობესია მოხდეს ერთშტამბიანი დაბალტანიანი ხის ფორმით, შემცირებული კვების არეზე. სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი გაიზრდება 50-60% და მნიშვნელოვანად გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

დეგრადირებულ და დაბალნაყოფიერ მიწებზე გზის პირებზე და ტყის პირებზე უნდა გაშენდეს



კაკლის ახალი ჯიში (ფორმა №5) „ნონიარისი“, რომელიც გამოირჩევა მაღალმოსავლიანობითა და მაღალხარისხიანობით (1 ძირი იძლევა 400 კგ ნაყოფს, გული ნაჭუჭიდან ადვილად ცალკევედება და გამოსავლიანობა 52-53 %-ს შეადგენს).

გამომდინარე იქიდან, რომ მესიმინდობა და მეკარტოფილეობა მაღალმთიან აჭარის ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული დარგებია, აუცილებელია უახლოესი ტექნოლოგიების პრაქტიკულად გამოყენება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჯიშთგანახლებას ახალი სელექციური ჯიშებით, რისთვისაც ფართოდ იქნას გამოყენებული საქართველოს მემცენარეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის რეკომენდაციები.

მეზოსტენობის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიების მიზნით საჭიროა რამდენიმე სასათბურე მეურნეობის ამოქმედება რაც საშუალებას მოგვცემს მთელი წლის განმავლობაში დავაკმაყოფილოდ საკურორტო ზონის მოსახელობა. აჭარის პირობებში ასევე ყურადღების ღირსია ყაბაყი და პატისონი. შესწავლილი საუკეთესო ჯიშების წარმოება მნიშვნელოვნად გააფართოვებს ბოსტნეული კულტურების ასორტიმენტს.

ცნობილია მცენარე - სტევია, როგორც შაქარზე უტკბილესი კულტურა, ამიტომ აუცილებლად გვესახება მისი პლანტაციების გაშენება ფართო მასშტაბით, ის აგრეთვე სამკურნალო თვისებებით ხასიათდება. სტევიის ძირითად გლუკოზიდს - სტევიოზიდს აქვს დამაკონსერვებლობის თვისება, რომელიც ეწინააღმდეგება ობის სოკოებისა და ბაქტერიების გავრცელებას, ამიტომ წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული საკონსერვო წარმოებაში. რისთვისაც აუცილებელია სტევიას პლანტაციების ფართო მასშტაბით გავრცელება. გამოკვლევებით დადგენილია, ეომ იმერეთის რეგიონში შეიძლება ჰექტარზე 10 ტონამდე სტევიის ნედლეულის მასის მიღება, რაც 60-70 ტონა შაქრის ექვივალენტია (1 კგ ნედლეული მასა სტევიასი ექვივალენტურია 6-7 კგ შაქრისა, ე. ი. ერთი მცენარიდან შესაძლებელია 700-800 გრამი ნედლი მასის მიღება).

გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან, ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან და მოსახლეობის ისტორიული ტრადიციებიდან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სოფლის მეურნეობას და მათ შორის, მეცხოველეობას ეკუთვნის.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გრძელვადიანი, საშელავათო

პერიოდის და დაბალპროცენტის კრედიტების გამოყოფაზე. მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ განხორციელდება იგი. ბევრისათვის გაუგებარიც კია ყოველმხრივ შეჭირვებული გლეხკაცის იმედზე უაღრესად სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიტოვება. ე. წ. ხელშემწყობი და საფინანსო ორგანიზაციებიც მას ისეთ პირობებს სთავაზობენ, უბრალოდ, გაუგებარია. საკმაოდ მოლონიერებული წარმოება უნდა გქონდეს, რომ დაგაფინანსონ ე. წ. შემდგომი განვითარების მიზნით, ან მოითხოვენ ქონებრივ გარანტიებს.

თანადაფინანსება თითქმის ყველა პროექტისა და პროგრამის ძირითადი პირობაა. ეს ნიშნავს, რომ რა რაოდენობის თანხას ითხოვენ, იმდენივე ან მისი ნახევარი, შენივე უნდა გქონდეს. ეს ვითომდა ბიზნეს გეგმის საიმედობის გარანტიაა. დონორი, რომ უმრავლეს შემთხვევაში ფულს პირდაპირ არ იძლევა, ესეც თურმე უსაფრთხოების გარანტიის მიზნით კეთდება. მთხოვნელს ფული ხელზე, რომ მივცეთ, თავისი საჭიროებისამებრ დახარჯავს და წარმოებისათვის არაფერს გააკეთებსო.

ეს პროგრამები და პროექტები სხვა გარანტიებსაც ითხოვს, რომელიც უფრო სახელმწიფოს მოსაგვარებელია. მაგალითად: სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, საკუთრების ხელშეკრულება, მიწის მფლობელობის მონესრიგება, ტარიფები და ა. შ. სხვა შემთხვევაში ვერაფერსაც ვერ მიიღებ მათგან.

გამოდის ყველაფერში ისევე მოსახლეობა ყოფილა დამნაშავე, განსაკუთრებით იმაში, რომ ფული არა აქვს, სოციალურადაც დაუცველია, შია, სცივა და ამის გამო შესაძლოა ინვესტიციის, სესხის თუ გრანტის რაღაც ნაწილი ამ მიზნითაც გამოიყენოს.

თითქმის ყველა პროგრამა და პროექტი აგრობიზნესის ხელშემწყობას ითვალისწინებს, არადა სოფლად პირველადი წარმოებაა მისახედი, აგრობიზნესი სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო მაღალი საფეხურია. აგრობიზნესი შესთავაზო სოფელს, რომელიც სიღარიბის ზღვარზეა, უფრო დაცინვას ჰგავს, ვიდრე პარტნიორობასა და დახმარებას. და ეს მაშინ, როცა ამ ჩვენს ხელშემწყობთა ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ისეთი თანადგომა აქვს, რომ ფაქტობრივად დოტაციაზეც კი იმყოფება. ესაა სუფსიდიები, დანამატები პროდუქციის წარმოებაზე, რამდენიმენლიანი საშელავათო პერიოდის უპროცენტო და დაბალპროცენტის, გრძელვადიანი სესხები,

საქველმოქმედო პროგრამები, ანაზღაურებები სტიქიური მოვლენების ან სხვა რაიმე მიზეზით მოსავლის განადგურების, ბაზარზე ფასების მერყეობით გამონწვეული ზარალის დროს და ა. შ.

თუმცა ჩვენში დღეს მოღვაწე საერთაშორისო ფონდების, პროგრამების, საგრანტო ღონისძიებათა სისტემაში, ფერმებისა და გადამამუშავებელ საწარმოთა პირდაპირი გზით დაფინანსებას მოკრძალებული ადგილი უჭირავს. ისინი ფულს ძირითადად საორგანიზაციო-ადმინისტრაციული ღონისძიებებისათვის ხარჯავენ და სიმბოლურ ნაწილს თუ იყენებენ პირდაპირი დაფინანსებისათვის. უკეთეს შემთხვევაში აფინანსებენ მხოლოდ უკვე არსებულ წარმოებას, რომელსაც გაფართოება ესაჭიროება.

აგრარული დარგის განვითარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების ცოდნის დონე, მათი კვალიფიკაციაა, ვინაიდან მხოლოდ მცოდნე ადამიანს შეუძლია ახალი ტექნოლოგიების და სხვა სიახლეების ათვისება-გამოყენება.

და ბოლოს, აგრარულ სექტორში რადიკალური ცვლილებები დაიწყება მაშინ, როდესაც გადამწყდება მაღალკვალიფიცირებული სწავლული აგრონომებისა და ამ სფეროში დასაქმებული სხვა კადრების საკითხი. სოფლის მეურნეობის საკითხებზე მოსახლეობაში ცოდნის ამაღლება სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

ამასთან, სასიხარულოა ისიც რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე მარტო 2013 წელიდან 2017 წლამდე ოცდაერთმა დოქტორანტმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია აგრარულ სფეროში, მათ შორის პირველად აჭარის ისტორიაში ცამეტი ქალბატონია. იმედია ადგილობრივი ხელისუფლება და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გაითვალისწინებენ ახალი აკადემიური დოქტორების დასაქმების საკითხს.

საქართველოსა და მის რეგიონებში შექმნილი მდგომარეობა, ის როლი და ამოცანები, რაც ამ ეტაპზე რეგიონულ მართვასა და ეროვნული ეკონომიკის აღორძინება-განვითარებას ეკისრება, მოითხოვს ქვეყანას ჰქონდეს ძირითადი სტრატეგიული მიმართულება მეცნიერების სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის და ფუნქციების განვითარებისაკენ, კერძოდ, რეგიონებში ამ სფეროში ზრდის რეზერვების სრულიად ამო-

ქმედების, მისი ეფექტიანობის ამაღლებისაკენ. ახლა, ადგილებზე მოსახლეობის სრულიად დამყოფილება და ქვეყნის საწარმოო პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება დღის წესრიგში აყენებს არა ზევიდან, არამედ ქვევიდან გარდაქმნების გატარებას.

მრავალწლიანი პრაქტიკული მუშაობისა და ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ძირითადი დასკვნები გამომდინარე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საკითხის აქტუალობიდან, რადგანაც მოსახლეობის 55% სოფლად ცხოვრობს და საქმიანობს, ამასთან ბუნებრივ-კლიმატური პირობები იძლევა იმის საშუალებას, რომ ისინი მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აწარმოებდნენ და შეძლებულადაც ცხოვრობდნენ, მაგრამ ოფიციალური მონაცემებით მათი სოციალური მდგომარეობა და წარმოებული პროდუქცია სერიოზული განსჯის, შეიძლება ითქვას, სახელმწიფოს ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. მიზეზები სხვადასხვაა - ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობით დაწყებული, სოციალურ-სამართლებრივი საკითხებით დამთავრებული.

მართალია, ბოლო 20-25 წლის განმავლობაში ქართული სოფლის განვითარებაში მილიარდობით თანხა დახარჯული, მაგრამ სასიკეთო ძვრები დიდად შესამჩნევი არ არის. სოფლებიდან მიგრაციული პროცესები კვლავ გრძელდება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შიგა წარმოება არ იზრდება, უფრო მეტიც, ზოგიერთ სახეობაში იმპორტმა 90 %-ს მიაღწია, ისმება კითხვა - ქართველი კაცი ხომ არ გაზარმაცდა, თუ ქართული მიწა უნაყოფო გახდა? ვფიქრობთ არც ერთი და არც მეორე. ამ პრობლემებისადმი მიდგომის შეცვლა და აუცილებელი ღონისძიებათა გატარება საჭირო კერძოდ:

1. სოფელს უნდა მიენიჭოს სამართლებრივი სტატუსი და ადგილობრივ თვითმმართველობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უნდა შეეძლოს სოფლის საჭირობო საკითხების ჩაურევლად გადამწყვეტა, ფინანსების მოძიება და დამოუკიდებლად განკარგვა;
2. ქვეყნის მასშტაბით უნდა მოხდეს მიწების ინვენტარიზაცია, განისაზღვროს მისი ნაყოფიერება, ფასი და განკარგვის პირობები;
3. აჭარასა და იმ რეგიონებში, სადაც მიწის პრივატიზაცია არ დასრულებულა ან „ჩემი ყოფილის“ პრინციპით განსაზღვრა დღის წესრიგში

კვლავ რჩება, სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ. სოფლად მცხოვრებთა უმრავლესობა ეკონომიკურად გაუმართლებლად მიიჩნევის მიწაზე შრომას. ამის მიზეზი ისაა, რომ თითოეულ კომლზე განაწილებული მიწის ფართობები მცირეა და დაბალი საბაზრო ფასების პირობებში მიღებული შემოსავლები არაა საკმარისი ოჯახის გამოსაკვებად. ამის გამო, სოფლად მცხოვრებთა დიდი ნაწილი ქალაქად ან უცხოეთში არის გადახვენილი, მოუგვარებელია გლეხებისაგან აგრარული ნაწარმის შესყიდვის საკითხიც; ყოველივე ამის მოგვარებას სახელმწიფოს პოლიტიკური ნება სჭირდება;

4. დასახვევია მთის კანონის არსი და მნიშვნელობა. თავისი მოთხოვნებიდან გამომდინარე ეს კანონი აჭარაში ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში შეეხო მხოლოდ ორ-სამ სოფელს. ეს ზღვის დონიდან არსებული სიმაღლის მაჩვენებლის შესაბამისად კი არ უნდა განისაზღვროს, არამედ სოფლის ფაქტიური გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით. ეს პირობები ასეთ სოფლებში შეიძლება უფრო რთული და მკაცრი იყოს, ვიდრე იმ სოფლებში, რომლებსაც ეს კანონი შეეხო;
5. სოფლის მოსახლეობას მეტად უნდა შეეწყოს ხელი ყველა დონის კოოპერაციული გაერთიანებებისა და კოოპერაციული მეურნეობების (მეორე, მესამე) შექმნის ორგანიზებაში;
6. უნდა გაგრძელდეს კონკრეტული სოფლის მოთხოვნების საფუძველზე ადგილზე ინფრასტრუქტურული სამუშაოების გატარება; სოფლად ახალგაზრდების დამაგრებისა და სოფლების მოსახლეობისაგან დაცლის პროცესის შესაჩერებლად უნდა შეიქმნას და ამოქმედდეს საგანმანათლებლო, სამედიცინო, ტექნიკური და კულტურული კერები, ცენტრები და სერვისები, სადაც დასაქმდებიან შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მხოლოდ ადგილობრივი კადრები;
7. ადგილებზე ტრადიციული ქართული დარგებისა და ახალი მიმართულებების (მემცენარეობა, მეცხოველეობა, ტურიზმი, ქართული ხალხური რენვა) შენარჩუნებისა და მისი შემდგომი აღმავლობისათვის, საწყის ეტაპზე მაინც, ფინანსური ხარჯები სახელმწიფომ უნდა იტვირთოს;

8. ადგილებზე უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები; მცირე და დიდი სამექანიზაციო საშუალებების ტექნიკური გამართვისა და სარემონტო სამუშაოების სამექანიზაციო სერვის ცენტრები, რომლებიც დაკომპლექტებული იქნება უახლესი სამექანიზაციო ტექნიკით და კვალიფიციური სპეციალისტებით.
9. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ახალგაზრდები თუ მოსურებენ სოფლად დამკვიდრებას, მათ ამ საკითხების მოგვარებაში სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს, თორემ სოფლების დაცლის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება და წლების შემდეგ იქ დაბრუნებული ახალგაზრდა ცხოვრებას ვეღარც შესძლებს;
10. საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული სპეციალობის ბაკალავრიატში სწავლება უფასოა, მაგრამ სასურველია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდეს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აგრონომიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებიც;
11. დემოგრაფიული მონაცემების დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივა საგანგაშოა. ამიტომ, განსაკუთრებულად უნდა შეეწყოს ხელი სამ და მეტ შვილიან ოჯახებს არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქადაც;
12. საინფორმაციო საშუალებები ხშირად უნდა აშუქებდნენ და მეტად უწყობდნენ ხელს სოფლად მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებისა და იქ ახალგაზრდების დამაგრებას საკითხებს;
13. ქვეყანაში ქალაქიც და სოფელიც, ერთდროულად ინტერესებიდან გამომდინარე უნდა აშენდეს. საქართველოს ამის მდიდარი გამოცდილება აქვს, რაზეც ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალებიც მეტყველებენ, მხოლოდ საჭიროა მათი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩაყენება;
14. უნდა გამარტივდეს კრედიტების აღების პროცედურები. იგი დაბალ პროცენტისანი, გაზრდილი საშელავათო პერიოდითა და გრძელვადიანი უნდა იყოს, როგორც ეს მსოფლიოს ბევრ განვითარებულ ქვეყანაშია. ჩვენი საბანკო სისტემა მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებას, გაუმჯობესებას კი არა, მის გაკოტრებას ემსახურება. ოფიციალური მონაცემებით (გაზეთი „ფინანსები

და კრედიტები“) კომერციული ბანკებისა და ფინანსური ორგანიზაციების წლიური სუფთა მოგება ზოგჯერ 55%-ია, მიკროსაფინანსო ბანკებისა და კი კიდევ უფრო მაღალი, რაც მოსახლეობის ხელშეწყობაზე კი არა, უფრო ძარცვაზეა ორიენტირებული;

15. სოფლად მენარმეობის განვითარებისა და სურსათის წარმოების გადიდების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფოს მიერ აგროდაკრედიტების საკითხების მოგვარება. ამ მიზნით, ამჟამად მოქმედი საკრედიტო კა-

ვშირების გარდა, უნდა მონესრიგდეს მინის გირავნობის საკითხი, რომელიც თავის მხრივ მინის რეგისტრაციისა და მინის თავისუფალი ბაზრის ფორმირების პრობლემებს უკავშირდება.

ვფიქრობთ, ამ ღონისძიებათა გატარებით შესაძლებელი გახდება, ჯერ სოფლის დაცლა-ნგრევის შეჩერება, შემდეგ კი ყოველივე ეს ახალ იმპულსს მისცემს - ეკოლოგიურ-ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ და დემოგრაფიულ სრულყოფა-გაუმჯობესების პროცესს.

### ლიტერატურა/REFERENCES

- [1] **რ. მარგალიტაძე.** ზოგიერთი საკითხები სახელმწიფოებრივი მმართველობის როლის შესახებ სუბტროპიკული ს/მ მდგრადი განვითარების საქმეში. აფხაზეთის მეც. ეროვნული აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია. თბ. 2012 წ.
- [2] **ალ. მიქელაძე, ელ. ქიჯია.** სოფლის აღორძინება, ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო პროდუქციით და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება. აფხაზეთის მეც. ეროვნული აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია. თბ. 2016 წ.
- [3] **რ. კობალიანი, ვ. უგულავა, მ. თაბაგარი.** სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები. ქუთაისი. 2011 წ.
- [4] **რ. ჯაბნიძე.** სუბტროპიკულ მცენარეთა აგროტექნოლოგია. ბათუმი. 2015 წ.
- [5] **რ. ჯაბნიძე.** ჩაი და ციტრუსები. ბათუმი. 2004 წ.
- [6] **რ. მსხილაძე.** რას გვპირდება ციტრუსების სანერგე მეურნეობა. გაზეთი „აჭარა“ №79. 2017 წ.



SOME ISSUES OF VEHICLE TRANSPORT INSPECTION MANAGEMENT

მარიკა შარაშიძე,

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრანტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

MARIKA SHARASHIDZE,

Magistr of Business Administration Ivane Javakhishvili  
State University. Georgia, Tbilisi

ანოტაცია

სტატიაში განხილულია-ავტოტესტირების ცენტრების, მათი შექმნის გარემო ფაქტორები, მოსალოდნელი საფრთხეები და მისი თავიდან აცილების გზები; სახელმწიფო მხარდაჭერა და უცხოური კომპანიების გამოცდილება; ინსპექტირების მართვის ზოგიერთი საკვანძო საკითხი; ასევე სტატიაში განხილულია ავტოტრანსპორტის ტექნიკური ინსპექტირება ერთ-ერთი ავტოტესტირების ცენტრის, დიაგნოსტიკა-აჭარას მაგალითზე; ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა საქართველოში; ჰაერის დაბინძურების სტატისტიკა, საქართველოში არსებული სიტუაცია ავტომობილების ტესტირების სფეროში

**საკვანძო სიტყვები:** ტექნიკური ინსპექტირება, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, მავნე ნივთიერებები, დიაგნოსტიკა, გერმანიის ავტოტრანსპორტის ინსპექტირების ასოციაცია (DEKRA), ტექნიკური ინსპექტირება აშშ-ში, ტექნიკური ინსპექტირება იაპონიაში.

ABSTRACT

*There are discussed notions of vehicle inspection station, their environmental factors, expected threats and ways to prevent it; State support and experience of foreign companies, some key issues of inspection management. The article also examined the technical inspection of the vehicle on the examples of LTD Diagnostic-Adjara, which is vehicle inspection station; Atmospheric air condition in Georgia; Air pollution statistics; The situation in Georgia of vehicle inspection issues;*

**Key words:** *technical inspection, Atmospheric air pollution and harmful substances, diagnostics, technical inspection in German, technical inspection in the USA, technical inspection in Japan.*

შესავალი

ავტომობილების ტესტირება, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის დასადგენად ხორციელდება. ევროკავშირში, საკითხის

რეგულირებისთვის მიღებულია ევროპარლამენტის დირექტივა საავტომობილო ტრანსპორტის და მისი მისაბმელების გზისთვის ვარგისობაზე პერიოდული ტესტირების შესახებ.

სატრანსპორტო საშუალებები უნდა იქნეს პერიოდულად შემოწმებული იმ წევრ სახელმწიფოებში, სადაც რეგისტრირებულია აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება. ტესტირება უნდა ჩაატაროს კომპეტენტურმა ავტორიზებულმა, ე.წ. სატესტო ცენტრმა. ეს ცენტრი შეიძლება იყოს კერძო ფირმაც, როგორებიცაა მაგალითად ტექნიკური ინსპექტირების ასოციაცია (TÜV), გერმანიის ავტოტრანსპორტის ინსპექტირების ასოციაცია (DEKRA) და ა.შ.

ატმოსფერული ჰაერი ადამიანის სიცოცხლისთვის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს, მისი დაბინძურება თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რაც განსაკუთრებით მწვავეა დიდ ქალაქებში. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ყველა ადამიანს აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია ატმოსფერული ჰაერის დაცვა და მასზე მზარდი უარყოფითი გავლენის შემცირების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ატმოსფერული ჰაერის დაცვის და გაუმჯობესების ვალდებულება ასახულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოციაციის შეთანხმებაშიც, რომლის თანახმად, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას გარემოს დაცვის სფეროში უზრუნველყოს საერთაშორისოდ აღიარებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დაცვის სტანდარტები და შეასრულოს შესაბამისი ევროდირექტივები.

ევროკავშირის სტრატეგია ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში ორიენტირებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- ✓ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ნორმების დადგენა

- ✓ სტაციონალური და მობილური წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რეგულირება და კონტროლი
- ✓ სანვაგის ხარისხის გაუმჯობესება
- ✓ გარემოსდაცვითი მოთხოვნების ინტეგრირება ტრანსპორტისა და ენერჯეტიკის სექტორებში
- ✓ მოსახლეობის ინფორმირებულობა და ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.

საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში ატმოსფერული ჰაერი მნიშვნელოვნად გაუარესდა, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ნეგატიურად აისახება. 2016 წლის საერთაშორისო კვლევის თანახმად (ვაშინგტონის უნივერსიტეტი, აშშ), ჰაერის დაბინძურების გამო სიკვდილიანობის დონით საქართველო მსოფლიოში მე-3 ადგილზეა. იელის უნივერსიტეტის (აშშ) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, ზოგადი დაბინძურების დონის მიხედვით, 2016 წელს საქართველო მსოფლიოს 180 ქვეყნიდან 111-ე ადგილს იკავებს, რაც ცხადყოფს თუ როგორ მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხის შესწავლა.[1] ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ორი ძირითადი ფაქტორი არსებობს:

1. მრეწველობისა და მშენებლობის ობიექტებიდან მავნე ნივთიერებების ემისია
2. ავტოსატრანსპორტის მიერ მავნე ნივთიერებით ჰაერის დაბინძურება

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე ფაქტორი, რადგან საავტომობილო გაფრქვევა შეადგენს მთლიანი გაფრქვევების 71%-ს. ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით ჰაერის დაბინძურება ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა საქართველოში, რაც სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარეობს. ერთ-ერთი ასეთია გაუმართავი ავტომობილი, ამ დროს ვერ ხდება სანვაგის სრულად წვა და გამოიყოფა ნახშიროჟანგი (CO).

სავალდებულო პერიოდული ინსპექტირების მიზანია ატმოსფერული ჰაერის გაუმჯობესება.

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ავტოტრანსპორტის მხოლოდ გამართული ექსპლუატაცია, რაც მიიღწევა შესაბამისი ტექნიკური ზედამხედველობით.

სატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებასა ტექნიკური ოპერაციებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც, დაწესებული პერიოდული დგინდება სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ძირითადი ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა და ატ-

მოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ გამონაბოლქვში, მავნე ნივთიერებათა შემცველობა.

თითოეული ოპერატორი ან ინსპექტირების ორგანიზაცია ვალდებულია მუდმივად შეინარჩუნოს სათანადო მდგომარეობაში მისი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების (პტი) ცენტრის: შენობები, ობიექტები და ინსპექტირების აღჭურვილობა.

ობიექტები და აღჭურვილობა გულისხმობს პტი ცენტრის აკრედიტაციის დროს არსებულ და შემდგომში მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე დამატებულ ყველა ობიექტსა და აღჭურვილობას. პტი ცენტრები არ უნდა იყოს განთავსებული ხალხმრავალ და ინტენსიური მოძრაობის ადგილებში, უნდა შეესაბამებოდნენ ადგილობრივ რეგულაციებს.

საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისათვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების საკითხებში კონსულტაციას ეკონომიკის სამინისტროს შვეიცარული კომპანია SGS Societe Generale da Surveillance SA უწევს. სწორედ აღნიშნული კომპანია აქვეყნებს იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლის დაკმაყოფილებაც სავალდებულოა, როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებისთვის, ასევე აკრედიტაციის მიღების მსურველი ორგანიზაციებისათვის.

ავტომობილების ტექდათვალიერების აკრედიტაციის მიღებისთვის კომპანიებმა ეკონომიკის სამინისტროს აკრედიტაციის ცენტრს უნდა მიმართონ. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ორგანო მათ ტესტირების ცენტრის სტატუსს ანიჭებს.

მოთხოვნები, რომლებიც აკრედიტაციის ცენტრს უნდა ჰქონდეს, მოიცავს, როგორც შენობა ნაგებობების სტანდარტებს, ასევე შესაბამისი გამზომი მონაცემების არსებობის აუცილებლობას. ავტომობილის ვარგისიანობის დასადგენად ცენტრებმა ავტოსატრანსპორტო საშუალების მონაცემები სპეციალურ ერთიან ბაზაში უნდა შეიყვანონ, რომელშიც აკრედიტაციის მფლობელი ყველა კომპანია იქნება ჩართული.

აღსანიშნავია რომ კომპანიებისთვის აკრედიტაციის მისაღებად სავალდებულოა სპეციალური ხელსაწყოებისა და გამზომველი საშუალებების არსებობა. ინსპექტირება უნდა მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ელემენტებს:

1. სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია
2. სამუხრუჭე აღჭურვილობა
3. საჭით მართვის სისტემა

4. ხილვადობა
5. ფარები, შუქამრეკლები და ელექტრომონყო-ბილობა
6. ღერძები, თვლები, საბურავები და დაკიდება
7. შასი და მისი შემადგენლები
8. სხვა მონყობილობები

პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების საფა-სურის გადახდა წარმოებს მხოლოდ უნაღდო ანგა-რიშსწორებით. მთავრობის დადგენილება 511 2017 წლის 1 დეკემბერის დადგენილებით. მუხლი 3 პუნ-ქტი 14.[2]

ავტოტრანსპორტის პერიოდული ტექნიკური ტესტირების შემოღების ვალდებულება საქარ-თველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშე-კრულებით აიღო. ძირითად კრიტერიუმად გამოყ-ენებულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებით განერილი აქტივობე-ბი, რაც სავალდებულოა შესასრულებლად, ასევე ევროდირექტივებისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (შემდგომში WHO) სახელმძღ-ვანელოების მითითებების დაცვა სასურველი და მიზანშეწონილია, როგორც ევროკავშირის წევრი, ისე არაწევრი სახელმწიფოებისათვის.

დღესდღეობით საქართველოში არსებობს 26 ინსპექტირების ცენტრი და მოქმედებს 35 ხაზი, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე რეგის-ტრირებული მანქანების რიცხვიდან გამომდინ-არე, აუცილებელია ინსპექტირების ცენტრების დამატება, ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს ამ სფეროს განვითარება, ხელშეწყობა ბიზნესის მხ-რიდან. დღესდღეობით არსებული ცენტრებიდან ყველა კერძო პირს ეკუთვნის. სახელმწიფო ანე-სებს რეგულაციებს, რითაც ხელმძღვანელობენ ინსპექტირების ორგანოები. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ატარებს ხსავდასხვა სახის ღონისძიე-ბებს რათა აღარ იყოს ქვეყანაში ძველი ავტომობი-ლი, ამის მაგალითია იმპორტირებულ ახალ ავტო-მობილებზე დაბალი საბაჟო გადასახადი, ხოლო ჰიბრიდულზე ეს ტარიფი კიდევ უფრო დაბლია და ელექტრო ავტომობილებზე ეს გადასახადი ნულოვანი. სახელმწიფო ახდენს არსებული ბიზ-ნესის სტიმულირებას, ინვესტიციების მოზიდვას, შედეგად კი იღებს უფრო ჯანსაღ, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს, დასაქმებულთა რიცხვის გაზრ-დას, რაც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარია. ასევე აღსანიშნავია რომ ეს ფირმები იხდიან ყველა იმ გადასახადს რის გადახდაც ევალება შპს-ს. ესენია მოგების გა-დასახადი, დღგ, საშემოსავლო გადასახადი, დივი-დენდებისა და ქონების გადასახადი. ყველა ეს

თანხა რა თქმა უნდა შედის სახელმწიფო ხაზინაში. ეს არის კერძო ბიზნესის კიდევ ერთ-ერთი სახეო-ბა, რომელიც ასრულებს სახელმწიფო დაკვეთებს, აღნიშნული კომპანია მიუკერძოებელია და ფი-ნანსური კუთხით აბსოლუტურად გამჭვირვალე.

2019 წლის 1 იანვრიდან ყველა ავტომობილ-ისათვის სავალდებულოა ავტომობილების ტე-სტირება. იმისათვის რომ მოთხოვნა მიწოდება დარეგულირდეს საჭიროა 145 ხაზი საქართველოს მამტაბით. ბათუმში ეს მაჩვენებელი 15-მდე აღწ-ევს. დღესდღეობით 3 ხაზია აღნიშნულ ქალაქში.

**დიაგნოსტიკა “აჭარა”**

ტიპის ინსპექტირების ორგანიზაცია- ტე-სტირების ცენტრი შპს დიაგნოსტიკა “აჭარა” დაარსდა 1996 წელს ქალაქ ბათუმში. იგი მდე-ბარეობს აეროპორტის გზატკეცილის 129-ში. მისი საქმიანობის ძირითადი სფეროა ავტოსატრანს-პორტო საშუალების ექსპლუატაციისათვის ვარ-გისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირე-ბა. იგი იყენებს გერმანული კომპანიების MAHA-სა და BOSCH-ის დანადგარებს.

შპს დიაგნოსტიკა „აჭარა“ თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტები-სა და ევრო დირექტივებით დადგენილი ნორმების შესაბამისად. მას უშუალო კონტაქტი აქვს ისეთ დანესებულებებთან, როგორებიცაა: აკრედიტაცი-ის ცენტრი, სახმელეთო ტრანსპორტის დეპარტა-მენტი და საპატრულო პოლიციის მომსახურების სააგენტო.

ტესტირების ცენტრი დაკომპლექტებულია კვალიფიციური პერსონალით, რომლის თითოეულ თანამშრომელს აქვს აღნიშნულ სფეროში გამოც-დილება, ასევე კომპანია ზრუნავს დასაქმებულ-თათვის სიახლეების მიწოდებასა და ტრენინგების ჩატარებაზე. აღნიშნულ კომპანიას დასაქმებული ჰყავს 10 ადამიანი. მათი ხელფასი 750-დან 1875 ლარამდე მერყეობს საშემოსავლოს ჩათვლით. სახელფასო ფონდი ყოველთვიურად 11500 ლარს შეადგენს. ტესტირების ცენტრს გააჩნია საქმის სრულფასოვნად წარმოებისთვის საჭირო მატე-რიალურ-ტექნიკური რესურსი. იგი აღჭურვილია თანამედროვე მონყობილობა-დანადგარებითა და გამზომი საშუალებებით, რომლის სტანდარტებიც ევროპული კომპანიების ანალოგიურია. აღნიშნუ-ლი დანადგარების ფასი 220 000 ლარია. კომპანიის საშუალო წლიური ხარჯი 40-50%-ია. თითოეული ავტომობილის ტესტირებას საშუალოდ 10-15 წუთი სჭირდება. კომპანიას დღეში მაქსიმუმ 100 ავტო-


მობილის ტესტირება შეუძლია, რადგან აღნიშნულ ფირმას აქვს 2 ხაზი.

- კომპანიის ძირითადი მიზანია ხარისხის მუდმივი სრულყოფა
- თანამშრომელთათვის სიახლეების მიწოდება და მუდმივად ტრენინგების ჩატარება
- ეს კომპანია შეესაბამება ევროპის სტანდარტებს
- კომპანია ხელმძღვანელობს ახალი კანონმდებლობით 2017 წლის 1 დეკემბრის დადგენილებით
- ავტომობილების ინსპექტირება ხდება იმ ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად, რაც კანონმდებლობაში არის მოცემული.
- ასევე ახდენენ კადრების გადამზადებას და ტექნოლოგიების გაუმჯობესებას
- სანამ დაიწყება უშუალო შემოწმება, ხდება ვიზუალური დათვალიერება

ავტოტესტირება კომპანიაში შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობს:

1. პირველ რიგში ხდება ავტომობილის იდენტიფიკაცია, პასპორტი მოყვანილი მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს ავტომობილის მონაცემებს;
2. შემდეგ ხდება ავტომობილის ვიზუალური დათვალიერება, აქ მოწმდება ხილვადობა, დაუშვებელია მძღოლის მხარეს ბზარების ან რაიმე ნაკანონების არსებობა, მგზავრის მხარეს დასაშვებია, მხოლოდ მცირე რაოდენობით;
3. შემდეგ მოწმდება მოხვევის მაჩვენებლები (მოხვევის მაჩვენებელი წუთში უნდა ინთერბოდეს 90-120 ანთებას. უნდა მუშაობდეს სდექ სიგნალები, ავარიულები. მოწმდება საკეტები, ავტობუსების შემთხვევაში უნდა იყოს ავარიული გასასვლელი, კარზე ავარიული საკეტი გამართულ მდგომარეობაში უნდა იყოს, უნდა ეკიდოს ავარიული ჩაქურჩები, რომელიც მარტივად ახდენს მინის ჩამსხვრევას.)
4. საბურავებზე პროტექტორის ნახატის სიმალლე სტანდარტის მიხედვით მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში არის 1.6 მმ, ავტობუსების შემთხვევაში 2მმ, სატვირთო ავტომობილების შემთხვევაში კი 1მმ.
5. ხდება ასევე ვიზუალური დათვალიერება, არ უნდა იყოს ამოკბეჩილი, გამობერილი, მოწმდება დისკები, არ უნდა აკლდეს ქანჭიკი, არ უნდა იყოს გაბზარული. პროტექტორის სიმალლე იმ ადგილიდან იზომება, სადაც ყველაზე მეტი ცვეთა აქვს საბურავს.

საქსტატის სტატისკური მონაცემებით ჰაერის დაბინძურების 71% სწორედ გაუმართავ ავტომობილებზე მოდის. ეს მაჩვენებელი რეგიონებზე შემდეგნაირად ნაწილდება.[3]



ავტომობილების ტექნიკური დათვალიერება შესაძლოა მძღოლებისთვის დამატებით ხარჯებთან იყოს დაკავშირებული. თუ საწვავის ხარისხი არ გაუმჯობესდება, ავტომობილების დიდი ნაწილი ტექნიკურ დათვალიერებას ვერ გაივლის, ეს კი იქნება ცუდი საწვავით გამოწვეული, ამიტომ მნიშვნელოვანია რეგულაციები საწვავზე, რათა მოხდეს მისი კონტროლი და მომხმარებელს მიენოდოს მაღალი ხარისხის პროდუქცია. აუცილებელია საწვავის სტანდარტების დახვეწა. თუ არ განისაზღვრა საწვავში გოგირდისა და სხვა მინარეების შემცველობა, ისე ავტომობილის მფლობელს ვერ მოსთხოვ გამოწვავის ნორმების დაკმაყოფილებას. აღსანიშნავია ისიც, რომ რაც არ უნდა გამართული იყოს ავტომობილი, ცუდი საწვავის ჩასხმით დროთა განმავლობაში იგი ნორმებს ვეღარ დააკმაყოფილებს.

ავტომობილების ტექნიკურმა დათვალიერებამ შესაძლოა საწვავზე ფასის ზრდა გამოიწვიოს. მნიშვნელოვანია ქვეყანაში დამოუკიდებელი ლაბორატორიების არსებობა, რომლებიც საწვავის ხარისხს გააკონტროლებენ, თუმცა მაღალი სტანდარტის მოთხოვნა, საწვავის ღირებულებას გააძვირებს. ამიტომ ერთი უწყება უნდა აძლევდეს ნებართვას საწვავის შემოტანაზე ამა თუ იმ ქვეყნიდან, მაგრამ სხვა აბსოლუტურად დამოუკიდებელი ლაბორატორიები უნდა ამოწმებდეს საწვავის ხარისხს. ეს პრობლემა არის და იქნება.

ავტოტესტირება ისეთივე აუცილებელია უცხოეთშიც როგორც ჩვენთან. რაც შეეხება ძირითადი ნორმატივების დაცვას რაც ევროკავშირის ნევრ ქვეყნებს ავალდებულებს თითქმის იგივეა.



საქართველოში არსებული ტესტირების მეთოდები არის ევროპული სტანდარტების მიხედვით. იმის ხაზგასმით მტკიცება თუ რომელი ქვეყნის მოდელს უფრო ჰგავს ცოტათი რთულია. რადგან რალაცით შეიძლება ჰგავდეს ერთ მოდელს და რალაცით არ ჰგავდეს. მაგალითად: ტესტირების ცენტრების ქართული მოდელი რალაცით ჰგავს იაპონურს ესა ტესტირების ჩატარების თანმიმდევრულობა, მიზეზი თუ რატომაც ტარდება ეს ტესტირება და ა.შ ქართული მოდელისგან განსხვავებით იაპონიაში ტესტირების საფასური დამოკიდებულია ავტომობილის გამოშვების წელზე და 5-7 წლის ავტომობილების გაყვანა ქვეყნიდან და ახლის ყიდვა მიზანშეწონილია.

საქართველოში ტექდათვალიერება ქვეყანაში არსებულმა ყველა ავტომობილმა უნდა გაიაროს 2020 წლამდე. თავდაპირველად ავტომობილები შემოწმდება წელიწადში ორჯერ, შემდეგ კი ევროკავშირის სტანდარტის მიხედვით - 4+2+1, რაც იმას ნიშნავს, რომ 4 წლამდე ასაკის ავტომობილები შემოწმებას არ გაივლიან, 4-დან 6 წლამდე ავტომობილებისათვის ორ წელიწადში ერთხელ იქნება ტესტირება სავალდებულო, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი ავტომობილისთვის - წელიწადში ერთხელ. ინსპექტირების საფასური 60 ლარი იქნება მსუბუქი ავტომობილებისათვის, ხოლო სატვირთო ავტომობილებისათვის 100 ლარი.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ ტექნიკური ინსპექტირების გაუვლელობაზე მოქმედებდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა ფიზიკური პირებისათვის 10 ლარის, ხოლო იურიდიული პირებისათვის-100 ლარის ოდენობით. 2018 წლის 1 იანვრიდან საკანონმდებლო ცვლილებით, ჯარიმის ოდენობები გაიზარდა 50 ლარამდე ფიზიკური პირებისათვის და 200 ლარამდე-იურიდიული პირებისთვის. ხოლო თუ ჯარიმას არ გადაიხდიან მათ ავტომობილის ტესტირება მაინც მოუწევთ, ჯარიმის არ გადახდის შემთხვევაში კი მათ მაქსიმუმ 500 ლარიანი საურავი დაეკისრებათ. ხოლო თუ ამ საურავსაც არ გადაიხდიან მაშინ აღნიშნულ ავტომობილს მოძრაობის უფლება ნების ვადით შეუჩერდება.

**გერმანია**

გერმანიაში სატრანსპორტო საშუალებების ტესტირება ხორციელდება, ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს საავტომობილო ტრანსპორტის და მისი მისაბმელების გზისთვის ვარგისობაზე პერიოდული ტესტირების შესახებდირექტივის შესაბამისად და გერმანიის საგზაო მოძრაობაში

სატრანსპორტო საშუალებების დაშვების შესახებ დებულებით.

საყოველთაოდ აღიარებულია შეხედულება, რომ მხოლოდ ინტელექტუალურმა აღზრდამ მსოფლიოს კარგი ვეარაფერი მოუტანა. ემოციური აღზრდისა და ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელია სრულფასოვანი პიროვნების, ოჯახისა თუ საზოგადოების არსებობა. ღირებულებათა სისტემა გადამწყვეტი თემაა. დასაწყისისათვის კარგი იქნება, თუ შევთანხმდებით, კერძოდ რას ვგულისხმობთ ამ საკითხზე საუბრისას. თუ ვსაუბრობთ სამყაროს მიმართ დამოკიდებულებაზე, სამშობლოს განცდაზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე, თანადგომასა თუ გულისხმიერებაზე, მაშინ ბუნებრივია, ამაზე მნიშვნელოვანს ვერც საგანმანათლებლო დაწესებულება და ვერც საზოგადოება ვერაფერს გააკეთებს.

ღირებულებებსა და მათ დეფინაციაზე კამათი საზოგადოებაში განუწყვეტლივ მიმდინარეობს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი საზოგადოება სიტყვა „ღირებულების“ აღქმის საკითხში ძალიან არაერთგვაროვანია. ის კონსტრუქციები, რომელიც ყველა ჩვენგანს წარმოუდგენია ამ სიტყვათშეთანხმების ქვეშ, ძალიან განსხვავებულია. კარგი იქნებოდა საზოგადოების დიდ ნაწილში გამოვლენილიყო რაიმე თანხმობა, თუ ღირებულებათა რა სისტემას ვაღიარებთ, როგორც ჩვენი იდენტობის საყრდენსა და მომავალი თაობების ზნეობრივ ორიენტირს.

რა არის ზნეობა და ზნეობრივი ღირებულებები? ფართო მნიშვნელობით „აღზრდის“ ცნებაში შედის განათლებაცა და სწავლებაც, მაგრამ, როცა ამ ცნებას ვინრო მნიშვნელობით ვხმარობთ, მასში ვგულისხმობთ, აღზრდის ისეთ სახეებს, როგორცაა გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური ... აღზრდა.

ზნეობრიობის პირველი გამოვლენაა აკრძალვა. ადამიანის ზნეობრივ არსებად, ადამიანად გახდომა დაკავშირებულია ამ აკრძალვებთან. იგი ვლინდება ადათში, ტაბუში. ზნეობრივი ნორმები იყო ადამიანობის პირველი ნიშნები, რაც ადამიანს გამოჰყოფდა ცხოველთა სამყაროსაგან. ზნეობრივი ქცევის განხორციელების უნარი იყო გამოხატულება ადამიანის უნარისა ეცხოვრა საზოგადოებაში, ადამიანებს შორის და დაემყარებინა მათთან ურთიერთობა, რომელიც მოწესრიგებული იყო უპირველესად ზნეობრივი ნორმების მეშვეობით. დამიანი ვალდებულია შეასრულოს, დაემორჩილ-

ოს მორალური ტრადიციის ავტორიტეტს, ამბობს ვ. რამიშვილი, ჩამოყალიბდა მორალი - ზნეობრივ ქცევის ნორმების, წესების, კანონების, როგორც აკრძალვათა ერთობლიობა, რომლებიც განასხვავებენ სიკეთესა და ბოროტებას. მორალური ტრადიციის ზნეობრივი მოთხოვნები დაუფიქრებლად უნდა შეასრულო. (ვ. რამიშვილი: 354)

პირველი ვინც შეეცადა გაეაზრებინა ადამიანის ზნეობრივად ყოფნის შესაძლებლობა იყო სოკრატე. ის ამბობდა, რომ სრულიად სხვაა, როდესაც შენ ზნეობრივ ნორმას ასრულებ ტრადიციის ძალით და ზნეობრივ მოთხოვნას ასრულებ შეგნებულად, რადგან არ შეგიძლია რომ არ შეასრულო. ეს მაიძულებელი ძალა არ არის ტრადიცია, არამედ შენი შინაგანი ხმა. სოკრატეს აზრით ადამიანმა თავისუფალი არჩევანით უნდა განახორციელოს ქცევა და უნდა იცოდეს რას აკეთებს, რომ იგი პირველად იყოს პასუხისმგებელი თავის საქციელზე. ზნეობრივ ადამიანად ყოფნა გმირაბაა, ამისათვის უნდა იყო თავისუფალი და გონიერი.

ადამიანმა უნდა იცოდეს რაა სიკეთე ბოროტება, რომ მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. გონიერი და ბრძენი არ ჩაიდენს ბოროტს. ისევე სოკრატეს ნააზრევს თუ დავეყრდნობით, მისი აზრით ადამიანი საკუთარი სინდისის წინაშე უნდა იყო მართალი. ადამიანს თავის თავს უნდა აუხსნას, დაუსაბუთოს, თავისი ქცევის მოტივის ზნეობრიობა. ჩვენ ხშირად მოგვისმენია ამგვარი არგუმენტი: „ მე ჩემი სინდისის წინაშე მართალი ვარ,“ ან „აქა ვდგევარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“. ( ვ. რამიშვილი:355). საქციელი შეიძლება მივიჩნიოთ სიკეთედ და სამართლიანობად, რადგან საქციელი მართლაც შეიძლება იყოს სამართლიანი და კეთილი ანდა მისი მიჩნევა ასეთად ხელსაყრელი და მოსახერხებელია. საიდან უნდა ქონდეს ადამიანს სიკეთის ცოდნა?

მიიჩნევა, რომ ზნეობრიობის პრინციპი სიკეთის ჩადენის უნარი ადამიანმა მიიღო ღმერთისაგან. ღვთისაგან ნასწავლი ზნეობრივი სიბრძნე ადამიანს სულიერ, ინტელექტუალურ სრულყოფაში ეხმარება. მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან და სამყაროსთან კეთილგანწყობილი და განონასწორებული ხდება . (გ. შერვაშიძე: 150) ერის სულიერი გადარჩენისათვის ქრისტიანული ზნეობის სწავლების აუცილებლობას ქადაგებს ეპისტოლეებში საქართველოს კათალიკოს - პატრიარქი ილია II. მას მიაჩნია, რომ ეს პრობლემა სწრაფად მოგვარებას მოითხოვს. ის ამბობს, რომ რა არის განათლება, თუ ადამიანისაგან არ მოდის ნათელი, ყველამ უნდა გავიზიაროთ, რომ რწმენასთან თანაზიარი ცოდნა გვხდის უფლის მეგობრად.

წლების განმავლობაში ადამიანებს ბავშვობიდანვე უნერგავდნენ იმ აზრს, რომ რელიგია და რწმენა მეცნიერებასა და რწმენას უპირისპირდება, მაშინ როცა ისინი ერთმანეთს ავსებენ. როგორც ცნობილი საეკლესიო მწერალი და მოაზროვნე კლიმენტი ალექსანდრიელი გვასწავლის, ცოდნის საწყისი რწმენაა. აქსიომები, რომელთაც მეცნიერება ეფუძნება, უკვე რწმენას გულისხმობს. ამავე დროს, მორწმუნე ცოდნის გარეშე მონაა, უფრო მეტიც, ცოდნის გარეშე რწმენა არ არსებობს, რადგან ადამიანი მოვალეა იცოდეს, რა სწამს. ის ვინც მორწმუნეცაა და მცოდნეც იგი მეგობარია ღმერთისა. ყოველი ადამიანი სრულყოფის კიბეზე მალა ასვლისათვის უნდა ისწავოდეს, რათა ღმერთის მეგობარი გახდეს. („მადლის“ 1990 – 2010 წლების კრებული I ; 36).

სწავლება ქრისტიანულ ზნეობაზე უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მსოფლიოს მრავალწარმატებულ ქვეყანაში რელიგიურ განათლებას აღზრდის ძირითად ამოცანად თვლიან. რწმენასთან თანაზიარი ცოდნა შეუძლებელია რელიგიური განათლების გარეშე. დასაშვებია თუ არა რელიგიის სწავლება საშუალო სკოლაში? სახელმწიფო სკოლებში რელიგიის სწავლება და ამ პროცესთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი საკითხები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშია აქტუალური. ამ სფეროს მკვლევარები პრობლემის ანალიზის საფუძველზე, სკოლებში რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით რამდენიმე ძირითად საკითხს გამოჰყოფენ: რა იგულისხმება რელიგიურ სწავლებაში? როგორ უნდა ისწავლებოდეს განსხვავებული რელიგიები?

რელიგია განსაკუთრებულ როლს თამაშობს ისტორიასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი სწავლება არსებითია ერისა და მსოფლიოს უკეთ გასაგებად. სასწავლო კურსიდან რელიგიის ამოგდება მოზარდს უქმნის მცდარ შთაბეჭდილებას, რომ რელიგია კაცობრიობისათვის უმნიშვნელოა. ინვესტ ეჭვს ღმერთის არსებობის ჭეშმარიტებაზე. მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყოველთვის, როცა ბუნებისმკვლევარნი ეწინააღმდეგებოდნენ ბიბლიურ წარმოდგენებს, ვინც ისწავლოდა ბიბლია მითად გამოეცხადებინა ან მასში ალეგორიული აზრი მოეძებნა, გარკვეული დროის შემდეგ შერცხვნილნი რჩებოდნენ. წინააღმდეგობის ნამდვილ მიზეზს ყოველთვის წარმოადგენდა ან უზუსტობა ან მეცნიერული ცოდნის არასრულყოფილება. უფრო მეტიც, თვით დარწმუნსაც კი ძალიან კარგად ესმოდა, საკუთარი ნაშრომი „სახეობების წარმოშობა ბუნებრივი შერ-

ჩვეის გზით“, ფანტაზიის ნაყოფს რომ წარმოადგენდა და დაუმტკიცებელ ხასიათს ატარებდა. „თქვენ დიდ საგონებელში ჩავარდებით ამ წიგნის ნაკითხვის შემდეგ, ის იქნება წარმოდგენილი ჰიპოთეზური“, - წერდა „წარმოშობის ავტორი ერთ - ერთ თავის კოლეგას 1858 წელს. (<http://www.orthodoxy.ge>)

ასევე, შუა საუკუნეების აზროვნების - ახალი ფილოსოფიის - ერთ - ერთი ფუძემდებელი რენე დეკარტე (1596 – 1650) ამტკიცებდა ღმერთის ჭეშმარიტებას. საკუთარ და ღმერთის უტყუარ არსებობაში დარწმუნებული ფილოსოფოსი საგანგებოდ იკვლევდა საკუთარი შეცდომების ბუნებას, მათ მიზეზს. ახლოს დააკვირდა საკუთარ თავს და დარწმუნდა: „შეცდომის მიზეზია არა ღმერთი, არამედ თავად ადამიანი. ღმერთი არ შეიძლება იყოს მატყუარა; იტყუება ის ვინც სუსტი და ვერაგია, მაშასადამე, ნაკლოვანი. ღმერთი კი ყოველად სრულყოფილი და უსასრულო, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა“ (რ.დეკარტე; 21). ყოველივე ეს ადასტურებს, რომ რელიგია და მეცნიერება თავიანთი დასაბუთებისათვის საჭიროებენ რწმენას.

სკოლებში რელიგიის, რელიგიის ისტორიისა და მის ცივილიზაციებთან კავშირის სწავლება სრულყოფილი ცოდნის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. განსხვავებული რელიგიების გაცნობა მოსწავლეებში განსხვავებული კულტურების, უმცირესობის მიმართ პატივისცემასა და რელიგიური ტოლორანტობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. რელიგია, როგორც სასკოლო საგანი უნდა ისწავლებოდეს, რადგან ის საშუალო სკოლაში ზოგადი განათლების მისაღებად არის აუცილებელი.

ჩვენ, საქართველოს უზარმაზარი კულტურა გაგვაჩნია და ჩვენი მომავალი თაობები ამ კულტურაზე უნდა ავლზარდოთ, რადგანაც სწორედ კულტურას შეუძლია გაამთლიანოს ერი ურთიერთ-პატივისცემის ნიადაზე, ერს კი სჭირდება ჭეშმარიტი სარწმუნოებით აღვსილი, სიყვარულით, ნებისყოფით და პასუხისმგებლობის გრძობით აღზრდილი ადამიანები. მიგვაჩნია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა ჰქონდეს მჭიდრო კონტაქტი მეცნიერებთან და ის სასიცოცხლო და შეიძლება ითქვას, საბედისწერო საკითხები, რომელიც აღელვებს მსოფლიოს, ეკლესიის მიღმა არ უნდა დარჩეს. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „ჩვენს ცხოვრებას ძირითადად ჩვენს გულში მიმდინარე პროცესები განსაზღვრავს, აქ კი ნათელთან ერთად წყვილია მკვიდრობს და მათ შორის მუდმივი დაპირისპირებაა. ხშირია შემთხ-

ვევა, როცა გვინდა ვიყოთ სიკეთის მხარეს, მაგრამ არ გვეყოფნის ძალა ცოდვებთან საბრძოლველად და ვმარცხდებით. ასეთ სიტუაციაში მთავარია არ შევურიგდეთ ცოდვას, არ მივილოთ და არ შევიტკობოთ იგი. ცოდვა ბოროტისაგან მომდინარეობს და თუ გულით მოვიწოდებთ, მისგან აუცილებლად განვთავისუფლდებით (კათალიკოს პატრიარქი ილია II, 1998-2007;155) .

დადგა დრო, როდესაც თანამედროვე ცივილიზაციის პრობლემების საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური გადანყვეტა სასიცოცხლოდ აუცილებელი შეიქმნა. ამ მხრივ ჩვენს ეკლესიაში პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ის ურთიერთობა, რომელიც ბოლო დროს ჩამოყალიბდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, უმაღლეს სასწავლებლებს, მეცნიერებათა აკადემიებსა და სხვა სამეცნიერო - კულტურულ ცენტრებს შორის იმედის მომცემია და ვფიქრობ კარგ შედეგს გამოიღებს.

არის მცდელობებიც იმისა, რომ ამორალური ყოფა ჩვენში ადამიანური ურთიერთობების ნორმად იქცეს. ჩვენ უნდა ვასწავლოთ მოზარდებს სულიერი აღქმა მოვლენებისა, რათა მათ დამოუკიდებლად შეძლონ სათანადო პასუხი გასცენ დროის გამოწვევებს: „პირველ რიგში უნდა დავიცვათ ადამიანის სული, მისი ფსიქიკა და შინაგანი ბუნება“. (კათალიკოს - პატრიარქი ილია II, 1998-2007;156).

რჩება ერთი გამოსავალი, რომ უნდა შევძლოთ მოზარდებსა და ახალგაზრდებში ყოველივე ნეგატიურისა და უზნეობისადმი იმუნიტეტის გამოუმუშავება და მათთვის მყარი მორალური საფუძვლის შექმნა. ადრეც პატრიარქს არაერთგზის უთქვამს, რომ დღეს როგორც არასდროს, საჭიროა კავშირი ოჯახს, სკოლასა და ეკლესიას შორის, რადგან უპირველეს ყოვლისა ოჯახი და სახელმწიფო უნდა გადაურჩეს მორალურ საფრთხეს. ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიზრუნოთ ერის მომავალზე, თუკი გვსურს ავაშენოთ განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფო, ზნეობრივი საფუძვლებით.

მსოფლიოს მრავალ წარმატებულ ქვეყანაში რელიგიურ განათლებას აღზრდის ძირითად ამოცანად თვლიან. რწმენასთან თანაზიარი ცოდნა შეუძლებელია რელიგიური განათლების გარეშე. ახალგაზრდობის რელიგიურ განათლებას დიდად უწყობს ხელს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი. ცენტრთან თანამშრომლობენ სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები, სტუდენტები და სხვადასხვა



უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები. ცენტრი ახალგაზრდებს ჯანსაღი ცხოვრების წესს თავაზობს, ზრდის მათ პასუხისმგებლობას ერის წინაშე, უქმნის თვითრეალიზების ყველა პირობას.

ჩემი აზრით რელიგია სახელმწიფო სკოლებში უნდა ისწავლებოდეს, როგორც სასწავლო საგანი, მაგრამ სახელმწიფო სკოლის მასწავლებელს არ აქვს უფლება, თავს მოახვიოს აზრი იმის თაობაზე თუ რომელი რელიგიური აღმსარებლობაა ჭეშმარიტი, რადგან ასეთი სწავლება ლახავს სხვა რელიგიის მიმდევარი მოსწავლეების უფლებებს. რელიგიის შესახებ სწავლება უნდა მოიცავდეს რელიგიის ისტორიის, რელიგიათა შედარებითი დახასიათების, საქართველოსა და სხვა ქვეყნების ისტორიაში რელიგიის როლის სწავლებას. ასევე უნდა მივანოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია რელიგიამ ხელოვნებაზე, მუსიკაზე, ლიტერატურასა და სოციალურ მეცნიერებაზე. თუ სწავლებისას ერთადერთ ჭეშმარიტ რელიგიად რომელიმე კონკრეტულ რელიგიად განვიხილავთ, უეჭველია, რომ სხვადასხვა რელიგიის მქონე მოზარდებს შორის შეიქმნება არა ჯანსაღი დამოკიდებულება. რელიგიის შესახებ სწავლება უნდა მოიცავდეს რელიგიის ისტორიის, რელიგიათა შედარებითი დახასიათების, საქართველოსა და სხვა ქვეყნების ისტორიაში რელიგიის როლის სწავლებას. ასევე უნდა მივანოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია რელიგიამ ხელოვნებაზე, მუსიკაზე, ლიტერატურაზე და სოციალურ მეცნიერებაზე. თუ სწავლების ერთადერთ ჭეშმარიტ რელიგიად ერთი რომელიმე კონკრეტული რელიგია განიხილება, ადვილი წარმოსადგენია იმ ბავშვის მდგომარეობა, თანატოლების უმრავლესობის აზრს არ იზიარებს, გაკვეთილის დაწყების წინ ლოცვის სურვილი არ აქვს და შედეგად თანაკლასელებისაგან გარიყულად გრძნობს თავს, ან უბრალოდ უმრავლესობას ემორჩილება და საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ ლოცულობს. სწავლება სხვადასხვა რელიგიის შესახებ მიზნად ისახავს ობიექტური ინფორმაცია მიანოდოს მოსწავლეს და ტოლორანტობის პრინციპების დამკვიდრებას შეუწყოს ხელი.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილებები და გადანყვეტილებები რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მსოფლიოს ხალხთა კულტურასა და რელიგიას. ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ფაქტობრივი მასალის შესწავლის დონეზე, არამედ ყნა იყოს ღრმად გააზრებული.

მეოცე საუკუნის დასაწყისში როდესაც გერმანიაში არსებულმა მთავრობამ მიიღო ბრძანება რელიგიის გაკვეთილების გაუქმების შესახებ, გამოინვია საზოგადოების პროტესტი და პედაგოგების დაპირისპირება პოლიტიკოსებთან, 1933 წლის 20 ივლისს გერმანულ სკოლებში განახლდა რელიგიის გაკვეთილები, რაშიც პაპ პიუს (Pius) მიუძღვის წვლილი. ამ დროისათვის რელიგიის გაკვეთილები შემოიფარგლებოდა მხოლოდ მნიშვნელოვანი ბიბლიური ტექსტების, რამოდენიმე ლოცვის და შვიდი საიდუმლოებების სწავლებით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, DDR -ის ჩამოყალიბების შემდგომაც კი გერმანიის ხელისუფლებამ რელიგიის გაკვეთილების ჩატარების დამოუკიდებლობა მიანიჭა. დღეს ყველა სკოლაში სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. საჯარო სკოლებში მოსწავლეები ასაკის მიუხედავად თვითონ წყვეტენ დაესწრონ თუ არა რელიგიის გაკვეთილებს. უმეტეს სკოლებში თოთხმეტ წლამდე ბავშვებს არ შეუზღიათ მშობლების დამოუკიდებლად უარი განაცხადონ რელიგიის გაკვეთილზე, ზოგიერთ სკოლებში კი ამის უფლება მოსწავლეებს მხოლოდ თვრამეტი წლის მერე ენიჭებათ.

გერმანიის მოქალაქეთა უმეტესობა თვლის, რომ ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს რწმენის თავისუფლება, აქედან გამომდინარე ხელისუფლება ითვალისწინებს ხალხის მოთხოვნებს და მათ ვისაც არ სურთ რელიგიის გაკვეთილებზე დასწრება, თავაზობენ ასარჩევად ისეთ საგნებს როგორცაა ეთიკა და ფილოსოფია.

ასეთია კიდევ მაგალითად რელიგიური ღირებულებებითი სისტემა და ამერიკული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი რელიგიის როლი ერის ცხოვრებაში (იგი შექმნილია პროტესტანტიზმის, ძირითადად კალვინიზმის წიაღში XVIII ს-ში) რომელსაც რამდენიმე ძირითადი ნიშანი აქვს: 1) ამერიკული ნორმის მნიშვნელოვანი მხარეა რელიგიური ორგანოზაციის რეალური თანასწორობა სახელმწიფოს წინაშე. ამიტომაც ამერიკაში მიღებულია სახელმწიფოებრივად პრივილეგიებული დენომინაციის არსებობა (სახელმწიფო არც ერთ რელიგიურ ორგანიზაციას არ უწევს არანაირ პოლიტიკურსა და ფინანსურ დახმარებას და ამავე დროს არც ხელს უშლის მათ საკუთარი მისიის განხორციელებაში). 2) რელიგიური ცხოვრების ნებაყოფილებითი ხასიათი და საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობის დემოკრატიული ფორმის პირველობა. 3)წინა პლანზე წამოიწევა სოციალური ტოლერანტობის, ქველმოქმედების როლი, რაც უკანა პლანზე გადაწევს რიტუალებსა



და ასკეტიზმს. 4) პერსპექტივაში - პირადი პასუხისმგებლობის კულტივირება და მორწმუნის თავისუფალი არჩევანის როლის ზრდა და მისადმი პატივისცემა. (<http://www.politscience.ge/index13.html>).

ნიუ იორკის ერთი ერთი სახელმწიფო სასწავლებლის, სახელწოდებით - „Cayuga Community College“ ერთ ერთი საგამომცემლო ჟურნალის „Cayuga Community College“ 1998-200 ჩოლლეგე ჩატალოგ - ის მოთხოვნათა ჩამონათვალში არის ასეთი მითითება: Religious Holidays, ანუ რელიგიური დღესასწაულები, სადაც მითითებულია, რომ სტუდენტები რომლებიც ვერ მოახერხებენ ლექციებზე დასწრებას, შესასრულებელი სამუშაოების შესრულებას, გამოცდების ჩაბარებას თავიანთი რელიგიური დღესასწაულების გამო, ან თუ კი მათ ექნებათ რაიმე დამატებითი ვაკეითილები შაბათს ან კვირას და მორწმუნე სტუდენტი, რომელსაც თავისი რელიგიური რიტუალის შესრულების გამო ვერ მოახერხებს ზემოდ აღნიშნული მოთხოვნების შესრულებას, მას ეს გაცდენილი ყველა საათი ჩაეთვლება საპატიოდ და გაცდენილი კრედიტების ასანაზღაურებლად არ ექნება არანაირი საფასური გადასახადი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუძლია გაასაჩივროს და უმაღლესი სასამართლოს მიერ იქნება მისი ინტერესები დაცული.

საინტერესო იქნება თუ გადავხედავთ XX საუკუნის ოცდაათიანი წლების ინგლისის მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსაზრებების გაცნობა, რომელიც აქტიუალურია დღევანდელ პოლიტიკურ თუ ქართულ სოციალურ - კულტურულ სფეროში. ეს გახლავთ მეცნიერი - ელინისტი და განათლების თეორიტიკოსი, მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი რიჩარდ ლივინგსტონი (1880-1960).

ლივინგსტონის შენიშვნა სოციალური ორგანიზაციის ძირითადი პრინციპებისა და ქრისტიანული ღირებულებების შეთავსების აუცილებლობის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, საყურედღებო პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწეობისათვის, მაგრამ ის არანაკლებ მნიშვნელოვანია განათლებისთვისაც. სოციალურ - პოლიტიკური იდეალების გვერდის ავლით სკოლა ვერ შეძლებს შეასრულოს აღმზრდელი მისი ფუნქცია. ლივინგსტონი წერდა რომ იდეალები, „წარმოადგენს ქმედების უდიდეს წყაროს, წარმოშობს რელიგიურ დინებებს, ახდენს ან ხელს უწყობს რევოლუციებს და შთააგონებს უდიდეს მოაზროვნეებს“. ამგვარად, ევროპული მოაზროვნის თვალთახედვით სასულიერო განათლება წარმოადგენს არა მხოლოდ ზნეობრივ, არამედ ზნეობრივ - იდეოლოგიურ განათლებას,

რომელიც აყალიბებს თანამედროვე ადამიანის ცხოვრების ფილოსოფიას.

ცნობილი პედაგოგის აზრით განათლება სამგანზომილებიანი ერთობაა, რომელსაც პროფესიული-სა და პირადულის გარდა აქვს კიდევ ერთი მხარე - მოქალაქის აღზრდა. ადამიანებმა, წერდა იგი, უნდა ისწავლონ საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა, მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი სხეულის, გონებისა და ხასიათის სრულყოფილად განვითარების შანსი, მაგრამ თუ განათლების ამ ასპექტებს გადავაჭარბებთ, ადამიანები შეიძლება გახდნენ ეგოისტურები გულგრილები. განათლების პროფესიული და პიროვნული მხარეები სახიფათოდ ნაკლოვანია იმ დისციპლინის გარეშე, რომელიც მიუთითებს ადამიანებს საკუთარ როლზე სახელმწიფოში და უღვივებთ მათ ამ განცდას“ (Livingston;139).

ლივინგსტონი უპირველეს ყოვლისა „სულის სისუსტის“ დასაძლევად სასკოლო პროგრამების გაახლებას მოითხოვდა, რაც ითვალისწინებდა ჰუმანიტარული ცოდნის გაძლიერებას. ის განათლების საბოლოო და გამორჩეულ მიზნად თავისუფალი პიროვნების აღზრდას შინაგან თვისებათა შეუფერხებელი განვითარებით ისახავდა. იგი წერდა: „ბავშვი მიდის სკოლაში იმისათვის, რომ გამოკვეთოს საბოლოო მიზანი, რომლის მისაღწევადაც უნდა იყოს მიმართული მისი მოღვაწეობა, შეისწავლოს საშუალებები, რისი დახმარებითაც ის შეძლებს შეასრულოს თავისი დანიშნულება ამქვეყნად. ამასთან ერთად არსებობს მრავალი მიზანი: ზრუნვა არსებობისათვის, გარკვეული სამუშაოს შესრულება, რაიმე უნარის გამოვლენა. მაგრამ ყველა ეს მიზანი ექვემდებარება ძირითად - უმაღლეს მიზანს, რომელიც ჯ. მილტონის კვალდაკვალ, შესაძლოა განისაზღვროს როგორც ღმერთის შეცნობა და შეცნობის შემდეგ მისი შეყვარება და მასთან მიმსგავსება“ ( Livingston;116).

ბოლოს მინდა მცირედი მიმოხილვა გავაკეთო ინგლისის საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რომელთა მიზანია აღზარდოს აქტიური სამოქალაქო პოზიციის მქონე დემოკრატები, არ შემოიფარგლება რელიგიურ ზნეობრივი განათლებით. 1931 წელს თავად დიდი ბრიტანეთის განათლების სამინისტრომ წამოჭრა საკითხი მოსწავლეთა საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით აღზრდის შესახებ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ის აზრი, რომ ყოველი ინგლისელი არის არამარტო ბრიტანეთის, არამედ ევროპისა და მთელი მსოფლიოს მოქალაქე, სულ უფრო და უფრო დაბეჯითებით ინერგებოდა ახალგაზრდების ცნობიერებაში.

ბრიტანეთის სკოლის სასწავლო გეგმა არ არის გადატვირთული საგნებით, რომელიც სპეციალურად ატარებს ზნეობრივ - იდეოლოგიურ დატვირთვას. რელიგიის გაკვეთილები, რომლებსაც მოსწავლეთა ნაწილი არ ესწრება, რჩება ინგლისურ სკოლებში აღმზრდელობითი მიზნის მატარებელ ფაქტიურად ერთადერთ ამოცანად, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ბრიტანულ სკოლას იყოს მოსწავლეების სამოქალაქო აზრდის ნიმუში. ის მიიღწევა ჩვეულებრივი სასწავლო საგნების სწავლების პროცესში. ძალზედ დიდი როლი ენიჭება ჰუმანიტარული საგნების სწავლებას. თანამედროვე ინგლისურ პედაგოგიკაში წარმატებული განათლების საზომია, არა იმ ცოდნის მოცულობა, რომლითაც ტოვებს მოსწავლე სკოლას, არამედ ის, თუ რამდენად ეხმერება სკოლა მოსწავლეს იპოვოს საყრდენი წერტილი ამ სამყაროში.

ჩნდება კითხვა: საგანმანათლებლო დისციპლინებიდან რომელს აკისრია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მომავალი თაობის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებლად ჩამოყალიბებაში? კიტხვაზე პასუხის მისაღებად თუ გადავხედავთ ეროვნულ სასწავლო გეგმას, ვნახავთ, რომ „საზოგადოების მეცნიერებების საგნობრივ ჯგოფში გაერთიანებულია მსგავსი მიზნებისა და შინაარსის მქონე დისციპლინები - ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო განათლე-

ბა. დოკუმენტში ხაზგასმულია საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზანი და უნარები, რომლებიც მოზარდს უნდა განუვითარდეს აღნიშნული საგნების შესწავლის შედეგად. ჩამოთვლილ უნარებს შორის არის ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა; თანაგრძნობა და მზრუნველობა; სამშობლოს სიყვარული; პრინციპულობა და მოქალაქეობრივი სიმამაცე და ა.შ. აქედან გამომდინარე ადვილად მისახვედრია, რომ თანამედროვე განათლების ერთ - ერთი მთავარი ამოცანა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაა, ხოლო მოქალაქე რელიგიური ქადაგების მიხედვით ჰქვია მას, ვინც ფლობს უდიდეს საკუთრებას: სიცოცხლეს, მის მნიშვნელობას და პასუხისმგებლობას. მოქალაქეობა გულისხმობს ... სულიერ ცხოვრებას, ბრძოლას თავის თავთან, თავის წრესთან და სიბნელესთან, იმ აზრების და პრინციპების განხორციელებისათვის, რომელნიც მას ალელვებენ. ჩვენს ერს ხომ სწორედ ამისთანა უბრალო და მარტივი მოქალაქეინი სჭირდება, რაც მოითხოვს შეგნებას, პატიოსნებას, აზროვნებას, ფიქრს, მხნეობას, წინდახედულობას, განათლებას, სხვისი აზრების გაზიარებას, ადამიანში ადამიანის ძებნას და დაფასებას. მხოლოდ განათლებას რელიგიურ რწმენასთან ერთად შეუძლია განაწყოს ადამიანი დროსა და სივრცესთან საბრძოლველად აგრესიის გარაშე.

**ლიტერატურა/REFERENCES**

[1] ვ. რამიშვილი. „ფილოსოფია“, თბ; 2009წ; გვ. 354; 355.  
 [2] გ. შერვაშიძე. „განათლების ფილოსოფიის შესავალი“, შრსუ-ს გამომცემლობა, ბათუმი; გვ.150.  
 [3] „მადლის“ 1990 – 2010 წლების კრებული I ; საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბილისი, 2010. გვ.36.  
 [4] ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი III, თბ, 2008. გვ.155.  
 [5] რ. დეკარტი „მსჯელობა მეთოდის შესახებ. მეტაფიზიკური მედიტაციები“, გამომცემლობა „carpe diem“; თბ 2010; გვ. 21.  
 [6] ivingston Hill Rut, “On Education”, “New York”, 1945; gv. 139.  
 [7] <http://www.politscience.ge/index13.html>  
 [8] [http://www.orthodoxy.ge/metsniereba/tsargvna/1-metsniereba\\_r](http://www.orthodoxy.ge/metsniereba/tsargvna/1-metsniereba_r)

## მოწიფულობის ასაკი და კონფლიქტში ქმედის ტენდენცია

### RIPENESS AGE OF THE ADULT AND TENDENCY OF CONFLICT BEHAVIOR

რუსუდან ბერიძე,

ფსიქოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი, საქართველო, ბათუმი

RUSUDAN BERIDZE,

Doctor of psychology, Assistant Professor of the Batumi Shota Rustaveli State University, Georgia Batumi

#### ანოტაცია

კონფლიქტის მიმართ ახალმა მიდგომამ პირველ პლანზე წამოსწია კონფლიქტის შესწავლის ისეთი ასპექტების მნიშვნელობა, როგორცაა ადამიანთა ქცევის ფორმები კონფლიქტურ სიტუაციაში. შესაბამისად, ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიის არჩევაზე სქესისა და ასაკის ფაქტორების გავლენის ემპირიულ შესწავლას. განსაკუთრებით გვინტერესებდა შეგვესწავლა კონკრეტულად მონიფული ასაკის, კერძოდ 35 წელს გადაცილებული ქალები და მამაკაცები, მათი ქცევის ტენდენცია კონფლიქტურ სიტუაციაში. აქედან გამომდინარე, ვვარაუდობდით, რომ ასაკოვანი ქალები ძირითადად მიმართავენ თავის არიდებისა და შეგუების სტრატეგიებს, ხოლო მამაკაცები უმეტესად, უპირატესობას მიანიჭებენ მეტოქეობას. მიღებული შედეგი გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ მოზრდილთა შორის კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიის არჩევაზე სქესის ფაქტორი გავლენას არ ახდენს, რადგანაც ქცევის წამყვანი სტრატეგიაა, როგორც ქალებთან, ასევე მამაკაცებთან თანამშრომლობა აღმოჩნდა.

**საკვანძო სიტყვები:** კონფლიქტის სტრატეგიები, გენდერი, თანამშრომლობა, კონკურენცია, კომპრომისი, ტენდენცია, უზამსი ასაკი.

#### ABSTRACT

A new approach to the problem of conflicts caused the need to concentrate the attention on such aspects of the study of conflicts as the forms of people's behavior in conflict situations, the identification of factors that determine the choice of behavior strategies. Taking into account all of the above, the following research hypothesis was formulated: economic and social changes in our country changed the traditional gender roles, which in a certain way reflected the forms of behavior of men and women in conflict situations, in particular, on the choice of strategies for them. We were particularly interested in learning about women and men over the age of 35. How they behaved in a conflict situation. Consequently, we

*thought that older women basically seek to avoid and ignore conflicts, but men are more likely to prefer rivalry. The result gives us the right to conclude that the sex factor does not affect the choice of behavior in the conflict situation among adults, since both sexes choose a strategy for cooperation.*

**Key words:** Conflict Strategies, Gender, Cooperation, Rivalry, Compromise, Tendensy, Ripeness Age.

#### შესავალი

**1. თემის აქტუალობა.** დღეს კონფლიქტის მიმართ ტრადიციულმა მიდგომამ არსებითი სახეცვლილება განიცადა. კონფლიქტების შესწავლის ადრეულ ეტაპზე ფართოდ გამოიყენებოდა ტერმინი „კონფლიქტის გადაჭრა“, რაც ნიშნავდა, რომ კონფლიქტის გადაჭრა არის აუცილებელიც და შესაძლებელიც. შესაბამისად, კონფლიქტის გადაჭრის მიზნად ითვლებოდა რაღაც იდეალური, უკონფლიქტო მდგომარეობის შექმნა. მაგრამ დროთა განმავლობაში მეცნიერთა აზრი კონფლიქტის ამ ასპექტთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეიცვალა, რაც განაპირობა, ძირითადად, ორმა გარემოებამ. ჯერ ერთი, კარგად იქნა გაცნობიერებული ის, რომ კონფლიქტების სრული ელიმინაცია შეუძლებელია. მეორეც, მრავალრიცხოვანმა ემპირიულმა კვლევამ ცხადყო, რომ კონფლიქტს გარკვეული პოზიტიური ფუნქციებიც გააჩნია. შესაბამისად, მეცნიერთა ყურადღებამ „კონფლიქტის გადაჭრიდან“ კონფლიქტის მართვისაკენ გადაინაცვლა.

კონფლიქტის მართვა მიმართულია ძალადობის შეზღუდვისა და სამომავლოდ მისი პრევენციისაკენ, აგრეთვე კონფლიქტში ჩართულ მხარეთა ქმედებაში პოზიტიური ცვლილებების ხელშეწყობისაკენ. მაგრამ ეს უცილობლად გულისხმობს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების გააზრებასა და განაღვივებას, რათა მოიძებნოს პრობლემათა გადაწყვეტის ოპტიმალური, ანუ კონფლიქტში ჩართული ორივე მხარისათვის ხელსაყრელი გზა, რაც, თავის მხრივ, მხოლოდ თანამშრომლობის

საფუძველზეა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ თანამშრომლობა მიჩნეულია კონფლიქტის მოგვარების იმ ერთადერთ სტრატეგიად, რომელიც უზრუნველყოფს არამართო ორივე მხარისათვის მომგებიანი გადაწყვეტილების მიღებას, არამედ პოზიტიური სოციალური უნარჩვევების შექმნასაც. კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის ყველა სხვა დანარჩენი ფორმა ან ორივე მხარისათვის წამგებიანია, ან არადა ერთი მხარის მოგება მიიღწევა მეორის ნაგების ხარჯზე. (Kenneth W. Thomas, Ralph N. Kilmann. 2000)

**შესასწავლი პრობლემის მოკლე მიმოხილვა.** კონფლიქტის მიმართ ახალმა მიდგომამ პირველ პლანზე წამოსწია კონფლიქტის შესწავლის ისეთი ასპექტების მნიშვნელობა, როგორცაა ადამიანთა ქცევის ფორმები კონფლიქტურ სიტუაციაში, ასეთ ვითარებაში ქცევის სტრატეგიების არჩევის განმსაზღვრელი ფაქტორები, აგრეთვე კონფლიქტურ სიტუაციაში კონსტრუქციული ქცევის ხელშემწყობი ფაქტორები, პროდუქტიული სტრატეგიების არჩევის წამახალისებელი ხერხები თუ საშუალებები და ა.შ. ცხადია, რომ კონფლიქტის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც ცხოვრების უმძიმესი პირობებით გამონეული დაძაბულობა, გაღიზიანება, უამრავ სხვადასხვა სახისა და დონის კონფლიქტს წარმოქმნის.

**ჰიპოთეზა, მიზანი და ამოცანები.** სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა შეცვალა ტრადიციული გენდერული როლები. ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, ამ გენდერული როლების შეცვლა გარკვეულწილად აისახა კონფლიქტურ სიტუაციაში ქალისა და მამაკაცის ქცევის ფორმებზე, კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიების შერჩევაზე. გარდა ამისა, ჩვენი ვარაუდით, კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა ზეგავლენას ახდენს ასაკობრივი ფაქტორიც: ახალგაზრდული ენერჯია და შემართება ახალგაზრდებს უფრო მეტოქეობისაკენ უბიძგებს, ხოლო მონიფული ასაკის ადამიანები პრობლემას უფრო დინჯად და გააზრებულად უდგებიან. ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა კონკრეტულად მონიფული ასაკის, კერძოდ 35 წელს გადაცილებული ქალები და მამაკაცები, მათი ქცევის ტენდენცია კონფლიქტურ სიტუაციაში. აქედან გამომდინარე, ვვარაუდობდით, რომ ასაკოვანი ქალები ძირითადად მიმართავენ კონფლიქტურ სიტუაციაში თავის

არიდებისა და შეგუების სტრატეგიებს, ხოლო მამაკაცები უმეტესად, უპირატესობას მიანიჭებენ მეტოქეობას.

**2. ძირითადი ნაწილი.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა, კონკრეტულად მონიფული ასაკის, კერძოდ 35 წელს გადაცილებული ქალები და მამაკაცები, მათი ქცევის ტენდენცია კონფლიქტურ სიტუაციაში.

აღნიშნული პრობლემის შესასწავლად გამოყენებული იქნა კ. ტომასის კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის საკვლევი ტესტი. კონფლიქტურ სიტუაციაში ადამიანის ქცევის ტიპების აღწერისთვის ტომასი იყენებდა კონფლიქტის რეგულირების ორგანოზომილებიან მოდელს. ერთი განზომილებაა კოოპერაცია - კონფლიქტში მონაწილე სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინება, ხოლო მეორე - შეუპოვრობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია აქცენტი საკუთარი ინტერესების დაცვაზე. ამ ორი ძირითადი განზომილების შესაბამისად კ. ტომასი გამოყოფს კონფლიქტის რეგულირების შემდეგ ხერხებს:

1. შეჯიბრი (კონკურენცია) - საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვა, მეორე მხარის ინტერესების საზიანოდ;
2. შეგუება, შეჯიბრის საპირისპირო ხერხი. საკუთარი ინტერესების უგულვებლყოფა, სხვისი ინტერესების სასარგებლოდ;
3. კომპრომისი;
4. თავის არიდება - ამ შემთხვევაში დამახასიათებელია როგორც კოოპერაციისაკენ სწრაფვის, ასევე საკუთარი მიზნების მიღწევის ტენდენციის არსებობა;
5. თანამშრომლობა, როცა ხერხდება კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღება;

შესაბამისად, ტესტი 5 სკალს შეიცავს. ცდისპირის მიერ თითოეული სკალის მიხედვით მიღებული ქულების რაოდენობით ხასიათდება კონფლიქტურ სიტუაციაში შესაბამისი ქცევის ფორმის გამოვლენის ტენდენცია: რაც ბუფრო მაღალია ქულა, მით უფრო გამოხატულია სათანადო ტენდენცია. (Kenneth W. Thomas, Ralph N. Kilmann. 2000)

კვლევის შედეგად მიღებული მასალა დამუშავდა მათემატიკური სტატისტიკის შესაბამისი მეთოდებით, კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის - შშშ- გამოყენებით.

**კვლევითი ნაწილი.** კვლევაში მონაწილეობდა სულ 140 მონიფული ასაკის ცდისპირი (35-40



წლის ზემოთ), მათ შორის 70 მამაკაცი და 70 ქალი. პირველ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ასახავს მათ მიერ, სქესისა თუ ასაკის მიუხედავად, კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევის


განაწილებას. შედეგის თვალსაჩინოებისათვის იგივე მონაცემები წარმოდგენილია გრაფიკული სახითაც (იხ. ნახ. 1)

ცხრილი 1

კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიების შერჩევა მოზრდილთა შორის

მეტოქეობა		თანამშრომლობა		კომპრომისი		თავის არიდება		შეგუება	
საშუალო	სტ. გადახრა	საშუალო	სტ. გადახრა	საშუალო	სტ. გადახრა	საშუალო	სტ. გადახრა	საშუალო	სტ. გადახრა
<b>3.5</b>	2.71	<b>7.5</b>	1.75	<b>6.6</b>	1.81	<b>6.2</b>	1.87	<b>6.0</b>	1.97

კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიების შერჩევა მოზრდილთა შორის



ნახ. 1

ქცევის სხვადასხვა სტრატეგიის მაჩვენებლებს შორის განსხვავების სტატისტიკური სანდოობა შე-

მონდა სტიუდენტის კრიტერიუმის მეშვეობით. მიღებული შედეგი წარმოდგენილია მეორე ცხრილში.

ცხრილი 2

ქცევის ფორმების მაჩვენებლებს შორის განსხვავების შემოწმება (სტიუდენტის კრიტერიუმით)

	მეტოქეობა	თანამშრომლობა	კომპრომისი	თავის არიდება	შეგუება
მეტოქეობა		13.50; p=0.00	10.39; p=0.00	9.09; p=0.00	13.98; p=0.00
თანამშრომლობა			3.85; p=0.00	5.32; p=0.00	6.11; p=0.00
კომპრომისი				1.51; p>0.05	2.39; p<0.02
თავის არიდება					0.91; p>0.05

როგორც პირველი და მეორე ცხრილებიდან ჩანს, კონფლიქტურ სიტუაციაში მოზრდილთა ქცევის წამყვანი ფორმა თანამშრომლობაა, მეორე ადგილზე კომპრომისი, მესამეზე - თავის არიდება და შეგუება, უკანასკნელზე კი - მეტოქეობა.

სხვადასხვა სტრატეგიას შორის ურთიერთკავშირის დადგენის მიზნით ჩატარებული იქნა კორელაციური ანალიზი (პირსონის კორელაციის კოეფიციენტის გამოყენებით). მიღებული შედეგები ასახულია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის სხვადასხვა სტრატეგიებს შორის ურთიერთკავშირი  
(პირსონის კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობები)

	თანამშრომლობა	კომპრომისი	თავის არიდება	შეგუება
მეტოქეობა	<b>-0.260; p=0.003</b>	<b>-0.400; p=0.000</b>	<b>-0.512; p=0.000</b>	<b>-0.458; p=0.000</b>
თანამშრომლობა		-0.127; p=0.151	-0.091; p=0.301	-0.123; p=0.162
კომპრომისი			-0.135; p=0.126	-0.138; p=0.118
თავის არიდება				0.083 ; p=0.349

როგორც ვხედავთ, სტატისტიკურად სანდო კორელაცია, თანაც უარყოფითი ნიშნით, დასტურდება მხოლოდ მეტოქეობასა და ქცევის სხვა დანარჩენ სტრატეგიებს შორის. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო ნიშნეულია კონფლიქტის გადაჭრის ისეთი სტრატეგია, როგორცაა მეტოქეობა, მით უფრო ნაკლებად არის გამოხატული თავის არიდების, შეგუების, კომპრომისისა და თანამშრომლობის სტრატეგიების შერჩევის ტენდენცია.

**კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევის განდერულის თავისებურებაში მოზარდობის გავლენის გამოკვლევა**

მასალის დამუშავების შემდეგი ეტაპის მიზანი იყო კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიების არჩევის გენდერულ თავისებურებათა შესწავლა. ქალისა და მამაკაცის მიერ ცალ-ცალკე კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიების არჩევის ამსახველი მონაცემები წარმოდგენილია მე-8 ცხრილში (იხ. ასევე ნახ. 5 და 6)

ცხრილი 8


კონფლიქტურ სიტუაციაში ქალისა და მამაკაცის ქცევის სტრატეგიები

ქცევის სტრატეგია	ქალები		მამაკაცები		განხვავების შემოწმება	
	საშუალო მაჩვენებელი	სტანდ. გადახრა	საშუალო მაჩვენებელი	სტანდ. გადახრა	სტიუდენტის კრიტერიუმში	სანდობა p
მეტოქეობა	<b>3.1</b>	2.779	<b>3.9</b>	2.881	1.677	0.096
თანამშრომლობა	<b>7.4</b>	1.964	<b>7.6</b>	1.739	0.738	0.462
კომპრომისი	<b>6.4</b>	1.907	<b>6.8</b>	1.750	1.047	0.297
თავის არიდება	<b>6.7</b>	1.795	<b>5.8</b>	1.980	2.801	<b>0.006</b>
შეგუება	<b>6.2</b>	2.315	<b>5.8</b>	1.947	1.067	0.288


როგორც ვხედავთ, კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიების არჩევის თვალსაზრისით გენდერული განსხვავება, ფაქტობრივად, არ დასტურდება. მე-8 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ ქცევის 5 ტიპიდან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აღინიშნა მხოლოდ თავის არიდების მიხედვით, რომელიც ქა-

ლისთვის უფრო ნიშნეულია, ვიდრე მამაკაცისათვის. ქცევის ნამყვანი ფორმაა - როგორც ქალისა, ასევე მამაკაცისა - თანამშრომლობა. მეორე ადგილზეა კომპრომისი, თავის არიდება და შეგუება. არსანიშნავია, რომ მეტოქეობა ორივე გენდერულ ჯგუფში უკანასკნელ ადგილზეა.

ნახ. 5 კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიების განაწილება სქესის მიხედვით



ნახ. 6. კონფლიქტურ სიტუაციაში ქალისა და მამაკაცის ქცევის სტრატეგიები



**3. დასკვნა.** ამრიგად, მიღებული შედეგი გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ მოზრდილთა შორის კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიის არჩევაზე სქესის ფაქტორი გავლენას არ ახდენს. მოზრდილთა ქცევის წამყვანი სტრატეგიაა თანამშრომლობა, რომელიც უზრუნველყოფს კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარისათვის ხელსაყრელი გადანწყვეტილების მიღებას. მეორე ადგილზეა კომპრომისი, თავის არიდება და შეგუება. ამასთანავე თავის არიდების სტრატეგია ქალისათვის უფრო ნიშნულია, ვიდრე მამაკაცისათვის. კონფლიქტური სიტუაციის მოსაწესრიგებლად მოზრდილები, სქესის მიუხედავად, ყველაზე იშვიათად მეტოქეობას მიმართავენ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ მიღებული შედეგი განსხვავდება უცხოურ ლიტერატურაში არსებული მონაცემებისაგან, რომლებიც ადასტურებს

გენდერული განსხვავების არსებობას კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიების მიხედვით. კერძოდ, კონფლიქტის გადანწყვეტისას მამაკაცი უფრო ხშირად მიმართავს მეტოქეობასა და კომპრომისს, ქალი კი - შეგუებასა და თანამშრომლობას. განსხვავება არ ვლინდება მხოლოდ თავის არიდების სტრატეგიის მიხედვით.

საინტერესოა, რომ ჩვენი მონაცემებით განსხვავება დადასტურდა სწორედ თავის არიდების სტრატეგიის მიხედვით. ვფიქრობთ, რომ ეს ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარებით განპირობებული გენდერული როლების შეცვლა გარკვეულწილად აისახა ქალისა და მამაკაცის მიერ კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიის შერჩევაზე.

**ლიტერატურა/REFERENCES**

[1] ს. ფიშერი. ჯ. დუდინი. ს. უილიამსი. რ. სმიტი. კონფლიქტზე მუშაობა, უნარ-ჩვევები და სტრატეგიები. თბ. 2002 წ.

[2] Алешина Н. Е., Волович А. С. — проблемы усвоения ролей мужчины и женщины, Вопросы психологии, 1991, № 4.

[3] Берн. Ш. — гендерная психология, Москва, Олма-Пресс, 2002.

[4] Бурлачук Л. Ф. Коржова Е. Ю. Психология жизненных ситуаций. М. 1998.

[5] Kenneth W. Thomas, Ralph N. Kilmann <http://education.ge/index.php?do=definition/view&id=659>

**STUDY OF A PROFESSIONAL BURNOUT AMONG TEACHERS  
ACCORDING TO THEIR AGE AND WORK EXPERIENCE**

**ქეთევან ბერიძე,**

ფსიქოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. საქართველო, ბათუმი

**შორენა მესხიძე,**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი საქართველო, ბათუმი

**რუსუდან კეტჩაკმაძე,**

ფსიქოლოგიის დოქტორი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. საქართველო, ბათუმი

**KETEVAN BERIDZE,**

Associated Professor at Batumi Shota Rustaveli State University

**SHORENA MESKHIDZE,**

Assistant at Batumi Shota Rustaveli State University

**RUSUDAN KETCHAKMADZE,**

Associated Professor at Batumi Shota Rustaveli State University

**ანოტაცია**

სტატიაში განხილულია მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული საკითხები და ის სირთულეები, რომელთა წინაშეც დგება მასწავლებელი. ერთ-ერთ ასეთ სირთულეს წარმოადგენს პროფესიული გადაწვის სინდრომი, რომელიც უვითარდებათ იმ პროფესიის წარმომადგენლებს, რომლებსაც უხდებათ მუშაობა ადამიანებთან. აღნიშნული საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი და სწორედ ეს გახდა საკითხის კვლევის ძირითადი მიზეზი. კვლევის მთავარი მიზანი იყო პროფესიული გადაწვის თავისებურებების შესწავლა მასწავლებლებთან, კერძოდ, იმის დადგენა, კორელაციაშია თუ არა პროფესიული გადაწვა მასწავლებლის ასაკთან და სტაჟთან.

კვლევამ დაადასტურა, რომ მასწავლებლების პროფესიულ გადაწვაზე გავლენას ახდენს ასაკი და სამუშაო გამოცდილება. კერძოდ, ახალგაზრდა და ასევე, ახალბედა პედაგოგებისთვის დამახასიათებელია პროფესიული გადაწვის მაღალი მაჩვენებლები ორი მნიშვნელოვანი მიმართულებით: ემოციური გამოფიტვა და დეპერსონალიზაცია, რაც სავარაუდოდ, გამოწვეულია მათი არასაკმარისი პედაგოგიური უნარებით და პრაქტიკული გამოცდილებით.

**საკვანძო სიტყვები:** მასწავლებელი, სტრესი, პროფესიული გადაწვა, ასაკი, სტაჟი, ემოციური გამოფიტვა, დეპერსონალიზაცია.

**ABSTRACT**

The article discusses this problem related to the profession of a teacher and the difficulties that teacher has to face. One of these difficulties is a syndrome of a professional burn-

out, which develops to the representatives of this profession that have to work with pupils. The problem mentioned above has not been studied much, that is why it became the main aim reason of the research. The main goal of the research was to study the peculiarities of the professional burnout among teachers, namely, to determine whether the professional burnout is in correlation with age and work experience of teachers.

The study confirmed that the age and work experience affects upon the teachers' professional burnout. Namely, young and beginning teachers as well, are characterized by high rates of the professional burnout in two important directions: emotional emancipation and depersonalization.

**Keywords:** teacher, stress, professional burnout, age, work experience, emotional emancipation, depersonalization.

**1. შესავალი**

მასწავლებლის, პედაგოგის პროფესია, ისევე როგორც ექიმის, ერთ-ერთი უძველესია. თავისი არსით, პედაგოგი - ეს არის თაობათა შემაკავშირებელი რგოლი, საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილების მატარებელი. პროფესიათა სწრაფად ცვლად სამყაროში მასწავლებლის (პედაგოგის) პროფესია აგრძელებს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ მისი შინაარსი, შრომის პირობები, რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები იცვლება.

პედაგოგიური საქმიანობა წარმოადგენს მასწავლებლის აღმზრდელობით და საგანმანათლებლო ზემოქმედებას, მიმართულს მოსწავლეზე მისი პიროვნებისა და ინტელექტის განსავითარებლად. იგი ამავდროულად მისი თვითგანვითარებისა და



თვითსრულყოფის საფუძველია. ეს საქმიანობა შეიქმნა, როდესაც საზოგადოებრივი განვითარებისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი ამოცანა გახდა სანარმოო ჩვევებისა და სოციალური ქცევის ნორმების ნიმუშების შექმნა, შენახვა და თაობებისთვის გადაცემა.

მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობას აქვს იგივე მახასიათებლები, რაც ნებისმიერ სხვა საქმიანობას: მოტივირებულობა, საგნობრიობა, პროდუქტიულობა. პროდუქტიულობის თვალსაზრისით, კუზმინა [Зимняя И.А. 2000: 263–264] გამოყოფს მის ხუთ დონეს: რეპროდუქტიული, ადაპტიური, ლოკალურად მამოდელირებელი, მოსწავლეთა ცოდნის სისტემატურად მამოდელირებელი და მოსწავლეთა საქმიანობისა და ქცევის სისტემატურად მამოდელირებელი ანუ მალაპროდუქტიული.

წარმატებული პედაგოგიური საქმიანობა მოითხოვს გარკვეულ ფსიქოლოგიურ წინაპირობებს, რომელთა გათვალისწინებითაც შეიძლება ადამიანს მოუწონონ მისი არჩევანი - გახდეს მასწავლებელი. გარდა იმ ძირითადი ფაქტორებისა, რომელიც განაპირობებს პროფესიულ არჩევანს, ერთ-ერთი სპეციფიკური ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს სწორედ ამ პროფესიის არჩევას, არის ბავშვების სიყვარული, გამოცდილების მიღებაში მათთვის დახმარების განწევის სურვილი. ეს ფაქტორი, ნ. ვ. კუზმინას მიხედვით, ყველაზე ტიპურია [Зимняя И.А. 2000: 136].

ასევე, მნიშვნელოვანია ფსიქოფიზიოლოგიური წინაპირობები, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს პედაგოგიურ საქმიანობაზე. შეიძლება გავითვალისწინოთ ტემპერამენტის ძირითადი მახასიათებლები, როგორცაა: სენზიტიურობა, რეაქტიულობა, აქტიურობა, რეაქტიულობისა და აქტიურობის შეფარდება, რეაქციის სიჩქარე, პლასტიკურობა - რიგიდულობა, ემოციური აგზნებადობა, ექსტრავერსია - ინტროვერსია და სხვა.

დადგენილია, რომ იმ პროფესიების წარმომადგენლებში, რომლებსაც ადამიანებთან უხდებოდათ მუშაობა, ხშირად იჩენს თავს პროფესიული გადაწვის სინდრომი. მასწავლებლის პროფესიაც შედის იმ პროფესიათა კატეგორიაში, სადაც არსებობს პროფესიული გადაწვის სერიოზული საფრთხე.

**შესასწავლი პრობლემის მოკლე მიმოხილვა**

პროფესიული გადაწვა – ესაა სინდრომი, რომელიც ვითარდება ქრონიკული სტრესის ფონზე და იწვევს მომუშავე ადამიანში ემოციურ-ენერგეტი-

კული და პიროვნული რესურსების გამოფიტვას.

ტერმინი პროფესიული გადაწვა (Eng. Burnout) პირველად გამოიყენა კლინიკურმა ფსიქოლოგმა ჰერბერტ ფროიდენბერგერმა თავის პუბლიკაციაში (The Journal of Social Issues, 1974) იმ სინდრომის აღსანიშნავად, რომელიც ვითარდება ხანგრძლივი ემოციური გადაღლის, ფსიქოლოგიური გადაქანცულობის, სამუშაოში ჩაურთველობის, მომსახურებების მიმღებთა დეჰუმანიზაციის და შემცირებული პიროვნული მიღწევების კომბინაციის შედეგად.

პროფესიული გადაწვა – ესაა ადამიანის არასასიამოვნო რეაქცია სამსახურში მიღებულ სტრესზე, მათ შორის ფსიქო-ფიზიოლოგიურ და ქცევით კომპონენტებზე. გადაწვა შეიძლება ხასიათდებოდეს ემოციური, ფიზიკური და კოგნიტიური გამოფიტვით, რაც ვლინდება შემდეგი სიმპტომებით: იუმორის გრძნობის კლებით, ჯანმრთელობის გამო გახშირებული ჩივილებით, შრომის ნაყოფიერების ცვლილებით, თვითშეფასების დაქვეითებით და სხვა.

პროფესიული გადაწვის სინდრომი ვითარდება თანდათანობით და გადის სამ სტადიას (მასლანი, 1982):

**პირველი სტადია:**

იწყება ემოციების ჩახშობით, გრძნობათა სიმძაფრისა და განცდების სიახლის მიჩქმალვით. ადამიანი მოულოდნელად ამჩნევს, რომ თითქოს ყველაფერი კარგადაა, მაგრამ სულში მოწყენილობა და სიცარიელეა. ქრება დადებითი ემოციები, თავს იჩენს გარკვეული განრიდება ოჯახის წევრებთან მიმართებაში, წარმოიშობა შფოთის, დაუკმაყოფილებლობის განცდა. შინ დაბრუნებისას ჩნდება სურვილი თქვას: “ნუ მიძვრებით სულში, თავი დამანებეთ!”

**მეორე სტადია:**

წარმოიშობა გაუგებრობა კლიენტებთან, პროფესიონალი თავისი კოლეგების წრეში ზოგიერთი წევრის შესახებ დაუდევრად საუბრობს. თანდათან ვლინდება ანტიპათია კლიენტთა თანდასწრებით – თავდაპირველად ეს არის დიდი ძალისხმევით დაფარული ანტიპათია, შემდეგ კი გაღიზიანების ამოფრქვევა. პროფესიონალის მსგავსი საქციელი – ეს არის ურთიერთობისას თავდაცვის შეგრძნებების გაუთვითცნობიერებელი გამოვლენა, რომელიც აჭარბებს ორგანიზმისათვის არასახიფათო დონეს.

**მესამე სტადია:**

ცხოვრების ღირებულებების შესახებ წარმოდგენები მინავლების პროცესშია, სამყაროსადმი

ემოციური მიმართება „ბრტყელდება“, ადამიანი სახიფათოდ გულგრილი ხდება ყველაფრისადმი, საკუთარი ცხოვრების მიმართაც კი. ასეთმა ადამიანებმა ჩვეულებისამებრ, შეიძლება შეინარჩუნონ გარეგნული რესპექტაბელურობა და გარკვეული თავდაჯერებულობა, მაგრამ ისინი ინტერესს კარგავენ ყველაფრის მიმართ.

მიუხედავად პროფესიული გადაწყვეტილების სინდრომის კვლევების ამერიკული წარმოშობისა, დღესდღეისობით, კვლევა პროფესიულ გადაწყვეტილებაზე მრავალ ქვეყანაშია ჩატარებული.

ფარბერის მიხედვით, ამერიკელი მასწავლებლების დაახლოებით 30- 35% ძლიერ უკმაყოფილოა თავისი სამუშაოთი და 5-20 % პროფესიულად გადამწვარია (არბერ, 1991). აშშ-ს გარდა, მასწავლებლის გადაწყვეტილების შესახებ კვლევები ჩატარებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: კანადა, ინგლისი, ფინეთი, დანია, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, საბერძნეთი, მალტა, კვიპროსი, შოტლანდია, შვედეთი, ნიგერია, ისრაელი, ავსტრალია, თურქეთი და სხვა. ამ კვლევების მონაცემები აჩვენებს, რომ დასავლურ სამყაროში და ასევე, აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მასწავლებლების დაახლოებით 10 – 40% მწვავე სტრესის ან გადაწყვეტილების მსხვერპლია. მასწავლებელთა შორის ჩატარებულ კვლევებში პროფესიული გადაწყვეტილების ხარისხი მერყეობს 10%-დან 40%-მდე დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და დაახლოებით 50%-ია აზიის ზოგიერთ ქვეყანაში (Maslach, Schaufeli and Leiter, 2001). პროფესიული გადაწყვეტილების მაჩვენებელი დაახლოებით 50-70%-ს აღწევს ისეთ აზიურ ქვეყნებში, როგორცაა იაპონია და ტაივანი (Maslach, Schaufeli and Leiter, 2001).

ნ. ამინოვისა და ლ. ფიოდოროვის კვლევებმა დაამტკიცეს, რომ ოცი წლის მუშაობის შემდეგ პედაგოგთა აბსოლუტურ უმრავლესობას ეწყება ემოციური გადაწყვეტილება, ხოლო ორმოცწლიანი მოღვაწეობის ფარგლებში ყველა პედაგოგი „ინვის“. გარდა ამისა, დამწყებ პედაგოგებშიც კი სოციალური ადაპტაციის ხარისხის მაჩვენებელი უფრო დაბალი აღმოჩნდა, ვიდრე ნევროზიან პაციენტებში, რაც ქმედებებში ვლინდება თავშეუკავებლობით, უხეშობით, ყოყმანით, შფოთით.

**კვლევის აქტუალობა:**

პედაგოგიური კონტიგენტის ამტანიანობის, პედაგოგების პროფესიული გადაწყვეტილების პრობლემები ჩვენთან ნაკლებად შესწავლილი სფეროა და ამავე დროს უდავოა, რომ რთული მრავალნახანაგოვანი პედაგოგიური სამუშაოს შესრულება

აუცილებლად გულისხმობს მდგომარეობის შენარჩუნებას და ამის გამო პროფესიული გადაწყვეტილების გათვალისწინებას.

**კვლევის მიზანი:**

პედაგოგთა პროფესიულ გადაწყვეტილებაზე მასწავლებელთა ასაკისა და პედაგოგიური სტაჟის გავლენის შესწავლა.

**კვლევის ამოცანა:**

გამოვავლინოთ პროფესიული გადაწყვეტილების მაჩვენებელი მასწავლებელთა სამუშაო გამოცდილებისა და ასაკის შესაბამისად.

**ჰიპოთეზა:** კვლევის ჰიპოთეზის შესაბამისად ივარაუდება, რომ პედაგოგთა პროფესიულ გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს მასწავლებელთა ასაკი და სამუშაო გამოცდილება, კერძოდ, ვფიქრობთ, რომ პროფესიული გადაწყვეტილება დამახასიათებელი იქნება უფროსი ასაკის მასწავლებლებისთვის და ასევე, მეტი სამუშაო გამოცდილების მქონე პედაგოგებისთვის.

**2. ძირითადი ნაწილი.**

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა პროფესიული გადაწყვეტილების შესწავლას მასწავლებლებთან.

ექიმების, მასწავლებლების ან სოციალური მუშაკების პროფესიული გადაწყვეტილების საკვლევად, ყველაზე პოპულარულ და სანდო ინსტრუმენტს წარმოადგენს კრისტინა მასლაჩის პროფესიული გადაწყვეტილების საკვლევ ინსტრუმენტი (Maslach, MBI-ES Maslach Burnout Inventory, 1986). პროფესიული გადაწყვეტილების თავდაპირველი, ერთგანზომილებიანი მოდელიდან მასლაჩმა განავითარა მრავალგანზომილებიანი მოდელი და გამოყო სამი სკალა: **ემოციური გამოფიტვა, დეპერსონალიზაცია და შემცირებული პიროვნული მიღწევა.**

ემოციური გამოფიტვის (EE) დროს პიროვნება გრძნობს, რომ პირადი ემოციური რესურსი ამოწურა და სტრესორებისადმი ძლიერ მონყვალაია, უჩნდება დაღლილობის შეგრძნება, რომელიც გამოწვეულია სამსახურის სპეციფიკით. დეპერსონალიზაციის (DP) დროს პიროვნება ახდენს საკუთარი თავის სხვებისაგან დისტანცირებას და სხვას არ განიხილავს, როგორც პიროვნებას. იგი შეიძლება გამოიხატოს მოსწავლეებისა და სამუშაო გარემოსადმი ცინიკური დამოკიდებულებით. პიროვნული მიღწევების რედუქციის (PA) დროს მუშაკს უვითარდება საკუთარ პროფესიულ სფეროში არაკომპეტენტურობის, წარუმატებლობის განც-

და, დაბალი მიღწევის მოთხოვნილება. პიროვნება საკუთარ სამუშაოს სხვებთან შედარებით დაბალ შეფასებას აძლევს (Maslach, Jackson and Leiter, 1996; Maslach, 1982, 1998; Maslach et al., 2001).

კვლევაში გამოყენებულ იქნა ქართულ ენაზე ადაპტირებული კ. მასლაჩის პროფესიული გად-

ანვის საკვლევო ინსტრუმენტი. კვლევა ჩატარდა ბათუმის და ქობულეთის საჯარო სკოლებში და მონაწილეობა მიიღო 200 - მა რესპოდენტმა. კვლევა ჩატარდა 4 ასაკობრივ ჯგუფში (თითოეულ ჯგუფში რესპოდენტთა რაოდენობა - 25).


ცხრილი 1. ჯგუფების მახასიათებლები

ქალაქი	სკოლა	რესპოდენტების რაოდენობა სქესის მიხედვით		ასაკი			
		ქალი	კაცი	23-30 წლის	31-40 წლის	41-50 წელი	51 წლის და მეტი
ბათუმი	I, II, VIII, IX, XV	100	100	25 ც.პ.	25 ც.პ.	25 ც.პ.	25 ც.პ.
ქობულეთი	I, II, III, IV, V, VI, VII						

ჩატარებული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ჩვენს მიერ გამოკითხულ რესპოდენტთა ემოციური გამოფიტვის მაღალი მაჩვენებელი ვლინდება

ახალგაზრდა პედაგოგებთან (23-30 წელი), რაც ვფიქრობთ, განპირობებულია გამოცდილების ნაკლებობით.


დიაგ.1



რაც შეეხება დეპერსონალიზაციას, კვლევის მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ დეპერსონალიზაციის მაღალი დონე ვლინდება ახალგაზრდა პედაგოგებთან (რესპოდენტების 60%) და ასევე, 41-50 წლის

მასწავლებლებთან (რესპოდენტების 52%). ჩვენი აზრით, ამის გამომწვევია ის, რომ პედაგოგებს აქვთ ნაკლები გამოცდილება, რაც თავისთავად ზრდის შფოთვის დონეს.


დიაგ. 2



პროფესიონალიზმის რედუქციის კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ მახასიათებლის

მიხედვით სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ ფიქსირდება.


დიაგ. 3



ასევე, ჩვენი ამოცანა იყო გვეკვლია, ახდენს თუ არა გავლენას სამუშაო გამოცდილება პროფესიულ გადარჩევაზე. ირკვევა, რომ ახალდამწყები პედაგოგების 39% - ს ახასიათებს ემოციური გამოფიტვის

ვის მაღალი დონე, ხოლო ემოციური გამოფიტვის საშუალო დონე ვლინდება 11-15 წლამდე სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებლებთან, სულ 64%.


დიაგ. 4



რაც შეეხება დეპერსონალიზაციას, ზოგადად, სტატისტიკურად სანდო მაჩვენებლებია ყველა

ჯგუფში, თუმცა, ყველაზე მაღალი დონე ვლინდება ახალდამწყებ პედაგოგებთან - 57%.


დიაგ. 5





პროფესიონალიზმის რედუქციის მიხედვით სან- დილების მქონე პედაგოგთა არც ერთ ჯგუფში. დო განსხვავებები არ შეინიშნება სამუშაო გამოც-

დიაგ. 6



### 3. დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ მასწავლებლების პროფესიულ გადანვაზე გავლენას ახდენს ასაკი და სამუშაო გამოცდილება, თუმცა, მიღებული შედეგები ეწინააღმდეგება ჩვენს ჰიპოთეზას, სადაც ვვარაუდობდით, რომ პროფესიული გადანვის მაღალი მაჩვენებლები ექნებოდათ მეტი პედაგოგიური სტაჟის მქონე პედაგოგებს. კვლევის შედეგების მიხედვით კი აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა და ასევე, ახალბედა პედაგოგებისთვის დამახასიათებელია პრო-

ფესიული გადანვის მაღალი მაჩვენებლები ორი მნიშვნელოვანი მიმართულებით: ემოციური გამოფიტვა და დეპერსონალიზაცია, რაც ნარმოადგენს ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს. ვფიქრობთ, მიღებული შედეგები განპირობებულია იმით, რომ ახალდამწყები პედაგოგებს არა აქვთ გავარჯიშებული პედაგოგიური უნარები, არა აქვთ საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება, რაც მნიშვნელოვანი ზრდის შფოთვისა და სტრესის დონეს და შესაბამისად, ინვესს მათ პროფესიულ გადანვას.

### ლიტერატურა/REFERENCES

- [1] Farber B.A. Crisis in education: stress and burnout in the teachers. San Francisco: Jossey – Bass, 1991
- [2] Maslach Christina, Jackson Susan E. and Michael P. Leiter. Maslach Burnout Inventory Manual, Third Edition, Mountain View, California, CPP, Inc. 1996
- [3] Maslach C., Schaufeli W. B., & Leiter M.P. Job burnout. Annual Review of Psychology, 2001. 52, 397 - 422
- [4] Maslach C. Burnout: the cost of caring, Englewood Cliff, NJ, Prentice Hall, 1982
- [5] Maslach C. Chronic outcomes: Burnout. In J.M. Stellman (Ed.), Encyclopedia of Occupational Health and Safety, 1998. Vol.2 (34. 64). Fourth edition, Geneva: International labor Office
- [6] Зимняя И. А. Педагогическая психология. М. : „Логос,“ 2000

**რეგიონის (აჭარის) ისტორიულ-მხარეთმცოდნეობითი მასალების გამოყენება საქართველოს ისტორიის სწავლების შინაარსში (ანტიკური ეპოქა)**

**HISTORICAL-LOCAL RESEARCH OF THE REGION (ADJARA) USE OF MATERIALS IN THE HISTORY OF GEORGIA IN THE CONTENT OF THE TEACHING**

**ნაირა ტაბიძე,**

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო, ბათუმი

**NAIRA TABIDZE,**

Professor of Batumi Navigation Teaching University. Georgia, Batumi

**ანოტაცია**

მოზარდში სამშობლო ქვეყნის აღქმა და განცდა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სოფლის, რაიონის, ქალაქის, მხარის შესწავლით იწყება და ამდენად, ქვეყნის ისტორიის შესწავლაც სწორედ მათ საფუძვლიან ათვისება-გააზრებას უნდა ეფუძნებოდეს. სწორედ ამ მიზანს ისახავს წარმოდგენილი ნაშრომი, რომლის აქტუალურობა განპირობებულია იმ დიდი მნიშვნელობით, რაც საქართველოს ისტორიის სწავლებას ენიჭება მოსწავლე ახალგაზრდობის პატრიოტული, ზნეობრივ-ესთეტიკური და ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

ნაშრომში განხილულია აჭარის ისტორიულ-მხარეთმცოდნეობითი მასალები საქართველოს ისტორიის ცალკეული პერიოდების მიხედვით. მასში წარმოდგენილია ცხრილი, რომლის ერთ გრაფაში ჩამოთვლილია საქართველოს სხვადასხვა ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები, ხოლო მეორეში ნაჩვენებია შესაბამისი პერიოდის ადგილობრივი (აჭარის) ისტორიულ-მხარეთმცოდნეობითი მასალები.

ფიქრობთ, აღნიშნული მასალა დაინტერესებს მოსწავლეებს, დააფიქრებს იმაზე თუ რა დიდი ისტორიული წარსულის მქონეა საქართველოს ეს მხარე.

**საკვანძო სიტყვები:** ანტიკური, აფსირტი, გონიო, მხარეთმცოდნეობა, განძი.

**ABSTRACT**

The perception of the country's homeland starts with the study of their own village, district, city, and therefore the study of the history of the country should be based on their thorough exploitation. This is the purpose of the presented work, which is due to the significance of the importance of teaching Georgian history to the students youth patriotic, moral-aesthetic and national spirit.

The history of the Adjara according to the individual periods is considered in the paper, in which is shown a chart with a list of the monuments of material culture of different ep-

*ochs of Georgia, And the second is shown by local (Adjarian) historical-local materials of the relevant period*

*I think that the material will be interesting for the students to think about that Georgia is having a great historical past.*

**Keywords.** *Antique, Apply, Gonio, Lore, Treasure.*

მოზარდში სამშობლო ქვეყნის აღქმა და განცდა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სოფლის, რაიონის, ქალაქის, მხარის შესწავლით იწყება და ამდენად, ქვეყნის ისტორიის შესწავლაც სწორედ მათ საფუძვლიან ათვისება-გააზრებას უნდა ეფუძნებოდეს. სწორედ ამ მიზანს ისახავს წარმოდგენილი ნაშრომი, თემის აქტუალურობა განპირობებულია იმ დიდი მნიშვნელობით, რაც საქართველოს ისტორიის სწავლებას ენიჭება მოსწავლე ახალგაზრდობის პატრიოტული, ზნეობრივ-ესთეტიკური და ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოთა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ისინი ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ასახავენ ქვეყნის ყველა ისტორიული მხარის მდიდარ წარსულს. მაგალითად, ძველი კლარჯეთის ნაწილი—აჭარა სუსტადაა გაშუქებული სახელმძღვანელოებში. ის უამრავი მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც ამ კუთხის ისტორიულ მემკვიდრეობაზე მიუთითებენ, ასახავს ვერ პოულობენ მათში. (ფიჭვნარი, გონიო, პეტრა, სხალთა და სხვა).

პედაგოგიური საქმიანობის მანძილზე ყოველთვის მქონდა სურვილი ეს ხარვეზი შემევსო ჩვენი მხარის (აჭარის) ისტორიულ-მხარეთმცოდნეობითი მასალებით და ამით დამეძლია ის სიძნელები, რასაც საქართველოს ისტორიის სწავლებისას ვაწყდებოდი. შევეცადეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ეპოქების მიხედვით ის მასალა წარმოგვედგინა, რომელთა დამატებით გამოყენება-ჩართვა გაამდიდრებდა, საინტერესოს გახდიდა ისტორიის შესწავლას.

ნაშრომში წარმოდგენილია ცხრილი რომლის ერთ გრაფაში ნაჩვენებია ისტორიული პერიოდიზაცია, ხოლო მეორეში შესაბამისი პერიოდის შესასწავლად რეკომენდირებული ადგილობრივი (აჭარის) ისტორიულ-მხარეთმცოდნეობითი მასალები.

საქართველოს ნებისმიერი რეგიონი იძლევა იმის საშუალებას, რომ პედაგოგმა პროგრამული მასალა გაამდიდროს თავისი ქალაქისა თუ სოფლის ისტორიული წარსულის, დღევანდელი დღის მასალებით, რაც ხელს შეუწყობს, როგორც მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის ზრდას, ასევე პატრიოტული

გრძნობების გაღვივებას. ამის საუკეთესო საშუალებაა მატერიალური კულტურის ძეგლების გაცნობა-შესწავლა, ისტორიული გმირების თანამედროვეთა მემსიერებაში გაცოცხლება და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალების შესწავლა-გაანალიზება.

ყველა ზემოთქმულის გათვალისწინებით, შევეცადეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რეგიონის ის მასალა წარმოგვედგინა, რომელთა დამატებით გამოყენება-ჩართვა გაამდიდრებდა და საინტერესოს გახდიდა ისტორიის გაკვეთილებს.

**აჭარის ისტორიულ-მხარეთმცოდნეობის მასალები საქართველოს ისტორიის ცალკეული პერიოდების მიხედვით**

ისტორიული პერიოდიზაცია	(აჭარის) ისტორიული მატერიალური კულტურის ძეგლები
1 უძველესი ხანის ძეგლები	ბეშუმისა და შქერნალის ტერიტორიაზე კაჟისა და ოფსიდიანის ნუკლეუსები, დანა სახოკები, ანატექცები სულ 35 ცალი, კვირიკე, მახვილური ღორჯომი-ყუადაქანებული ცული, სოფ. კოკოტაური-თიხის ჭურჭლები, მახუნცეთი- ბრინჯაოს წალდი, დიდაჭარა, სიხალიძეები, ზუნდაგა, ხიხანის განძი, მახო, თხილნარი, კირნათი, ერგე, ციხისძირი, ზენითის განძი.
2 ანტიკური ხანის ძეგლები	ფიჭვნარი, გონიო-აფსაროსი, მახვილური, კვაშტის ნამოსახლარი.
3 შუა საუკუნეობრივი სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები	ბათუმის ანუ თამარის ციხე, პეტრას ციხე, ხინოს საეპისკოპოსო სხალთის ტაძარი. აგარის, კალოთას, თხილვანის, ვერნების ეკლესიები. ცივასულას, სალორეთის, გულეების, ზენდიდის, ტაკიძეების, ჩხუტუნეთის ციხე, ჩეხედანას ტაძარი, ცხრაფონას ამალეების საყდარი, აჭის ეკლესია.
4 ახალი და უახლესი ხანის ძეგლები	ახალშენის ფერისცვალების ეკლესია, წმ.ნიკოლოზის ტაძარი, ბარბარეს ეკლესია, ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, წმ. პანტელეიმონის სახელობის ტაძარი, წმ. კონსტანტინე და ელენეს სახელობის ტაძარი, ბათუმის ყოველწმინდა სამების ტაძარი, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი და სხვა.

ბუნებრივია ყველა ეპოქის მასალას ერთ ნაშრომში ვერ წარმოვადგენთ, მაგრამ საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ანტიკური ეპოქის ერთერთ მნიშვნელოვან გონიო აფსაროსის-ისტორიას.

ძველი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია **გონიო-აფსაროსი**.

გონიო-აფსაროსი არაერთხელ მოიხსენიება რომაელ და ბიზანტიელ ავტორებთან (პლინიუსი, არიანე, დოროთეოს ტვირელი, ეპიფანე კვიპროსელი, თეოდორიტე კვიპრელი, პროკოფი კესარიელი).

ბიზანტიური წყარო (“პასქალური ქრონიკა”) აფსაროსს პარემბოლეს (ციხე-სიმაგრეს)

უწოდებს, ხოლო ბიზანტიელი მწერალი ეპიფანე კონსტანტინოპოლელი აფსაროსს სამხედრო ბანაკად წარმოგვიდგენს.

ქართველი მწერალი იოანე საბანისძე (IX) “აფსარეას ქალაქს” ახასიათებს და მის დანიშნულებაზე საუბრობს (78:120). სახელწოდება “გონია-აფსაროსი” ციხემ მოგვიანებით შეიძინა.

გონიას ვახუშტი “მცირე ქალაქსა” და ციხეს უწოდებს (1:690).

გონიოს შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის თურქი მოგზაური ევლია ჩელები, რომელიც აღნიშნავს, რომ გონიო ტრაპზონის ვილეთის ბათუმის სანჯაყში შედიოდა.

გონიოს ციხის დასურათება XVII ს I ნახევარში მოღვაწე იტალიელმა მისიონერმა დე კასტელმა დაგვიტოვა.

აფსაროსი-სახელი ამ ციხისა (არტემიდორე ეფესელის, არიანეს, პროკოფი კესარიელის ცნობების მიხედვით), უკავშირდება არგონავტების კოლხეთში ლაშქრობას. თანახმად, მითისა, როცა იაზონის რაზმმა (მედეას დახმარებით) არესის წმინდა ჭალიდან ოქროს საწმისის გატაცება მოახერხა და მედეასთან ერთად გემ “არგოთი” გეზი ელადისაკენ აიღო, მეფე აიეტმა მათ საკუთარი ფლოტი დაადევნა, რომელსაც ტახტის მემკვიდრე აფსირტე სარდლობდა. ოლხები “არგოს” მდ. აფსაროსის შესართავთან წამოეწვივნენ. მედეას რჩევით იაზონმა აფსირტე გემზე მოიპატიჟა, სიცოცხლეს გამოასალმა და ნაწილ-ნაწილ აკეზა. არგონავტებმა იალქნები ასწიეს და აფსირტეს გვამის ნაწილებს მდევართა შეყოვნების მიზნით ზღვაში თანდათანობით ყრიდნენ. ძველი ავტორების მიხედვით, კოლხებმა აფსირტეს სხეულის ნაწილები შეკრიბეს, ხმელეთზე გადაიტანეს და იქ დაასაფლავეს, სადაც ახლა გონიოს ციხე დგას

ჩვ.წ. II საუკუნის მოღვაწე არიანე აღნიშნავდა: “ამბობენ, რომ ადგილი აფსაროსი ოდესღაც აფსირტედ იწოდებოდა, იმის გამო, რომ თიღქოს აქ მედეას ხელით დაიღუპა აფსირტე (აფსირტეს საფლავსაც უჩვენებდნენ) ხოლო შემდეგ კი, სახელი მეზობელმა ბარბაროსებმა დაამახინჯეს.

აფსაროსის ახალი სახელწოდება გონიო, გონია პირველად XII ს. ბოლოდან ჩნდება. მას პირველად იყენებს მწერალი ხაჯი კალფა. მისი ცნობით, გონია საქართველოს საზღვარზე მდგარი ციხე-სიმაგრე და მცირე ქალაქიც არის, სადაც სავაჭრო ურთიერთობები ჰქონიათ გენუელ ვაჭრებს და სახელწოდებაც შესაძლოა მათგან მოდიოდეს. გარდა ამ ჰიპოთეზისა, არსებობს სხვა ვერსიებიც: ყველაზე უფრო მისაღები უნდა იყოს იმათი ვარაუდი, რომლებიც ამ ტოპონიმს ზანურ გამოთქმას “წყარი გონიას ორთუ”-ს უკავშირებენ, რაც ნიშნავს მდინარე ადიდებულა, ბრუნავს, მორევს აკეთებს (5:121).

არქიტექტურული მონაცემების მიხედვით გონიო-აფსაროსის უძველესი სამშენებლო პერიოდის დღემდე გამოვლენილი ნაგებობები რომაულ ხანას განეკუთვნება, თუმცა, ციხეს ეტყობა ბიზანტიური და თურქული ხანის შეკეთებები, აგრეთვე, ოსმალთა დანაშენები ქონგურების სახით.

ბერძნული კოლონიზაციისა და კოლხთა სამეფოს წარმოქმნამ, (ძვ.წ. VI ს), როგორც აღმოჩენები ადასტურებენ, აფსაროსს გვერდი აუარა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. VI-II სს. ეწინავეობდა ქალაქი, რომელიც ქობულეთ-ფი-

ჭენარის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა, გონია-აფსაროსი ამ მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრის გაგრძელებაა.

აფსაროსი ახალი წელთაღრიცხვის I ს-ის II ნახევრიდან მოქმედ ციხედ მოიხსენიება, რაც არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ ნაპოვნია იმპერატორების ნერონისა და დომიციანეს (81-96 წწ) სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტები, ცრუყურიანი ნითელლაკიანი ჯამები; მინის ბალზამარები, იტალიური ბრინჯაოს ლათინურ წარწერიანი ჭრაქი (5:115).

ახ.წ. II ს. I ნახევარში აფსაროსი მნიშვნელოვანი საქალაქო პუნქტი ყოფილა.

VI ს. მწერალი პროკოფი კესარიელი აღნიშნავდა: “ეს ქალაქი ძველად მრავალრიცხოვანი ყოფილა, მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრით და ჰიპოდრომით და მრავალი სხვაც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია”. ციხე-ქალაქ აფსაროსში ცხოვრების გამოცოცხლება VI ს. იწყება. აფსაროსისა და სხვა ბაზების გამოყენებით ბიზანტიელებმა მიიტაცეს მთელი კლარჯეთის ზღვისპირეთი: “კულად წაიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი”, რომელიც ტაოს მეფემ დავით დიდმა კურაპალატმა დროებით შესძლო ბიზანტიელებისაგან გამოეხსნა, მაგრამ მოგვიანებით XI ს. II ნახევრიდან კლარჯეთის ზღვისპირეთი, აჭარა, შავშეთი, არტაანი, ბასიანი თურქ-სელჩუკებმა მოაოხრეს. მალე საქართველოში “დიდი თურქობა” დაიწყო “მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანასასა ვითარცა მკალნი და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქთა (1080წ)” (58:120). დავით აღმაშენებელმა თითქმის მთელი საქართველო გაათავისუფლა თურქთაგან. XV ს. II ნახევარში აჭარა ოსმალებმა დაიკავეს. აჭარა, გონია საქართველოში ატეხილ შიდა საომარ ასპარეზად იქცა: მზეჭაბუკ ათაბაგმა (1502-1535) დაამარცხა გურიელი და დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნა, მაგრამ იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1548) მურჯახეთის ომით (1535) ისევ წაართვა აჭარა და ჭანეთი და მათთან ერთად “მცირე ქალაქი და ციხე გონია, რომელიც გურიელს გადასცა” — გადმოგვცემს ვახუშტი.

გონიოს ციხე შაჰ-აბასისაგან დევნილი კახეთის მეფის თეიმურაზ I (1606-1610) რეზიდენცია იყო.

1654 წ. გონიოს ციხე შავ ზღვაზე მოთარეშე დონელ კაზაკთა რაზმმა აიღო, მაგრამ თურქმა იანიჩარებმა ისინი მალე ამოჟლიტეს, თავიანთი



პოზიციები გაიმაგრეს აქ და იგი ტყვეთა სყიდვის ერთ-ერთ ცენტრად გადაქცევს. 1672 წელს გონიოში განლაგებულმა თურქებმა გაძარცვეს ცნობილი ფრანგი კომერსანტი და მოგზაური ჟან შარდენი. 1714 წელს გონიოში ოსმალთა მეზობეობა ასევე გაძარცვეს და შეურაცხვეს ევროპიდან მომავალი საქართველოს ელჩი სულხან-საბა-ორბელიანი, როგორც ვხედავთ, ისტორიის ბედუკუდმართობამ ერთ დროს აყვავებული ციხე-ქალაქი ტყვეთა სყიდვის ერთ-ერთ ცენტრად აქცია, მოსპო და გაანადგურა ათასწლეულების მანძილზე შექმნილი აქაური მოსახლეობის თვითმყოფადი კულტურა.

1878 წელს გონიო, მთელ აჭარასთან ერთად ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლდა.

სანკტ. პეტერბურგში დაცულია საარქივო მასალები, რომლის თანახმადაც გონიო-ავსაროსის არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ჰენრიხ შლიმანის ინტერესებში შედიოდა, მაგრამ ამ უკანასკნელს საიმპერატორო კარისაგან დასტური ვერ მიუღია.

1904 და 1917 წწ. გონიო-ავსაროსის ტერიტორიაზე არქეოლოგიური მუშაობის წარმოებისათვის ნებართვა მიუციათ ცნობილი მეცნიერის ნ. მარისა და თ. უსპენსკისათვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერც ეს სამუშაოები შესრულდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის კვლევითი ინსტიტუტის გახსნის შემდეგ, 60-ანი წლებისათვის გახდა შესაძლებელი აქ საველე-სადაზვერვო ხასიათის სამუშაოების ჩატარება.

არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებულია მდიდარი ნივთიერი მასალა, რომელიც წარმოადგენს მდიდარ ისტორიულ წყაროს წარსული ეპოქების კვლევისათვის. მათ შორის მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა: კერამიკული ნაკეთობანი, აგურები, კრამიტი, წყალგაყვანილობის მილები, ქვევრები, დერგები, ქოთნები, ჯამები, ლანგრები, სასანთლები და ა.შ.; განვითარებული და გვიან შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკის შესანიშნავი ნიმუშები: ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს სამკაულები: საყურეები, ბეჭდები, რგოლები, გულსაკიდები, მძივები, სამაჯურები, ქინძისთავები (5:126); სხვადასხვა დანიშნულების ნივთები: კოვზები, მახათები, ნემსები, დანები, ჭრაქები, ნალები, ოქრომჭედლის ჩაქუჩი, ყალიბი და ა.შ. ბევრია ნაპოვნი ქვის ჭურვები, შურდულის ქვები, სალესები, ზარბაზნის ლულის ნატეხები, მდიდარი კოლექცია დაგროვდა მინის ნაწარმის მიხედვით.

როდესაც გონიო-ავსაროსზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1974 წელს გონიოს ციხის მახლობლად ფერდობზე გზის გაყვანისას აღმოჩენილი ოქროს განძი, რომელშიც წარმოდგენილია შიშველი ჭაბუკის ქანდაკება, კანელურე-

ბიანი ფილა, მასიური ნახნაგოვანი სამაჯურები, მედალიონი ჰელიოსის გამოსახულებით, ცხოველთა ბრძოლის ამსახველი გარსაკრავი, მხედრის, ფრინველისა და ცხოველის სტილიზებული გამოსახულებიანი, მოთვალული და დაცვარული ბალთები, ცვარით გამოყვანილი სამკუთხედებით შემკული მძივსაკიდები, ნული ძეწკები, კილიტები, ლილაკები და ა.შ. "გონიოს განძი" ახ.წ. I საუკუნით თარიღდება (5:124).

რომაული ხანის პერიოდიდან გონიო-ავსაროსში გამოვლენილია აბანოების ე.წ. თერმების ნაშთები. ორი აბანოს საძირკველისა და კედლების გარკვეული ნაწილი. მიკვლეულია, აგრეთვე, საქვაბე განყოფილება, იატაკის საყრდენი ქვის გათლილი სვეტები. ამოვლენილია ძველი აბანოს ნანგრევებზე ოსმალური ტიპის აბანო. რომაული ხანის (II-IIIს) ეპოქიდან აღმოჩენილია აგრეთვე მონუმენტალური ნაგებობების ნაშთები.

რომაული ხანის მასალათაგან აღსანიშნავია სამეურნეო-სახელოსნო უბანი, სადაც მიკვლეულია 17-მდე ქვის ხელნისქვილი, რომაული ვერცხლის მონეტების განძი. აქვე ნაპოვნია ბავშვის სამარხი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ნაკეთობანი. მათ შორის რომის იმპერატორების სახელით მოჭრილი მონეტები. აქვე აღმოჩნდა ამფორების გამოსანვავი ქურები.

საგანგებოდაა შესწავლილი გონიო-ავსაროსის უცხოური ამფორები. დადგენილია ცალკეული ტიპები, ქვეტიპები. მოხერხდა ზოგიერთი მათგანის წარმომავლობისა თუ ქრონოლოგიის ახლებური განსაზღვრა. ეს შეეხება კოსურ, იტალიკურ, და სამხრეთ შავიზღვისპირეთში წარმოებულ ზოგიერთი ტიპის ამფორებს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, გარკვეულია გარესამყაროსთან ურთერთობის ხასიათი ცალკეული ეტაპების მიხედვით. მოტანილია ახალი მასალა ამფორების დანიშნულებასთან დაკავშირებით.

ამფორის (ლათ.ამპჰორა), როგორც ორყურა ჭურჭლის წარმოებას, ძველ აღმოსავლეთს, სახელდობრ ქანაანს უკავშირებენ, საიდანაც ეგვიპტელების მეშვეობით მისი ფორმა ბერძნებმა გადმოიღეს, სრულყვეს და ფართოდ გაავრცელეს მთელ ანტიკურ სამყაროში, როგორც ყველაზე პრაქტიკული და მოხერხებული ჭურჭელი სამეურნეო და სავაჭრო საქმიანობისთვის, მაგრამ ძირითადად ამფორები, სატრანსპორტო-გადასაზიდი საშუალება იყო. ამფორა, როგორც თხევადი და მშრალი ნედლეულის გადასატანი საშუალება, წამყვანი იყო, როგორც საზღვაო, ისე სამდინარეო ტრანსპორტში, რაც მათი სპეციფიკური ფორმის კონკრეტული პირობებისადმი მისადაგებით იყო განპირობებული. გაცილებით რთული იყო ამ-

ფორების ტრანსპორტირება ხმელეთზე. ძირითადად გავრცელებული იყო ხმელეთზე ამფორების ორთვალა ურმებით ტრანსპორტირება, რასაც ადასტურებს რომაული ხანის ფრესკებზე, მოზაიკებზე, თუ რელიაფზე უხვად წარმოდგენილი ამფორებით დატვირთული ურმების გამოსახულებები. ბაზალეთის ისტორიულ მუზეუმში დაცულია კედლის მოხატულობა, რომელზედაც ორ ადამიანს მხრებზე გადებული აქვთ გრძელ ჯოხზე ჩამოკიდული ამფორა. ჩანს, რომ არსებობდა ამფორების გადაზიდვის ასეთი ხერხიც. მსგავსი მეთოდი ასახულია ეგვიპტური აკლდამის კედლებზე დაცულ ფრესკაზე, სადაც ქანანელებს მიაქვთ თავიანთი ავლადიდება დაპყრობილ ეგვიპტეთა საწყობებში და პომპეის კედლის მხატვრობაზე.

ამფორებით გადაჰქონდათ ღვინო, ზეთის ზეთი, ზეთისხილი, დამარილებული თევზი, სხვადასხვა სახის მშრალი პროდუქტი: ყურძენი, ქლიავი, ატამი, ლეღვი, ფინიკი, თაფლი, ქონი, მარცვლეული, სუნელ-სანელებელი, მატყლი, საღებავი, ფისი და სხვა.

ამფორები გამოიყენებოდა სამარხებად, სადრენაჟო და წყალმომარაგების სისტემების გასამართად, ჭიდან წყლის ამოსაღებად და საერთოდ წყლის გადასატანად. ამფორებს იყენებდნენ საბრძოლო ოპერაციების დროსაც. ჰეროდოტე აღწერს რა ფოკეელებსა და თესალიელებს შორის ბრძოლას, აღნიშნავს "... ფოკეელებმა გააკეთეს დიდი თხრილი და შიგ ცარიელი ამფორები ჩადგეს, ზემოდან მინა მოაყარეს, თესალიელები თავს დაესხნენ თუ არა ფოკეელებს ჩაცვივდნენ ამფორებში. აქ იმათმა ცხენებმა ფეხები დაიმტვრიეს."

არისტოტელეს გადმოცემით, ამფორები საარჩევნო ურნების მოვალეობასაც ასრულებდა. საინტერესო ცნობაა დაცული პლატონთან, რომლის მიხედვით, თაფლითა და რძით ავსებული ამფორები გაიგივებულია მონესრიგებულ ჭკვიან ადამიანთან, როგორც ჩანს, ანტიკურ სამყაროში ცარიელ ამფორას უწოდებდნენ გაუთლელ ბრყვ ადამიანს.

გონიო-აფსაროსში ამფორები ძირითადად ღვინის, მარცვლეულის, ზეთუნის ზეთისა თუ სხვა

სახის პროდუქტების შესანახადაა გამოყენებული.

აფსაროსის მონაპოვარში წამყვან ადგილს ახ.წ. I-III სს ამფორები იკავებს, სახეობრივად სჭარბობს შემოტანილი ნაკეთობანი. რადენობრივი თვალსაზრისით კი წამყვანია ადგილობრივი ნაწარმი, თვით გონიო-აფსაროსში წარმოებული პროდუქცია.

ამფორების ასეთმა მრავალმხრივმა გამოყენებამ ბუნებრივია განსაზღვრა მათი მასიური წარმოებაც. ამფორები ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ანტიკურ სამყაროსა და მის მოსაზღვრე რაიონებში.

გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე გამოვლინდა მრავალფეროვანი ნუმიზმატიკური მასალა. მათი რაოდენობა 200 აღწევს. შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სამონეტო მიმოქცევის უძველესი ქრონოლოგიური ზღვარი ძვ.წ. III საუკუნეზე მოდის. საინტერესო და მრავალფეროვანია მონეტათა ემისია: მაკედონია, იუდეა, პონტოს სამეფო, ანტიოქია, (სირია), კაპადოკია, რომი, ტრაპეზუნდი, სინოპე, ვენეცია, თეოპოლისი, პოლონეთი, თურქეთი (6:128).

განსაკუთრებით აღსანიშნავია იუდეური მონეტის აღმოჩენა, რადგანაც ეს მონაპოვარი ერთადერთია არა მარტო გონიოსათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. რაც შეეხება მაკედონურ მონეტას, მისი მნიშვნელობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვის უდაოდ დიდია, რადგანაც მაკედონური მონეტა საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული იყო მხოლოდ ვანში.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული მონაცემები, მართლაც, იმსახურებენ ყურადღებას. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანტიკური ხანის მდიდარი ნუმიზმატიკური კოლექცია ახალი მონარქების მონეტებით შეივსო (ანტიგონა, გონატა, აგრიპა I იროდი), ისეთი საფასევებით, რომელიც წმინდა ნუმიზმატიკური თვალსაზრისითაც იშვიათობას წარმოადგენდა. ვფიქრობთ, აღნიშნული მასალა დაინტერესებს მოსწავლეებს, დააფიქრებს იმაზე თუ რა დიდი ისტორიული წარსულის მქონეა საქართველოს ეს მხარე.

**ლიტერატურა/REFERENCES**

[1] ვახუშტი – ქართლის ცხოვრება IV. თბ., 1973;  
 [2] ო. ლორთქიფანიძე, დ. ხახუტაიშვილი, თ. მიქელაძე გონიოს განძი, თბ., 1980;  
 [3] დ. ხახუტაიშვილი, ენციკლოპედია „საქართველო“ ტ 2;  
 [4] შ. მამულაძე. აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები;  
 [5] მ. ხალვაში, კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. ბათუმი 2002;  
 [6] ი. ვარშალომიძე. მაკედონური და იუდეური მონეტები, გონიო-აფსაროსიდან. ლიგ. აჭარა 2, 1999;  
 [7] ნ. ტაბიძე – მიქანაძე, საიდან იწყება სამშობლო, ბათუმი 2005.

**ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტთა მოთხოვნის პროგნოზირების კონცეპტუალური მოდელი და მისი რეალიზაცია აჭარის რეგიონის მაგალითზე**

**REALIZATION OF THE CONCEPTUAL MODEL OF FORECASTING OF TECHNICAL EDUCATION SPECIALISTS IN THE REGION**

**მზია დიასამიძე,**

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესორი. საქართველო, ბათუმი

**ია მოწყობილი,**

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ასოცირებული პროფესორი. საქართველო, ბათუმი

**ირმა ტაკიძე,**

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ასოცირებული პროფესორი. საქართველო, ბათუმი

**ცირა გვინჯილია,**

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ასისტენტი. საქართველო, ბათუმი

**MZIA DIASAMIDZE,**

Professor, Candidate of Physical and Mathematical Sciences, Georgia, Batumi, Batumi State Maritime Academy

**IA MOTSKOBILI,**

an associate professor, an academic doctor, Georgia, Batumi, Batumi State Maritime Academy

**IRMA TAKIDZE,**

an associate professor, an academic doctor, Georgia, Batumi, Batumi State Maritime Academy

**TSIRA GVINJILIA,**

an assistant, an academic doctor, Georgia, Batumi, Batumi State Maritime Academy

**ანოტაცია**

დასაქმების სფეროში არსებული რთული მდგომარეობის გამოსწორება რეგიონის ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებაზე დამოკიდებულია. განვითარების დაჩქარებისათვის კი საჭიროა იმ მიზეზების დადგენა და გათვალისწინება, რომლებიც ადგილობრივ მენარმებს ხელს უშლიან ბიზნესსაქმიანობასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. კვლევისათვის შევარჩიეთ კონცეპტუალური მოდელი და გამოვიყენეთ ყველაზე მოთხოვნადი კადრები სხვადასხვა ძირითადი პროფესიებიდან. ეს ჩამონათვალი არ არის სრული და მათში უმთავრესად აისახა ის პროფესიები, რომელთა ნაკლებობა ან კადრების დეფიციტი გამოვლინდა კვლევის მოცემულ ეტაპზე. კვლევის შედეგად მიღებული პროგნოზი ეფუძნება მხოლოდ სოციალური გამოკითხვის შედეგების ანალიზს. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგებსა და დასკვნებში არ არის მითითებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის პროფესიული კადრია აუცილებელი ამა თუ იმ სფეროში დასასაქმებლად. კვლევის შედეგად გამოვლენილია მხოლოდ ყველაზე მოთხოვნადი და საჭირო ძირითადი პროფესიები. გამოკითხვის პროცესში მონაწილეობდნენ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები.

**საკვანძო სიტყვები:** კონცეპტუალური მოდელი, პროგნოზირება, შესაბამისობის მატრიცა

**ABSTRACT**

Today the quality of educational services in our country, unfortunately, is inferior to the quality of education in developed countries. The quality of education is the primary factor determining the amount of labor without which it is impossible to create a consumer value. The quality of labor creates the image of the country as a whole. Training is provided by higher education institutions, but the most interesting is that if earlier (10 years ago) only cadres with higher education were needed, the study showed that with the same success now people with professional education are in demand or short-term retraining courses for specialists.

The forecasting of what kind of professional staff and which area are needed, is mainly based on the results of sociological survey analysis; there is no indication of the number of professional staff required for this or that area. On the basis of the data provided in the work, we suggest a specialist number for any field, proposed by the mathematical model.

The paper also deals with the conceptual model of forecasting of specialist demand. With these and other proposals, we are going to turn to local authorities to make the right investments for the development of the Region.

**Keywords:** conceptual model, forecasting, matrices of correspondence.

**შესავალი**

დასაქმების სფეროში არსებული რთული მდგომარეობის გამოსწორება რა თქმა უნდა, რეგიონ-



ნის ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებაზეა დამოკიდებული. განვითარების დაჩქარებისათვის კი საჭიროა იმ მიზეზების დადგენა და გათვალისწინება, რომლებიც ადგილობრივ მენარმეებს ხელს უშლიან ბიზნესსაქმიანობასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. რესპოდენტთა უმრავლესობა, დასაქმების ხელშემშლელ მიზეზად არკვალიფიციური კადრებისა და მენეჯმენტის დაბალი ხარისხის არსებობას ასახელებს [4]. გარდა ამისა, ბიზნეს-საქმიანობაში ხელშემშლელი მიზეზები შეიძლება იყოს: არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა, ადამიანური რესურსების არასათანადო ხარისხი, პოლიტიკური ფაქტორები, ბუნებრივი ფაქტორები და სხვა. ყველაფერი ეს უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ პროფესიული კადრების მომზადების სისტემას, რომლის გადაჭრა მეცნიერული კვლევის გარეშე შეუძლებელია. კვლევის ასეთმა შედეგებმა გამოავლინა რეგიონში არსებული შემდეგი უმწვავესი პრობლემები:

- 1) მუშახელზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული სტრუქტურული (პროფესიების მიხედვით) და ხარისხობრივი (კვალიფიკაციის მიხედვით) დისბალანსი;
- 2) შრომის ბაზრის მოთხოვნებზე პროფესიული განათლების სისტემის არასაკმარისი ორიენტაცია;
- 3) შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა;
- 4) კერძო სექტორის/ინვესტიციების სიმწირე და მათი მომსახურების ხელმიუწვდომლობა და სხვ.

კვლევისათვის შევარჩიეთ **კონცეპტუალური მოდელი** (კონცეპტუალური მოდელი - სისტემის აღწერილობითი მოდელია, რომელიც ეფუძნება თვისობრივ ვარაუდებს მისი შემადგენელი ელემენტების, მათი ურთიერთკავშირისა და სისტემის საზღვრების შესახებ) და გამოვიყენეთ ყველაზე მოთხოვნადი კადრები შემდეგი ძირითადი პროფესიებიდან:

**I - სოფლის მეურნეობა:**

მოთხოვნადი პროფესიები - ვეტერინარი, აგროინჟინერი, აგრონომი, მექანიზატორი, ენტიმოლოგი, ნიადაგმცოდნე, ზოოტექნიკოსი, კვების ტექნოლოგი, ეკონომისტი, ბუღალტერი.

**II - მრეწველობა და მართვა:**

ხარატი, დურგალი, ელექტრიკოსი, მენეჯერი, კვების ტექნოლოგი, მცხოველი, პოლიგრაფისტი, ფარმაცევტული წარმოების ტექნოლოგი, ინჟინერ-ელექტრიკოსი, მენეჯერი, გემთნამყვანი, ბუ-

ღალტერი, ეკონომისტი, IT სპეციალისტი და სხვ.

**III - ელექტროენერჯის, აირისა და წყალ-მომარაგება:**

ელექტრო შემდუღებელი, ელექტრიკოსი, სანტექნიკოსი, მძღოლი, ბუღალტერი, კონტროლიორი, ეკონომისტი, ენერგეტიკოსი და სხვ.

**IV - მშენებლობა:**

ინჟინერ-ელექტრიკოსი, ელექტროშემდუღებელი, მებათქაშე, მღებავი, სამშენებლო ტექნიკის მექანიკოსი, ფართო პროფილის მშენებელი, არქიტექტორი, ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-მექანიკოსი, ინჟინერ-გეოდეზისტი, საგზაო ინჟინერი, სანტექნიკოსი, მეთუნეუქე, საგზაო ტექნიკის მექანიზატორი, სამშენებლო ტექნიკის ტექნიკოს-მექანიზატორი, IT სპეციალისტი.

**V - ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა:**

გემთნამყვანი, გემის მექანიკოსი, გემის ელექტრომექანიკოსი, 1თ სპეციალისტი, გიდი, ავტო-ზეინკალი, ზოგადი პროფილის ინჟინერ-მექანიკოსი, ლოჯისტიკის სპეციალისტი, მატროსი, მოტორისტი, ძრავის მექანიკოსი, ძრავის ხელოსანი, ზეინკალი, ავტო-ინჟინერი, ელექტრიკოსი, უცხო ენათა სპეციალისტი.

**VI - ნავიგაცია და კავშირგაბმულობა:**

ინჟინერ-მექანიკოსი, კავშირგაბმულობის ტექნიკოსი, კავშირგაბმულობის ინჟინერი, გემთნამყვანი.

**VII - განათლება:**

გემთნამყვანი, პედაგოგი (უცხო ენების, უნარ-ჩვევების, ტექნიკური საგნების, მუსიკის და სხვ.), უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური ხარისხის მქონე პედაგოგები, ხელოვნებათმცოდნე, IT სპეციალისტი, გემის მექანიკოსი.

როგორც ვხედავთ, საკმაოდ მრავალფეროვანია იმ ძირითადი პროფესიების ჩამონათვალი, რომლებზეც ჩვენი პროგნოზით, აჭარაში უახლოესი წლების განმავლობაში იქნება მოთხოვნა. რა თქმა უნდა, ეს ჩამონათვალი არ არის სრული და მათში უმთავრესად აისახა ის პროფესიები, რომელთა ნაკლებობა ან კადრების დეფიციტი გამოვლინდა კვლევის მოცემულ ეტაპზე.

საქმე იმაშია, რომ არასაკმარისი კადრების არსებობის ძირითად მიზეზად დამსაქმებლებიცა და ექსპერტებიც მიუთითებენ შემდეგ გარემოებებზე: რეგიონში არსებობს IT თანამედროვე ტექნოლოგიების პროფესიული კადრები, მაგრამ მათ არა აქვთ სათანადო და ადეკვატური პროფესიული ისეთი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც ადაპტირებულია თანამედროვე ინოვაციურ ტექნოლო-



ოგებზე. გარდა ამისა, გარკვეული პროფესიის კადრები რეგიონში არ მზადდება, რიგი პროფესიის კადრები კი დეფიციტურია. ეს პრობლემები უნდა იქნეს გათვალისწინებული კადრების პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემის დაგეგმვისა და ორგანიზაციის პროცესის დროს [3].

ჩვენ გავაკეთეთ შემდეგი ინფორმაციის პროგნოზი, თუ რომელი პროფესიული კადრი რომელი სფეროდანაა ყველაზე მოთხოვნადი ჩვენს რეგიონში. მაგრამ, კვლევის შედეგად მიღებული პროგნოზი ეფუძნება მხოლოდ სიციალური გამოკითხვის შედეგების ანალიზს. კვლევის პროცესში არ ვიყენებდით არც რეგიონის სტრატეგიული განვითარების გეგმებს, არც სტატისტიკურ მეთოდებს, რადგანაც კვლევის ამ ეტაპზე ეს არ გვქონდა მიზნად დასახული. შედეგად, კვლევის შედეგებსა და დასკვნებში არ არის მითითებული ინფორმაციის შესახებ, თუ რა რაოდენობის პროფესიული

კადრია აუცილებელი ამა თუ იმ სფეროში დასასაქმებლად. კვლევის შედეგად გამოვლენილია მხოლოდ ყველაზე მოთხოვნადი და საჭირო ძირითადი პროფესიები.

საინტერესოა, რომ გამოკითხვის პროცესში მონაწილეობდნენ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებიც.

**მოთხოვნილი სპეციალისტების რაოდენობის პროგნოზირება**

ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე გთავაზობთ მათემატიკურ მოდელს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ვივარაუდოთ და ვადგინოთ ამა თუ იმ სფეროში საჭირო სპეციალისტების რაოდენობა [3]. ამისათვის:

1. შემოვიღოთ შემდეგი მარკირება/აღნიშვნები დარგებისა და პროფესიების მიხედვით:
  - I. დარგი:  $D_1 =$  <სოფლის მეურნეობა>
 

პროფესია:  $D_{1,1} =$  <ვეტერინარი>,  $D_{1,2} =$  <აგრო-ინჟინერი>,  $D_{1,3} =$  <აგრონომი>,  $D_{1,4} =$  <ენტომოლოგი>,  $D_{1,5} =$  <მექანიზატორი>,  $D_{1,6} =$  <ხიდაგმცოდნე>,  $D_{1,7} =$  <ზოოტექნიკოსი>,  $D_{1,8} =$  <კვების ტექნოლოგი>,  $D_{1,9} =$  <ევკონომისტი>,  $D_{1,10} =$  <ბუღალტერი>.
  - II. დარგი:  $D_2 =$  <მრეწველობა და მართვა>
 

პროფესია:  $D_{2,1} =$  <მღარავი>,  $D_{2,2} =$  <ხარატი>,  $D_{2,3} =$  <დურგალი>,  $D_{2,4} =$  <ელექტრიკოსი>,  $D_{2,5} =$  <მენეჯერი>,  $D_{2,6} =$  <კვების ტექნოლოგი>,  $D_{2,7} =$  <წარმოების ტექნოლოგი>,  $D_{2,8} =$  <ინჟინერ-ელექტრიკოსი>,  $D_{2,9} =$  <ევკონომისტი>,  $D_{2,10} =$  <გემთწამყვანი>,  $D_{2,11} =$  <IT სპეციალისტი>,  $D_{2,12} =$  <უცხო ენათა სპეციალისტი>.
  - III. დარგი:  $D_3 =$  <ელექტროენერჯის, აირისა და წყალ-მომარაგება>
 

პროფესია:  $D_{3,1} =$  <ელექტროშემდუღებელი>,  $D_{3,2} =$  <ელექტრიკოსი>,  $D_{3,3} =$  <სანტექნიკოსი>,  $D_{3,4} =$  <ბუღალტერი>,  $D_{3,5} =$  <კონტროლიორი>,  $D_{3,6} =$  <ევკონომისტი>,  $D_{3,7} =$  <ენერგეტიკოსი>.
  - IV. დარგი:  $D_4 =$  <მშენებლობა>
 

პროფესია:  $D_{4,1} =$  <ინჟინერ-ელექტრიკოსი>,  $D_{4,2} =$  <ელექტრიკოსი>,  $D_{4,3} =$  <ელექტრო შემდუღებელი>,  $D_{4,4} =$  <მებათქაშე>,  $D_{4,5} =$  <მღებავი>,  $D_{4,6} =$  <სამშენებლო ტექნიკის მექანიკოსი>,  $D_{4,7} =$  <ფართო პროფილის მშენებელი>,  $D_{4,8} =$  <არქიტექტორი>,  $D_{4,9} =$  <სანტექნიკოსი>,  $D_{4,10} =$  <ინჟინერ-მშენებელი>,  $D_{4,11} =$  <ინჟინერ-მექანიკოსი>,  $D_{4,12} =$  <ინჟინერ-გეოდეზისტი>,  $D_{4,13} =$  <საგზაო ინჟინერი>,  $D_{4,14} =$  <საგზაო ტექნიკის მექანიზატორი>,  $D_{4,15} =$  <IT სპეციალისტი>.
  - V. დარგი:  $D_5 =$  <ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა>
 

პროფესია:  $D_{5,1} =$  <გემთწამყვანი>,  $D_{5,2} =$  <გემის მექანიკოსი>,  $D_{5,3} =$  <გემის ელექტრომექანიკოსი>,  $D_{5,4} =$  <გიდი>,  $D_{5,5} =$  <IT სპეციალისტი>,  $D_{5,6} =$  <ავტო-ზეინკალი>,  $D_{5,7} =$  <ინჟინერ-მექანიკოსი>,  $D_{5,8} =$  <ლოჯისტიკის სპეციალისტი>,  $D_{5,9} =$  <მატროსი>,  $D_{5,10} =$  <მოტორისტი>,  $D_{5,11} =$  <ძრავის მექანიკოსი>,  $D_{5,12} =$  <უცხო ენათა სპეციალისტი>.
  - VI. დარგი:  $D_6 =$  <ნავიგაცია და კავშირგაბმულობა>
 

პროფესია:  $D_{6,1} =$  <ინჟინერ-მექანიკოსი>,  $D_{6,2} =$  <კავშირგაბმულობის ტექნიკოსი>,  $D_{6,3} =$  <კავშირგაბმულობის ინჟინერი>,  $D_{6,4} =$  <გემთწამყვანი>,  $D_{6,5} =$  <გემის მექანიკოსი>.
  - VII. დარგი:  $D_7 =$  <განათლება>
 

პროფესია:  $D_{7,1} =$  <პედაგოგი (უცხო ენების, უნარ-ჩვევების, ტექნიკური საგნების, მუსიკის და სხვ.)>,  $D_{7,2} =$  <აკადემიური ხარისხის მქონე უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები>,  $D_{7,3} =$  <ხელოვნებათმცოდნე, IT სპეციალისტი>,  $D_{7,4} =$  <გემთწამყვანი>,  $D_{7,5} =$  <გემის მექანიკოსი>,  $D_{7,6} =$  <გემის ელექტრომექანიკოსი>,  $D_{7,7} =$  <მატროსი>.

2. ამოვნერეთ ამ დარგებიდან ჩვენთვის საინტერესო, მხოლოდ ტექნიკური სპეციალობები. მოვახდინეთ მათი ხელახალი აღნიშვნა და შევადგინეთ შესატყვისობის მატრიცა იმ ძირითადი

საკვანძო დარგებისა და პროფესიების ჩამონათვალისთვის, რომლებზეც რეგიონში იქნება მოთხოვნა უახლოესი რამოდენიმე წლის განმავლობაში:

- $P_1 = D_{1,8} = \langle \text{კვების ტექნოლოგი} \rangle$
- $P_3 = D_{2,8} = \langle \text{ინჟინერ-ელექტრიკოსი} \rangle$
- $P_5 = D_{2,9} = \langle \text{ეკონომისტი} \rangle$
- $P_7 = D_{5,1} = \langle \text{გემთწამყვანი} \rangle$
- $P_9 = D_{5,3} = \langle \text{გემის ელექტრომექანიკოსი} \rangle$
- $P_{11} = D_{5,9} = \langle \text{მატროსი} \rangle$
- $P_{13} = D_{4,15} = \langle \text{IT სპეციალისტი} \rangle$
- $P_{15} = D_{3,7} = \langle \text{ენერგეტიკოსი} \rangle$
- $P_{17} = D_{6,3} = \langle \text{კავშირგაბმულობის ინჟინერი} \rangle$
- $P_2 = D_{1,10} = \langle \text{ბულალტერი} \rangle$
- $P_4 = D_{5,2} = \langle \text{გემის მექანიკოსი} \rangle$
- $P_6 = D_{3,4} = \langle \text{ბულალტერი} \rangle$
- $P_8 = D_{7,1} = \langle \text{უცხო ენათა სპეციალისტი} \rangle$
- $P_{10} = D_{4,6} = \langle \text{სამშენებლო ტექნიკის მექანიკოსი} \rangle$
- $P_{12} = D_{4,14} = \langle \text{საგზაო ტექნიკის მექანიკატორი} \rangle$
- $P_{14} = D_{5,8} = \langle \text{ლოჯისტიკის სპეციალისტი} \rangle$
- $P_{16} = D_{6,2} = \langle \text{კავშირგაბმულობის ტექნიკოსი} \rangle$

3. ავაგოთ შესატყვისობის  $A_{შეს}$  მატრიცა:

$$A_{შეს} = \begin{matrix} & P_1 & P_2 & P_3 & P_4 & P_5 & P_6 & P_7 & P_8 & P_9 & P_{10} & P_{11} & P_{12} & P_{13} & P_{14} & P_{15} & P_{16} & P_{17} \\ \begin{matrix} D_1 \\ D_2 \\ D_3 \\ D_4 \\ D_5 \\ D_6 \\ D_7 \end{matrix} & \begin{pmatrix} 1 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 1 & 0 & 1 & 0 & 1 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 1 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 1 & 1 & 1 & 0 & 1 & 0 & 1 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 1 & 1 & 1 & 0 & 1 & 0 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 \end{pmatrix} \end{matrix}$$

4.  $A_{შეს}$  მატრიცის საშუალებით ვიპოვოთ  $\sum P_{ij}$ , სადაც  $i = 1, 17; j = 1, 7$ :

$$\begin{matrix} \sum P_{1j} = 1 & \sum P_{7j} = 4 & \sum P_{13j} = 4 \\ \sum P_{2j} = 1 & \sum P_{8j} = 3 & \sum P_{14j} = 1 \\ \sum P_{3j} = 1 & \sum P_{9j} = 2 & \sum P_{15j} = 1 \\ \sum P_{4j} = 3 & \sum P_{10j} = 1 & \sum P_{16j} = 1 \\ \sum P_{5j} = 1 & \sum P_{11j} = 2 & \sum P_{71j} = 1 \\ \sum P_{6j} = 1 & \sum P_{12j} = 1 & \end{matrix}$$

შესატყვისობის მატრიცის დამუშავებით ვაკეთებთ პროგნოზს: რეგიონში, შრომის ბაზარზე ტექნიკური სპეციალობიდან ყველაზე დიდი მოთხოვნაა შემდეგ სპეციალობებზე:

1.  $P_{13}$  = <IT სპეციალისტი> და  $P_7$  = <გემთწამყვანი>;
2.  $P_8$  = <უცხო ენათა სპეციალისტი> და  $P_4$  = <გემის მექანიკოსი>;
3.  $P_9$  = <გემის ელექტრომექანიკოსი> და  $P_{11}$  = <მატროსი>.

იგივე მეთოდით შეგვიძლია ვისარგებლოთ და ავაგოთ არსებული რეალობის შესატყვისობის მატრიცა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავაკეთოთ ანალიზი იმის შესახებ, თუ როგორ შესაბამისობაშია ფაქტიური მონაცემები პროგნოზირებად მონაცემებთან.

აღწერილი მოდელი არ ითვალისწინებს მის უნიფიცირებულ დაწერგვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ბუნებრივია, გულუბრყვილობა იქნებოდა პრობლემის ასეთი გამარტივებული, მექანიკური გადაწყვეტა. პრობლემა არსით უფრო ღრმად და მისი გადაჭრის გზების ძიებისას ყველა ფაქტორის გათვალისწინებაა აუცილებელი. ახალი მოდელის იმპლემენტაციას თან ახლავს რამდენიმე უარყოფითი მომენტი, რაც მდგომარეობს კონკრეტული სპეციალისტის რაოდენობისა და მისი ხარისხის ზუსტ გათვლაში [1,2].

სამწუხაროდ, დღეისათვის საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხი ჩვენს ქვეყანაში არც თუ ისე მაღალია. განათლების ხარისხი წარმოადგენს უპირველეს და ძირითად ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს შრომის ოდენობას, რომლის გარეშეც

შეუძლებელია მომხმარებლის ღირებულების შექმნა. შრომის ხარისხი კი ქმნის მთელი ქვეყნის იმიჯს.

**დასკვნა**

1. კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ჩვენს რეგიონში მთავარი მოთხოვნაა ტექნიკური განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტებზე;
2. კადრების მომზადების პრობლემა - იმისათვის, რომ რეგიონი უზრუნველყოფილ იქნას საჭირო კადრებით, საჭირო ჯერ მათი მომზადება;
3. კადრების მომზადებას უქრუნველყოფს უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები;
4. მაგრამ ყველაზე საინტერესო გახლავთ ის, რომ თუ ადრე (10 წლის წინ) მოთხოვნა იყო მხოლოდ

5. უმაღლესი განათლების მქონე კადრებზე, კვლევამ აჩვენა, რომ იმავე წარმატებით ახლა უკვე გამოიკვეთა პროფესიული განათლების მქონე, ან მოკლევადიანი გადამზადების კურსების შედეგად მიღებულ სპეციალისტებზეა მოთხოვნა; ამ პრობლემის გადასაჭრელად უნდა შეიქმნას ახალი საგანმანათლებლო პროგრამები როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული განათლების სხვადასხვა დონეებზე;
6. ამ და სხვა წინადადებებით ვაპირებთ მივმართოთ ადგილობრივ ხელისუფლებას, თავიანთი აქტიური ჩართულობით ხელი შეგვიწყოს შემდგომ კვლევებში, რათა კვლევის შედეგების საფუძველზე მოხდეს სწორი ინვესტიციების განხორციელება რეგიონის განვითარებისათვის.

**ლიტერატურა/REFERENCES**

[1] Трудоустройство выпускников: методология, мониторинг и анализ/под ред. А.В.Воронина, В.А.Гуртова, Л.М.Серовой. М.: Экономика, 2015. 372 с. [Voronin A.V., Gurtov V.A., Serova L.M. (eds.). [Employment of Graduates: Methodology, Monitoring and Analysis], Moscow, Ekonomika, 2015, 372 p.];

[2] **Майбуров И.А.** Механизм согласования возможностей высшей школы с потребностями региона//Университетское управление. 2003. № 5-6. С. 38-46. [Maiburov I.A. The Mechanism of Coordinating the Possibilities of the Higher Education with the Needs of the Region]. [University Management: Practice and Analysis], 2003, no. 5-6, pp. 38-46.];

[3] **Сидунова Г.И.** Кадровая политика региона: инновационный подход [Электронный ресурс]. RL: <http://www.cis2000.ru>; [Sidunova G.I. Personnel Policy of the Region: Innovative Approach], available at: <http://www.cis2000.ru>];

[4] **Didmanidze I., Motskobili I.** CONCEPTUAL MODEL OF PROGNOSIS. XXVII International Conference “PROBLEMS OF DECISION MAKING UNDER UNCERTAINTIES” (PDMU-2016). ABSTRACTS. May 23-27, 2016. Tbilisi-Batumi, Georgia. P. 47-48.

**ინოვაციური ეკონომიკა და მართვა**

**INNOVATIVE ECONOMICS AND MANAGEMENT**

**ИННОВАЦИОННАЯ ЭКОНОМИКА И УПРАВЛЕНИЕ**

ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე:

[www.nier.ge](http://www.nier.ge)

ელ. ფოსტა: [nierbat@gmail.com](mailto:nierbat@gmail.com); [info@nier.ge](mailto:info@nier.ge)

ანგისის ქ. 15. ბათუმი. 6010

ტელეფონი: (+995) 593 72-21-15; (+995) 591 98-03-80

The online version of the journal is available on the website:

[www.nier.ge](http://www.nier.ge)

E-mail: [nierbat@gmail.com](mailto:nierbat@gmail.com); [info@nier.ge](mailto:info@nier.ge)

15 Angisa Sht. Batumi. 6010

Phone: (+995) 593 72-21-15; (+995) 591 98-03-80

კომპიუტერული უზრუნველყოფა — **ეკა აბზიანიძე**

ტექსტის კორექტურა — **ნათია კუპრაშვილი**

ქალაქის ზომა — A4

გამომცემლობა „**კალმოსანი**“

E-mail: [Kalmosani@yahoo.com](mailto:Kalmosani@yahoo.com)

ტელეფონი: 571 19-19-39

Publishing „**KALMOSANI**”